ივანე ქობალია

რეფორმიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრიტიკა

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“,
თბილისი — 1975

ІФБ
І (104)
ჟ 602

ნაშრომში გაშუქებულია რეფორმიზმის კლასობრივი ხასიათი და სოციალური საფუძვლები, გაკრიტიკებულია თანამედროვე რეფორმისტების თეორიები „სახალხო კაპიტალიზმის“, „დემოკრატიული სოციალიზმისა“ და „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესახებ. ავტორი ამხელს მემარჯვენე სოციალისტების შეხედულებებს კლასობრივი ბრძოლის, მუშათა კლასის ისტორიული მისიის, რეფორმისა და რევოლუციის თანაფარდობის შესახებ.

К $\frac{0155-48}{М601\ (08)-75}$ 31—75

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1975.

I რეფორმიზმის კლასობრივი არსი და სოციალური ფესვები

ორი საუკუნის მიჯნაზე კაპიტალიზმი შევიდა თავის განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში — იმპერიალიზმში. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლა საზოგადოებრივი განვითარების საარსებო მოთხოვნილება გახდა. ოქტომბრის რევოლუციამ განსაზღვრა წინსვლის ძირითადი ტენდენცია. მისი განხორციელების მთავარი შედეგია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა. „კომუნიზმი მთელი მუშათა მოძრაობის ცენტრალურ საკითხად გადაიქცა“ (ვ. ი. ლენინი). ახლა დრო სოციალიზმისათვის, კაპიტალიზმის წინააღმდეგ მუშაობს. სოციალიზმს ეკუთვნის ისტორიული ინიციატივა. იგი გახდა თანამედროვეობის ძირითადი რევოლუციური ძალა, სოციალური პროგრესის მთავარი ამჩქარებელი. იმპერიალიზმი უძლურია დაიბრუნოს დაკარგული ისტორიული ინიციატივა. ჩვენს დროში განვითარების მაგისტრალურ გზას განსაზღვრავენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური ძალები. დაიმსხვრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. ასე დაჭკარგა თანამედროვე კაპიტალიზმმა ყოფილი ბატონობა კაცობრიობის მეტ ნაწილზე. სოციალიზმი პროგრესული კაცობრიობის უმაღლესი იდეალი გახდა.

მუშათა კლასს კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო დიდი წარმატებები ექნებოდა, მისი რიგები რომ ერთიანი ყოფილიყო. მუშათა კლასის ერთიანობას არღვევენ ანტიკომუნისტები და ოპორტუნისტები-რეფორმისტები, რევიზიონისტები.

კაპიტალიზმის აპოლოგეტებმა იციან, რომ ახლა ომების გზით სოციალისტური სისტემის მოსპობა შეუძლებელია. ამიტომ ბრძოლის ცენტრმა იდეოლოგიის სფეროში გადაინაცვლა. ორი იდეოლოგიის —

ბურჟუაზიულისა და სოციალისტური იდეოლოგიის — დაპირისპირებულობა ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივი მხარე გახდა. „ეს ბრძოლა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში ასახავს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ისტორიულ პროცესს“[1]. იგი სოციალიზმისა და კაპიტალიზმის, პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კლასობრივი პოზიციების შეურიგებლობის გამოხატულებაა, კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ასახვაა. თანამედროვე მსოფლიოს სახეს განსაზღვრავს ბრძოლა „ორი წესისა, ორი ფორმაციისა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ორი მეურნეობისა — კომუნისტურის და კაპიტალისტურის“[2]. ასევე უპირისპირებდა ერთმანეთს ორი იდეოლოგია — პროლეტარული და ბურჟუაზიული.

სოციალიზმის სფეროს გაფართოების კვალობაზე იდეოლოგიური ბრძოლა კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, უფრო მწვავდება. „რაც უფრო მეტად ვიმარჯვებთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მით უფრო მეტად სწავლობენ კაპიტალისტური ექსპლოატატორები გაერთიანებას და გადმოდიან უფრო გაბედულ შეტევაზე“[3]. მარქსისტული დიალექტიკის მიხედვით დამარცხებული კლასების წინააღმდეგობა, მათი სვედრითი წონის შემცირების მიუხედავად, გარკვეულ დრომდე უფრო იზრდება. კაპიტალიზმი „ერთბაშად არ კვდება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და მით უფრო გაშმაგებით ეწევა წინააღმდეგობას, რაც უფრო მეტად უახლოვდება სიკვდილს“[4]. ბურჟუაზიის იდეოლოგები ხედავენ, რომ სოციალიზმის იდეები თანდათანობით იმარჯვებს დედამიწის ყველა კუთხეში. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სახელი გაუტეხონ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მეცნიერული კომუნიზმის თეორიას. იმპერიალისტური ბურჟუაზია ცდილობს სოციალიზმის წინააღმდეგ გამოიყენოს პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალება — რადიო, ტელევიზია, ბეჭდვითი სიტყვა და სხვ. ანტისაბჭოთა პროპაგანდას ეწევა 34-ზე მეტი რადიოსადგური სსრ კავშირის 22 ენაზე. გადაცემის საერთო ხანგრძლივობა ყოველდღიურად 200-ზე მეტ საათს შეადგენს[5]. მარტო „ამერიკის ხმა“, სადაც 2400 კა-

---

[1] „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“, თბ., 1971, გვ. 74.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 559.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 544.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 27, გვ. 501.
[5] См. Журн. «Коммунист», 1969, № 11, стр. 107.

ცი მუშაობს. გადაცემას აწარმოებს 40 ენაზე, მათ შორის, სსრ კავშირის 7 ენაზე[1]. 1969 წლისათვის იმპერიალისტურ ქვეყნებში, კერძოდ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მუშაობდა 300-მდე ანტისაბჭოთა ცენტრი და ორგანიზაცია. შექმნილია სსრ კავშირის შემსწავლელი სპეციალური ინსტიტუტები.

იდეოლოგიური ბრძოლა თავისი არსით მასებისათვის ბრძოლაა. ხალხის მასები რომ არ განიცდიდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენას, კაპიტალის ბატონობას უკვე ბოლო მოეღებოდა. არ შეიძლება პრინციპების შერიგება. პრინციპები იმარჯვებენ. აუცილებელია ბურჟუაზიის იდეური წინააღმდეგობის დაძლევაც. ორი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიიდან გამომდინარეობს. მას განუხრელად იცავენ კომუნისტური და მუშათა პარტიები. მაგრამ იგი არ შეეხება იდეოლოგიური ურთიერთობის სფეროს. საჭიროა ვამხილოთ კაპიტალიზმის განუკურნებელი სუსტი მხარეები, ანტიკომუნისტური ცრურწმენები, ყველა ჯურის ოპორტუნისტთა მავნე თვალსაზრისი. იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაციის აუცილებელი პირობაა. ვ. ი. ლენინი წერდა: „იმპერიალიზმთან ბრძოლა, თუ იგი განუყრელად არ არის დაკავშირებული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან, არის ცარიელი და ყალბი ფრაზა“[2].

ოპორტუნიზმის ერთ-ერთი მთავარი ნაირსახეობაა რეფორმიზმი. წინამდებარე შრომაში უმთავრესად გაკრიტიკებულია რეფორმისტების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები.

* *

მარქსიზმი არის მუშათა კლასის ერთადერთი მეცნიერული სოციალური კონცეფცია. იგი პროლეტარიატის მსოფლმხედველობაა. პროლეტარიატის როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალის ბრძოლის არენაზე გამოსვლა გახდა მარქსიზმის წარმოშობის სოციალური საფუძველი. რევოლუციურ მოძრაობას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მხოლოდ მარქსიზმმა განუსაზღვრა მას რეალური მიზანი

---

[1] См. «Стратегия лжи», М., 1967, стр. 75.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 22, გვ. 381—382.

და დასახა მისი განხორციელების ნამდვილი გზა. მარქსიზმი უნიკალური მეცნიერებაცაა და უნივერსალურიც. უნიკალურია, რადგან პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების მეცნიერული გამოხატულებაა, ხოლო უნივერსალურია, ვინაიდან ექსპლოატაციისაგან მთელი მშრომელი ხალხის განთავისუფლების იდეური იარაღია. მეცნიერული კომუნიზმი, ფ. ენგელსის განმარტებით, პროლეტარული მოძრაობის თეორიული გამოხატულებაა. მიუხედავად ამისა, მარქსიზმი თავიდანვე არ ყოფილა მუშათა მოძრაობაში გაბატონებული მიმდინარეობა. იგი სოციალიზმის ერთ-ერთი ფრაქცია თუ მიმართულება იყო. მას ბრძოლით უნდა გადაედგა თითოეული ნაბიჯი ცხოვრების გზაზე. მარქსიზმი წარმოიშვა და განმტკიცდა როგორც ანტიკომუნიზმის, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ისე არაპროლეტარული იდეოლოგიის, მარქსამდელი სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ აზრით მარქსიზმის განვითარების ისტორია მისდამი მტრულად განწყობილი თეორიების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი დაძლევის ისტორიაა. იგივე უნდა ითქვას ჩვენი ეპოქის მარქსიზმის — ლენინიზმის შესახებ.

ანტიკომუნიზმი წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მარქსიზმი გაბატონებულ მდგომარეობას დაიმკვიდრებდა მუშათა მოძრაობაში. მარქსიზმის წინააღმდეგ იგი ბრძოლას თავიდანვე იწყებს. ეს კანონზომიერიცაა. ბურჟუაზიას თავიდანვე დაუპირისპირდა პროლეტარიატი როგორც ანტიპოდი, მესაფლავე კლასი. რაც უფრომ სრულად და შეგნებულად ითვისებს პროლეტარიატი მარქსისტულ მოძღვრებას, მით უფრო უპირისპირდება იგი ბურჟუაზიას. ამ ბუნებრივი დაპირისპირებულობის საბოლოო დაძლევა მოხდება ყოვლისმომცველ სისტემად სოციალიზმის გადაქცევის შედეგად. ვიდრე კაპიტალიზმის ეს დასასრული დადგებოდეს, ბურჟუაზია გამუდმებით ებრძვის პროლეტარიატის იდეოლოგიას, ყოველ ღონეს ხმარობს რათა სახელი გაუტეხოს მას და ამით გაიხანგრძლივოს ბატონობა.

ცხადია, მთელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაიგივება ანტიკომუნიზმთან სწორი არ იქნებოდა. ანტიკომუნიზმი იმპერიალიზმის მებრძოლი იდეოლოგიაა, რომელიც იცავს მონოპოლისტური ბურჟუაზიის ინტერესებს და ქადაგებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ეკონომიური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამხედრო ბრძოლის ორგანიზაციას, მაგრამ თავისი არსით ბუ-

რეუაზიული იდეოლოგია ყოველთვის პროლეტარული იდეოლოგიის, მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგაა მიმართული.

ანტიკომუნიზმი იმპერიალიზმის მთავარი იდეურ-პოლიტიკური იარაღია. მაგრამ ბურჟუაზია, როგორც გაბატონებული კლასი, ამით არ კმაყოფილდება. იგი მოწინააღმდეგე ბანაკში ქმნის თავის იდეურ დასაყრდენს ოპორტუნიზმის სახით. „ოპორტუნიზმი არის, — წერს ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატზე ბურჟუაზიის გავლენის გამოხატულება, არის ბურჟუაზიული მუშათა პოლიტიკა, არის პროლეტარებთან ახლო მდგომი ელემენტების უმნიშვნელო ნაწილის კავშირი ბურჟუაზიასთან“[1]. და შემდეგ: „ოპორტუნიზმი ის არის, — დასძენს ვ. ი. ლენინი, — როცა ძირითად ინტერესებს სწირავ და დროებითს, ნაწილობრივ სარგებლობას არჩევ. აი რა არის უმთავრესი, თუ ავიღებთ ოპორტუნიზმის თეორიულ განსაზღვრას“[2].

ოპორტუნიზმი მოასწავებს მუშათა მოძრაობის იდეოლოგიისა და პოლიტიკის შეგუებას არა პროლეტარული (ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული) ფენების ინტერესებთან და მოთხოვნებთან. ოპორტუნიზმი არის ბურჟუაზიის ინტერესებისადმი მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისა და მიზნების დამორჩილების პოლიტიკა. ოპორტუნისტი მარქსიზმ-ლენინიზმს აყალბებს „მარქსიზმისაგან იმის მოკვეთის საშუალებით, — წერს ვ. ი. ლენინი, — რაც ბურჟუაზიისათვის მიუღებელია“[3].

ბურჟუაზია ახერხებს გათიშოს მუშათა კლასი ეგრეთ წოდებული „მუშათა ძალებით“. გამოდის „სოციალიზმი სიტყვით, იმპერიალიზმი საქმით, ოპორტუნიზმის გადაზრდა იმპერიალიზმად“[4] ოპორტუნიზმი „ტროას ცხენის“ როლს ასრულებს მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში. ამიტომაა იგი განსაკუთრებით საშიში. თუ მუშათა მოძრაობა მათი გავლენისაგან არ განთავისუფლდა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, იგი „ბურჟუაზიულ მუშათა მოძრაობად“ დარჩება. ამავე გაგებით ვ. ი. ლენინი ოპორტუნიზმს მუშათა მოძრაობის ზედაფენებში უწოდებდა „ბურჟუაზიულ სოციალიზმს“. ოპორტუნისტები ებრძვიან რევოლუციას მუშათა და კომუნისტურ მოძრაობის შიგნი-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 544.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 540.
[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 393.
[4] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 594.

ლ ა ნ და ამიტომ ისინი „ბურჟუაზიის უკეთესი დამცველები არიან, ვიდრე თვით ბურჟუები“[1]. ოპორტუნიზმის დაძლევა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებელი პირობაა.

ოპორტუნიზმი ფართო ცნებაა. იგი მოიცავს რეფორმიზმს, რევიზიონიზმს, დოგმატიზმს და სხვა იდეურ მიმდინარეობებს. განასხვავებენ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმს. რეფორმიზმი რევიზიონიზმი მემარჯვენე ოპორტუნიზმია: დოგმატიზმი, ანარქიზმი, ტროცკიზმი და ა. შ. — „მემარცხენე“ ოპურტუნიზმი. რეფორმიზმიც და რევიზიონიზმიც იყოფა აგრეთვე მემარჯვენე და „მემარცხენე“ ფრთად. ზღვარი ოპორტუნიზმის ნაირსახეობათა შორის პირობითია და მოძრავი. მაგრამ მათი არსი კარგა ხანია განსაზღვრულია. დიდი ხანია სოციალიზმის შიგნით სხვადასხვა მიმართულების დავა გასცდა ეროვნულ ფარგლებს და ინტერნაციონალური გახდა. ჯერ კიდევ 1902 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „ამჟამად (ახლა ეს უკვე ნათლად ჩანს) ინგლისელი ფაბიანელები, ფრანგი მინისტერიალისტები, გერმანელი ბერნშტეინელები, რუსი კრიტიკოსები, — ყველა ესენი ერთ ოჯახს წარმოადგენენ, ყველა ესენი ერთმანეთს აქებენ, ერთმანეთისაგან სწავლობენ და ერთად ილაშქრებენ „დოგმატური“ მარქსიზმის წინააღმდეგ“[2]. ოპორტუნიზმის ყველა სახეობა მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი „ორი ფლუსია“ ერთი და იგივე ავადმყოფობის მაჩვენებელი. ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა ეს ურთიერთკავშირი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, განსაკუთრებით ნათლად ჩანს რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის ურთიერთობის მაგალითზე.

ოპორტუნიზმში მთავარია კლასთა თანამშრომლობის იდეა. კლასობრივი ბრძოლის პრინციპი ოპორტუნისტული მიმდინარეობებიდან, ყველაზე ადრე უარყო რეფორმიზმმა. რეფორმიზმი პოლიტიკური მიმდინარეობაა მუშათა მოძრაობის შიგნით, რომელიც სოციალური რევოლუციის ნაცვლად აყენებს სოციალური ევოლუციის, რევოლუციური ლოზუნგების ნაცვლად ნაწილობრივ გაუმჯობესებათა მოთხოვნას. რეფორმისტებს თავი მოაქვთ „დადებითი“ მუშაობის ადამიანებად, „რეალისტური“ მოძრაობის წარმომადგენლებად. ასეთ მოძრა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 274.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 5. გვ. 438.

ობად მათ მიაჩნიათ ბრძოლა მანეთზე კაპიკის მომატებისათვის. რეფორმა რეფორმისტისათვის არის პანაცეა კაპიტალისტური ყველა წყლულის მომშუშებელი. რეფორმისტული აზროვნების ალფა და ომეგა არის რეფორმა როგორც რევოლუციის ანტითეზა. „რეფორმიზმი საერთოდ იმაში მდგომარეობს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ სჯერდებიან აგიტაციას ისეთი ცვლილებებისათვის, რაც არ მოითხოვს ძველი, გაბატონებული კლასის მთავარი საფუძვლების მოსპობას, — ისეთი ცვლილებისათვის, რაც ეთავსება ამ საფუძვლების შენარჩუნებას"[1]. არის შემთხვევები, როცა მუშები ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძვიან, მაგრამ სოციალიზმის არაფერი გაეგებათ და ზოგჯერ მტრულადაც კი ეკიდებიან მას. მხოლოდ სოციალისტური იდეოლოგიის დაუფლების შემდეგ გადადიან მასები მიმდინარე მოთხოვნებისა და უშუალო ამოცანების გაგებიდან ძირეული ინტერესებისა და ისტორიული პერსპექტივების შეგნებაზე. რეფორმისტები ცდილობენ ააცდინონ მუშები ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლის ამ გზას. ამით ისინი ფაქტიურად მუშებს აქცევენ „კმაყოფილ მონებად".

კაცობრიობის პროგრესული ნაწილი ყოველთვის გამოთქვამდა უკმაყოფილებას და მოითხოვდა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას. არაერთი დოქტრინა შექმნილა ცხოვრების უკეთ მოწყობის მიზნით. კონცეფციების სიმრავლე განსაკუთრებით საგრძნობი გახდა კაპიტალიზმის დროს, კერძოდ, მის გარიჟრაჟზე. ჯერ კიდევ დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის წარმოშობამდე ბურჟუაზიამ შეიმუშავა თეორია, რომელიც სამართლიანი წყობილების დამყარებას ქადაგებდა რეფორმების საშუალებით. ამ თეორიის მიხედვით კაპიტალიზმი წარმოდგენილია როგორც თავისუფლების მარადიული სამყარო, ცივილიზაციის უმაღლესი საფეხური. ორგანიზებული მუშათა მოძრაობის წარმოშობასთან ერთად ამავე მოძრაობის შიგნიდან წარმოიშვა მემარჯვენე რეფორმიზმი. ამ დროიდან მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოების იდეურ ცხოვრებაში კანონზომიერება გახდა ბრძოლა რევოლუციურ მარქსიზმსა და რეფორმიზმს შორის.

რეფორმიზმი, წვრილბურჟუაზიული სოციალიზმი თავიდანვე დაუპირისპირდა მარქსიზმს. არაპროლეტარული იდეოლოგია — პრუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 187.

დონიზმი, ბაკუნიზმი, ბლანკიზმი — თავდაპირველად ასე თუ ისე დაკავშირებული იყო მუშათა მოძრაობასთან. მარქსამდელი სოციალიზმი ცდილობდა თეორიული ბრძოლის გზით უარეყო მეცნიერული კომუნიზმის პრინციპები. ეს ის დროა როდესაც მარქსიზმი ჯერ კიდევ არ არის მუშათა მოძრაობაში გაბატონებული ტენდენცია. გაბატონებულია „სოციალიზმის ისეთი ფორმები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლებიც ძირითადად ჩვენს ნაროდნიკობას ენათესავებიან: ისტორიული მოძრაობის მატერიალისტური საფუძვლის გაუგებლობა, კაპიტალისტური საზოგადოების თვითეული კლასის როლისა და მნიშვნელობის გამოყოფის უნარის უქონლობა, დემოკრატიული გარდაქმნების ბურჟუაზიული არსის დაფარვა სხვადასხვა, ვითომდა-სოციალისტური ფრაზებით „ხალხის", „სამართლიანობის", „სამართლის" და სხვათა შესახებ"[1].

რევოლუციური პრაქტიკა თანდათანობით ლახვარს სცემს მარქსამდელი სოციალიზმის ყველა მომხრე, მყვირალა ფორმას. მარქსიზმი თანდათანობით მოდად იქცა. იგი იმარჯვებს რეფორმიზმზე და არაპროლეტარულ ყველა სხვა იდეოლოგიაზე. მაგრამ ამ გამარჯვებით ბრძოლა არ დამთავრებულა. შეიცვალა მხოლოდ მისი ფორმები და საბაბნი. ბრძოლა გაგრძელდა. ამჯერად მარქსიზმის კრიტიკა იქცა მოდად. მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობს მუშათა მოძრაობის გარეთ, ლიბერალური ბურჟუაზიის ხაზის გამგრძელებელი, ბურჟუაზიული რეფორმიზი და მუშათა მოძრაობის შიგნით არაპროლეტარული სოციალიზმის ხაზის გამგრძელებელი მემარჯვენე ოპორტუნიზმი — რეფორმიზმი. მაგრამ დამარცხებული იდეოლოგია ბრძოლას განაგრძობს არა დამოუკიდებელ ნიადაგზე, არამედ მარქსიზმის საერთო ნიადაგზე. იგი იძულებულია მუშათა კლასის მოსატყუებლად გადაიცვას მარქსიზმის ტანისამოსი. ეს კანონზომიერიც იყო. ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ „დრომოჭმული და მოძველებული ცდილობს, — წერდა კ. მარქსი, — კვლავ აღსდგეს და კვლავ განმტკიცდეს ახლად წარმოშობილი ფორმის შიგნით"[2].

მარქსიზმის თეორიული გამარჯვება ძირითადად დამთავრდა გასული საუკუნის 90-იანი წლებისათვის. მარქსიზმის საერთო ნიადაგზე მარქსამდელი სოციალიზმი ამ დროიდან ბრძოლას იწყებს აგრეთვე რო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 18. გვ. 705--706.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 293.

გორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა მარქსისტული.კომუნისტური მოძრაობის შიგნით რევიზიონიზმის სახით.

რეფორმიზმი და რევიზიონიზმი შეადგენენ ოპორტუნიზმის ერთ, მემარჯვენე, ფრთას. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება მათი აღრევა. რეფორმიზმი არ გამოდის მარქსიზმის დროშით. მაგალითად ინგლისელი ლეიბორისტები მარქსიზმს ფორმალურადაც არასოდეს არ აღიარებდნენ. ფაბიანელთა საზოგადოების ფუძემდებლის სიდნეი უების განცხადებით ბრიტანული სოციალიზმის მამამთავარია არა კ. მარქსი. არამედ რ. ოუენი, რომელიც ქადაგებდა არა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას, არამედ ზოგადსაკაცობრიო დ ა ძ მ ო ბ ი ლ ე ბ ი ს დოქტრინას. რევიზიონიზმი გამოდის მარქსიზმის გაუმჯობესების მოთხოვნით. ეს გაუმჯობესება ანუ „რევიზია" უნდა მოხდეს, მათი აზრით, მარქსიზმის ძირითადი პრინციპების შეცვლის გზით. რევიზიონიზმი ასრულებს „ტროას ცხენის" როლს კომუნისტური მოძრაობის შიგნით. ამაში მდგომარეობს რეფორმიზმისაგან მისი ფორმალური განსხვავება. ფაქტიურად რეფორმიზმი და რევიზიონიზმი „სიამური ტყუპები" არიან. ისინი ერთი სოციალური წყაროდან იღებენ სათავეს და საბოლოო ჯამში ერთ წისქვილზე ასხამენ წყალს.

რევიზიონიზმი მარქსიზმის „გაუმჯობესების" ალმით რეფორმიზმს წარმოგვიდგენს როგორც მარქსიზმს. ისტორიულ ასპექტში იგი წარმოიშვა რეფორმიზმის ნიადაგზე. ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი თეორეტიკოსი დ. კოული ხაზგასმით მიუთითებს ბერნშტეინის რევიზიონისტული შეხედულებების ჩამოყალიბებაზე ინგლისური სოციალიზმის გავლენის შესახებ. მაგრამ როგორც იდეური მიმდინარეობა რეფორმიზმი ჩამოყალიბდა რევიზიონიზმის ნიადაგზე მე-19 საუკუნის ბოლოს. ამ აზრით ამბობენ, რომ ბერნშტეინელობამ წარმოშვა რეფორმიზმი. მემარჯვენე რევიზიონიზმი არის „წვრილბურჟუაზიული რეფორმიზმი", „მემარცხენე" კი — „წვრილბურჟუაზიული რევიზიონიზმი". ყოველგვარ რეფორმიზმს და რევიზიონიზმს მივყეევართ ოპორტუნიზმამდე. მაგრამ ყველა ოპორტუნისტი არ გამოდის მარქსიზმის რევიზიით. მაგალითად, ვ. ი. ლენინი რუს ლიბერალ ნაროდნიკებს, რომლებიც არასოდეს მარქსისტები არ ყოფილან, ბრალს სდებდა პოლიტიკურ ოპორტუნიზმში, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების უარყოფაში, ცარიზმთან გარიგებაში. რეფორმიზმი და რევიზიონიზმი მუშათა მოძრაობის შიგნით უმთავრესად ერთიანობაში წარ-

მოგვიდგება. რევიზიონიზმი — ეს რეფორმიზმია, მარქსიზმით შენიღ-ბული. მემარჯვენე რევიზიონიზმი იდეური შინაარსით რეფორმიზმს შე-ერთვის, მაგრამ ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში რეფორმის-ტი როდია ამავე დროს რევიზიონისტი. მიუხედავად მრავალგვარობი-სა ყველა ჯურის ოპორტუნიზმს აქვს საერთო ნიშანი—რევოლუციის უარყოფა რეფორმის სასარგებლოდ.

ოპორტუნისტულ მიმდინარეობათა შორის თანაფარდობა ახალ ას-პექტში დგება იმპერიალიზმის ეპოქაში, კერძოდ ოქტომბრის რევოლუ-ციის შემდეგ. ჩვენს დროში ოპორტუნიზმის ნაირსახეობათა დაახ-ლოება თვით შეერთებამდე ეპოქის ნიშანდობლივი მხარე გახდა. უფ-რო გაძლიერდა ოპორტუნიზმის ტენდენციათა ერთგვაროვნობა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის რევიზიონისტული რეფორმიზმი შეუერთდა რეფორმიზმს მუშათა მოძრაობის შიგნით. გაძლიერდა იდეურ-პოლიტიკური კავშირი სოციალ-რეფორმიზმსა და მემარ-ჯვენე რევიზიონიზმს შორის. ამავე ბანაკში ერთიანდება დოგმატიზ-მიც. მაგალითად, რევიზიონისტი ბერნშტეინი და დოგმატიკოსი კ. კაუ-ცკი ერთნაირად აფასებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. მათი მტკიცე-ბით სოციალიზმზე გადასვლა მოხდება ბურჟუაზიული დემოკრატიის სრულყოფის გზით. კლასობრივი ბრძოლის უარყოფის ბერნშტეინის თეზისს შეესაბამებოდა შეიარაღებული აჯანყების უარყოფის კაუცკის იდეა. ბერნშტეინის ლოზუნგს „მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი — არაფერი“ ამართლებდა კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“ თეორია და ასე შემდეგ. დაახლოების ეს ტენდენცია დღემდე გრძელ-დება.

ახალ პერიოდში ოპორტუნიზმის თეორიულ წყაროს შეადგენს არა მარქსამდელი სოციალიზმის წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია, არამედ სოციალ-დემოკრატიზმის იდეოლოგია.

სოციალ-რეფორმიზმი როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა და სოციალისტური იდეოლოგია უკვე საუკუნეზე მეტია, რაც წარმოიშვა. მისი სამშობლოა გერმანია. 1863 წელს აქ მუშათა კავშირებისაგან შეიქმნა პროლეტარიატის დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზა-ცია — „გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირი“. ეს კავშირი მალე რეფორმიზმის კერა გახდა. ამიტომ 1869 წელს აიზენახში მუშათა უფ-რო რადიკალური ნაწილებისაგან შეიქმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ვ. ლიბკნეხტისა და ა. ბებელის მეთაურობით. იწყება

მარქსიზმის ფართოდ გავრცელებისა და მასობრივი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიების შექმნის ახალი ეპოქა. სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ბაზაზე ფართოდ გავრცელდა მარქსიზმი. მაგრამ შემდეგ სოციალ-დემოკრატიაში მოხდა გათიშვა. უპირველეს ყოვლისა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იქცა რეფორმისტულ მუშათა პარტიად. მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიული პარტიები ვერ გარდაიქმნენ რევოლუციური ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. ბრძოლის ლეგალური ფორმების აბსოლუტიზაციამ გამოიწვია მათი გადაქცევა სოციალური რეფორმების პარტიად. ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა დაჰკარგეს უნარი წინააღდგომოდნენ ოპორტუნიზმს. ისინი ცდილობდნენ მშვიდობიანად შეწყობოდნენ ერთ პარტიაში რეფორმისტებს. ამის შედეგად სოციალ-დემოკრატია ოპორტუნიზმის ჭაობში ჩაეფლო მეორე ინტერნაციონალმა კრახი განიცადა, სოციალ-დემოკრატია კი სოციალ-რეფორმიზმად გადაგვარდა.

პირველი იმპერიალისტური ომის, განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რევიზიონიზმი, როგორც მემარჯვენე ოპორტუნიზმი, გახდა სოციალ-დემოკრატიის ოფიციალური იდეოლოგია. კ. კაუცკის რ. ჰილფერდინგის, კ. რენერის, ო. ბაუერის, ე. ვანდერველდეს და სხვ. ნაშრომები შეადგენდა სოციალ-დემოკრატთა იდეურ საგანძურს ამიერიდან რეფორმიზმის ბრძოლამ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ მიიღო ორი პოლიტიკური მიმდინარეობის — კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ანუ სოციალ-რეფორმიზმის ბრძოლის ფორმა. კომუნისტური მოძრაობის შიგნით მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ბრძოლას განაგრძობს რევიზიონიზმი. „მუშათა კლასზე, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ბურჟუაზიული გავლენის ასახვაა სოციალ-დემოკრატიზმი მუშათა მოძრაობაში და რევიზიონიზმი კომუნისტურ მოძრაობაში“[1].

თანამედროვე სოციალ-რეფორმიზმი სოციალისტურ ინტერნაციონალში გაბატონებული მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიაა. სოციალ-რეფორმიზმი და მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიზმი დღეს სინონიმებია. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიამ იდეური ევოლუცია განიცადა მარჯვნივ. „დრეიფი მარჯვნივ“ იმდენად საგრძნობი გახდა,

---

[1] „სკკპ პროგრამა“, გვ. 79.

რომ მან ფაქტიურად უკვე დაჰკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ანტიკომუნიზმის სახესხვაობად იქცა. მემარჯვენე სოციალდემოკრატია „ეკლექტიკურად აერთებს, — ვკითხულობთ სკკპ პროგრამაში, — ძველ ოპორტუნისტულ იდეებს „უახლეს“ ბურჟუაზიულ თეორიებთან“[1].

ანტიკომუნიზმის, ანტისოვეტიზმის და ბურჟუაზიული ნაციონალიზმისაკენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიზმის ევოლუცია არის იმ ტენდენციის განხორციელების შედეგი, რომელიც თავის დროზე შეამჩნიეს და დაასაბუთეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. მემარჯვენე სოციალისტთა ყოველი „ახალი“ დოქტრინა ძველი ტრადიციული ხაზის გაგრძელებაა, „ძველის“ განმეორებაა. ამაში მდგომარეობს ოპორტუნისტული იდეების ერთგვაროვნობის საფუძველი.

ამ დებულების სისწორე ყველაზე ნათლად შეიძლება ვაჩვენოთ თანამედროვე ლეიბორისტული პარტიისა და „ფაბიანელთა საზოგადოების“ (1883—1884 წ. წ.) ურთიერთკავშირის მაგალითზე. ფაბიანელები ქადაგებდნენ კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის იდეას, იცავდნენ სოციალიზმის ლიბერალიზაციის თვალსაზრისს. ფ. ენგელსის სიტყვებით, ეს იყო მშვიდობისმოყვარული ოპორტუნიზმისა და „სოციალისტურ საზოგადოებაში“ ძველი ღორობის მხნეთავდაბალი-მხიარული-თავისუფალი შეზრდის“[2] თვალსაზრისი. ამავე წერილში კ. კაუცკისადმი ფ. ენგელსი მათ „ბურჟუაზიული სოციალიზმის“ ხროვას უწოდებდა. ფაბიანელთა საზოგადოება იყო ლეიბორისტული პარტიის თეორიული შტაბი. 1918 წელს ლეიბორისტული პარტიის პროგრამა ფაქტიურად ფაბიანელთა თეორეტიკოსმა სიდნეი უებმ შეადგინა. 1952 წელს გამოვიდა კოლექტიური შრომა „ახალი ფაბიანური ნარკვევები“ (გ. კროსლენდი, დ. სტრეჩი და სხვ.) ამ წიგნში ხაზგასმით მითითებულია იმ იდეურ მემკვიდრეობაზე, რომელიც აღებულია ფაბიანელთა საზოგადოების 1889 წლის „ნარკვევებიდან“ და ინგლისის თანამედროვე წყობილება გამოცხადებულია როგორც სოციალიზმის შესახებ ფაბიანელთა შეხედულებების განხორციელების შედეგი. მემარჯვენე ლეიბორისტთა უფრო გვიანდელ დოკუმენტებსა და განცხადებებში („მეცნიერება და საზოგადოება“, „პროგრესის შესახებ“

---

[1] „სკკპ პროგრამა“, გვ. 80.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 481.

და სხვ.) სოციალისტური ტერმინოლოგიაც კი არაა ნახმარი. სამაგიეროდ წამოყენებულია ლოზუნგი: ვმართოთ კაპიტალიზმი კაპიტალისტებზე უკეთესად! რუსეთში ამ იდეების გამოხატულებაა სტრუვიზმი, რომელიც, აგრეთვე აიდეალებდა კაპიტალიზმს. ინგლისური ოპორტუნიზმი ფ. ენგელსმა მაშინ განსაზღვრა როგორც „ფაბიანური იმპერიალიზმი". შესაბამისად, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიზმს ვ. ი. ლენინი უწოდებდა „სოციალ-იმპერიალიზმს". ასეთია „ძველისა" და „ახლის" ურთიერთობის დიალექტიკა.

იგივე უნდა ითქვას სხვა სოციალისტური პარტიების შესახებ. მაგალითად, 1958 წლამდე ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია ფორმალურად მაინც აღიარებდა 1926 წლის პროგრამას (იგი შედგენილი იყო ო. ბაუერის მონაწილეობით). ამ პროგრამაში მოცემულია რეფორმიზმთან მარქსიზმის შერიგების ცდა. 1947 წელს მიღებულ პროგრამაშიც არის ლაპარაკი კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, შენარჩუნებულია რეფორმის კულტი. 50-იანი წლების ბოლოდან მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ახალი პროგრამული დოკუმენტების ერთ-ერთმა მთავარმა ავტორმა ბ. კაუცკიმ (კ. კაუცკის შვილმა) სოციალისტური პარტიის პროგრამა, როგორც თვითონ წერდა, გაათავისუფლა მარქსისტული ტერმინოლოგიის „ატავიზმისაგან". ავსტრიულმა სოციალიზმმა მეცნიერულ სოციალიზმთან ფორმალური კავშირიც კი გაწყვიტა. ტრირში გერმანელ მემარჯვენე სოციალისტთა ინიციატივით კ. მარქსის სახლ-მუზეუმზე არსებულ წარწერაში — „აქ დაიბადა კ. მარქსი, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი", წაშალეს სიტყვები „მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი". სწორად უთქვამს როზა ლუქსემბურგს — რეფორმიზმი „ოპორტუნისტული წყალმანკია".

მემარჯვენე სოციალისტებმა იმით დაიწყეს, რომ სოციალურ რევოლუციას უპირისპირებდნენ სოციალურ რეფორმას. სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთას რეფორმებისადმი მიდრეკილება პირველ იმპერიალისტურ ომამდეც ჰქონდა. აქედან წარმოიშვა სახელწოდებაც — სოციალ-რეფორმიზმი. ოქტომბრის რევოლუცია მოასწავებდა მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებას რეფორმიზმზე. ამდენად შემოქმედებით მარქსიზმთან სოციალ-დემოკრატიის კავშირის ოფიციალური გაწყვეტა სწორედ აქედან იწყება. მაგრამ სოციალიზმის დამყარების ფორმალური მოთხოვნა ოქტომბრის შემდეგაც იყო შენარჩუნებული სოციალისტური პარტიების პროგრამულ დოკუმენტებში.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებმა უარი თქვეს რეფორმიზმის ტრადიციულ ლოზუნგებზეც მისი ჩვეულებრივი გაგებით. მათ უღალატეს პროლეტარიატის არა მარტო ზოგად, არამედ კერძო ინტერესებსაც. ლ. ბლიუმი პირველი გამოვიდა კერძო საკუთრების განსაზოგადოების მოთხოვნის უარყოფით. მეორე ფრანგი სოციალისტის —ანდრე ფილიპის განცხადებით, კერძო საკუთრების შეცვლა საზოგადოებრივი საკუთრებით არ არის სოციალიზმის განსაზღვრების აუცილებელი ნიშანი. ფრანგ სოციალისტებს მხარი დაუჭირეს ლეიბორისტებმა. ფაქტიურად ამით წამოყენებულია მონოპოლიათა საკუთრების ხელუხლებლობის მოთხოვნა.

კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას რეფორმისტები ყოველთვის უარყოფდნენ. მაგრამ ადრე ფორმალურად მაინც აღიარებდნენ ბრძოლის ლეგალურ საშუალებათა გამოყენებია შესაძლებლობას. თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-რეფორმისტებმა ფორმალურადაც უარი თქვეს ტრადიციულ სოციალ-დემოკრატიულ მოთხოვნებზე. ასე დაჰკარგეს მემარჯვენე სოციალისტებმა „ტრადიციული" სოციალ-რეფორმიზმის ნიშნები და შესაბამისად არსებითი განსხვავებაც ბურჟუაზიული პარტიებისაგან. ამიტომაა, რომ სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსებმა „დემოკრატიული სოციალიზმის" არსის განსაზღვრებაც კი ვერ შეძლეს. ფრანგმა სოციალისტებმა ჟიულ მოკმა და ანდრე ფილიპმა განაცხადეს, რომ მათ უპირთ განასხვავონ „დემოკრატიული სოციალიზმი" ბურჟუაზიული დემოკრატიისაგან[1]. წარსულში მემარჯვენე სოციალისტები მუშებს არწმუნებდნენ, რომ „მათი უთანხმოება რევოლუციურ მარქსიზმთან, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ეხება არა იმდენად მუშათა მოძრაობის საბოლოო მიზანს, რამდენადაც მისი განხორციელების საშუალებებს. ახლა ისინი აშკარად იღებენ ხელს სოციალიზმზე. წინათ მემარჯვენე სოციალისტები უარს ამბობდნენ იმაზე, რომ კლასობრივი ბრძოლის აღიარება პროლეტარიატის დიქტატურამდე მიეყვანათ. დღეს ისინი უარყოფენ არა მარტო კლასობრივ ბრძოლას, არამედ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ანტაგონისტური კლასების თვით არსებობასაც"[2]. ეს უკვე „რეფორმიზმის რეფორმაა".

---

[1] См. «Научные доклады высшей школы. Философские науки,». вып. 2, 1962. стр. 60.

[2] „სკკპ პროგრამა", გვ. 80.

სოციალ-რეფორმისტებს და რევიზიონისტებს, როგორც იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებს, არა აქვთ ერთიანი მწყობრი განსაზღვრული დოქტრინა. ისინი იცავენ არაპროლეტარული მერყევი ფენების ინტერესებს. გაორების მიზეზი სწორედ ამაში მდგომარეობს. ბურჟუაზიული იდეოლოგია ამ მხრივ უფრო თანამიმდევრულია. იგი ერთი გარკვეული კლასის, ბურჟუაზიის, მიზნებს ემსახურება. რეფორმიზმის სოციალური ბაზა წინააღმდეგობრივია. ეს წინააღმდეგობრიობა იდეოლოგიაშიც იჩენს თავს. ამიტომაა, რომ რეფორმისტებს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ერთ საკითხზე აქვთ სხვადასხვა შეხედულება. ეკლექტიზმი რეფორმისტული იდეოლოგიის ნიშანდობლივი მხარეა.

სოციალისტური ინტერნაციონალის პროგრამული დოკუმენტებიდან სოციალისტური მოთხოვნების ამოღება შემთხვევითი არ არის. მემარჯვენე სოციალისტები უარყოფენ საერთოდ მარქსიზმ-ლენინიზმის როგორც სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ მეცნიერების როლსა და ისტორიულ ადგილს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ისინი აყენებენ ახალ ლოზუნგს: „სოციალიზმი მარქსიზმის გარეშე". ამ ლოზუნგის პროპაგანდისათვის გამოყენებულია მარქსიზმ-ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობის უარყოფისა და „დეიდეოლოგიზაციის" პოსტულატები.

რეფორმისტთა ერთი ნაწილის მტკიცებით მარქსიზმი უკვე „მოძველდა". სოციალისტური ინტერნაციონალის ყოფილი მდივანი იულიუს ბრაუნტალი აშკარად აცხადებს, რომ სოციალისტური ინტერნაციონალის დოქტრინაა ევოლუციური სოციალიზმი (ესე იგი „დემოკრატიული სოციალიზმი", — ი. ქ.) და არა რევოლუციური მარქსიზმი[1]. გერმანელი სოციალისტის კარლ შმიდტის განცხადებით, სოციალიზმი არასოდეს არ ყოფილა მეცნიერულად დასაბუთებული. იგი სოციალისტებს აცხადებს ფ. ლასალისა და ე. ბერნშტეინის მემკვიდრეებად. ბენადიქტე კაუცკის მიხედვით, მარქსიზმი კი არ მოძველებულა, არამედ თავიდანვე არ იყო სწორი მოძღვრება. შვეიცარიელი პოლიტოლოგის ა. კიუნცლის აზრით მარქსიზმი პლურალისტური თეორიაა. არსებობს მარქსიზმის ვულგარულ-მარქსისტული, მარქსისტულ-ლენინური, მარქსისტულ-მაოისტური და რევიზიონისტული სახესხვაო-

---

[1] См. Е. Д. Морджинская, Ленинизм и современная идеологическая борьба, М., 1970. стр. 276.

ბანი[1]. ზოგიერთი ავტორი მარქსიზმს ორ ნაწილად ჰყოფს: „თანამედროვე მარქსიზმი“ და „ტრადიციული მარქსიზმი“. უარყოფილია „თანამედროვე მარქსიზმის“ საჭიროება. სხვები მარქსიზმ-ლენინიზმს უპირისპირებენ პლეხანოვის, მარტოვის, კ. კაუცკის, ბაუერის, ბლანკის „ნეოკომუნისტურ მარქსიზმს“. არის კ. კაუცკის, ბაუერის, ტროცკის „არაკომუნისტურ მარქსიზმზე“ რეკომენდაციის ცდებიც.

მემარჯვენე სოციალისტთა მეორე ნაწილი მარქსიზმს უპირისპირებს ლენინიზმს. ავსტრიელი სოციალისტი ფ. მარეკი ცდილობს ეს იდეა „დაასაბუთოს“ ოქტომბრის რევოლუციისადმი კ. მარქსის მოძღვრების დაპირისპირებით. რევოლუციის მარქსის მოდელი რუსეთს არ გამოადგა. საჭირო გახდა მისი შეცვლა. ასე დაუპირისპირდა მარქსიზმი ოქტომბრის რევოლუციას, — ასკვნის მარეკი. მარქსიზმისაგან ლენინიზმის გათიშვის მიზნით ბურჟუაზიის იდეოლოგები (კ. ჰანტი. ა. პეტერი, ს. ჰუკი, უ. როსტოუ, ა. მაიერი, ი. ბოხენსკი და სხვ.) მარქსს აცხადებენ თეორეტიკოსად, დემოკრატად, მარქსიზმს—მეცნიერებად, ლენინს კი —პრაქტიკოს-ვოლუნტარისტად, დიქტატორად, ხოლო ლენინიზმს—იდეოლოგიად. ამერიკელ სოციოლოგ ა. სებაინის მტკიცებით, ლენინიზმი მარქსიზმის ადეპტაციაა არა ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას გლეხობა შეადგენს. ამით მას უნდა დაამტკიცოს, რომ სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობა უკვე მოხსნილია განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. ანტიკომუნისტთა შეხედულებებს იზიარებენ მემარჯვენე სოციალისტები. გერმანელი სოციალისტი პ. ლებე ლენინს ბისმარკსაც კი ადარებს. მემარჯვენე სოციალისტთა აზრით, მოხდა მარქსიზმ-ლენინიზმის „დეინტერნაციონალიზაცია“. ლენინიზმი „ჩამორჩენილობის დიალექტიკის“ გამართლებაა. შესაბამისად განასხვავებენ ცნებებს — „დასავლეთის მარქსიზმი“ (მარქსიზმის „ევროპული ვარიანტი“) და „აღმოსავლეთის მარქსიზმი“, ლენინიზმი.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინტერნაციონალური ხასიათის უარყოფის და მარქსისა და ლენინის დაპირისპირების კურსს მემარჯვენე სოციალისტები ლოგიკურად მიჰყავს ყოველგვარი იდეოლოგიის უარყოფამდე. ისინი იცავენ „მსოფლმხედველობითი ნეიტრალიტეტის“, „იდეოლოგიური თავისუფლების“, „დეიდეოლოგიზაციის“ თვალსაზრისს.

---

[1] См. С. И. Попов, Социал-реформизм: теория и политика, М., 1971, стр. 33.

„დეიდეოლოგიზაციის“ თვალსაზრისი ახალი არ არის. იდეოლოგიის საჭიროება უარყო პირველად ე. ბერნშტეინმა, რომელიც ამტკიცებდა, პარტია არ უნდა ემსახურებოდეს ერთიან მსოფლმხედველობით ფუნდამენტსო. ეს იდეა „მსოფლმხედველობითი ნეიტრალიტეტის“ მოძღვრებად ჩამოაყალიბეს ემილ ვანდერველდემ, ლეონ ბლიუმმა და კურტ შუმახერმა. უფრო გვიან დეიდეოლოგიზაციის მოთხოვნით გამოვიდა გი მოლე. სოციალისტური პარტია კარს უღებს ყოველგვარი მსოფლმხედველობის ადამიანებს, — აცხადებდა იგი. ამიტომ მას ერთიანი მსოფლმხედველობის აღიარების მოთხოვნა დემოკრატიის საწინააღმდეგო ღონისძიებად მიაჩნდა. ინგლისელი ლეიბორისტების დ. სტრეჩის, გ. კროსლენდის და რ. კროსმენის მტკიცებით სოციალიზმი, რომელიც „ზოგად საკაცობრიო მიზანია“, არ შეიძლება დავიცვათ ერთი გარკვეული იდეოლოგიის პოზიციებიდან. გერმანელ სოციალისტთა განცხადებით სოციალ-დემოკრატიული პარტია სახალხო პარტიაა და ამიტომ იგი ერთი მსოფლმხედველობითი პრინციპით არ უნდა ხელმძღვანელობდეს. როჟე გაროდის აზრით, არაა საჭირო ერთიანი პოლიტიკური, პარტიული მსოფლმხედველობა. გერმანიის, იტალიის და ავსტრიის სოციალისტური პარტიების პროგრამულ დოკუმენტებში ნათქვამია, რომ სოციალიზმი არ ემყარება განსაზღვრულ ფილოსოფიურ და რელიგიურ დოქტრინას. „მსოფლმხედველობითი ნეიტრალიტეტის“ მოთხოვნა ოფიციალურად ფიქსირებულია სოციალისტური ინტერნაციონალის 1951 წლის დეკლარაციაში. „დემოკრატიული სოციალიზმი“, ნათქვამია ამ დოკუმენტში, როგორც საერთაშორისო მოძღვრება არ საჭიროებს ერთიან იდეოლოგიას.

მემარჯვენე სოციალისტთა ერთი ნაწილი ცდილობს „დეიდეოლოგიზაციის“ თვალსაზრისი „დაასაბუთოს“ თანამედროვე ეპოქის ხასიათის შეცვლით. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, ამტკიცებენ ისინი, იდეოლოგიამ დრო მოჭამა. დადგა „ანტიიდეოლოგიის“ ეპოქა. „დეიდეოლოგიზაცია“ მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ქვეყნების სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობის შერიგების გამოხატულება. ხდება ამ სისტემების „კონვერგენცია“, რასაც ხელს უშლის, მათი აზრით, იდეოლოგიაში კლასობრივი, პარტიული პრინციპის დაცვა. ამიტომ მოითხოვენ უარი ვთქვათ იდეოლოგიაზე საერთოდ.

მემარჯვენე სოციალისტებს არა აქვთ ერთიანი მსოფლმხედველო-

ბა არც „დეიდეოლოგიზაციის“ საკითხზე. ზოგიერთი რეფორმისტი იცავს „იდეოლოგიური პლურალიზმის“ თვალსაზრისს. სხვები, მარქსისა და ლენინის დაპირისპირების თეზისის შესაბამისად აყენებენ ლოზუნგს — „უკან, მარქსისაკენ“. ავსტრიელი პაულ ბლაუ მოითხოვს „ერთიანი მსოფლიო იდეოლოგიის“ შექმნას. ესაა ბურჟუაზიული და პროლეტარული იდეოლოგიის სინთეზის იდეა. უკანასკნელ პერიოდში ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს „ცუკუნფტის“ ფურცლებზე დისკუსიაც კი გამართეს „დეიდეოლოგიზაციის“ საკითხებზე. დისკუსიის ზოგიერთი მონაწილე სოციალისტებს მეტისმეტ „პრაქტიციზმშიც“ კი სდებდა ბრალს. ეს ფაქტი რეფორმისტების თვალსაზრისის არათანმიმდევრობაზე მიუთითებს მხოლოდ. „დეიდეოლოგიზაციის“ კურსი არავის შეუცვლია. იდეოლოგია გაქრა, უტოპია დარჩა — აი სანამდე მიდის რეფორმისტთა ლოგიკა.

იდეოლოგიის მნიშვნელობის უარყოფას რეფორმისტები ბუნებრივად მიჰყავს რელიგიის, რწმენის აღიარებამდე. მემარჯვენე სოციალისტებმა კავშირი გაწყვიტეს მუშათა მოძრაობის ათეისტურ ტრადიციებთან. ისინი დაადგნენ რელიგიური ობსკურანტიზმის, რეაქციული კლერიკალიზმის დაცვის გზას.

მემარჯვენე სოციალისტები ამჯერადაც აგრძელებენ „ძველ“ კურსს. მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსები უშვებდნენ თავის დროზე სოციალიზმისა და რელიგიის შერიგების შესაძლებლობას. ბელგიელი სოციალისტი ე. ვანდერველდე მხარს უჭერდა „ქრისტიანულ სოციალიზმს“. შეიძლება ერთდროულად იყო ქრისტიანიც და სოციალისტიც, ქრისტიანი ზეცისათვის, სოციალისტი მიწისათვის — აცხადებდა იგი. ლ. ბლიუმის მიხედვით სოციალიზმი არის მორალი და თითქმის რელიგია. ო. ბაუერის მტკიცებით მარქსიზმი მტრულადაა განწყობილი არა საერთოდ რელიგიის, არამედ მხოლოდ საეკლესიო პოლიტიკის მიმართ. სოციალიზმის რელიგიასთან დაკავშირების მოთხოვნას ასევე იცავენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები.

მართლაც, თუ სოციალიზმი არაა ბრძოლის მიზანი, არ შეიძლება მისი მეცნიერული დასაბუთება, თუ მსოფლმხედველობა სუბიექტური ხასიათისაა, ბუნებრივია, წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ რწმენის, მორალური ღირებულების პრინციპები, ეთიკური პრობლემატიკა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში (1959 წ.) ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტია არის პარტია „სულის თავისუფ-

ლების“. ფრანგი ა. ფილიპის განცხადებით, სოციალიზმი ეთიკური იდეალია. იგივეს იმეორებს ჟ. მოკი. მისი აზრით, სოციალიზმი თითქმის რელიგიაა, უფრო ეთიკური იდეალი, ვიდრე ეკონომიური დოქტრინა. ნენინგის მიხედვით, სოციალიზმი და ქრისტიანობა სინონიმებია, ხოლო შულცის მტკიცებით, ბიბლია უფრო საჭიროა სოციალ-დემოკრატებისათვის, ვიდრე მარქსისა და ლენინის ნაწარმოებები. ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტი „მსოფლიო რელიგიის“ შექმნის მოლოდინსაც კი აყენებს. ქრისტიანობამ იხსნა კაცობრიობა სოციალური დიფერენციაციისაგან. მსოფლიოს გამთელება, მათი აზრით, შესაძლებელია ერთიანი რელიგიური რწმენის საფუძველზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც პროლეტარული იდეოლოგიის როლის უარყოფით მემარჯვენე სოციალისტები ფაქტიურად ხელს უწყობენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას და კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებას. მარქსიზმისათვის უცხოა. როგორც სუბიექტივისტური ავანტიურიზმი, ისე ბრმა სტიქიურობა. მეცნიერული, სოციალისტური მსოფლმხედველობის გარეშე მუშათა მოძრაობა სტიქიურობის ჩარჩოებში რჩება და კარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. „პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც სტიქიურად ვითარდება კაპიტალისტური ურთიერთობათა ნიადაგზე, სოციალიზმი იდეოლოგებს შ ე ა ქ ვ თ“[1]. და შემდეგ. „სოციალ-დემოკრატია მთელ თავის მსოფლმხედველობას აშენებს მეცნიერულ სოციალიზმზე, ე. ი. მარქსიზმზე“[2]. ერთიანი იდეოლოგიის, მსოფლმხედველობის გარეშე არ არსებობს არც მოქმედების ერთიანობა, ნების ერთობა.

ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა. სოციალიზმი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის და მისი უმაღლესი გამოხატულების, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგია. რევოლუცია ისტორიის ლოკომოტივია. კ. მარქსის ეს დებულება მთელი სისრულით შეეხება პროლეტარულ რევოლუციას. მუშათა რევოლუციის გამარჯვება გულისხმობს არა მარტო ეკონომიურ და პოლიტიკურ, არამედ საკაცობრიო ეთიკური პრინციპების განხორციელებასაც. მაგრამ ადამიანთა ნამდვილი ეთიკური ნორმების ხორცშესხმა შესაძლებელია არა ეგრეთ წოდებული „ეთიკური სოციალიზმის“, არა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 195.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 492.

მედ მხოლოდ მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების განხორციელების საფუძველზე. უპარტიობა ბურჟუაზიული იდეაა, პარტიულობა — სოციალისტური. ვინც სოციალისტური იდეოლოგიის აუცილებლობას უარყოფს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაბატონებას უწყობს ხელს. „საკითხი მ ხ ო ლ ო დ ა ს ე დგას: ბურჟუაზიული თუ სოციალისტური იდეოლოგია. შუათანა რამ აქ არ არის... ამიტომ სოციალისტური იდეოლოგიის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დამცირება, — წერდა ვ. .ი ლენინი, — მისგან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ჩ ა მ ო შ ო რ ე ბ ა ნიშნავს იმავე დროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“[1].

ანტიკომუნიზმმა სოციალ-რეფორმიზმი იდეურ-პოლიტიკურ ჩიხში მოაქცია. „მსოფლმხედველობითი ნეიტრალიტეტის“ დროშით ისინი ფაქტიურად ქადაგებენ ბურჟუაზიულ იდეებს. ნეოკანტიანელობა, ნეოპოზიტივიზმი, ეკზისტენციალიზმი და ნეოტომიზმი — აი რა თეორიულ არსენალს ემყარებიან თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები. ისინი საქმით იცავენ „ახალი კაპიტალიზმის“, „ბუნებრივი იმპერიალიზმის“ დოქტრინას. მიმდინარეობს .ორმხრივი პროცესი: სოციალდემოკრატიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა თანდათანობით უახლოვდება ანტიკომუნიზმს. მეორე მხრივ, ბურჟუაზიაც იცავს რეფორმისტულ იდეებს. ანტიკომუნისტები მემარჯვენე სოციალისტებს თავიანთ ბუნებრივ მოკავშირეებად აცხადებენ. ზ. ბეზინსკის მიხედვით ბურჟუაზიულ იდეოლოგიამ სოციალ-დემოკრატიული იდეები უნდა გამოიყენოს სოციალიზმის შიგნიდან გამოფიტვის საშუალებად. სოციალ-დემოკრატიის მეტისმეტი გამემარჯვენება, მიუთითებდა ლენინი, საშიშია თვით ბურჟუაზიისათვის. ეს საშიშროება შეგნებული აქვთ ბურჟუაზიულ იდეოლოგებსა და სოციალ-დემოკრატიის ზედაფენებს. ამიტომ ისინი ერთიანად მეურვეობენ „ახალი კაპიტალიზმის“, „დემოკრატიული სოციალიზმის“ დოქტრინას. მემარჯვენე ოპორტუნიზმისა და ბურჟუაზიის სოციალური დაახლოების ტენდენციის არსი ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ჯერ კიდევ 1913 წელს ნაშრომში „მარქსიზმი და რეფორმიზმი“. „რეფორმიზმი სინამდვილეში, — წერდა ე. .ი. ლენინი, — ნიშნავს მარქსიზმის უარყოფას და მის შეცვლას ბურჟუაზიული „სოციალური პოლიტიკით“[2].

ცხადია, სოციალ-რეფორმიზმის ანტიკომუნიზმთან სრული გაიგი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ. 5. გვ. 480—481.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 443.

ვება შეცდომაა. რეფორმიზის შიგნით მემარცხენე ფრთა გამოდის ხშირად მემარჯვენეთა წინააღმდეგ. ამას უკავშირდება სწორედ კომუნისტური პარტიის სოციალ-დემოკრატიასთან თანამშრომლობის, ერთიანი ფრონტის შექმნის საკითხი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

*

მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში ოპორტუნისტული შეხედულებების გავრცელება არ არის შემთხვევითი მოვლენა. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ოპორტუნიზმის, კერძოდ, რეფორმიზმისა და რევიზიონიზმის წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური, კლასობრივ-პოლიტიკური და გნოსეოლოგიური საფუძვლები.

მუშათა და კომუნისტური მოძრაობა არ შეიძლება განვითარდეს „სუფთა" სახით ან უთუოდ აღმავალი ხაზით. დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლა განვითარების აუცილებელი კანონია. კლასობრივ-პოლიტიკური ბრძოლის გზაზე წარუმატებლობა ხშირად ახალი გამარჯვების პირობა ხდება. „პროლეტარიატის მოძრაობა, — წერდა ფ. ენგელსი, — აუცილებლად განვითარების სხვადასხვა საფეხურს გადის; თვითოეულ საფეხურზე ადამიანთა ერთი ნაწილი შეჩერდება ხოლმე და წინ აღარ მიდის. მხოლოდ ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის, რომ „პროლეტარიატის სოლიდარობა" სინამდვილეში ყველგან ხორციელდება სხვადასხვა პარტიული დაჯგუფებების სახით, რომლებიც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან, როგორც ქრისტიანული სექტები რომის იმპერიაში საშინელი დევნის პერიოდში"[1].

სოციალ-ოპორტუნიზმი მუშათა მოძრაობის განვითარების „მშვიდობიანი" ეპოქის პროდუქტია. ამ ეპოქამ, მიუთითებდა ლენინი, მუშათა კლასს ასწავლა ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვან საშუალებათა — პარლამენტალიზმის, მასობრივი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციების, მუშური პრესის და სხვ. გამოყენება. მაგრამ ამავე ეპოქამ წარმოშვა კლასობრივი ბრძოლის უარყოფის და სოციალური ზავის ქადაგების, პროლეტარული რევოლუციის, არალეგალური ორგანიზაციების მნიშვნელობის უარყოფის, ბურჟუაზიული პატრიოტიზმის აღდგენის და სხვ. ოპორტუნისტული ტენდენციები. მემარჯვენე ოპორტუნიზმი, როგორც წესი, იზრდება რევოლუციის წაზღვავების,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 313.

„მშვიდობიანი“ განვითარების პერიოდში, როდესაც ბურჟუაზიული დემოკრატიის მექანიზმი შედარებით ნორმალურად ფუნქციონერებს. მაგალითად, კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიური კონიუნქტურა დღესაც ქმნის თანასწორობის დამკვიდრების ილუზიას. „მემარცხენე“ ოპორტუნიზმი, პირიქით, უმთავრესად რევოლუციური მოძრაობის **აღმავლობის** პერიოდში წარმოიშობა. ამ დებულების სისწორე დასტურდება მუშათა მოძრაობის როგორც ადრინდელი, ისე თანამედროვე გამოცდილებით.

ბურჟუაზიამ თავიდანვე კოოპერაციულ და პროფკავშირულ მოძრაობაში ოპორტუნისტული შეხედულებების გავრცელება შედარებით ადვილად შესძლო სწორედ რევოლუციური მოძრაობის დაღმავლობის პერიოდში — ინგლისში ჩარტიზმის, გერმანიაში 1848 წლის რევოლუციის და რუსეთში 1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ. ისტორიის დიალექტიკა ისეთია, რომ ხშირად წარმატებები მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გზაზე ახალი სიძნელეების და ოპორტუნისტული ტენდენციების წარმოშობის წყარო და საბაბი ხდება. მაგალითად, თანამედროვე მემარჯვენე ოპორტუნიზმის ერთ-ერთი წყარო, „კლასიკურ“ საფუძვლებთან ერთად გახდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების თეზისის არასწორი ინტერპრეტაცია. საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმისა და დემოკრატიის სასარგებლოდ ძალთა შეცვლის დღევანდელ პირობებში ზოგიერთი ავტორის მტკიცებით ხალხთა მასობრივი ბრძოლა უკვე ზედმეტია. ყველაფერი წყდება არჩევნების გზით. გამოდის, თითქოს მასები მხოლოდ ამომრჩევლები არიან. „პარლამენტური დემოკრატია“, სწორად მიუთითებს ლუქსემბურგის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დ. ურბანი, მუშათა მოძრაობაში ოპორტუნიზმის, რეფორმიზის გაძლიერების წყარო შეიქმნა[1]. იგივე შეიძლება ითქვას სოციალიზმის მსოფლიო სისტემის როლის არასწორი გაგების თაობაზე. ზოგიერთი პარტია იცავდა თვალსაზრისს, თითქოს ახლა მსოფლიო რევოლუციის ყველა პრობლემა შეიძლება გადაწყდეს **მხოლოდ** სოციალისტური ქვეყნების ძალებით. ეს მავნე თვალსაზრისია, რომელიც ქადაგებს პასიურობის, ლოდინის ტაქტიკას.

რეფორმიზმი არ წარმოშობილა ცალკეულ პიროვნებათა თუ ჯგუ-

---

[1] См. „Проблемы мира и социализма,“ 1969, № 12, стр. 7.

ფთა შეცდომების შედეგად, არც ეროვნულ თავისებურებათა და ტრადიციების გავლენით. ნამდვილი მიზეზები უნდა ვეძიოთ ყველა კაპიტალისტური ქვეყნის ეკონომიურ წყობასა და განვითარების ხასიათში.

მუშათა მოძრაობა საერთო-საბალხო ხასიათისაა. კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მასშტაბების გაფართოების კვალობაზე იგი იზიდავს „მოლაშქრეთა“ ახალ-ახალ რაზმებს. გარდა ამისა, მუშათა კლასი არაერთგვაროვანია თავისი შემადგენლობით. ყველაზე რევოლუციურია მუშათა კვალიფიციური ნაწილი. ამიტომაა, რომ, როგორც წესი, უფრო სრულად და მტკიცედ მარქსიზმ-ლენინიზმს ითვისებენ მსხვილი მრეწველობის რაიონებში. პირიქით, ჩამორჩენილ ან დაგვიანებული ეკონომიური ურთიერთობანი მუდამ წარმოშობენ მუშათა მოძრაობის ისეთ მომხრეებს, რომლებიც ითვისებენ მარქსიზმის რომელიმე მხარეს, მხოლოდ ცალკეულ ლოზუნგებს და მოთხოვნებს. მათ არ შეუძლიათ გადაჭრით გაწყვიტონ კავშირი ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ მსოფლმხედველობასთან. „ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, — წერს ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატი გარდუვალად დაკავშირებულია ათასნაირი გარდამავალი საფეხურით თავის მეზობელთან მარჯვნივ: წვრილ ბურჟუაზიასთან. ყველა მუშათა პარტიაში აუცილებლად იქმნება ასე თუ ისე მკვეთრად გამოსახული მემარჯვენე ფრთა, რომელიც თავისი შეხედულებებით, თავისი ტაქტიკით, თავისი ორგანიზაციული „ხაზით“, წვრილბურჟუაზიული ოპორტუნიზმის ტენდენციებს გამოხატავს“[1]. წვრილი ბურჟუაზია ორადი ბუნებისაა, მერყეევი და მშიშარა. მას შეაქვს მუშათა კლასში ბურჟუაზიული ცრურწმენები. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მარქსიზმი არ იყო მუშათა მოძრაობის გაბატონებული ტენდენცია, რეფორმისტები იცავდნენ ხელოსნის, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს. ეს ხაზი დღემდე გრძელდება.

პროლეტარიატი არაა იზოლირებული სხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფებისაგან. წვრილი მეპატრონეების, წვრილი ბურჟუაზიის ფართო ფენები ყოველთვის დგანან მის გვერდით. კაპიტალიზმი წარმოიშვა წვრილი წარმოებიდან. ახლა „საშუალო ფენებს“ კიდევ უფრო მეტი რაოდენობით ქმნის თვით კაპიტალიზმი. მეცნიერულ-ტექ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 13, გვ. 130.

ნიკური რევოლუციის შედეგად ხდება კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის დიფერენციაცია. იზრდება ინტელიგენციის და საერთოდ საშუალო ფენების რიცხვი. ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილი ვერ თავისუფლდება წვრილ-ბურჟუაზიული ცრურწმენებისაგან. ასე ფართოვდება ჩვენს დროშიც წვრილბურჟუაზიული შეგნების სოციალური ბაზა. ცხადია, ისტორიის ყოველი შემობრუნება სახეს უცვლის წვრილბურჟუაზიულ შეხედულებას, მაგრამ ეს მეორეობა ერთგვარად აუცილებელია „თვით პროლეტარული რევოლუციის პერიპეტიებამდე, ვინაიდან დიდი შეცდომა იქნებოდა, — წერდა ვ. ი. ლენინი. — გვეფიქრა, რომ ასეთი რევოლუციის განხორციელების შესაძლებლობისათვის საჭიროა მოსახლეობის უმრავლესობის „სრული" პროლეტარიზაცია"[1]. ამრიგად, მუშათა მოძრაობაში რეფორმისტული და რევიზიონისტული ტენდენციების წარმოშობის პირველი ობიექტური წყაროა წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენა.

ბურჟუაზია „მუშათა არისტოკრატიისა" და „მუშათა ბიოროკრატიის" სახით ქმნის სოციალურ დასაყრდენს მუშათა მოძრაობის შიგნით. მუშათა ნაწილის გადაყვანას თავის მხარეზე ბურჟუაზია ახერხებს ზემოგების საშუალებით. ზემოგება ოპორტუნიზმის ეკონომიური საფუძველია. მაქსიმალური მოგების მიღება იმპერიალიზმის ნიშანდობლივი მხარეა. ამიტომ, ბუნებრივია, განვითარებული იმპერიალიზმის პირობებში იქმნება „მუშათა არისტოკრატიის" რიცხობრივი ზრდის სრული შესაძლებლობა. როგორც ცნობილია, რეფორმიზმის ნიშნები ყველაზე ადრე გამოვლინდა ინგლისში სწორედ იმის გამო, რომ მას, როგორც პირველ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას, ყველაზე ადრე აღმოაჩნდა იმპერიალიზმის ორი თვისება — კოლონიებზე ბატონობა და მონოპოლიური მოგება „...ინგლისის პროლეტარიატი, — წერდა ფ. ენგელსი, — ფაქტიურად სულ უფრო ბურჟუაზიული ხდება, ასე რომ ამ ყველა ერთაგან ყველაზე უფრო ბურჟუაზიულ ერს სურს საქმე ბოლოს და ბოლოს იქამდე მიიყვანოს, რომ, ბურჟუაზიის გ ვ ე რ დ ი თ, ბურჟუაზიული არისტოკრატია და ბურჟუაზიული პროლეტარიატი ჰყავდეს"[2]. ინგლისის მაგალითი უპირველეს ყოვლისა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 15, გვ. 32.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 107.

იმაზე მიუთითებს, რომ იმპერიალიზმის კავშირი ოპორტუნიზმთან ობიექტური კანონზომიერებაა.

მუშათა მოსყიდული ზედაფენები მეშჩანური არიან ცხოვრების პირობებით, ხელფასის ოდენობით, მსოფლმხედველობით. ყოველ პრინციპულ ბრძოლაში პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის ისინი აუცილებლად გადადიან „ბურჟუაზიის მხარეზე, „ვერსალელების“ მხარეზე „კომუნარების“ წინააღმდეგ“[1]. ეს ფენები სასყიდელს იღებენ ბურჟუაზიისაგან იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობის შიგნიდან სამსახური გაუწიონ მას. „მუშათა არისტოკრატია“, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მუშათა მოძრაობაში ბურჟუაზიის ნამდვილი აგენტები, კაპიტალისტთა კლასის მუშა-ნოქრები არიან. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ყოველთვის ზიზღით იხსენიებდნენ მუშების ამ მოსყიდულ ნაწილს. „...გერმანიაში ჩვენს პარტიაში, — წერდა კ. მარქსი, — არა იმდენად მასებში, რამდენადაც მეთაურთა შორის (მაღალი კლასებიდან გამოსულთა და „მუშათა“ შორის), დამპლის სუნი დგას“[2].

„მუშათა არისტოკრატია“ იქმნება უმთავრესად კვალიფიციურ მუშათა ხარჯზე. კაპიტალიზმი მუშათა გადმობირების მიზნით გარკვეულ დათმობებზე მიდის. ბურჟუაზია თანახმაა, მაგალითად, მთელ საწარმოს მისცეს ფულადი პრემია, თუ იგი მოსაზღვრე უბანზე გაფიცვის ორგანიზაციას ხელს შეუშლის. ბურჟუაზია ხელს უწყობს დიდ ცენტრებში კულტურის ამაღლებას, ზოგან აარსებს საგანმანათლებლო დაწესებულებებს და სხვ. „რეფორმისტები ცდილობენ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ნასუფრალით დაქსაქსონ და მოატყუონ მუშები, ჩამოაშორონ ისინი კლასობრივ ბრძოლას“[3].

ცხადია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე პირობებში, როდესაც მუშათა კლასის სოციალური სტრუქტურა საგრძნობლად იცვლება, მიმდინარეობს მოსახლეობის პროლეტარიზაცია, „მუშათა არისტოკრატიის“ რაოდენობა თანდათანობით მცირდება. მაგრამ ეს მხოლოდ განვითარების ზოგადი კანონზომიერებაა. „მუშათა არისტოკრატიის“ რიცხვი ჯერ კიდევ საგრძნობია მთელ რიგ ქვეყნებში. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგი შეადგენს მუშათა საერთო რაოდენობის 5—10 პროცენტს. ბურჟუაზიული იდე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 239.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 341.
[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 19, გვ. 440.

ოლოგები და მემარჯვენე ოპორტუნისტები ცდილობენ გააიგივეონ „მუშათა არისტოკრატიისა“ და კვალიფიციურ მუშათა კლასის ცნებები. ეს ოპორტუნისტთა და ბურჟუაზიის აპოლოგეტთა მორიგი ცრურწმენაა. პირიქით, საფრანგეთის და იტალიის კომუნისტური პარტიის ძირითად ბირთვს შეადგენს სწორედ კვალიფიციური მუშები. ამჟამად „მუშათა არისტოკრატიის“ შექმნის ყველაზე ხელსაყრელი პირობებია სამხედრო მნიშვნელობის ან ფუფუნების საგნების დამამზადებელ საწარმოებში, რომლებიც მილიონერთა ოჯახებს ემსახურება. დღეს „მუშათა არისტოკრატია“ მთელ კაპიტალისტურ სისტემასთანაა შერწყმული. იგი რეფორმიზმის პირველი სოციალური წყაროა მუშათა მოძრაობაში.

რეფორმიზმის მეორე სოციალური წყაროა „მუშათა ბიუროკრატია“. კაპიტალისტები ნასუფრალით აბერებენ აგრეთვე „მუშათა ბელადებისა და მუშათა არისტოკრატიის“ ზედაფენის“ მოსყიდვას. ბურჟუაზიამ ადრევე შესძლო შეექმნა სოციალური დასაყრდენი მუშათა მოძრაობაში პროფკავშირების, კოოპერაციული საზოგადოებების, სოციალისტური პარტიების ლიდერთა მოსყიდვის გზით. შემდეგში, როგორც ცნობილია, ეს „ბელადები“ ბურჟუაზიულ მთავრობებში იწყებენ თანამშრომლობას.

იმპერიალიზმის ეპოქაში იქმნება მუშათა ზედაფენების გადაგვარების კიდევ უფრო ხელსაყრელი პირობები. „მომწიფდა პარლამენტარების, ჟურნალისტების, მუშათა მოძრაობის მოხელეების, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პრივილეგირებული მოსამსახურეებისა და პროლეტარიატის ზოგიერთი ჯგუფის მთელი საზოგადოებრივი ფენა, რომელიც შ ე ე ზ ა რ დ ა თავის ნაციონალურ ბურჟუაზიას და რომლის დაფასებაც და „შეგუებაც“ სავსებით შესძლო ამ ბურჟუაზიამ“[1]. ბურჟუაზია მზადაა მოსყიდული „ბელადებისათვის“ გამოძებნოს „თბილი ადგილები“ პარლამენტში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და სხვაგან. იქ, სადაც სოციალისტები ხელმძღვანელობენ მთავრობას ან შედიან მის შემადგენლობაში მუშათა გამცემ ბელადებს მაღალი თანამდებობებიც უპირავთ. მუშათა მოძრაობის წარმატებების კვალობაზე „მუშათა არისტოკრატია“ თანდათანობით მცირდება. „მუშათა ბიუროკრატიის“ შესახებ იგივეს ვერ ვიტყვით. მოსყიდული ზე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 296.

დაფენა როგორც წესი, სულ უფრო უახლოვდება ბურჟუაზიას და მისი ერთგული მოკავშირე ხდება. ავსტრიაში სოციალისტური პარტია სახელმწიფო ძალაუფლებას უყოფს მსხვილბურჟუაზიულ პარტიას. მემარჯვენე სოციალისტი ლიდერები თანამშრომლობენ ბურჟუაზიულ ლიდერებთან ერთად არა მარტო პარლამენტში და სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, არამედ უმაღლეს ორგანოებშიც უშუალოდ მონოპოლისტურ კაპიტალისტებთან ერთად. მაგალითად, ბ. კაუცკი იყო ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე. გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დეპუტატთა 70 პროცენტი წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული წრიდან გამოსული პირია[1]. მემარჯვენე სოციალისტთა ზედაფენის პოლიტიკა მათი ეკონომიური მდგომარეობის კონცენტრირებული გამოხატულებაა. ფაქტიურად ისინი ასრულებენ ბურჟუაზიის აპოლოგეტთა როლს.

რეფორმისტული და რევიზიონისტული ილუზიების გავრცელებას და შენარჩუნებას ხელს უწყობს მმართველი კლასის, ბურჟუაზიის ტაქტიკის დინამიზმი, „ბურჟუაზიის ტაქტიკა რომ ყოველთვის ერთფეროვანი ან თუნდ ყოველთვის ერთგვაროვანი იყოს, — მუშათა კლასი მალე ისწავლიდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მასზე პასუხის გაცემას ასევე ერთფეროვანი ან ერთგვაროვანი ტაქტიკით. სინამდვილეში ბურუჟუაზია ყველა ქვეყანაში გარდუვალად იმუშავებს მართვა-გამგეობის ორ სისტემას, ბრძოლის ორ მეთოდს თავისი ინტერესებისა და თავისი ბატონობის დასაცავად, მასთან ეს ორი მეთოდი ხან ერთი-მეორეს სცვლის, ხანაც მრავალნაირად გადაეხლართება ხოლმე ერთმანეთს. ეს არის, ჯერ-ერთი, ძალადობის მეთოდი, მუშათა მოძრაობის მიმართ ყოველგვარ დათმობაზე უარისთქმის მეთოდი, ყველა ძველი და დრომოჭმული დაწესებულების მხარდაჭერის მეთოდი, რეფორმების შეურიგებელი უარყოფის მეთოდი... მეორე მეთოდია „ლიბერალიზმის“ მეთოდი, მეთოდი ნაბიჯების გადადგმისა პოლიტიკურ უფლებათა განვითარების მიმართულებით, რეფორმების, დათმობათა მიმართულებით და სხვ.“[2]. ბურჟუაზია მიმართავს „თაფლკვერისა და მათრახის“ ტაქტიკას. როცა ბურჟუაზია იყენებს იძულებით მეთოდს,

---

[1] См. „Мировая экономика и международные отношения“, 1969, № 8, стр. 55—56.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 16, გვ. 437.

ეს იწვევს გარკვეულ რეაქციას — „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის გაძლიერებას, ბუნტს, ავანტიურიზმს; როცა იგი „ლიბერალურ“ პოლიტიკას ატარებს, წარმოიშობა მეორე რეაქცია — მემარჯვენე ოპორტუნიზმი, ცენტრიზმი.

ერთიდან მეორე მეთოდზე გადასვლა არ ხდება შემთხვევით. ბურჟუაზია იძულებულია შეცვალოს ტაქტიკა საკუთარი მდგომარეობის ძირეული წინააღმდეგობრიობის გამო. ნორმალური კაპიტალისტური საზოგადოება ვერ განვითარდება გარკვეული წარმომადგენლობითი წყობილების გარეშე, მოსახლეობის განსაზღვრული პოლიტიკური უფლების, კულტურულობის ერთგვარი მინიმუმის გარეშე. კაპიტალისტი იძულებულია მისცეს მუშებს ცხოვრების მინიმალური პირობები. უამისოდ ის ვერ მიიღებს მოგებას. ამიტომ მერყეობა ტაქტიკაში, „ძალმომრეობის სისტემიდან ვითომდა დათმობათა სისტემაზე გადასვლა“[1] აუცილებელია კაპიტალისტური საზოგადოების „ნორმალური“ ფუნქციონირებისათვის.

სოციალიზმის მსოფლიო განვითარების თვალსაზრისით ბურჟუაზიის ტაქტიკაში მომხდარი ეს ძვრა წინგადადგმული ნაბიჯია. როცა სოციალიზმი არსებობისათვის იბრძოდა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, ბურჟუაზია მას აშკარად, პირდაპირ, პრინციპულად ებრძოდა. მალე სოციალიზმმა მოიპოვა ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობის უფლება, შემდეგ კი დაიწყო ძალაუფლებისათვის ბრძოლა. ახლა ბურჟუაზია ორჭოფ დათმობათა საშუალებით ცდილობს დროებით იხსნას თავი. ეს პროლეტარიატის დიდი გამარჯვებაა. „არა ლიბერალიზმი სოციალიზმის წინააღმდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არამედ რეფორმიზმი სოციალისტური რევოლუციის წინააღმდეგ — აი თანამედროვე „მოწინავე“, განათლებული ბურჟუაზიის ფორმულა“[2].

თანამედროვე მონოპოლისტური ბურჟუაზია არსებითად იგივე მეთოდებით ხელმძღვანელობს. იგი ცდილობს შეეგუოს ორი მსოფლიო სისტემის ბრძოლის პირობებს. მის შინაგან პროცესებსა და პოლიტიკაზე გავლენას ახდენს სოციალიზმის სისტემის ზრდა. იმპერიალიზმი აძლიერებს სოციალურ დემაგოგიას, იჩენს პოლიტიკურ მოქნილობას. მონოპოლისტურმა ბურჟუაზიამ საუცხოოდ ისწავლა მოქმედება არა მარტო ძალმომრეობით, არამედ მოტყუებით, მოსყიდვით, მლიქვნე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 16, გვ. 438.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ. 17, გვ. 266.

ლობით. საყოველთაო ინფორმაციის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ბურჟუაზია მთელი სისრულით იყენებს ბრძოლის ორივე მეთოდს. დღეს დამსჯელი ორგანოები უფრო ფართო მასშტაბისაა. შეიცვალა რეფორმების ხასიათიც. ბურჟუაზიას ახლა შეუძლია უფრო გაბედულად ისარგებლოს „უმნიშვნელოს დათმობისა და მნიშვნელოვანის შენარჩუნების საშუალებით“ —რეფორმებით სოციალური ზურგის გასამაგრებლად, ხალხის მოსატყუებლად. ბურჟუაზია მიმართავს ათასგვარ მანევრებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ცხადია, რაც უფრო ცდილობს იმპერიალიზმი შეეგუოს ვითარებას, მით უფრო ღრმავდება მისი შინაგანი ანტაგონიზმი. მაგრამ ფაქტია, იგი ჯერ კიდევ ახერხებს სიცრუის ქსელში გააბას მშრომელთა ერთი ნაწილი. ამიტომაა, რომ არჩევნებში მუშების მნიშვნელოვანი ფენა ხმას აძლევს კაპიტალისტ კანდიდატებს და მათს დამქაშებს. იმპერიალისტური ბურჟუაზია ხელმძღვანელობს პრინციპით: „იცრუე, იხმაურე, იყვირე, იმეორე სიცრუე — „ ცოტა რამ მაინც დარჩება“[1].

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა აგრეთვე რეფორმიზმის გნოსეოლოგიური საფუძველი. ოპორტუნიზმის გნოსეოლოგიური საფუძველია საზოგადოების განვითარების დიალექტიკური ხასიათის გაუგებლობა და მისი ამა თუ იმ მხარის თუ ნიშნის აბსოლუტიზაცია. რეფორმისტული იდეოლოგიის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური საფუძველია მეტაფიზიკა, კერძოდ, მისი სახესხვაობა — სოფისტიკა, ეკლექტიზმი.

კაპიტალიზმი პროგრესული საზოგადოებაა ფეოდალიზმთან შედარებით. მან უაღრესად განავითარა საწარმოო ძალები. მაგრამ იგი ამავე დროს აფერხებს საწარმოო ძალთა ზრდას. პროლეტარიატი კაპიტალიზმის პირმშოა. ეს უკანასკნელი რაზმავს მუშებს, მაგრამ ამასთან ჩაგრავს, გაღატაკების გზაზე აყენებს მას. კაპიტალიზმი თვითონვე ქმნის მესაფლავეს, მაგრამ „უნახტომოდ“, წერს ვ. ი. ლენინი, არ შეიძლება ძველიდან ახალზე გადასვლა. რეფორმისტებს არ შეუძლიათ ცოცხალი ცხოვრების წინააღმდეგობრიობის ახსნა. ისინი აზვიადებენ სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს — თანდათანობითს, ევოლუციურ განვითარებას. რეფორმებით, ამტკიცებენ ისინი, სოციალიზმი „ნაჭერ-ნაჭერ“ ხორციელდება. „მემარცხენენი“ მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. ისინი უარყოფენ „წვრილმან“ მუშაობას, „შუალედურ სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 24, გვ. 124.

დგურებზე" შეჩერებას და იჩენენ ულტრარევოლუციურობას. მათი პრინციპია: „ყველაფერი, ან არაფერი"! მემარჯვენე ოპორტუნისტს არ ესმის ახალი შინაარსის არსი, „მემარცხენეს" კი არ უნდა ძველის გამოყენება. სინამდვილეში საჭიროა ორივე მხარის ორგანული შეხამება. „ცხოვრება და განვითარება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ბუნებაში შეიცავს ნელ ევოლუციასაც და ჩქარ ნახტომებსაც, თანდათაობითობის წყვეტილობას"[1].

ჩვენს დროში იდეოლოგიურ ბრძოლამ მიიღო ორი მსოფლიო სისტემის დაპირისპირების ფორმა. ბურჟუაზიული იდეოლოგია საუკუნეზე მეტია ცდილობს მოსპოს მარქსიზმი, მაგრამ იგი, როგორც წერდა ვ. ი. ლენინი რევიზიონისტების მისამართით, ყოველი „მოსპობის" შემდეგ კიდევ უფრო სიცოცხლის უნარიანი ხდება. იდეები ქვემეხებზე მეტად არწმუნებენ ადამიანებს. მაგრამ დემოკრატიისა და სოციალიზმის ფრონტზე მოპოვებული წარმატებები არ იძლევა თვითდამშვიდების საფუძველს. ბურჟუაზია, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მით უფრო დემაგოგიურად მოქმედებს, რაც უფრო ხმამაღლა ღაღადებენ ფაქტები მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ. იმპერიალიზმს ჯერ კიდევ აქვს მძლავრი, მაღალორგანიზებული საწარმოო მექანიზმი. ესოდენ ფართოა ბურჟუაზიული ინფორმაციის მაშტაბები. ცალკეული პირნი ბელადებიდან, წერდა ვ. ი. ლენინი, შეიძლება დაუბრუნდნენ პროლეტარიატს მაგრამ „ოპორტუნისტული მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ა არ შეიძლება არც გაქრეს, არც „დაუბრუნდეს" რევოლუციურ პროლეტარიატს. სადაც მუშათა შორის მარქსიზმი პოპულარულია, იქ ეს პოლიტიკური მიმდინარეობა, ეს „ბურჟუაზიული მუშათა პარტია", დაიწყებს ფიცს მარქსის სახელით"[2]. აუცილებელია ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მისი გამტარებლების ბოლომდე მხილება. რაც უფრო ფართოა სოციალიზმის გავლენის სფერო, მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ოპორტუნისტული ცრურწმენების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას და მის მხილებას. „თუ კიდევ შეიძლება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეურიგდე თხელ და სუსტ ლანჩას, როცა პატარა პროვინციული ქალაქის კულტურულ-ტროტუარებზე დაიარები, სამაგიეროდ აუცილებლად საჭიროა. სქელი და დალურსმული ლანჩები, როცა მთებში მიიხარ"[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 16, გვ. 436.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 148.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 21, გვ. 295.

შეიძლება ასეთი ანალოგიაც. სანამ მუშათა კლასი დამოუკიდებელი მოძრაობისათვის არ იყო მომწიფებული, სექტებს ჰქონდათ ერთგვარი ისტორიული გამართლება. როგორც კი მუშათა კლასი ამ სიმწიფეს მიაღწევს, „...ყველა სექტა, — წერდა კ. მარქსი, — არსებითად რეაქციული ხდება“[1]. ახლა მტერს მეტი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც მატერიალური, ისე სულიერი ცხოვრების სფეროში.

რევოლუციის ნაცვლად რეფორმები, მეცნიერული სოციალიზმის ნაცვლად „დემოკრატიული სოციალიზმი“, კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად „კლასობრივი ზავი“, პროლეტარიატის დიქტატურის ნაცვლად „წმინდა“ დემოკრატია — ასეთია სოციალ-რეფორმიზმის კრედო. ანტიკომუნიზმის, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის დაძლევა მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წარმატებით განვითარების აუცილებელი პირობაა.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 293.

რეფორმა და რევოლუცია

1. რევოლუციისა და რეფორმების თანაფარდობა

კ. მარქსმა სოციალიზმი „იდეალიდან“ ისტორიულ აუცილებლობად აქცია. „კომუნიზმი ჩვენთვის არ არის მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — რომელიც უნდა დამყარდეს, არ არის ი დ ე ა ლ ი, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილე. კომუნიზმს ვუწოდებთ ჩვენ ნ ა მ დ ვ ი ლ მოძრაობას, რომელიც სპობს ახლანდელ მდგომარეობას“[1]. ჩვენ არ შეგვიძლია ეკონომიურ პირობებს დავუდგინოთ კანონები. ადამიანებს მხოლოდ ოქმში შეაქვთ, მიუთითებდა მარქსი, „ეკონომიურ ურთიერთობათა სურვილები“. კაპიტალიზმს ძირს უთხრის მოვლენათა მთელი მსვლელობა. კაპიტალის ბატონობის შეწყვეტა, წერდა ლენინი, შეუძლებელი იქნებოდა, მას რომ არ იწვევდეს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური განვითარება. კაპიტალიზმს ულმობელი ძალით ანგრევს მთელი ისტორია. „...კაპიტალისტური წარმოება, — წერდა მარქსი, — ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის კლასობრივ უარყოფას“[2]. ამრიგად, კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლა ობიექტური კანონზომიერებაა. მაგრამ შესაძლებლობა სინამდვილედ არ იქცევა თავისთავად. კ. მარქსმა პირველმა დაამტკიცა, რომ სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის გარეშე.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითადი ხაზია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა სოციალიზმისათვის. პროლეტარული რევოლუცია სოციალიზმის დამკვიდრების აუცილებელი პირობაა. მაგ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, თბ., 1968, გვ. 59.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 955.

რამ იგი არ ხორციელდება „სუფთა“ სახით. მასთან ორგანულ კავშირშია დემოკრატიული მოძრაობა. პროლეტარიატი იბრძვის უახლოესი და საბოლოო მიზნებისათვის. ამას უკავშირდება რევოლუციისადმი რეფორმების, დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების თანაფარდობის საკითხი რომელიც სოციალისტური რევოლუციის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა.

კ. მარქსმა პირველად დააყენა და მეცნიერულად გადაწყვიტა მოძრაობის საბოლოო მიზნებისათვის ბრძოლის მუშათა კლასის უახლოეს ეკონომიურ და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან შეხამების ამოცანა. იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც რევოლუციის დემოკრატიული და სოციალისტური ეტაპები საგრძნობლად უახლოვდება ერთმანეთს, რეფორმებისა და რევოლუციის თანაფარდობის საკითხი კიდევ უფრო აქტუალურ მნიშვნელობას იძენს. პროლეტარული რევოლუციების უშუალო აუცილებლობის ეპოქაში წინა პლანზე დგება სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის და მისდამი მიდგომის ფორმის საკითხი. სოციალური რეფორმებისა და სოციალური რევოლუციის თანაფარდობის პრობლემა აღნიშნული საკითხის ერთ-ერთი მთავარი მხარეა.

მარქსიზმ-ლენინიზმი იბრძვის ორ ფრონტზე — მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. მემარჯვენეები, რეფორმისტები და რევიზიონისტები, აიდეალებენ რეფორმებს და უგულებელყოფენ რევოლუციის როლს, „მემარცხენეები“, დოგმატიკოსები, სექტანტები, პირიქით, უარყოფენ „გარდამავალი საფეხურების“ საჭიროებას და აყენებენ პირდაპირ სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგს. ისინი ხელმძღვანელობენ პრინციპით „რაც უარესია, მით უკეთესია“. „ყველაფერი, ან არაფერი“. აუცილებელია ორივე გადახრის დაძლევა.

რეფორმისტებისათვის სოციალური რეფორმები (მოძრაობა) ყველაფერია, საბოლოო მიზანი (რევოლუცია, სოციალიზმი) არაფერი პირველად ეს დებულება წამოაყენა და „დაასაბუთა“ ე. ბერნშტეინმა. იგი კ. მარქსის „კრახის თეორიას“ უპირისპირებდა წმინდა ევოლუციურ თვალსაზრისს, რომელიც ნახტომებს გამორიცხავს. ამიტომ სოციალიზმის დამკვიდრება ბერნშტეინის მიხედვით შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიის, კერძოდ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს, პროფკავშირების, კოოპერაციის, პარლამენტის და კაპიტალისტური საზოგადოების ფუნქციონირების სხვა საშუალებათა შე-

მდგომი სრულყოფის გზით. კერძოდ, ბურჟუაზიულ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვება მიაჩნდა ბერნშტეინს საზოგადოების სოციალიზაციის ძირითად პირობად. სოციალიზმი ბერნშტეინისათვის კაპიტალიზმის თვითლიკვიდაციის შედეგია. „წმინდა“ ევოლუციონიზმის ამ ოვალსაზრისს სწორად გადმოსცემს ფრანგულ ერთ-ერთ ჟურნალში ე. ბერნშტეინის კარიკატურაზე მინაწერი: არავითარი იძულება, რევოლუცია, სოციალიზმი მოვა თავისთავად[1]. „ინტეგრალური დემოკრატიის“ თეორიის ქადაგებით კ. კაუცკიც ფაქტიურად იცავდა რევოლუციის საზიანოდ რეფორმების დაცვის იდეას. სოციალისტები არ არიან ვალდებული გამოიგონონ ახალი საზოგადოება. მათ შეუძლიათ, წერდა კ. კაუცკი, არსებულ სინამდვილეში აღმოაჩინონ ახლის ელემენტები და სრულყონ ეს უკანასკნელი[2]. მაშასადამე, აუცილებელია და საკმარისი ევოლუცია, ზედმეტია რევოლუცია.

რეფორმებისა და რევოლუციის ურთიერთობის საკითხს ყოველმხრივ ამახინჯებენ თანამედროვე რეფორმისტები და რევიზიონისტები. მათ ამჯერადაც არა აქვთ საკითხზე ერთიანი შეხედულება. მიუხედავად ამისა ძირითადი ხაზი მაინც გამოკვეთილია — რეფორმები რევოლუციის ნაცვლად!

რეფორმისტთა ერთი ნაწილი იცავს რეფორმების გაიდეალების თეზისს. რეფორმები მათთვის სოციალიზმზე გადასვლის ერთადერთი მეთოდია. ჩვენს დროში, აცხადებენ ისინი, მოძრაობის ერთადერთი ფორმაა ევოლუციური განვითარება. ნორვეგიელ სოციალისტთა აზრით, საზოგადოების სოციალური არსის შეცვლის გზა მხოლოდ რეფორმებია. სოციალური რეფორმები კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის საშუალებადაა აღიარებული. ეს თეზისი ყველაზე სრულად „დასაბუთებულია“ ინგლისელი ლეიბორისტების დ. სტრეჩის (იხ. მისი „თანამედროვე კაპიტალიზმი“), გ. კროსლენდის (იხ. მისი „სოციალიზმის მომავალი“), აგრეთვე დ. კოულის ნაშრომებში.

რეფორმისტთა მეორე ნაწილი იცავს რეფორმებისა და რევოლუციის აბსოლუტური დაპირისპირების, მათი გათიშვის კურსს. კ. მარქსის მიხედვით, წერს გერმანელი სოციალისტი შტეინბერგი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა უნდა მოხდეს **ან** ევოლუციური,

---

[1] См. „История Второго Интернационала“, т. 2. М., 1966, стр. 237.

[2] См. Сборник „Задачи социалистической культуры“, 1907, стр. 481.

ან რევოლუციური გზით. განვითარება არ წავიდა მარქსის სქემის მიხედვითო. შვეიცარიელი გ. იორდის აზრით, რეფორმებსა და რევოლუციას შორის შეურიგებელი წინააღმდეგობაა. აქედან გამოჰყავს მას დასკვნა სოციალისტური რევოლუციის თეორიის მოძველებულობის შესახებ.

მემარჯვენე სოციალისტები და რევიზიონისტები რეფორმებისა და რევოლუციის ურთიერთობას ამახინჯებენ უპირველეს ყოვლისა რევოლუციის ისტორიული ადგილის უარყოფის საშუალებით.

რეფორმისტთა ერთი ნაწილი რევოლუციის საჭიროებას უარყოფს რეფორმებისა და რევოლუციის გაიგივების გზით. ჰეშმარიტი რევოლუცია — ეს რეფორმაა, აცხადებენ ლეიბორისტები. მათივე მტკიცებით რევოლუცია არის დიდი რეფორმა. ფრანგი სოციალისტების აზრით რევოლუცია რეფორმების სერიაა. იტალიელი პ. ნენის მიხედვით ჩვენს დროში რევოლუციის კონცეფცია იქცა საზოგადოების დემოკრატიული ევოლუციის კონცეფციად. ლეონ ბლიუმიც აიგივებს რევოლუციას და რეფორმებს. რეფორმა არ არის რევოლუციის ანტითეზა. რეფორმა მოიცავს რევოლუციას, — წერს ბლიუმი. იგივე შეხედულებისაა რევიზიონისტი ა. ჯოლიტი. იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალისტური სტრუქტურა განვითარებულია, წერს იგი, რევოლუციური გზა ესაა სტრუქტურული რეფორმების გზა.

რეფორმისტები რეფორმებსა და რევოლუციას შორის განსხვავების უგულებელყოფით ცდილობენ უარყონ საერთოდ სოციალისტური რევოლუციის საჭიროება. ადრე სოციალ-დემოკრატები თეორიულად მაინც აღიარებდნენ რევოლუციის შესაძლებლობას. მაგალითად, 1927 წელს კ. რენერი, სოციალისტური ინტერნაციონალის პარტაიტაგზე გამოსვლაში, რევოლუციას საზოგადოების განვითარების პოპულარულ საშუალებად მიიჩნევდა. იგი რევოლუციას ისტორიის ლოკომოტივადაც კი აღიარებდა, თუმცა ავსტრიისათვის უარყოფდა მის საჭიროებას. ამჟამად ავსტრიის სოციალისტთა პროგრამულ დოკუმენტებში უარყოფილია რევოლუციის აუცილებლობა და საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთ საშუალებად რეფორმაა გამოცხადებული. საფრანგეთის და იტალიის სოციალისტთა მტკიცებით თანამედროვე პირობებში „შინაგანი კომუნისტური რევოლუციის“ მოთხოვნა მხოლოდ ზღაპარია. ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგთა მსგავსად რეფორმისტები სოციალურ რევოლუციას მიიჩნევენ შემთხვევითო-

ბად, საზოგადოების ნორმალური მდგომარეობიდან „ავადმყოფურ გადახრად“. ფრანგი ლ. ლორა ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციას უწოდებს „რეაქციულ ბუნტს“. სოციალისტური ინტერნაციონალის პროგრამულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ არ არსებობს სოციალური ავადმყოფობის განკურნების ერთადერთი საშუალება, რომ საზოგადოების განახლების გზა არ არის რევოლუციის გზა.

რეფორმისტები რევოლუციის აუცილებლობის თეზისის უარყოფას ცდილობენ სხვა კუთხიდანაც. ისინი ქადაგებენ ეგრეთ წოდებულ „მოზაიკის თეორიას“. დასავლეთგერმანელი სოციალისტის ე. შრანცის მტკიცებით რეფორმებს ახლა აქვთ რევოლუციის ძალა. მოზაიკის ცალკეული ნაჭრების შეკრების შედეგად, საბოლოო ჯამში, იქმნება სრულიად ახალი სურათი. ანალოგიურად რეფორმებს, აცხადებს შრანცი, მივყავართ კაპიტალიზმის ტრანსფორმაციამდე, „დემოკრატიულ სოციალიზმამდე“. გამოდის, რომ რეფორმასა და რევოლუციას შორის არ არსებობს თვისებრივი განსხვავება. იგივე აზრს, კიდევ უფრო გარკვევით, იცავს ინგლისელი ლეიბორისტი ჰ. დალტონი. სოციალიზმი, უპირველეს ყოვლისა, რაოდენობის საკითხია. პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, წერს იგი, „ყველაფერი“ ან „არაფერი“, არამედ იმაში — „ნაკლები“ ან „მეტი“[1]. ახლა რევოლუცია უაზრობაა, ამტკიცებენ მემარჯვენეები, რადგან რეფორმებით მეტის გაკეთება შეიძლება. თანდათანობით დამკვიდრებული პროგრესი, მათი ვარაუდით, უფრო საიმედოა და მტკიცე, ვიდრე უეცარი ნახტომით, რევოლუციის შედეგად მიღებული. მოძრაობაში ნახტომების უარყოფის მოთხოვნით გამოდიან ფრანგი ლ. ლორა, ლეიბორისტები დ. სტრეჩი, დ. კოული, რევიზიონისტები ა. ჯოლიტი, ბიტელმანი და სხვ.

მემარჯვენე სოციალისტები ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს რევოლუციის მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ფორმების შესახებ. არც ამ საკითხში აქვთ ოპორტუნისტებს ერთიანი შეხედულება. რეფორმისტთა ერთი ნაწილის განცხადებით ლენინიზმი პრინციპში წინააღმდეგია მშვიდობიანი რევოლუციისა და მტრულად ეკიდება რეფორმებს. „კომუნისტური ფილოსოფია“, ამბობენ ისინი, ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა შეუძლებე-

---

[1] См. Д. Г. Большов. В. В. Мидцев. Л. А. Яковлева. Кризис реформистских иллюзий „Демократического социализма“, М., 1961, стр. 281.

ლია „მშვიდობიანი საშუალებებით“. რევოლუცია მათ ესმით როროგორც „კატასტროფა“, „საყოველთაო ექსპროპრიაცია“, ტერორი“. მარქსიზმის ალფა და ომეგაა საყოველთაო გაფიცვა. საყოველთაო ნგრევა — აცხადებენ მემარჯვენეები. გ. კროსლენდის ახრით, რევოლუცია ცენტრალიზებული იძულების საშუალებაა. დ. კოული უპირისპირებს ცნებებს — „პარლამენტური გზა“ და „რევოლუციური მოქმედება“, რომელიც „კომუნისტური მეთოდებით“ ხორციელდება. უღიდესი სიკეთეა, წერს კოული, უარი ვთქვათ რევოლუციაზე. ამით კაცობრიობას ავაცდენთ ძმათა სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს. რევოლუცია რეფორმისტებს გაიგივებული აქვთ სამოქალაქო ომთან. ჩვენ მშვიდობიანი გზით წინსვლის თანახმა ვართ, მაგრამ წინააღმდეგი ვართ რევოლუციისა. აცხადებენ რეფორმისტები.

რეფორმისტთა მეორე ნაწილი იბრძვის ლენინიზმის წინააღმდეგ იგივე მეთოდებით. ოღონდ განსხვავებული პლატფორმით. სკკპ პარტიის XX ყრილობამ დასახა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის კურსი. მემარჯვენე სოციალისტები ცდილობენ ეს დასკვნა გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ. კომუნისტები ბოლოს და ბოლოს, ამტკიცებენ ისინი, გადავიდნენ რეფორმისტების პოზიციებზეო. „კომუნიზმის გამემარჯვენება“, ასკვნიან ოპორტუნისტები, ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანიაო.

რეფორმისტები და რევიზიონისტები ამახინჯებენ სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის საშუალებათა გამოყენების საკითხსაც. მათთვის პარლამენტური გზით განვითარება წინსვლის უნივერსალური, ერთადერთი მეთოდია. შესაბამისად რეფორმისტები აიდეალებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას და აცხადებენ მას სოციალიზმზე გადასვლის ძირითად საშუალებად. ამ მოთხოვნას თავგამოდებით იცავენ ავსტრიელი და დასავლეთგერმანელი სოციალისტები. ჩვენი მიზანია სოციალიზმი (ნაგულისხმევია „დემოკრატიული სოციალიზმი“. — ი. ქ.), საშუალება — დემოკრატია — ნათქვამია ავსტრიის სოციალისტთა პროგრამულ დოკუმენტებში. ჩვენ ვიბრძვით „დემოკრატიული რეალიზმისათვის“ — აცხადებენ დასავლეთგერმანელი სოციალისტები. რევოლუცია XX საუკუნეში, რეფორმისტების მტკიცებით, ყველაზე ანტიდემოკრატიული ღონისძიებაა. დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი გაზეთი ბ. კაუცკის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილ ნეკროლოგში წერდა: ბ. კაუცკის სახელი სოციალისტებისათვის მთე-

ლი პროგრამაა, რომელიც აცხადებს: შორს ბარიკადებისაგან, ლეგალობისა და დემოკრატიისაკენ! დ. კოულის მიხედვით ჩვენს დროში რევოლუცია იწვევს მუშათა მდგომარეობის მხოლოდ გაუარესებას. საკმარისია პროფესიული ბრძოლა და კონსტიტუციური მუშაობა.ფრანგი სოციალისტის კიიოს მტკიცებით ახლა მუშები იბრძვიან მხოლოდ „ბივშტექსისათვის“ და სამუშაო დღის შემცირებისათვის. ამიტომ უაზროობაა ჩავაგონოთ მათ რევოლუციაზე ფიქრიო. გამოდის, რომ რევოლუცია და დემოკრატია დაპირისპირებული ცნებებია. რევოლუცია, რეფორმისტთა აზრით, გამორიცხავს დემოკრატიას.

ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია პოლიტიკური ხელისუფლების საკითხი. რეფორმისტებს და რევიზიონისტებს ხელისუფლების პრობლემაც ყალიბად აქვთ წარმოდგენილი. ამჯერად ისინი უპირისპირებენ ერთმანეთს სოციალურ და პოლიტიკურ რევოლუციას. ამ დაპირისპირებულობის თეორიული „დასაბუთება“ მოგვცა ლ. ბლიუმმა ჯერ კიდევ 1926 წელს. იგი განასხვავებდა ცნებებს: „ხელისუფლების განხორციელება“ და „ხელისუფლების მოპოვება“. ბლიუმის მიხედვით მთავარია კანონიერი, რეალური ხელისუფლების გამოყენება და არა ბრძოლა ახალი ხელისუფლებისათვის. თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები მტკიცედ იცავენ ბლიუმის აზრს. დეისტის განცხადებით, სოციალისტთა მიზანია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უკეთესი სოციალური და დემოკრატიული ორგანიზაცია. შვეიცარიელი გ. იორდის აზრით, რევოლუციას აქვს ორი მხარე — პოლიტიკური და სოციალური. ჩვენს დროში პოლიტიკური რევოლუცია უკვე განხორციელებულია. რჩება უფრო ადვილი ამოცანა — გამოვიყენოთ პოლიტიკური ხელისუფლება სოციალური რეფორმების განსახორციელებლად. გამოდის, რომ დღის წესრიგიდან მოხსნილია ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევის ამოცანა. კომუნისტების მოთხოვნით, წერს ფრანგი სოციალისტი კიიო, არაა საკმარისი მხოლოდ რეფორმები, საჭიროა ნახტომი, ხელისუფლების ძალით აღება და მთელი წარსულის მოსპობა. პრინციპში იგივე შეხედულებისაა ლეიბორისტი დ. კოული. მისი ვარაუდით სახელმწიფო აპარატის დამსხვრევაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს ტოტალიტარული, ანტიდემოკრატიული რეჟიმი. იტალიელი სოციალისტები აყენებენ ხალხის ინტერესებისადმი ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის შეგუების ამოცანას. რევიზიო-

ნისტი ჯოლიტი უშვებს სტრუქტურული რეფორმების საშუალებით ხელისუფლების თანდათანობით მოსპობის შესაძლებლობას. ეკონომიური სტრუქტურის ევოლუცია იმავე დროს მოასწავებს პოლიტიკურ გარდაქმნებს. ეკონომიკა — ეს პოლიტიკაა, წერს ჯოლიტი.

ამრიგად, რეფორმისტები მოითხოვენ ხელი ავიღოთ მოძრაობის საბოლოო მიზნებზე და დავჯერდეთ ნაწილობრივ რეფორმებს. „მემარცხენეები" მოითხოვენ დავივიწყოთ მშრომელთა ყოველდღიური სასიცოცხლო ინტერესები და უშუალო ამოცანად დავისახოთ სოციალისტური რევოლუციის დაუყოვნებლივ განხორციელება. აუცილებელია ორივე გადახრის მხილება და ბოლომდე დაძლევა.

* *

მარქსიზმ-ლენინიზმმა პირველად განსაზღვრა რეფორმებისა და რევოლუციის თანაფარდობის მეცნიერული პრინციპები. რეფორმიზმი რევოლუციას უპირისპირებს რ ე ფ ო რ მ ე ბ ს, ანარქიზმი, დოგმატიზმი რეფორმებს უპირისპირებს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს. ორივე მიმდინარეობა მექანიკურად თიშავს მუშათა კლასის უახლოესი და საბოლოო მიზნებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანებს. რეფორმიზმი უარყოფს ბრძოლის რევოლუციურ გზას, დოგმატიზმი ბრძოლის ევოლუციური საშუალებების გამოყენებას. მარქსიზმ-ლენინიზმი რევოლუციისა და რეფორმის თანაფარდობას განიხილავს დიალექტიკურ ურთიერთკავშირში. ლენინიზმი ებრძვის რეფორმიზმს როგორც ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის პრინციპებს უპირისპირებს „კლასობრივი ზავის", „სოციალური პარტნიორობის" თვალსაზრისს. „რეფორმიზმი არის ბურჟუაზიული მოტყუება მუშებისა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლებიც, მიუხედავად მდგომარეობის ცალკეულ გაუმჯობესებისა, მუდამ დარჩებიან დაქირავებულ მონებად, — ვიდრე კაპიტალის ბატონობა არსებობს"[1]. მაგრამ მარქსიზმი უარს როდი ამბობს რეფორმების გამოყენებაზე. როგორც ეს სურთ დაამტკიცონ თანამედროვე მემარჯვენეებს. რეფორმებსა და რევოლუციას შორის დაპირისპირებულობაცაა და ერთიანობაც. ეს წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ყველაზე სრულად განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა სტა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 439.

ტიაში„იუბილეს გამო“. „რეფორმის ცნება, უეჭველია, უპირდაპირდება რევოლუციის ცნებას; ამ მოპირდაპირობის დავიწყება, დავიწყება იმ მიჯნისა, რომელიც ჰყოფს ორივე ამ ცნებას, მუდამ იწვევს უაღრესად სერიოზულ შეცდომებს ყველა ისტორიული ხასიათის მსჯელობაში. მაგრამ ეს მოპირდაპირობა აბსოლუტური არაა, ეს მიჯნა მკვდარი კი არაა, არამედ ცოცხალი, მოძრავი მიჯნაა, რომლის განსაზღვრა უნდა ვიცოდეთ ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში“[1].

რევოლუცია როდია კონცენტრირებული რეფორმა. არც რეფორმაა ხანგრძლივი რევოლუცია. რევოლუცია ისტორიის ლოკომოტივია, რომელიც მოითხოვს საზოგადოების თვისებრივ შეცვლას. იგი ნახტომია ერთიდან მეორე ფორმაციაში. რეფორმა უმთავრესად რაოდენობრივი ცვლილებებს გულისხმობს. იგი მოცემული ფორმაციის შიგნით თანდათანობითი ცვლილებების პროცესის გამოხატულებაა.

რეფორმებით არ შეიძლება კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა. რეფორმებს, თავისთავად აღებულს, როგორიც უნდა იყოს მისი შინაარსი, არ ძალუძს ბურჟუაზიული საზოგადოების ხასიათის შეცვლა. რეფორმას არ შეიძლება მივაწეროთ არსებითი ცვლილებების შეტანის უნარი. არსებული წყობილების ძირეული გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ რევოლუციის საშუალებით.

რევოლუცია წყვეტს მრავალფეროვან წინააღმდეგობებს, რეფორმები მათ ამწვავებს. რევოლუცია აჩქარებს საზოგადოების განვითარებას, რეფორმა ანელებს. რევოლუცია ხელს უწყობს მუშათა კლასის შეგნებულობის ამაღლებას, ხალხის მასებს ხდის ახალი საზოგადოების შეგნებულ შემოქმედებად, რეფორმა, პირიქით, აბნელებს მასების გონებას, წარმოშობს შეგუების ილუზიას. რეფორმა უმთავრესად ეკონომიური ბრძოლის გამოხატულებაა. რევოლუციას ახალ ხარისხში აჰყავს კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმა. „ყოველი რევოლუცია (რეფორმისაგან განსხვავებით) თავისთავად ნიშნავს კრიზისს და ძალიან ღრმა კრიზისსაც, როგორც პოლიტიკურს, ისე ეკონომიურსაც“[2].

რევოლუცია ცვლის წარმოებით ურთიერთობებს, არსებული წყობილების ბაზისსა და ზედნაშენს ახალი ინსტიტუტებით, რეფორმები

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 120.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 30, გვ. 410.

მის მხოლოდ ცალკეულ მხარეებს. რევოლუცია ძირეულად ცვლის მშრომელთა მდგომარეობას, რეფორმა ნაწილობრივ აუმჯობესებს. რევოლუცია ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ წინააღმდეგობათა ბოლომდე დაძლევის ერთადერთი მეთოდია.

ყოველი რევოლუციის ძირითადი საკითხია პოლიტიკური ძალაუფლების საკითხი. რევოლუციის ნიშანია ხელისუფლების გადასვლა ერთი კლასიდან მეორე კლასის ხელში. რეფორმისა კი — ხელისუფლების შენარჩუნება გაბატონებული კლასის ხელში. „რეფორმები ეს არის დათმობები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მიღებული გაბატონებული კლასისაგან, მისი ბატონობის შენარჩუნებით. რევოლუცია ეს არის გაბატონებული კლასის დამხობა"[1]. რეფორმისტული ცვლილებები ძალაუფლებას არ აცლის ხელიდან ძველ პრივილეგირებულ კლასს. საწინააღმდეგო ხასიათის ცვლილებას ლენინი „ქარიშხალს" უწოდებს. რევოლუცია ომს უცხადებს მჩაგვრელ კლასებს, რეფორმა მშვიდობიანი გზით, ეკონომიური ბრძოლით კონფლიქტების გადაწყვეტის ცდაა. ისტორიის ნამდვილი მამოძრავებელია კლასთა რევოლუციური ბრძოლა. მისი უმაღლესი გამოხატულება და პირდაპირი შედეგი, პროდუქტი არის რევოლუცია. რეფორმები, ნაწილობრივი გაუმჯობესებანი ისტორიაში ყოველთვის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არაპირდაპირი შედეგი, არაპირდაპირი პროდუქტი იყო. რეფორმა რევოლუციის ქვემდებარე ელემენტია. რეფორმები რევოლუციური პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დამხმარე თანაპროდუქტია. წერდა ლენინი. ამრიგად, რეფორმის დედაარსია ბოროტების შესუსტება. რევოლუციისა კი მისი სრული ლიკვიდაცია.

მაგრამ დაპირისპირება რეფორმისა და რევოლუციის ურთიერთობის მხოლოდ ერთი მხარეა. მათ შორის ორგანული კავშირიცაა. ამას უკავშირდება რევოლუციის სასარგებლოდ რეფორმების გამოყენების საკითხი, კერძოდ, რეფორმებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანასთან თანაფარდობის პრობლემა რომელსაც, განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, დიდი თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

სოციალისტური რევოლუცია არ არის ერთჯერადი აქტი. რევოლუციამდე მისვლა შესაძლებელია მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 29, გვ. 611.

გზით. რეფორმები კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ასპარეზია. მათი სწორი გამოყენებით მწიფდება რევოლუციამდე მისვლის პირობები. ამ გაგებით რევოლუციური ბრძოლა ორგანულ კავშირშია სოციალური რეფორმებისათვის ბრძოლასთან.

სოციალიზმი მუშათა კლასის უშუალო მიზანია, მაგრამ მისი დამკვიდრება არ ხდება მხოლოდ პროლეტარიატის ძალებით. სოციალიზმი, კომუნიზმი კაცობრიობის მომავალია და მისი განხორციელებით დაინტერესებულია ყველა მშრომელი ადამიანი. რეფორმები მასებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ბერკეტია.

მარქსიზმი მხარს უჭერს მოძრაობაში შედარებითი პროგრესიულობის პრინციპის დაცვის კურსს. პროლეტარიატისათვის არ არის სულერთი, თუ რა პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პირობებში უხდება ბრძოლა. ბურჟუაზიულ დემოკრატიას გარკვეული უპირატესობა აქვს ექსპლოატატორული კლასების ბატონობის სხვა ფორმებთან შედარებით. ამიტომ წერდა ვ. ი. ლენინი, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკა პროლეტარიატის დიქტატურის უახლოესი მისადგომია“[1]. დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში შეუძლებელია ჩაგვრის სისტემის მოსპობა. პირიქით, კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე ბურჟუაზია იყენებს ექსპლოატაციის შენიღბვის ახალ-ახალ ფორმებს. მაგრამ, მეორე მხრივ, დემოკრატიული რესპუბლიკის ფუნქციონირების პირობებში ხდება სწორედ კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც ამსუბუქებს სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლას. ამავე გაგებით ერობას ლენინი უწოდებდა რევოლუციის ერთ-ერთ დამხმარე ფაქტორს. იგივე შეიძლება ითქვას პროფკავშირების, კოოპერაციის და მასების შუაგულში შესვლის სხვა საშუალებათა შესახებ. ბრძოლის სხვადასხვა ფორმების სექტანტური უგულებელყოფის კურსს მუშათა საქმისათვის მხოლოდ ზიანი მოაქვს.

ბურჟუაზიული რეფორმა გარკვეული აზრით ხელს უწყობს კლასობრივი ბრძოლის განვითარებას. არ შეიძლება მისი მნიშვნელობის ხელაღებით უარყოფა. „ყოველგვარი რეფორმა მხოლოდ სწორედ იმდენად არის რეფორმა (და არა „რეაქციული და არა კონსერვატული ღონისძიება), რომ ის უკეთესობისაკენ გადადგმულ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გარკვეულ ნაბიჯს, „ეტაპს“ მოასწავებს“[2]. ისტორია ერთ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 552.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 12, გვ. 278.

ადგილზე არაა გაჩერებული კონტრევოლუციის დროსაც კი. „მემარცხენეთა“ თვალსაზრისით ბურჟუაზიული კანონმდებლობა აბსოლუტური ბოროტებაა. საყოველთაო გაფიცვა, საყოველთაო ნგრევის აზრით გაგებული, ანარქისტების პრინციპია. ლენინიზმისათვის საყოველთაო გაფიცვა არ არის სოციალური პანაცეა. ვ. ი. ლენინმა თავის დროზე დაასაბუთა „რეაქციულ პროფკავშირებში“ და ბურჟუაზიულ პარლამენტებში კომუნისტური და მუშათა პარტიების მონაწილეობის აუცილებლობა პრინციპით: „ვიმუშაოთ იქ, სადაც მასებია“! „თანამედროვე პოლიტიკურ სინამდვილეში აქტიური მონაწილეობისაგან თავის არიდება, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რარიგ საზიზღარიც უნდა იყოს ეს სინამდვილე, —ანარქისტების ტაქტიკაა და არა სოციალ-დემოკრატებისა“[1]. ლენინიზმი აყენებს და დადებითად წყვეტს ბურჟუაზიულ დაწესებულებათა და შესაბამისად ბურჟუაზიული რეფორმების მუშათა კლასის სასარგებლოდ გამოყენების წინააღმდეგობრივ ამოცანას. ამ გაგებით რეფორმები კლასობრივი ბრძოლის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორია.

სოციალური რეფორმებისათვის ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, არის ბრძოლა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. რევოლუციურობის საზომი არ შეიძლება სიღარიბეში ვეძიოთ. შეცდომაა მუშათა მდგომარეობის გაუარესებაზე ორიენტაციის აღება. მარტო ჩაგვრა, თუნდაც უაღრესად დიდი მასშტაბის შქონე, ყოველთვის როდი ქმნის ქვეყნის რევოლუციურ მდგომარეობას. „უშუალო მოთხოვნებს“ არ ძალუძთ სოციალიზმის „გამოფიტვა“, ეს ოპორტუნისტების თვალსაზრისია. სოციალისტები არ ამბობენ უარს მასების მდგომარეობის ყოველგვარ, თუნდაც სულ მცირეოდენ გაუმჯობესებაზე. მუშათა კლასი ორივე ხელით ჩასჭიდებდა, წერდა ლენინი, უკეთესობისაკენ ცვლილებების განხორციელების უმნიშვნელო შესაძლებლობასაც კი.

კაპიტალიზმის პირობებში, როცა ბატონობს კერძო საკუთრება, გაუმჯობესებისათვის ბრძოლით შეუძლებელია არსებული წყობილების ძირეული შეცვლა. მუშები ყოველდღიურ ბრძოლაში „... მხოლოდ შედეგებს ებრძვიან. — წერდა მარქსი, — და არა მათ წარმომშობ მიზეზებს, რომ თავიანთი ბრძოლით მხოლოდ აჩერებენ მოძრაო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 639.

ბას დაქვეითებისაკენ, მაგრამ არ ცვლიან თვით მის მიმართულებას"[1]. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მუშებმა არ გაუწიონ წინააღმდეგობა კაპიტალის თავდასხმებს. „ისინი რომ ასე მოქცეულიყვნენ, — დასძენდა მარქსი, — წელმოტეხილ, იმედდაკარგულ, დაღუპვის გზაზე დამდგარ უფერულ ბრბოს დონემდე დავიდოდნენ... მაშინ ისინი დაჰკარგავდნენ უნარს დაეწყოთ უფრო ფართო მოძრაობა"[2].

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის მხარს უჭერდნენ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ორგანიზებულ ბრძოლას. ხელფასის მომატებისათვის მოძრაობა „დიდმნიშვნელოვანი საკითხია", წერდა კ. მარქსი. მაღალ შეფასებას აძლევდა ფ. ენგელსი 8-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნას. იგი სოციალ-პოლიტიკურ დათმობებს სოციალიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს უწოდებდა. კონკურენცია თიშავს მუშებს, წერდა მარქსი „ფილოსოფიის სიღატაკეში", ხელფასისათვის ბრძოლა კი აერთიანებს მათ. ასე იწრთობა რევოლუციური ძალები „მომავალი ბრძოლებისათვის". უახლოესი ამოცანების მოძრაობის ძირითად მოთხოვნებთან შეხამების ეს პრობლემა მთელი სისრულით დააყენეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტში".

ვ. ი. ლენინი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხს განიხილავდა სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის პრობლემასთან კავშირში. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარეშე მშრომელი მასა, მიუთითებდა ლენინი, არ დათანხმდება წარმოიდგინოს ქვეყნის საერთო „პროგრესი". ხალხის მასები ებმებიან ბრძოლაში, იჩენენ გმირობას იმ პირობით, „თუ გაუმოჯობესდება მომუშავის ეკონომიური მდგომარეობა". „ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას როცა აღწევს, — ასკვნის ვ. ი. ლენინი, — მუშათა კლასი ამავე დროს მორალურადაც, გონებრივადაც, პოლიტიკურადაც ძაღლდება, უფრო მეტი უნარი შეესწევს განახორციელოს თავისი დიადი განმათავისუფლებელი მიზნები"[3]. ლენინიზმი გვასწავლის, რომ სრულიად უბრალო, ერთი შეხედვით წვრილმან სამუშაოსაც აქვს თავისი იდეურ-პოლიტიკური შინაარსი. ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა ზიანს აყენებს საბოლოო მიზნისათვის ბრძოლის საქმეს. გამოდის,

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1963, გვ. 512.
[2] იქვე, გვ. 511—512.
[3] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 88.

რომ კერძო მოთხოვნებისათვის ბრძოლას გარკვეული აზრით აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობაც. გაუმჯობესებისათვის ბრძოლა ტაქტიკური მანევრი როდია. ეს რეფორმისტების უსაფუძვლო ცილისწამებაა. მუშათა პარტია იბრძვის საზოგადოების არა მარტო ძირეული გარდაქმნისათვის, არამედ მშრომელთა უშუალო მოთხოვნებისათვის. კერძოსათვის ბრძოლა, სწორად გატარებული, ზოგადისათვის ბრძოლის ნაწილი ხდება. მაშასადამე, რეფორმებისათვის ბრძოლა, რეფორმისა და რევოლუციის ერთიანობის თვალსაზრისით, მუშათა მოძრაობის ობიექტური, კანონზომიერი მხარეა.

ასეთია რეფორმებისა და რევოლუციის თანაფარდობის ძირითადი პრინციპები. როგორც ჩანს, ზღვარი რეფორმასა და რევოლუციას შორის პირობითია და მოძრავი. ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი ურთიერთობა ახალ ასპექტში უნდა იქნას განხილული. პრობლემის რეალური გადაწყვეტა იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად შევძლებთ გავმიჯნოთ რეფორმებისადმი რევოლუციური და რეფორმისტული დამოკიდებულება. რეფორმისტებისათვის მუშათა ბრძოლა რეფორმებისათვის ბრძოლაა. ე. ბერნშტეინი გვაპარებს, წერდა ლენინი, რეფორმებისათვის „მუშათა ბრძოლის ლიბერალურ შინაარსს“. მარქსისტების მიხედვით რეფორმებისათვის ბრძოლა რევოლუციისათვის ბრძოლის პირობაა. „განსხვავება ჩვენსა და რეფორმისტებს... შორის მგდომარეობს არა იმაში, რომ ჩვენ რეფორმების წინააღმდეგნი ვართ, ისინი კი — მომხრენი. არაფერი ამდაგვარი. ისინი კმაყოფილდებიან რეფორმებით და ამის მეოხებით... მხოლოდ „კაპიტალიზმის საავადმყოფოს მომვლელ ქალთა“ როლამდე ეშვებიან“[1].

ყოველი რეფორმა წინააღმდეგობრივი ბუნებისაა, მას აქვს ორადი ხასიათი. ერთი მხრივ, იგი ერთგვარად აუმჯობესებს მუშათა ცხოვრების პირობებს, მეორე მხრივ, ხელს უწყობს კაპიტალის ბატონობის შენარჩუნებას, აფრთხილებს გაბატონებულ კლასებს, რომ საშიშროება მოახლოებულია. ამ გაგებით რეფორმა ასრულებს „დამცველი რეაქციის“ როლს. „რეფორმები შეიძლება წარმოადგენდნენ დამცველ რეაქციას, ე. ი. იმ გამაფრთხილებელ ღონისძიებას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც მმართველ კლასებს იცავს დაცემისაგან და მი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23. გვ; 203.

მართულია რევოლუციური კლასის წინააღმდეგ, თუმცაღა აუმჯობესებს ამ კლასის მდგომარეობას"[1]. ვ. ი. ლენინს ხშირად მოჰყავდა ცნობილი ადგილი გოეთეს „ფაუსტიდან": „უფერულია, ჩემო კარგო, აქ თეორია, და ოქროს ხე კი სიცოცხლისა მარად მწვანეა". ცოცხალ ცხოვრებაში რეფორმის ორი მხარე წარმოგვიდგება არა იზოლირებულად, ცალ-ცალკე, არამედ ერთიანობაში. ერთიანის გაორება რევოლუციონერთა მთავარი ამოცანაა. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სოციალიზმის სასარგებლოდ რეფორმების გამოყენება.

რეფორმების ხასიათი და შინაარსი მუდამ იცვლება ეპოქის შესაბამისად და თვით მის შიგნით კლასობრივი ბრძოლის განვითარების კვალობაზე. რეფორმების როლი აღმავალი კაპიტალიზმის პირობებში უნდა განვასხვავოთ მისი ადგილისაგან იმპერიალიზმის, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის საერთო კრიზისების ეპოქაში, ხოლო საკითხი არსებითად სხვა ასპექტში დგას სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების აღებამდე რეფორმებისათვის ბრძოლა მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით — რევოლუციის სასარგებლოდ და „რევოლუციის თავიდან ასაცილებლად". „ჩვენც ვიბრძვით რეფორმებისათვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მაგრამ სწორედ არა „ყოველნაირად", არამედ მ ხ ო ლ ო დ სოციალ-დემოკრატიულად, მხოლოდ რევოლუციურად ვიბრძვით რეფორმებისათვის"[2]. აუცილებელია რეფორმებისათვის რევოლუციური ბრძოლა დავუპირისპიროთ რეფორმისტულ ბრძოლას.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში რეფორმები ყოველთვის ორსახოვანია, ნახევრული და ყალბი. ბურჟუაზიისათვის ეს რეფორმები არაა საშიში. პირიქით „გონივრულ" დათმობათა ფასად იგი ცდილობს შეინარჩუნოს ძალაუფლება და ამავე დროს გათიშოს და დაასუსტოს მუშათა მოძრაობა. გაბატონებული კლასები კომპრომისზე მიდიან არა მათი ჰუმანურობის მიზეზით. ეს რეფორმისტული ცრურწმენაა. კაპიტალისტურ საზოგადოებაში რეფორმებს ყოველთვის აქვს იძულებითი ხასიათი. ბურჟუაზია ცდილობს „დროზე" და დროულად დათმოს, რათა „პატარ-პატარა შეკეთების საშუალებით" იხსნას კაპიტალიზმი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 440.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6 გვ. 203.

ბურჟუაზია, რომელსაც „ქარიშხალის“ უფრო ეშინია, ვიდრე რეაქციისა, რეფორმებით საფასურს უხდის მუშებს შერყეული ბატონობის განსამტკიცებლად. ლიბერალური ბურჟუაზია, როცა ცალი ხელით იძლევა რეფორმებს, წერს ლენინი, მეორეთი მუდამ უკან მიაქვს ის. მისი მიზანია მცირე დათმობებით დაამშვიდოს მასები, რათა ამ გზით შეაჩეროს, შეასუსტოს ან ჩააქროს რევოლუციური ბრძოლა, გამოფიტოს მებრძოლი კლასების ძალა და ენერგია, დააბნელოს მათი შეგნება. ბურჟუაზია „რეფორმათა ოქტროირების საფასურით“ ახერხებს კლასობრივი ბატონობის შენარჩუნებას. ყველა ბურჟუაზიული პარტია მიუთითებდა ლენინი, ცრუობს და თვალთმაქცობს, როცა რეფორმებზე ლაპარაკობს. რ. ლუქსემბურგი კაპიტალისტურ მსოფლიოში სოციალურ რეფორმებს ადარებდა ცარიელ კაკალს[1]. ამრიგად, ბურჟუაზიის რეფორმები მოასწავებენ „პოლიტიკური განვითარების ჩამავალ ხაზს“. რეფორმებს ბურჟუაზია იყენებს მუშების მოსატყუებლად და დასამონებლად. ბურჟუაზიისათვის რეფორმა კლასობრივი ბრძოლის ძირითადი პროდუქტია.

ასევე ყალბია რეფორმისტების რეფორმები. რეფორმისტი სოციალური რეფორმის იდეას იღებს... „მის შემქმნელ რეალურ საზოგადოებრივ ძალთაგან განყენებულად“[2]. იგი კმაყოფილდება რეფორმებისათვის ბრძოლით. რეფორმისტები ასე აყენებენ საკითხს: ან რევოლუციაზე უარი, და მაშინ რეფორმები, ანდა არავითარი რეფორმებიო[3]. იგივეს აცხადებდნენ თავის დროზე პაციფისტები და კაუცკელები: ან რეფორმისტული პოლიტიკური კამპანია, ან რეფორმებზე ხელის აღება. თანამედროვე რეფორმისტებიც ანალოგიურად მსჯელობენ. ამრიგად, რეფორმისტებისათვის რეფორმები ფაქტიურად შეადგენს კლასობრივი ბრძოლის ძირითად პროდუქტს.

მარქსიზმ-ლენინიზმი რევოლუციურად წყვეტს რეფორმების გამოყენების პრობლემას. ნახევრული რეფორმებიც როდია ფიქცია. ბურჟუაზიას ყოველთვის არ ძალუძს უკან წაიღოს დათმობები. არის შეუქცევადი შედეგებიც. რეფორმებს რომ აბსოლუტურად არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოს, მუშებისათვის უფრო ადვილი იქ-

---

[1] См. Р. Люксембург. Социальная реформа или революция, М., 1959, стр. 44—45

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 440.

[3] იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 279.

ნებოდა ბურჟუაზიის დამარცხება. სინამდვილეში სწორედ დათმობების ბაზაზე წარმოიშობა და ვრცელდება მუშებს შორის კაპიტალიზმის პირობებში კეთილდღეობის შექმნის რეფორმისტული ილუზია. კაპიტალიზმის დროს რეფორმები ყოველთვის საშიშროების წინაშეა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ბრძოლას რეფორმებისათვის რეალური შინაარსი და მნიშვნელობა არა აქვს. იმ წანამძღვრიდან, რომ რეფორმები რევოლუციის ქვემდებარე ელემენტია, არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს რეფორმებისათვის უნდა ვიბრძოლოთ დაქსაქსულად, სტიქიურად, არაორგანიზებულად. ოპორტუნისტები კმაყოფილნი იქნებოდნენ, წერდა ლენინი, თუ მათ დავუთმობდით რეფორმებისათვის ბრძოლას. სინამდვილეში საჭიროა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რეფორმების სწორი გამოყენება. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან რეფორმებისათვის რევოლუციური და რეფორმისტული მუშაობა.

ლენინიზმი რეფორმისტებისადმი უთუო (ყველა პირობებში) მხარდაჭერის წინააღმდეგია. როდესაც მომწიფებულია უშუალო რევოლუციური სიტუაცია და დღის წესრიგში დგას პოლიტიკური ხელისუფლების აღების საკითხი, მუშათა კლასმა დრო არ უნდა დაჰკარგოს „შუალედი საფეხურების“ მნიშვნელობაზე მსჯელობით. ყველა დანარჩენ შემთხვევაში მარქსისტები მხარს უჭერენ რეფორმებისათვის რევოლუციურ ბრძოლას. რეფორმისტების, პაციფისტების, კაუცკელების ზემოთ მოყვანილ ლოზუნგს რევოლუციონერები უპირისპირებენ მოთხოვნას: „ა ნ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომლის არაპირდაპირი პროდუქტი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს არის ხოლმე რეფორმები (რევოლუციის არასრული წარმატების შემთხვევაში) ა ნ დ ა არავითარი რეფორმები“[1]. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად, სოციალ-დემოკრატიულად განხორციელებული რეფორმები იქცევიან რევოლუციის კარიბჭედ და წინამორბედად.

მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალურ პრობლემებს ყოველთვის აყენებს და წყვეტს კლასობრივი პრინციპით, საბოლოო მიზნისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა მუშათა პარტიის ზრუნვის ერთ-ერთი საგანია. მაგრამ იგი „ყოველნაირად“ როდი უწყობს ხელს ეკონომიური მდგომარეობის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 279.

გაუმჯობესებას. ლენინიზმი მხარს უჭერს ბრძოლას მდგომარეობის მხოლოდ ისეთი გაუმჯობესებისათვის, რომელიც ამაღლებს მუშათა უნარს აწარმოონ კლასობრივი ბრძოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობის გაუმჯობესებას შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური შეგნებულობის გარყვნა. ზოგჯერ შეიძლება ბურჟუაზიულ კანონმდებლობასაც დავუჭიროთ მხარი. ეს იქნებოდა „უმცირესი ბოროტება" პროლეტარიატის მხრიდან, მაგრამ მხარდაჭერა დაუშვებელია, თუ ოდნავადაც კი სუსტდება ამით მუშათა რევოლუციური მოძრაობა. პროლეტარიატი მხარს უჭერს რეფორმების მხოლოდ ისეთ პროგრამას, რომელიც უეჭველად გააძლიერებს მის დამოუკიდებლობას და ბრძოლის უნარს. მხოლოდ ამ პრინციპის განუხრელი დაცვით უვნებელ ვყოფთ ზემოდან მიღებულ „ყოველთვის ორჭოფ, ყოველთვის თვალმაქცურ, ყოველთვის ბურჟუაზიული და პოლიტიკური ხაფანგებით აღჭურვილ რეფორმებს"[1].

ლენინიზმი გვასწავლის, რომ რევოლუციონერებმა არ უნდა უგულებელყონ ლეგალური მოქმედების, აშკარა გამოსვლის, მოძრაობის ბაზის გაფართოების არც ერთი შესაძლებლობა. მათ უარი არ უნდა თქვან მტრის სრულიად უმნიშვნელო კერძო პოზიციის აღებაზეც, თუ კი ამით გაძლიერდება საერთო იერიში სრული გამარჯვების უზრუნველსაყოფად. მაგრამ ყველა ამ შემთხვევებში ზომიერების დაცვა წარმატების აუცილებელი პირობაა. ზოგჯერ მტერი, მიუთითებდა ლენინი, განზრახ ტოვებს პოზიციებს, რომ უფრო ადვილად დაამარცხოს მოწინააღმდეგე. „მოძრაობის აცდენა ყალბი ნაბიჯებისა და სამარცხვინო შეცდომებისაგან, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მუდამ მხედველობაში ექნებათ „საბოლოო მიზანი" და „მოძრაობის" თვითეულ ნაბიჯს და თვითეულ ცალკე რეფორმას შეაფასებენ საერთო რევოლუციური ბრძოლის თვალსაზრისით"[2].

რევოლუციონერები, რეფორმისტებისაგან განსხვავებით, რეფორმებისათვის ბრძოლას უმორჩილებენ ბრძოლას რევოლუციისათვის. ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი, მიუთითებდა ლენინი, რეფორმებისა სიძვირის შესახებ. მაგრამ შეუძლებელია სიძვირის დ ა ძ ლ ე ვ ა რევოლუციის გარეშე. რევოლუციონერი რეფორმებზე უარს არ ამბობს სწორედ რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის განვითარების მიზ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 11, გვ. 69.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი., თხზ., ტ. 5, გვ. 81.

ნით. ყოველ კომპრომისში რევოლუციონერი ერთგულებას უნდა იჩენდეს პრინციპებისადმი. ეს ნიშნავს უნარს მოამზადო რევოლუცია და მხარი დაუჭირო რეფორმებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ამსუბუქებს მასზე გადასვლას. რეფორმებისათვის ბრძოლა ყოველთვის უნდა დაუმორჩილოთ რევოლუციის მომზადების მიზნებს, უფრო ზუსტად, ეს ბრძოლა, როგორც ნაწილი, უნდა დაუქვემდებაროთ მთელს — რევოლუციურ ბრძოლას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის.

რეფორმების საშუალებით შეუძლებელია კაპიტალისტური საზოგადოების არსებობის ძირეული საკითხების გადაწყვეტა. რეფორმა რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არამთავარი პროდუქტია სწორედ იმიტომ, რომ იგი ამ ბრძოლის შესუსტებისა და მოდუნების ცდის გამოხატულებაა. ამიტომ მოითხოვდა ლენინი რეფორმისტებისაგან მკვეთრ გამიჯვნას. რევოლუციონერები მხარს უჭერენ რეფორმების ისეთ პროგრამას, რომელიც მიმართულია არა მარტო ბურჟუაზიის, არამედ ოპორტუნისტების წინააღმდეგაც. მოჰყავდა რა ფ. ენგელსის სიტყვები „ჩვენ გადასახდელს ნაწილ-ნაწილადაც მივიღებთ“ ვ. ი. ლენინი დასძენდა — რევოლუციური სოციალ-დემოკრატია „არავითარ შემთხვევაში არ „გაიხდის თავის“ ლოზუნგებად ორჭოფულ ბურჟუაზიულ-რეფორმისტულ ლოზუნგებს“[1]. მაშასადამე, პროლეტარიატი რეფორმებს განიხილავს და იყენებს როგორც რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის დამხმარე პროდუქტს. კლასობრივი ბრძოლის ძირითადი პროდუქტი და შემდეგი, როგორც აღინიშნა, არის რევოლუცია.

კლასობრიობის პრინციპი განსაზღვრავს არა მარტო რეფორმების ისტორიულ ადგილს რევოლუციასთან მიმართებაში, არამედ რეფორმების რ ე ა ლ უ რ შინაარსსაც რევოლუციის მომზადების პერიოდში. რეფორმისტებისათვის პროგრესის მამოძრავებელია „სოლიდარობა“, რევოლუციონერებისათვის კი კლასობრივი ბრძოლა. საბოლოო წარმატების აუცილებელი მოთხოვნაა კლასობრივი ბრძოლის განუწყვეტლობა. მუშები ზოგჯერ იძულებული არიან, წერს მ. ტორეზი, გაფიცვის პროცესში დაიწყონ მუშაობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს ბრძოლის შეწყვეტას. გაბატონებული კლასები იძულებული არიან რეფორმებზე დათანხმდნენ სწორედ რევოლუციონერი კლასების შეუპოვ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 12, გვ. 279.

რობის შედეგად. ამიტომაა, რომ ბურჟუაზია კომპრომისებზე მიდის უპირატესად რევოლუციის აღმავლობის პერიოდში და პირიქით ცდილობს უკან წაიღოს დათმობები განსაკუთრებით მოძრაობის წაზღვავებისას, როცა „ქარიშხალი“ ჩამდგარია.

რეფორმების რეალობა დამოკიდებულია მუშათა მოძრაობის ძალასა და სიძლიერეზე. ყალბი რეფორმებიც კი ქვედაფენების დაწოლის შედეგია. სოციალური რეფორმები არასოდეს არ არის განპირობებული, წერდა კ. მარქსი, ძლიერთა სისუსტით. ისინი ცხოვრებაში ყოველთვის გამოწვეულია სუსტთა ძალით[1]. რევოლუციური პროლეტარიატი რომ არა, 17 ოქტომბრის მანიფესტი არ გამოიცემოდა, „მუშების მხრივ მუდმივი ძალდატანების გარეშე“ არც სამუშაო დღის კანონმდებლობა შეიცვლებოდა, რადგან „წმინდა ეკონომიური ხასიათის ბრძოლაში, — წერდა კ. მარქსი, — კაპიტალი უფრო მძლავრ მხარეს წარმოადგენს“[2].

ყოველი რეფორმა მტკიცე, სერიოზული და ნამდვილი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამაგრებულია კლასობრივი ბრძოლის რევოლუციური მეთოდებით. ბრძოლა რეფორმებისათვის უნდა შეეაერთოთ მუშათა მოძრაობის რევოლუციურ მეთოდებთან. ამ მოთხოვნის დაცვით ჩვენ შეგვიძლია ვიბრძოლოთ რეალური გარდაქმნებისათვის და „აღმავალი ხაზის“ რეფორმები გამოვიყენოთ რევოლუციურ ძალთა გასაერთიანებლად. „რეფორმების ერთადერთი მ ტ კ ი ც ე დასაყრდენი, — წერს ლენინი, — მათი არაფიქციურობის, ხალხის საკეთილდღეოდ მათი გამოყენების ერთადერთი სერიოზული გარანტია — ეს არის დამოუკიდებელი რევოლუციური ბრძოლა პროლეტარიატისა, რომელიც თავის ლოზუნგებს ა რ ა კ ნ ი ნ ე ბ ს“[3]. პროლეტარიატს ყოველთვის უნდა ახსოვდეს მთავარი მიზანი. ამ პრინციპის დარღვევას ზიანი მოაქვს არა მარტო რევოლუციის, არამედ რეფორმების საქმისათვისაც. რევოლუციური ბრძოლის გარეშე სანახევრო რეფორმებიც კი ვერ განხორციელდება. თუ საკითხს რეფორმისა და რევოლუციის ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს თვალსაზრისით განვიხი-

---

[1] См. К. Маркс и Ф. Энгельс, сочинения, т. 4, стр. 256.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 509

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ 12, გვ. 281.

ლავთ, უნდა ითქვას, რომ რევოლუციის საქმის შესუსტება რეფორმის საქმის შესუსტებასაც ნიშნავს. ამრიგად, საბოლოო ჯამში წარმატების განმსაზღვრელი პირობაა პროლეტარიატის დამოუკიდებელი კლასობრივი ბრძოლა სოციალური რევოლუციისათვის.

* *

რეფორმისტები ამახინჯებენ სოციალური რევოლუციის არსს. ისინი უპირისპირებენ ერთმანეთს პოლიტიკურ და სოციალურ რევოლუციას. სინამდვილეში მათ შორის ორგანული ერთიანობაა. ყოველი რევოლუცია ანგრევს ძველ საზოგადოებას და ამდენად სოციალურია, სოლო რამდენადაც ის ართმევს ხელისუფლებას ძველ კლასს, — პოლიტიკურია. „გადატრიალება, რომლისადმი თანამედროვე სოციალიზმი მიისწრაფვის, — წერს ფ. ენგელსი, — თუ მოკლედ ვიტყვით, ნიშნავს პროლეტარიატის გამარჯვებას ბურჟუაზიაზე"[1]. პირიქით, ყოველი პოლიტიკური გადატრიალება, თუ ის მხოლოდ ხროვათა შეცვლა არ არის, მიუთითებდა ლენინი, არის სოციალური რევოლუცია. ბოლომდე მიყვანილი ყოველი სოციალური რევოლუცია ამავე დროს პოლიტიკური რევოლუციაა. ცხადია, სოციალური რევოლუცია არ დაიყვანება პოლიტიკურ ხელისუფლებამდე. იგი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხება. სოციალური რევოლუცია ფართო გაგებით მოიცავს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის მთელ პერიოდს, ვიწრო გაგებით, გულისხმობს პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებას, ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის პოლიტიკურ გამარჯვებას. პოლიტიკურ ხელისუფლებას მუშათა კლასი იყენებს სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად. ხალხის მასების სასარგებლოდ პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენება არ შეიძლება გახდეს წინსვლის კანონზომიერება მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში. საწინააღმდეგოს ქადაგებდა რეფორმისტთა ცრურწმენა. პოლიტიკური და სოციალისტური რევოლუციის თანაფარდობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „პოლიტიკურ რევოლუციებს არავითარ შემთხვევაში, არასოდეს, არავითარ

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II. თბ., 1964, გვ. 49—50.

პირობებში არ შეუძლიათ დაჩრდილონ და არც შეასუსტონ სოციალისტური რევოლუციის ლოზუნგი. პირიქით, ისინი ყოველთვის აახლოებენ ამ რევოლუციას, აფართოებენ მის ბაზას... მეორე მხრივ კი, პოლიტიკური რევოლუციები გარდუვალია სოციალისტური რევოლუციის მსვლელობაში"[1].

მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალური რევოლუციის აუცილებლობის აღიარებით იცავს „კაპიტალიზმის უცბად დამხობის", მისი მსხვრევის, ესე იგი ნახტომისებური განვითარების თვალსაზრისს. რეფორმებისათვის ბრძოლა არ ეწინააღმდეგება მოძღვრებას „უფსკრულისა და უცბად დამხობის შესახებ" — სოციალისტური რევოლუციის თეორიას. ასეთი დაპირისპირებულობა რეფორმისტების ცრურწმენაა. რეფორმებისათვის ბრძოლა წარმოებს სწორედ გარკვეული მიზნით — „დამხობამდე" მისასვლელად. შეუძლებელია ახალი წყობილებისაკენ მიმართული მოძრაობა მუშათა მოძრაობისაგან (მაშასადამე, რეფორმებისათვის ბრძოლისაგან). გამოვყოთ. ამასთან დაკავშირებით დგება რევოლუციის სასარგებლოდ ეგრეთ წოდებული „დამხმარე საფეხურების" გამოყენების საკითხი.

რევოლუცია რთული სოციალური მოვლენაა. იგი უცბად კი არ ხდება. უნდა დავეუფლოთ მას საფეხურებრივ. რევოლუციის წარმატებით განხორციელება „მოსამზადებელი მუშაობის" სწორ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. თანამედროვე რეფორმისტებს რევოლუცია წარმოდგენილი აქვთ როგორც საყოველთაო ნგრევა, მთელი წარსულის ხელაღებით უარყოფა. უგუნურებაა საყოველთაო გაფიცვა, საკმარისია პროფესიული ბრძოლა და კონსტიტუციური მუშაობა, — აცხადებენ ისინი. რეფორმისტთა მტკიცებით მარქსიზმი უშვებს განვითარების **ან** ევოლუციურ, **ან** რევოლუციურ შესაძლებლობას. სინამდვილეში ევოლუციური ცვლილებები ამზადებენ რევოლუციას. ნამდვილი ცხოვრება, ნამდვილი ისტორია სხვადასხვა ტენდენციას შეიცავს — ნელ ევოლუციასაც და ჩქარ ნახტომებსაც. ევოლუცია და რევოლუცია კი არ უნდა დავუპირისპიროთ და გავთიშოთ, არამედ უნდა განვიხილოთ ერთიანობაში. ძველიდან ახალ მდგომარეობაზე გადასვლა ხდება ნახტომების, რევოლუციის შედეგად. მარქსიზმის ქვაკუთხედი რევოლუციაა, მაგრამ ეს უკანსაკნელი ევოლუციური პროცესის დაგვირგვინებაა.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 21, გვ. 414.

რეფორმისტები ევოლუციური ცვლილებების არსსაც ამახინჯებენ. ლენინი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა მასობრივ-პოლიტიკურ გაფიცვებს. მაგრამ პოლიციასთან ხელჩართული ომი არასოდეს არ მიაჩნდა მას ბრძოლის საუკეთესო სახედ, „შეგნების განვითარების საუკეთესო საშუალებად". ლენინიზმი იცავს დინჯ და გამძლე ბრძოლის ორგანიზაციის კურსს.

რეფორმისტებს ყალბად აქვთ წარმოდგენილი ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის თანაფარდობაც. ისინი იცავენ ეკონომიური ბრძოლით სოციალიზმზე გადასვლის თვალსაზრისს. სინდიკალისტებიც უარყოფდნენ თავის დროზე მოქმედების პროგრამის წინასწარ შემუშავების საჭიროებას. თვითეული ფაბრიკა პროგრამის განხორციელებაა, — აცხადებდნენ ისინი. პრინციპში იგივე აზრს იცავენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები. ამით რეფორმისტები უარყოფენ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას და ქადაგებენ წმინდა ევოლუციონიზმის იდეას.

ყოველი ისტორიული ბრძოლა საზოგადოებრივ კლასთა ბრძოლის გამოხატულებაა. კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის დახსნა შეუძლია მხოლოდ ორგანიზებული პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლას. სოციალიზმს რომ მოაშორო კლასობრივი ხასიათი, ნიშნავს წაართვა მას ისტორიული შინაარსი. ცალკეული ფაბრიკის მუშების ბრძოლა მეპატრონეთა წინააღმდეგ არ არის კლასობრივი და, მით უფრო, პოლიტიკური ბრძოლა. იგი კლასობრივ ბრძოლად მხოლოდ მაშინ იქცევა, როდესაც მოცემული ფაბრიკის (თუნდაც ქვეყნის) მუშები თავს აცხადებენ საერთოდ მუშათა კლასის წარმომადგენლად და მოითხოვენ არა ერთი მეპატრონის მეორეთი შეცვლას, არამედ კაპიტალისტების მთელი კლასის ხელისუფლების გადასვლას ახალი კლასის, პროლეტარიატის, ხელში. ამჯერად კ ლ ა ს ი უპირისპირდება კ ლ ა ს ს და მუშების ბრძოლა მეფაბრიკეების წინააღმდეგ კლასობრივ ბრძოლად იქცევა. „...საზოგადოების ორი დიდი კლასის შებმა უეჭველად იქცევა პოლიტიკურ ბრძოლად... ერთი კლასის ყოველ ბრძოლაში მეორის წინააღმდეგ, — წერდა ფ. ენგელსი, — უახლოეს მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური ძალაუფლება"[1]. მეორე მხრივ, ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა. ეს იმას როდი

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ინგლისის შესახებ, თბ., 1959, გვ. 537.

ნიშნავს, რომ მუშების ყოველგვარი ბრძოლა მეპატრონის წინააღმდეგ ყოველთვის პოლიტიკური ბრძოლაა. „მუშების ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — აუცილებლად პოლიტიკურ ბრძოლად იქცევა იმდენად, რამდენადაც ის კლასობრივ ბრძოლად იქცევა“[1].

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იყოფა ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლად. ეკონომიური ბრძოლა არის პროფესიული ბრძოლა, „კაპიტალისტებისადმი წინააღმდეგობის გაწევა“ (ენგელსი). მუშების კოლექტიური ბრძოლა მეპატრონეებთან სამუშაო ძალის გაყიდვისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების მოსაპოვებლად. „ეკონომიური მხილება“ ვიწრო უწყებრივი ბრძოლაა, რომელიც არ სცილდება მოცემული საამქროს ფარგლებს. ამ გაგებით ეკონომიური ხასიათის დათმობებს ვ. ი. ლენინი უწოდებდა „ცრუ დათმობებს“. საჭიროა ეკონომიური ბრძოლის ორგანული შესამება პოლიტიკურ ბრძოლასთან. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საერთო-ეროვნულ კლასობრივ ბრძოლას პოლიტიკისათვის. პოლიტიკური მხილება ომის გამოცხადებაა მთავრობისათვის, ეკონომიური მხილება ომს უცხადებს ცალკეულ მეფაბრიკეს. ბრძოლის ორივე ფორმის შეხამების პირობებში, მიუთითებდა ლენინი, ჩვენ შეგვიძლია მთავრობას წავუყენოთ ისეთი მოთხოვნები, რომ მან უნდა „შეწყვიტოს თვითმპყრობელურ მთავრობად ყოფნა“. როცა პოლიტიკური ბრძოლის უპირატეს მნიშვნელობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს რევოლუცია როგორც უმაღლესი პოლიტიკური აქტი, რევოლუციის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა პროლეტარიატის სასარგებლოდ. „კლასთა ყველაზე საარსებო, „გადამწყვეტი“ ინტერესები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას საერთოდ მხოლოდ ძირითადი პოლიტიკური გარდაქმნებით; კერძოდ, პროლეტარიატის ძირითადი ეკონომიური ინტერესები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას მხოლოდ პოლიტიკური რევოლუციის საშუალებით, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურას პროლეტარიატის დიქტატურით შეცვლის“[2].

რეფორმისტები ამახინჯებენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 258.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 490.

რევოლუციის ფორმების შესახებ და მასთან დაკავშირებით რეფორმების როლს. მარქსიზმი მოძრაობას არ უკავშირებს ბრძოლის მხოლოდ ერთ განმსაზღვრელ ფორმას. იგი „უსათუოდ არ უარყოფს ბრძოლის არც ერთ ფორმას“ (ლენინი). მარქსიზმ-ლენინიზმი როდია წინააღმდეგი რევოლუციის მშვიდობიანი გზით განვითარებისა, თუ კი საამისო პირობები შეიქმნება. მშვიდობიანი რევოლუცია, მიუთითებდა ლენინი, იშვიათია და ძნელი, მაგრამ შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც. მუშათა კლასის მსოფლმხედველობას მშვიდობიანი რევოლუცია უფრო შეესატყვისება. სხვა შემთხვევაში აუცილებელია შეიარაღებული აჯანყება, სამოქალაქო ომი. რევოლუციის ფორმები დამოკიდებულია სოციალურ ძალთა თანაფარდობაზე ეროვნული და მსოფლიო მასშტაბით. რეფორმისტებისათვის მშვიდობიანი განვითარების გზა არ არის რევოლუციის გზა. ამიტომ ისინი საერთოდ უარყოფენ სოციალური იძულების საჭიროებას. სინამდვილეში სოციალური იძულება ყველა შემთხვევაში ძველიდან ახალზე გადასვლის აუცილებელი პირობაა.

მარქსისტებისათვის იძულება არ არის თვითმიზანი. იგი არ ნიშნავს ძველზე უბრალოდ „არასთქმას“. მაგალითად ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა რევოლუციის აუცილებელი ნიშანია. პროლეტარიატმა უნდა დაამსხვრიოს ყოველივე, რაც მჩაგვრელია ძველ სახელმწიფო აპარატში, — მუდმივი ჯარი, პოლიცია, მოხელეობა და სხვ. მაგრამ „მჩაგვრელ“ აპარატს გარდა, თანამედროვე სახელმწიფოში არის აპარატი, რომელიც განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკებთან და სინდიკატებთან, აპარატი, რომელიც ასრულებს უამრავ საღრიცხვო-სარეგისტრაციო ხასიათის სამუშაოს, თუ შეიძლება ასე ითქვას“[1]. არ არის საჭირო ამ უკანასკნელი ნაწილის მოკვეთა. შეიძლება მისი გამოყენება სოციალიზმის საქმისათვის. მაშასადამე, რევოლუცია წარსულის სრულ მოსპობას კი არ მოითხოვს, როგორც ეს სურთ დაამტკიცონ მემარჯვენე სოციალისტებს. ძველის „დიალექტიკური უარყოფა“ ახალი საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის ერთ-ერთი პირობაა. როცა რევოლუცია არამშვიდობიანი გზით ვითარდება, პროლეტარიატი ატარებს რადიკალური ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნების კურსს. რეფორმებს ამ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 26. გვ. 109.

ჯერად არა აქვს დომინირებული მნიშვნელობა. თუ რევოლუცია მშვიდობიანი ფორმით ხორციელდება, უფრო საგრძნობია გარდამავალი საფეხურების, ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციების „კომბინირებული ტიპების“ როლი. შესაბამისად იზრდება რეფორმების მნიშვნელობაც. მაგრამ ორივე შემთხვევაში ძველიდან ახალზე გადასვლა ხორციელდება მხოლოდ სოციალური რევოლუციის გზით.

რეფორმეგი და ბრძოლა დემოკრატიისათვის

საერთაშორისო ურთიერთობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძირეული ცვლილებები მოხდა. სოციალიზმი იქცა მსოფლიო სისტემად. დაინგრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. გაფართოვდა რევოლუციის სოციალური ბაზა. უფრო მომწიფდა მისი ობიექტური და სუბიექტური პირობები. **„მთელი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა,** — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — **მომწიფდა პროლეტარიატის სოციალისტური რევოლუციისათვის“**[1]. ამის შედეგად — შეიცვალა ეპოქის ხასიათი. მისი ძირითადი შინაარსი გახდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა.

ახალ პირობებში სხვა ასპექტში უნდა განვიხილოთ რეფორმებისა და დემოკრატიის ურთიერთობის საკითხი. ჩვენს დროში რეფორმებმა ახალი შინაარსი მიიღო უმთავრესად დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების თანაფარდობის პრობლემის ახლებურად გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

რეფორმისტებისათვის რეფორმა და დემოკრატია იდენტური მნიშვნელობის ცნებებია. ეს ერთგვარად კანონზომიერიცაა. ისინი უარყოფენ რევოლუციის როლს და მთელ იმედებს ამყარებენ რეფორმაზე, რომელსაც აიგივებენ დემოკრატიასთან. დემოკრატიის განვითარებით შეიძლება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, წერდა ბერნშტეინი. დემოკრატიას და სოციალიზმს აიგივებდა კ. კაუცკიც. დემოკრატია ბოლოს და ბოლოს შეუძლებელს გახდის კაპიტალიზმის არსებობასო, ამბობდა იგი. იგივეს იმეორებენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები. სოციალიზმი მიზანია, დემოკრატია—საშუალება, ნათქვამია ავსტრიის სოციალისტური პარტიის პროგრამაში. რევიზიონისტ ა. ჯოლიტისათვის რეფორმა (სტრუქტურული რეფორმა)

---

[1] „სკკპ პროგრამა“ გვ. 13.

რევოლუციაა, ესე იგი, სოციალიზმი რეფორმების ჯამია[1]. ამრიგად, მემარჯვენე ოპორტუნისტებისათვის დემოკრატიული მოძრაობა სოციალისტური მოძრაობაა და შესაბამისად დემოკრატიის ანუ რეფორმებისათვის ბრძოლა არის სოციალიზმისათვის ბრძოლა.

დემოკრატიისათვის ბრძოლის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც პროლეტარული რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი პრაქტიკულ ხასიათს იძენს. ოპორტუნისტთა ერთი ნაწილი გამოვიდა დემოკრატიისათვის ბრძოლის წინააღმდეგ. მაგალითად, „იმპერიალისტური ეკონომისტები" ამტკიცებდნენ, იმპერიალიზმის ეპოქაში ყოველი დემოკრატიული მოთხოვნა უტოპიაა. რაკი იმპერიალისტური რეაქციაა, საჭიროა ბრძოლა მხოლოდ სოციალიზმისათვის. დემოკრატიისათვის ბრძოლა დამთავრდა კლასიკური ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში. ახლა სოციალისტური ბრძოლის ჯერია, აცხადებდნენ ისინი. ამიტომ „იმპერიალისტი ეკონომისტები" მოითხოვდნენ „პროგრამა მინიმუმის" გაუქმებას. იგივე აზრს იცავდა ტროცკი. წიგნში „ომი და რევოლუცია" იგი გამოყოფდა სპეციალურ პარაგრაფს: „ლეგენდა დემოკრატიისათვის ბრძოლის შესახებ". იმპერიალიზმის ეპოქაში, ამბობდა ტროცკი, დემოკრატიის საკითხს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, დემოკრატიისათვის ბრძოლა—ესაა სიცრუე და ილუზია. აბსოლუტიზმზე გამარჯვებისათვის ასკვნიდა ტროცკი, საჭიროა არა ლოგიკის ძალა, არამედ ძალის ლოგიკა. ბაზაროვის მტკიცებით პროგრამაში საბოლოო და უახლოესი ამოცანების გამოყოფა მხოლოდ ანაქრონიზმია. ოპორტუნისტთა მეორე ნაწილი სხვა უკიდურესობაში ვარდებოდა. მათთვის „პროგრამა მინიმუმი" იყო აუცილებელი და საკმარისი პირობა სოციალიზმზე გადასასვლელად.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა და მეცნიერულად დაასაბუთა რეფორმებისა და დემოკრატიის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის თანაფარდობის ძირითადი პრინციპები.

რეფორმებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ არცაა მეტაფიზიკურად გათიშული. პროლეტარიატი იბრძვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ პუნქტში სოციალური რეფორმებისათვის ბრძოლას აქვს დემოკრატიისათვის

---

[1] См. Л. Лонго. Ревизионизм новый и старый, М., 1958, стр. 39.

ბრძოლის მნიშვნელობა. სწორად გამოყენებული რეფორმები ისეთსავე როლს ასრულებენ სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების საქმეში, როგორსაც დემოკრატიისათვის ბრძოლა. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა მეტისმეტად არ გაგვემიჯნა „სოციალური რეფორმისა და დემოკრატიული გარდაქმნების სხვადასხვა დარგი". აქვე იგი ლაპარაკობდა „საფაბრიკო (და საერთოდ სოციალური) რეფორმების აუცილებელ კავშირზე" დემოკრატიულ პოლიტიკურ გარდაქმნებთან[1]. მაგრამ რეფორმებისათვის ბრძოლა არ ემთხვევა დემოკრატიისათვის ბრძოლას. ზოგიერთი რეფორმა (ვ. ი. ლენინს თავის დროზე საილუსტრაციოდ მოჰყავდა ლიკვიდატორების რეფორმა), პირიქით, ხელს უშლის მუშათა კლასის დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. ამიტომ აუცილებელია რეფორმების საკითხს მივუდგეთ კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით.

ასეთივე ურთიერთობაა დემოკრატიულ და სოციალისტურ ბრძოლას შორის. ვინც რეფორმებს რევოლუციასთან აიგივებს, დემოკრატიისათვის ბრძოლასაც აიგივებს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან. ვინც აიდეალებს დემოკრატიის როლს, ხელს უშლის როგორც სოციალიზმის, ისე თვით დემოკრატიის საქმეს. ბურჟუაზიას არ ძალუძს ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა. შესაბამისად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას არ შეუძლია დემოკრატიული ამოცანების სრული გადაწყვეტა. მას შემდეგ რაც ბურჟუაზია, როგორც კლასი, კონტრრევოლუციური ძალა გახდა, პროლეტარიატი იღებს ხელში როგორც სოციალიზმის, ისე საკუთრივ დემოკრატიის დროშას. იგი დამოუკიდებლად ახდენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას. მუშათა კლასი არის ჰეგემონი როგორც სოციალისტური, ისე დემოკრატიული რევოლუციისა. პროლეტარიატი იმუშავებს საკუთარ დადებით დემოკრატიულ პროგრამას. მისი განხორციელება ხდება დემოკრატიული და, საბოლოო ჯამში, სოციალისტური რევოლუციის გზით. სოციალისტური რევოლუცია შეუძლებელია დემოკრატიისათვის უბრძოლველად. დემოკრატიის სრული განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შედეგად და შემდეგ. „სოციალიზმი დემოკრატიის გარეშე, — წერდა ლენინი, — შეუძლებელია ორი აზრით: (1) პროლეტარიატი ვერ შეძლებს სოცია-

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 16, გვ. 128—129.

ლისტური რევოლუციის მოხდენას, თუ იგი საამისოდ დემოკრატიისათვის ბრძოლით არ ემზადება; (2) გამარჯვებული სოციალიზმი ვერ შეინარჩუნებს თავის გამარჯვებას და ვერ მიიყვანს კაცობრიობას სახელმწიფოს კვდომამდე, თუ სრულად არ განახორციელა დემოკრატია"[1].

რეფორმისტები ბურჟუაზიულ დემოკრატიას ანიჭებენ შემოქმედებით როლს. როცა ისინი აცხადებენ დემოკრატიის გზით მივალთ სოციალიზმამდეო, ფაქტიურად უარყოფენ რევოლუციის აუცილებლობას და იცავენ ბურჟუაზიული დემოკრატიის შენარჩუნებისა და სრულყოფის თვალსაზრისს. მემარჯვენე სოციალისტები ქადაგებენ „წმინდა დემოკრატიის" იდეას. მათი ლოზუნგი: „სოციალიზმი მიზანია, ხოლო დემოკრატია საშუალება" — მოდერნიზირებული რეფორმისტული ილუზიაა მხოლოდ. სინამდვილეში დემოკრატიული უფლება არ არის ფეტიში. „უნდა შეგვეძლოს **შევაერთოთ** დემოკრატიისათვის ბრძოლა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა, ამასთან პირველი **დავუქვემდებაროთ** მეორეს"[2]. ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა მოძრაობის რევოლუციური გზა შეიძლება იყოს არა სოციალ-დემოკრატიული გზაც. მაგრამ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ყველა პირობებში აქვს სოციალურ რევოლუციას, რომელიც პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთავარი შედეგია. ამრიგად, რეფორმისტები ხელმძღვანელობენ „კაპიტალიზმის დემოკრატიული ევოლუციის" თეორიით, მარქსიზმის ქვაკუთხედია რევოლუცია.

ჩვენს დროში, როდესაც მსოფლიო განვითარების ძირითად მიმართულებას განსაზღვრავენ სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, დამკვიდრდა ახალი ურთიერთობა რეფორმებსა და რევოლუციას შორის. შესაბამისად, ახლებურად უნდა გადაწყდეს რეფორმებისა და დემოკრატიის, მუშათა კლასის დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანების თანაფარდობის საკითხი. „საერთოდ ისტორია, კერძოდ რევოლუციების ისტორია, — წერდა ლენინი, — მუდამ უფრო მდიდარია შინაარსით, უფრო მრავალფეროვანი, მრავალმხრივი, უფრო ცოცხალი და „დახლართულია", ვიდრე წარმოდგენილი აქვთ ყველაზე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 88.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 274.

კარგ პარტიებს"[1]. მარქსიზმ-ლენინიზმი შემოქმედებითი მეცნიერებაა. მეცნიერული კომუნიზმის პრინციპებს ყოველთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეპოქის შესაბამისი ახალ-ახალი დასკვნებით ვითარდება და მდიდრდება თვით პრინციპები. კომუნისტური პარტიების მიერ შემუშავებული „ახალი დემოკრატიისათვის" ბრძოლის პროგრამა ამ დებულების სისწორის ნათელი დადასტურებაა.

თანამედროვე პირობებში მონოპოლისტურ ბურჟუაზიას უჭირს დიქტატურის განხორციელება „კლასიკური" პარლამენტური დემოკრატიის საშუალებით. პარლამენტი მას კლასობრივი ბატონობის უზრუნველყოფის ნაკლებად სანდო და ეფექტურ იარაღად მიაჩნია. ზოგიერთი მონოპოლისტი პარლამენტს საშიშ ორგანოდაც კი აცხადებს. კაპიტალიზმი ცდილობს შეეგუოს ახალ პირობებს. ამ მიზნით ბურჟუაზია მიმართავს. მაგალითად, ეკონომიკაში „პროგრამირების", „ინტეგრაციის" სხვადასხვა ხერხს. მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ იგი იყენებს როგორც ლიბერალურ, ისე აშკარა დათრგუნვის მეთოდებს. მოტყუებისა და ძალადობის ამ პოლიტიკით უკმაყოფილოა არა მარტო მუშათა კლასი და გლეხობა, არამედ წვრილი და საშუალო ბურჟუაზია, აგრეთვე ინტელიგენცია. ამიტომ ახლა მონოპოლისტთა ყოვლისშემძლეობის ლიკვიდაციით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ერის უმრავლესობა. ეს იძლევა მძლავრი ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნის შესაძლებლობას. ამჟამად თვით ისტორიის ლოგიკა აერთიანებს ყველა უკმაყოფილო ტენდენციას ანტიიმპერიალისტურ საერთო ბანაკად. ასეთ პირობებში მუშათა კლასი ვალდებულია დაუპირისპიროს ბურჟუაზიას ბრძოლის საკუთარი მეთოდი. პროლეტარიატი აყენებს მონოპოლიების ყოვლისშემძლეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო დემოკრატიულ პროგრამას. „ახალ ისტორიულ ვითარებაში, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — ბევრი ქვეყნის მუშათა კლასს ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დამხობამდე შეუძლია თავს მოახვიოს ბურჟუაზიას ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც სცილდებიან ჩვეულებრივი რეფორმების ფარგლებს და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ როგორც მუშათა კლასისათვის და რევოლუციის გასამარჯვებლად, სოციალიზმისათვის მისი შემდგომი ბრძოლის განვითარებისათვის, ისე ერის უმრავლესობისათვის"[2].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 102.

[2] „სკკპ პროგრამა", გვ. 53.

დემოკრატისათვის ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე ახლებურად დგება რეფორმების გამოყენების საკითხი. ჩვენი ეპოქის ნიშანია რეფორმებისა და დემოკრატიის დაახლოების ტენდენციის გაძლიერება. შესაბამისად, ვიდრე უშუალო სოციალისტური რევოლუციის ჯერი არ დადგება, პროლეტარიატი მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მეთოდად იყენებს დემოკრატიულ რეფორმებს. კომუნისტური და მუშათა პარტიები დემოკრატიული რეფორმების აღსანიშნავად სარგებლობენ სხვადასხვა ტერმინებით. იტალიის, ესპანეთის და ბრაზილიის კომუნისტური პარტიის პროგრამულ დოკუმენტებში იხმარება პოლიტიკური ცნება „სტრუქტურული რეფორმები", საფრანგეთის კომუნისტური პარტია მას უწოდებს „ღრმა დემოკრატიულ რეფორმებს", დასავლეთ გერმანიისა — „ღრმა სოციალურ გარდაქმნებს", ავსტრიისა და ფინეთის კომუნისტური პარტიები — „ღრმა სოციალურ რეფორმებს" და ა. შ. არსი ყველა შემთხვევაში ერთია — რეფორმების უშუალო ანტიიმპერიალისტური ხასიათი.

ყოველი ქვეყნის კომუნისტურ პარტიას აქვს საკუთარი საერთოდემოკრატიული პროგრამა. იქ, სადაც ფეოდალიზმის ნაშთები ჯერ კიდევ საგრძნობია, წინა ადგილზე დგას მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისა და აგრარული რეფორმების გატარების მოთხოვნა პრინციპით: „მიწა იმათ, ვინც მას ამუშავებს". ზოგან (მაგალითად, ესპანეთში) ფაშისტური რეჟიმის ლიკვიდაციის ამოცანაა მთავარი. კომუნისტურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნულ ქვეყნებში არჩევანი უნდა გაკეთდეს არა კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას შორის, არამედ ამ უკანასკნელსა და ფაშიზმს შორის"[1].

დემოკრატიისათვის ბრძოლის ფართო პროგრამული მოთხოვნებით გამოდის საფრანგეთის კომუნისტური პარტია. მრეწველობის წამყვანი დარგების ნაციონალიზაცია, სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნა, პარლამენტის როლის ამაღლება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და სკოლებისა ეკლესიისაგან, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ. — ასეთია ამ პროგრამის ძირითადი მოთხოვნები.

იტალიის კომუნისტური პარტია აყენებს „სტრუქტურული რეფორმების" გაშლილ პროგრამას. აქ წინა პლანზე დგას პოლიტიკური და ეკონომიური დემოკრატიზაციის მოთხოვნები — პარლამენტის რო-

---

[1] См. «Коммунисты и демократия», М., 1964, стр. 69.

ლის აღდგენა და მისი უფლებების გაფართოება, სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების დემოკრატიული ნაციონალიზაცია, აგრარული რეფორმა და სხვ. ანალოგიური მოთხოვნებით გამოდიან ინგლისის, აშშ-ის და სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიები.

მუშათა კლასი და მისი პარტია კაპიტალისტთა რეფორმებს უპირისპირებენ სტრუქტურულ რეფორმებს, როგორც დემოკრატიულ ალტირნატივას. ღრმა დემოკრატიული რეფორმები გულისხმობს მონოპოლიების ყოვლისშემძლეობის შესუსტებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებებს „ქვემოდანაც“ და „ზემოდანაც“.

დემოკრატიის „იმპორტი“ წარმოების სფეროში ხელს უწყობს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას და შეგნებულობის ზრდას, გამბედაობას მატებს მას, განამტკიცებს მუშებისა და გლეხების კავშირს. ამ საფუძველზე იქმნება რევოლუციის პოლიტიკური არმია. დემოკრატიული ნაციონალიზაციის კურსის გატარება და მუშათა კონტროლი, პირიქით, ასუსტებს მონოპოლიების გავლენას, იწვევს მსხვილი ბურჟუაზიის იზოლიაციას, მუშათა კლასს განუმტკიცებს მომავალში უბურჟუაზიოდ და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მმართველობის სისტემის შექმნის რწმენას.

დემოკრატიული რეფორმები შეეხება ხელისუფლების სფეროსაც. იტალიის კომუნისტური პარტია აყენებს მემარცხენე ცენტრის მთავრობის შექმნის მოთხოვნას. ხოლო საფრანგეთის კომუნისტური პარტია — სახალხო ერთიანობის დემოკრატიული მთავრობის პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელება, წერს ვ. როშე, საშუალებას მოგვცემს დავამყაროთ მოწინავე ეკონომიური და სოციალური შინაარსის ახალი დემოკრატიული წყობილება, რომელიც სოციალიზმის გზას გაგვიკაფავს[1]. მონოპოლიათა „უზენაესი“ ხელისუფლების შეზღუდვა და ლიკვიდაცია ფაქტიურად ნიშნავს მუშების მიერ „ნახევარი ხელისუფლების“ მოპოვებას. ასე იქმნება „სრული ხელისუფლებისათვის“ ბრძოლის ნიადაგი და მწიფდება სოციალიზმის მიმართულებით რეალური მოძრაობის პირობები.

„სტრუქტურული რეფორმა“ ზედაპირულ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. გაბატონებული კლასების და მათი მუშა-ნოქრების — რეფორმისტებისა და რე-

---

[1] იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1971 წლის 29 ოქტომბერი.

ვიზიონისტების მიერ მოწონებული რეფორმების მიზანი ამჯერადაც კაპიტალისტური წყობილების შეკეთება და განმტკიცებაა. მართალია, ტერმინს „სტრუქტურული რეფორმები“ რევიზიონისტებიც ხმარობენ, მაგრამ ეს ვერ სცვლის საქმის არსს. „სტრუქტურული რეფორმა“, რომელიც რევოლუციას გამორიცხავს, მონოპოლიათა ხელისუფლებას აძლიერებს მხოლოდ. კომუნისტური პარტიების მიერ წამოყენებული და გატარებული „სტრუქტურული რეფორმა“. პირიქით, მოასწავებს მონოპოლიების ხელისუფლების ლიკვიდაციას, ქვეყნის დემოკრატიზაციის გზით რევოლუციის დემოკრატიული ეტაპის დაახლოებას და, საბოლოო ჯამში, შეერთებას სოციალისტურთან. „სტრუქტურული რეფორმები“, წერდა პ. ტოლიატი, სოციალიზმი არაა, მაგრამ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის ისეთი გარდაქმნაა, რომელიც გზას გვიხსნის სოციალიზმისაკენ[1].

„სტრუქტურული რეფორმების“ განხორციელებით ახალ შინაარსს იძენს თვით დემოკრატია. კომუნისტური და მუშათა პარტიები მოითხოვენ იურიდიული დემოკრატიის გარდაქმნას რეალურ, სოციალურ დემოკრატიად. ამისათვის ძველ ინსტიტუტებს უნდა მიეცეს ახალი შინაარსი. ამ აზრითაა ნათქვამი, ჩვენი დემოკრატიული მუშაობის ბაზა კონსტიტუციაა[2]. ამავე მნიშვნელობით საფრანგეთის კომუნისტური პარტია აყენებს დამფუძნებელი კრების მოწვევის მოთხოვნას. მეორე მხრივ, საჭიროა ახალი ორგანოებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირებაც. ასე იქმნება „ახალი დემოკრატია“, რომელიც თავისუფალია ტრესტების მონოპოლისტური გავლენისაგან.

სოციალისტური რევოლუცია არაა „სტრუქტურული რეფორმების“ ჯამი. მაგრამ განხორციელებული ღრმა დემოკრატიული რეფორმა მოძრაობის არც შუალედური გაურკვეველი საფეხურია. ამ გაგებით კომუნისტებისათვის, როგორც პ. ტოლიატი მიუთითებდა, „სტრუქტურული რეფორმები“ არის პოლიტიკური მიზანი, რამდენადაც მისი გამოყენებით იქმნება სოციალიზმისათვის ბრძოლის პლატფორმა. ჩვენს დროში, როდესაც „სოციალიზმი შემოგვცქერის კაპიტალიზმის ყველა ფანჯრიდან“, ყოველი დიდი ღონისძიების გატარებით ისახება

---

[1] См. «Материалы VIII съезда Итальянской Коммунистической партии», М., 1957, стр. 44.

[2] См. «IX съезд Итальянской Коммунистической партии», М., 1960. стр. 82.

იგი უშუალოდ, პრაქტიკულად. გარდამავალი ხასიათის ასეთ ღონისძიებათა ისტორიული ადგილი განსაზღვრა ვ. ი. ლენინმა შრომის საყოველთაო ბეგარის მაგალითზე. ვ. ი. ლენინი ძირეულად განასხვავებდა შრომითი ბეგარის როლს მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობისა და რევოლუციურ-დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში. „შრომის საყოველთაო ბეგარა, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების მიერ შემოღებული, მოწესრიგებული და წარმართული, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ეს ჯერ კიდევ არ არის სოციალიზმი, მაგრამ ეს უკვე აღარ კაპიტალიზმია. ეს არის უზარმაზარი ნაბიჯი სოციალიზმისაკენ, ისეთი ნაბიჯი, რომ, თუ სრული დემოკრატია იქნება შენარჩუნებული, ასეთი ნაბიჯიდან უკვე შეუძლებელი იქნებოდა, მასების მიმართ გაუგონარი ძალადობის გარეშე, უკან, კაპიტალიზმისაკენ მიბრუნება“[1]. ასეთი შეუქცევადი მნიშვნელობა აქვს რევოლუციურად განხორციელებულ თანამედროვე დემოკრატიულ „სტრუქტურულ რეფორმებს“.

ჩვენს დროში ღრმა დემოკრატიულ რეფორმებს აქვთ უპირატესად ანტიმონოპოლისტური ხასიათი. რამ გამოიწვია რეფორმების ხასიათისა და მნიშვნელობის ძირეული შეცვლა? მოძრაობის ობიექტური და სუბიექტური პირობების შეცვლამ. როცა იმპერიალიზმი ყოვლისმომცველი სისტემა იყო, მას ღრღნიდა უმთავრესად შინაკაპიტალისტური წინააღმდეგობები. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ წარმოიშვა ორ სხვადასხვა სისტემას შორის ახალი წინააღმდეგობა, რომელიც არანაკლებ ასუსტებს კაპიტალიზმს. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ბალანსში დიდი წვლილი შეაქვთ კოლონიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ განვითარებად ქვეყნებსაც. გარდა ამისა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდამ სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმში კიდევ უფრო ხელი შეუწყო სოციალიზმის ეკონომიური პირობების მომწიფებას.

თანამედროვე პირობებში კლასობრივმა ბრძოლამ მიიღო გლობალური, უნიტარული ხასიათი. ახლა ყოველი გაფიცვა როდი მთავრდება პოლიციასთან შეტაკებით. სამაგიეროდ მას აქვს მასობრივი, საყოველთაო ხასიათი. დღეს გაფიცვა ლოკალური მოთხოვნებით არ კმაყოფილდება. იგი შეეხება სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებს.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 439.

ამჟამად წმინდა მუშური ხასიათის გაფიცვებიც კი მაშინათვე საერთო რეზონანსს იძენენ. მათი ბედით დაინტერესებულია ერის უმრავლესობა. პროლეტარიატის საერთო და კერძო მოთხოვნების დაახლოება ჩვენი ეპოქის ნიშანია. კერძო მოთხოვნები შეიჭრა საერთო-სტრატეგიული ამოცანების სფეროში. იგი შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ სტრუქტურას. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის თანაფარდობაზე. დემოკრატიული რეფორმები ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის გაერთიანების თავისებური პლატფორმაა. დღეს ეკონომიურ ბრძოლას აქვს ღრმა სოციალური შინაარსი. ყოველ ეკონომიურ გაფიცვას მიეცა პოლიტიკური ელფერი. ახლა სამრეწველო დემოკრატიისათვის ბრძოლა თავისი ხასიათით არის ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლაც. ბუნებრივია, ასეთ პირობებში ძირეულად შეიცვალა რეფორმების ხასიათი. ეს ნაწილობრივ შეეხება თვით ზედაფენების მიერ მიღებულ ნახევრულ რეფორმებსაც. ორჭოფული რეფორმებიც კი ახლა ობიექტურად ქმნის თავისებურ პლაცდარმს მუშათა კლასისა და მისი რეალური და პოტენციალური მოკავშირეების გაერთიანებული მოქმედებისათვის. ახლა ნაციონალიზაცია ბურჟუაზიული ფორმითაც კი, აღნიშნავდა აკადემიკოსი ვარგა, მიმართულია მონოპოლიების ბატონობის წინააღმდეგ. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს ჩარევის შედეგებზე. სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა იცავს მონოპოლისტური ოლიგარქიის ინტერესებს. მაგრამ საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა გადახლართვის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია მის „სამეურნეო მოღვაწეობამ“ არ შელახოს გაბატონებული კლასის რომელიმე ნაწილის ინტერესები. ამიტომ ხშირად მმართველი კლასები იძულებული არიან გაატარონ თვით კაპიტალისტური სისტემისათვის საშიში რეფორმები. ასეთია ცხოვრების დიალექტიკა.

შეცვლილ პირობებში, ბუნებრივია, ახალ ასპექტით წყდება რეფორმებისა და რევოლუციის თანაფარდობის საკითხი. ადრე რეფორმები არ ეხებოდა კაპიტალიზმის საფუძვლებს, ძირეულ სტრუქტურას და არც ხელისუფლების სფეროს. ახლა სხვა ვითარება შეიქმნა. სახალხო დემოკრატიული რევოლუციების და განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ჩვენს დროში ღრმა დემოკრატიული რეფორმები არ შემოისაზღვრება მხოლოდ რაოდენობრივი ცვლილებების სფეროთი. ისინი ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ

იმ მხარის თვისებრივი შეცვლის პროცესსაც. ახლა რეფორმებისათვის ბრძოლა, აღნიშნავს გ. ჰოლი, გზას გვიხსნის რევოლუციისაკენ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს თეზისებში განვითარებული ქვეყნებისათვის ძირეული ეკონომიური რეფორმები თავისი შინაარსით საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის შემადგენელ ნაწილად და რევოლუციის ფორმადაც კია აღიარებული[1]. ვ. ი. ლენინი თავის დროზე მიუთითებდა ეგრეთ წოდებული „აღმავალი ხაზის“ რეფორმებზე, რომლებიც „ყოველთვის რევოლუციის წინამორბედსა და კარიბჭეს წარმოადგენენ“[2]. ღრმა დემოკრატიული, „სტრუქტურული რეფორმები“ ასეთ რეფორმათა რიგს განეკუთნება.

იგივე უნდა ითქვას პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ. კომუნისტური პარტიები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აყენებენ დემოკრატიული ხელისუფლების ლოზუნგს. ესეც რეალური მოთხოვნაა; რომელიც სავსებით შეესაბამება მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს. ვ. ი. ლენინი თავის დროზე მოითხოვდა „ძველი სოციალისტური, ტრედ-უნიონისტური, სინდიკალისტური, საპარლამენტო მუშაობის“ გარდაქმნას „ა ხ ა ლ, კომუნისტურ მუშაობად“ და აყენებდა ახალი „უჩვეულო, არაპორტუნისტული, არაკარიერისტული პარლამენტარიზმის“[3] შექმნის ამოცანას. თანამედროვე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა გარდამავალი ხასიათის დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის მოთხოვნის წამოყენებით შემოქმედებითად განავითარეს ვ. ი. ლენინის ეს მითითება.

განახლებული დემოკრატია არ არის ბურჟუაზიული. მაგრამ „ახალი დემოკრატიისათვის“ ბრძოლა ძველ ტრადიციულ ხაზთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტასაც არ გულისხმობს. ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, აყენებდა დემოკრატიის ბ ო ლ ო მ დ ე განვითარების, ასეთი განვითარების ფ ო რ მ ე ბ ი ს გამოძებნის ამოცანას[4]. აქედან გამომდინარეობს: ა) რომ „ძველ დემოკრატიას“ არ ამოუწურავს თავისი თავი და არსებობს მისი ბ ო ლ ო მ დ ე განვითარების შესაძლებლობა; ბ) რომ „ახალი დემოკრატია“, დემოკრატიის განვითარების

---

[1] См. Журн. «Коммунист», 1965, № 6, стр. 95.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 633.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 106.

[4] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 562.

ახალი ფ ო რ მ ა ა, სოციალიზმზე უშუალო გადასვლის კარიბჭეა. და შემდეგ. „ჩვენ არ უარვყოფთ, — წერდა ლენინი, — ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ლოზუნგებს, არამედ მათში უფრო თანმიმდევრულად და გადაჭრით ვატარებთ დემოკრატიულს“[1]. საერთო-დემოკრატიულში, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულში თანმიმდევრული დემოკრატიული საზის გატარების შესახებ ლენინის დებულების შემოქმედებითი გამოყენების შედეგია „ახალი დემოკრატიისათვის“ ბრძოლის პროგრამა.

სოციალიზმი „სტრუქტურული რეფორმების“ ჯამი როდია. დემოკრატიულ რეფორმებს არა აქვს უშუალო სოციალისტური ხასიათი. მათ, თავისთავად აღებულთ, არ შეუძლიათ კაპიტალისტური ურთიერთობის ლიკვიდაცია. საწინააღმდეგოს დაშვება ნიშნავს ზღვარის წაშლას დემოკრატიულ და სოციალისტურ ბრძოლას შორის, რაც ოპორტუნისტთა თვალსაზრისია. ლაპარაკია იმაზე, რომ თანამედროვე პირობებში დემოკრატიული რეფორმებისათვის ბრძოლა რეალურად აახლოებს სოციალიზმისათვის ბრძოლასთან, თუკი ის ორგანულად იქმნება დაკავშირებული ხალხთა მასობრივ რევოლუციურ მოძრაობასთან. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პროგრამაში სწორადაა მითითებული: მოძრაობა, ბრძოლა, ხალხის მასების სიფხიზლე და მისი ეფექტიანი უზრუნველყოფისათვის იარაღის შექმნა — აი რა განსაზღვრავს რეფორმების შინაარსს. „სტრუქტურული რეფორმებისათვის“ ბრძოლა საერთო-დემოკრატიულ მოძრაობაში მასების ჩაბმის საშუალებაა. ამ გზით, ჟ. მარშეს სიტყვებით თუ ვიტყვით, ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ ნოვატორული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის შეხამებას და შეერთებას სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

სოციალური რეფორმების გატარება დღესაც, ცხადია, დაკავშირებულია გარკვეულ საშიშროებასთან. თუ „სტრუქტურული რეფორმები“ არ განხორციელდა რევოლუციურად და დემოკრატიული თვალსაზრისით, შეიძლება ის იქცეს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შესუსტების საშუალებად. ბრძოლის ფორმა, თავისთავად აღებული, როდი იძლევა წარმატებას. მთავარია ბრძოლის შინაარსი თუ დემოკრატიული მოძრაობა სუსტია, არის საფრთხე პროლეტარიატი შეეგუოს რეფორმების მშვიდობიან ატმოსფეროს და დაივიწყოს

---

[1] См. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 27, стр. 441.

ძირითადი მიზანი. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი, პარტიული პრინციპის განუხრელი დაცვა დემოკრატიული რეფორმების სწორი განხორციელების სავალდებულო პირობაა. მთავარია „პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და ხელმძღვანელობა ამ ბრძოლისა, რომლის საბოლოო მიზანია — პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობა და სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაცია“[1].

„ახალი დემოკრატია“ სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის განუწყვეტელი რევოლუციური ბრძოლის ასპარეზია. დემოკრატიისათვის ბრძოლა შემოქმედებითი პროცესია. დემოკრატიის ტრადიცია — წერს ვ. ჰოლი, დემოკრატიისათვის ბრძოლის სახალხო ტრადიციაა[2]. სოციალიზმისაკენ განვითარების დემოკრატიული გზა—ესაა დემოკრატიული მასობრივი ბრძოლის გზა. სტრუქტურული რეფორმების გზით არ შეიძლება სოციალიზმზე გადასვლა. არც სოციალისტური მიზანი შეცვლილა ამჟამად დემოკრატიულით. ეს მემარჯვენე ოპორტუნისტთა თვალსაზრისია. ლაპარაკია სოციალიზმისაკენ მოძრაობაზე ღრმა დემოკრატიული გარდაქმნების გავლით, მათი სულ უფრო რაციონალური გამოყენების გზით. იტალიის, საფრანგეთის და სხვა კომუნისტური პარტიების პროგრამულ დოკუმენტებში მითითებულია სოციალიზმისაკენ განვითარების დემოკრატიული გზის შესახებ. აქ იგულისხმება დემოკრატიული ბრძოლის გზით სოციალიზმისაკენ (ესე იგი, სოციალისტური, პროლეტარული დემოკრატიის დამყარებისაკენ) წინსვლის შესაძლებლობა. საამისო პირობები შეიქმნა სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო განვითარებაში მომხდარი ძირეული ცვლილებების შედეგად. ამიტომაა, რომ ლ. ლონგო უპირველეს ყოვლისა ლაპარაკობს ოქტომბრის რევოლუციის, სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნის ფაქტებზე და მხოლოდ ამის შემდეგ დასძენს, რომ სწორედ ამ რევოლუციური ბრძოლების შედეგად გაიხსნა სოციალიზმისაკენ წინსვლის დემოკრატიული გზა[3]. მოძრაობა

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 251.

[2] См. «Борьба Коммунистической партии за демократию и социализм», М., 1968, стр. 251.

[3] См. Лонго Луиджи. Народ Италии в борьбе, М., 1952, стр. 50.

და ბრძოლა — აი რა განსაზღვრავს რეფორმების შინაარსს თანამედროვე პირობებში.

ბრძოლის პროცესში დემოკრატიული რეფორმების ნიადაგი სოციალიზმის ნიადაგი ხდება. „კომუნისტური და მუშათა პარტიები, — ნათქვამია 1969 წლის თათბირის დოკუმენტებში, — მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტებისაგან განსხვავებით, ღრმა ეკონომიური და სოციალური მოთხოვნებისათვის, მოწინავე დემოკრატიისათვის ბრძოლას როდი უპირისპირებენ სოციალიზმისათვის ბრძოლას, იგი ამ ბრძოლის ნაწილად მიაჩნიათ. რადიკალური დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებიც მიღწეული იქნება მონოპოლიათა წინააღმდეგ. მათი ეკონომიური ბატონობისა და პოლიტიკური ძალაუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელს შეუწყობენ იმას, რომ სულ უფრო ფართო მასებმა შეიგნონ სოციალიზმის აუცილებლობა"[1]. თანმიმდევრული დემოკრატია იქცევა სოციალიზმად და სოციალიზმს მოითხოვს, დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია.

---

[1] „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები", თბ., 1969 ,გვ. 28.

კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული კონცეფციისა და „დემოკრატიული სოციალიზმის“ სოციალ-რეფორმისტული თეორიის კრიტიკა

1. „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია

სოციალისტური რევოლუციის სოციალური რეფორმით შეცვლის თეზისს შეესაბამება რეფორმისტების თვალსაზრისი „სახალხო კაპიტალიზმის“, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“, სოციალიზმისა და კომუნიზმის „ტრანსფორმაცია-კონვერგენციის“ შესახებ. ძირეულად შეიცვალა თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიური და სოციალური სტრუქტურა, მისი პოლიტიკური ზედნაშენის, სახელმწიფოს როლი, — აცხადებენ რეფორმისტები. ბურჟუაზიული წყობილების დამცველები გვარწმუნებენ, „თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი არსი, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — გახდა „სახალხო კაპიტალიზმი“, რომელშიც ხდება საკუთრების „დაქსაქსვა“ და კაპიტალიზმის „დემოკრატიზაცია“, ქრებიან კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანი, „თანაბრდება შემოსავალი“ და ისპობა ეკონომიური კრიზისები“[1]. მემარჯვენე სოციალისტები ამჯერადაც ყველა შემთხვევაში ფაქტიურად „კლასიკური“ რეფორმიზმის წარმომადგენელთა და განსაკუთრებით ანტიკომუნიზმის თანამედროვე იდეოლოგთა შეხედულებებს იმეორებენ.

საყოველთაოდ ცნობილია სოციალური რევოლუციის შედეგები XX საუკუნეში. ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში იმდენად პოპულარული გახდა რევოლუციის ცნება, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგები იძუ-

[1] „სკკპ პროგრამა“ გვ. 75—76.

ლებული არიან ეს სიტყვაც გამოიყენონ მონოპოლისტთა ინტერესების დასაცავად. XX საუკუნეში, აცხადებენ ისინი, მოხდა „კაპიტალისტური რევოლუცია“, რომელმაც არსებითად შესცვალა იმპერიალიზმის ბუნება. წარმოიშვა „ნეოკაპიტალიზმი“, „სახალხო კაპიტალიზმი“, „ახალმა კაპიტალიზმმა“ უკვე დასძლია თავისი შინაგანი წინააღმდეგობანი. მას არა აქვს „ძველი“ კაპიტალიზმის არც ერთი „ატომი“. იკი შევიდა „განუყოფელი აყვავების ფაზაში“. კაპიტალიზმი გახდა „განათლებული“, „ჰუმანური“. ახლა კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებას განსაზღვრავენ არა მონოპოლიები, არამედ მომხმარებლები. წარმოების მიზანია არა ზემოგების მიღება, ამტკიცებენ ბურჟუაზიის იდეოლოგები, არამედ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. „მომხმარებელი მეფეა“ — აი კაპიტალისტთა ახალი ლოზუნგი. ხდება „რევოლუცია შემოსავალში“ მუშათა და გლეხთა სასარგებლოდ. ნიველირება წამყვანი საწყისი გახდა. მდიდრები ღარიბდებიან, ღარიბები მდიდრდებიან (ს. კუზნეცი). ამის შედეგია ის, რომ საკუთრებას დაეპატრონა მთელი ერი. კაპიტალი „სახალხო“, „დემოკრატიული“ გახდა, საზოგადოება უკლასო. კრიზისების ხანამ განვლო. XX საუკუნე, ამერიკელი სოციოლოგიის ჯესი ბერნარდის მტკიცებით, „სიუხვის ეპოქაა“.

ბურჟუაზიული იდეოლოგები „სახალხო კაპიტალიზმის“ კლასიკურ ქვეყნად აცხადებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ფართოდ გავრცელდა „ამერიკული განსაკუთრებულობის“ თეორია. ამერიკის შეერთებული შტატები, ა. მაიერის მიხედვით, „სახალხო კაპიტალიზმის“ სანიმუშო მოდელია. ზოგი ბურჟუაზიული სოციოლოგი და ფილოსოფოსი თანამედროვე ამერიკას ადარებს ძველ რომს და საბერძნეთს. ფ. ბლენის აზრით, ამერიკისათვის სოციალიზმი უკვე განვლილი ეტაპია. გამოდის, რომ „სახელმწიფო კაპიტალიზმი“ უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე სოციალიზმი. ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს ეს დებულებები „დაასაბუთოს“ სხვადასხვა კუთხიდან. ქადაგებენ „კონვერგენციის“, „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“, „შერეული ეკონომიკის“, „მენეჯერთა საზოგადოების“, „მმართველობითი რევოლუციის“ ანუ „დირექტორული საზოგადოების“ და სხვა დოქტრინებს.

ადრე ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კაპიტალიზმი მარადიული წყობილებაა, კაცობრიობის განვითარების უმაღლესი და უკანასკნელი საფეხურია. ამ დებულებას იცავდა

ჯონ სტიუარტ მილი, ხოლო შემდეგ, ჯონ გეინარდ კეინსი, „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორიის ავტორი. იგივე თვალსაზრისია გატარებული ლ. კელაოს და გ. ადლერის „კაპიტალისტურ მანიფესტში“. მასში წამოყენებულია „წმინდა“ კაპიტალიზმის გაბატონების, ესე იგი სოციალისტური სისტემის ლიკვიდაციის მოთხოვნა. ჩვენს დროში, როდესაც სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები განსაზღვრავენ მსოფლიო განვითარების მთავარ მიმართულებას, ბურჟუაზია იძულებულია შეცვალოს ბრძოლის ტაქტიკა. ანტიკომუნისტები ცდილობენ სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები თეორიულად დაასაბუთონ. იმპერიალიზმის სტატეგიულ მიზანს ემსახურება ორი სისტემის „ჰიბრიდიზაცია-სინთეზის,“ „კონვერგენციის“ თეორია (უ. როსტოუ, კ. ჰელბრაიტი, ზ. ბჟეზინსკი და სხვ.).

„კონვერგენციის“ თეორიის მიხედვით არ არსებობს კაპიტალისტურ და სოციალიტურ სისტემებს შორის ძირეული განსხვავება. იგივეობრივია მათი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები. ავტორთა ერთი ნაწილის მტკიცებით ორ სისტემას შორის მსგავსება მეტია, ვიდრე განსხვავება. დაახლოება ხდება ყველა სფეროში — ეკონომიურში, პოლიტიკურში, კულტურულში, მეცნიერულში, იდეოლოგიურში. კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება სახელმწიფო სექტორი, წარმოებაში ინერგება გეგმიანი განვითარების საწყისები. ფრანგი რაიმონ არონის აზრით, აღნიშნული და სხვა ანალოგიური ფაქტები დაახლოების ხილული ნიშნებია. ასე ხდება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სტრუქტურაში „მსგავსების წარმოქმნა“, რომელიც ორი სისტემის შეგუების საფუძველია. დროთა განმავლობაში იმარჯვებს დაახლოების ტენდენცია. ხდება ორი სისტემის შერწყმა. წარმოიშობა ერთიანი „ჰიბრიდული“ ეკონომიური წყობილება, „ერთიანი მსოფლიო“, რომელიც მოიცავს ორივე სისტემის „პოზიტიურ“ მხარეებს.

პიტირიმ სოროკინი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის კონვერგენციის შესაძლებლობასაც კი უშვებს. განვითარება, მისი აზრით, მიდის ერთი გარკვეული მიმართულებით, რომ შეიქმნას „ინტეგრალური ტიპის საზოგადოება“, რომელიც უკეთესია, ვიდრე „ახალი კაპიტალიზმი“ და „წმინდა სოციალიზმი.“ 1965 წელს გაზეთ „ბიზნეს უიკში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ სტატიაში იგივე აზრია გატარებული. გაზეთი ამტკიცებს, თითქოს რუსეთი დგამს ნაბიჯებს კაპიტალიზმისაკენ. დასავლეთის ქვეყნები კი ბაძავენ აღმოსავლეთს და

ამგვარად კომუნისტები ხდებიან ნაკლებად კომუნისტები, კაპიტალისტები კი ნაკლებად კაპიტალისტები. ფრანსუა პერუს აზრით (იხ. მისი „მშვიდობიანი თანაარსებობა“ სამ ტომად), ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც მიმდინარეობს მთელი კაპიტალისტური სისტემის სოციალიზაცია. ბურჟუაზიული ისტორიული მეცნიერების პატრიარქის ინგლისელი არნოლდ ტოინბის მიხედვით XX საუკუნის მეორე ნახევრის დასასრულს სპეციფიკური შინაარსი არც ექნება სიტყვებს „საბჭოთა“ და „სოციალისტური,“ ვინაიდან სინამდვილეში (დე-ფაქტო) სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სისტემები იდენტური გახდებიან. დასავლეთგერმანული გაზეთის „დი ველტის“ განცხადებით საბოლოო ინსტანციაში კაპიტალიზმი და სოციალიზმი ისე დაემსგავსებიან ერთმანეთს, როგორც ორი მაცივარი, ორი ტელევიზორი, ორი ავტომობილი. ამრიგად, ხდება „კაპიტალიზმის სოციალიზაცია“ და „სოციალიზმის კაპიტალიზაცია“.

სინამდვილეში „კონვერგენციის“ თეორია კაპიტალისტური სისტემის შენარჩუნებას და განმტკიცებას ისახავს მიზნად. ამას თვით ბურჟუაზიის იდეოლოგებიც არ უარყოფენ. ზ. ბჟეზინსკის აღიარებით ამ თეორიის პოსტულატია არა კონვერგენცია, არამედ მოპირდაპირე სისტემის პოლიტიკური შთანთქმა. „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის სტრატეგიული მიზნის თაობაზე არსებითად ასეთივე პასუხს იძლევა გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსი“. 1957 წლის პირველ ივლისს გაზეთი წერდა: „სახალხო კაპიტალიზმის“ მიზანია შეაკავოს სოციალიზმის გავრცელება პროლეტარების „პატარა კაპიტალისტებად“ გადაქცევის გზით.

„კონვერგენციის“ დოქტრინის თავისებური „დასაბუთებაა“ „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ ანუ „პოსტინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია (რ. არონი, უ. როსტოუ, დ. ბელი და სხვ.).

ამ თეორიის მიხედვით ახლა კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ გზას განსაზღვრავენ ეკონომიურად განვითარებული ქვეყნები, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად შეიქმნება „ერთიანი ინდუსტრიულ საზოგადოება“. ეს იქნება უაღრესად განვითარებული, შინაგანი წინააღმდეგობისაგან თავისუფალი, „შერეული ეკონომიკის“ მქონე წყობილება. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის დ. ბელის განცხადებით თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობები მისი შინაგანი ბუნებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ საერთაშორისო კომუნიზ-

მის „ძირგამომთხრელი მუშაობის“ შედეგია. დ. ბელისა და ზ. ბჟეზინსკის მტკიცებით ვიდრე საზოგადოება არ მიაღწევს „პოსტინდუსტრიულ“ ანუ „ტექნოტრონულ ერას“, მასობრივი და ეროვნული კონფლიქტები აუცილებელია. ისინი XX საუკუნეს უწოდებენ „ნაციონალიზმის საუკუნეს“[1].

„პროსტინდუსტრიული“ საზოგადოების თავისებურ „დასაბუთებას“ იძლევა ამერიკელი უოლტ როსტოუ. მისი აზრით, ამ საფეხურს კაცობრიობა მიაღწევს არა ერთბაშად, არამედ გარკვეული ფაზების გავლის შემდეგ. ეს ფაზებია XIX საუკუნის კლასობრივი საზოგადოება, არა კლასობრივი, პლურალისტური საზოგადოება და საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება. ამ თვალსაზრისს იცავს როსტოუ წიგნში „ეკონომიური ზრდის სტადიები. არაკომუნისტური მანიფესტი“ (1960). 1970 წელს ვარნაში სოციოლოგთა VII კონგრესზე თავის გამოსვლაში დ. ბელი ამბობდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე შევიდა „პოსტინდუსტრიული“ საზოგადოების დაწყებითს ფაზაში „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ თეორია ფაქტიურად კაპიტალიზმს აიდეალებს. უ. როსტოუ იმავე წიგნში სოციალისტური სისტემის წარმოშობას ისტორიულ შემთხვევითობად აცხადებს, ხოლო სოციალისტურ წყობილებას „საზოგადოების ავადმყოფობად“. სამაგიეროდ ამერიკელი ეკონომისტი ა. ბერლი მონოპოლიების ბატონობას მიიჩნევს XX საუკუნის უდიდეს რევოლუციად. ბურჟუაზიული იდეოლოგები „ერთიანი სამყაროს“ საფუძვლად საბოლოო ჯამში კერძო საკუთრებას აღიარებენ.

მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივ მიზნებს იცავს აგრეთვე „მმართველობითი რევოლუციის“ თეორია. „მმართველობითი წყობილების“ დოქტრინა წარმოიშვა 20-იან წლებში ტექნოკრატიული თეორიის სახით (ტ. ვებლენი. 1921 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ინჟინრები და ფასების სისტემა“). 30-იან წლებში ბურჟუაზიული ეკონომისტები ა. ბერლი და უ. მინზო ქადაგებდნენ კაპიტალისტთა ხელისუფლების შესუსტების იდეას. იწყება ტექნოკრატიის პერიოდი, როდესაც წარმოების უშუალო მმართველებად გამოდიან, აცხადებენ ისინი, არა კაპიტალისტები, არამედ საინჟინრო-ტექნიკური კადრები. ახლა კაპიტალისტები კმაყოფილდებიან დივიდენდის მიღებით. ისინი არ ერე-

---

[1] См. «Политическое самообразование». 1973, № 7, стр. 87.

ვიან წარმოების ხელმძღვანელობაში. რიჩარდ ნიქსონი 1959 წელს მოსკოვში ამერიკული გამოფენის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა: „ამერიკის შეერთებულ შტატებში კაპიტალიზმის კარიკატურული გამოხატვა, რომელსაც მონოპოლისტების საზოგადოება მართავს, მოძველდა ისე, როგორც ხის კავი"[1]. ამრიგად, ანტიკომუნიზმის იდეოლოგთა მტკიცებით წარმოებაში მანქანის ბატონობა იწვევს საზოგადოებაში ტექნიკის ბატონობას.

ტექნოკრატიული თეორიის განახლება 40-იან წლებში იკისრა ნიუიორკის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯეიმს ბერნჰემმა, რომელმაც 1941 წელს გამოსცა წიგნი „მენჯერული რევოლუცია. რა ხდება მსოფლიოში". კაპიტალიზმი დაადგა თვითლიკვიდაციის გზას. იგი ადგილს უთმობს, ამტკიცებს ბერნჰემი, „მრეწველობის მმართველთა საზოგადოებას". მისი ვარაუდით მაქსიმუმ ნახევარ საუკუნეში დამთავრდება კაპიტალიზმის აგონია და მთელ „ცივილიზებულ მსოფლიოში" გაბატონდება მენეჯერული წყობილება. მენჯერებმა გამოდევნეს კაპიტალისტები. ძალაუფლება „სპეციალისტთა" ხელში გადავიდა. საკუთრება გახლეჩილია. „ვინც ფლობს, ის არ მართავს, ხოლო ვინც მართავს, ის არ ფლობს". „ჰუმანისტური ინტელიგენცია" ინერტულია. მან ადგილი დაუთმო დეიდეოლოგიზებულ „პრაგმატიკოსებს", „ინსტრუმენტალისტებს", „ტექნიკოსებს". ბურჟუაზიულ იდეოლოგებს სოციალური პროგრესი დაჰყავთ ტექნიკურ პროგრესამდე, ტექნოლოგიური დეტერმინიზმი მათი მეთოდოლოგიური ძირითადი პრინციპია. იგნორირებულია წარმოებითი ურთიერთობის როლი. ტექნიკას საზოგადოებაზე მაღლა აყენებენ. ტექნიკას წარმართავენ „რჩეული ინტელიგენტები", მუშები მხოლოდ ავტომატები არიან — აი სანამდე მიდის ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ლოგიკა. გამოდის, რომ კაპიტალიზმის ისტორიული მემკვიდრეა არა სოციალიზმი, არამედ „დირექტორული წყობილება". უარყოფილია კლასობრივი ბრძოლის, სოციალური რევოლუციის საჭიროება.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები და რევიზიონისტები ფაქტიურად იმეორებენ ანტიკომუნისტების შეხედულებებს. ეს ერთგვარად კანონზომიერიცაა. სოციალ-რეფორმისტების პოლიტიკურ გაკოტრებას თავის დროზე მოჰყვა მათი იდეური კაპიტულაცია ბურჟუა-

---

[1] См. «Известия», 25 июля 1959 г.

ზიის წინაშე. ამის შედეგი იყო ე. ბერნშტეინის „პროგრესული კაპიტალიზმის“, კ. კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“, რ. ჰილფერდინგის „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ თეორიები. ეს ხაზი დღემდე გრძელდება. თანამედროვე რეფორმიზმის ალფა და ომეგაა კაპიტალიზმის სოციალიზმად „ტრანსფორმაციის“ თეორია. რეფორმისტები და რევიზიონისტები განუხრელად იცავენ ანტიკომუნისტების თვალსაზრისს „სახალხო კაპიტალიზმის“, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის „ტრანსფორმაცია-კონვერგენციის“ შესახებ. განსხვავება ის არის, რომ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა მტკიცებით „კონვერგენციის“ შედეგად წარმოიშობა „სიუხვის საზოგადოება“, რეფორმისტების აზრით კი ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული სოციალიზმი.“

რეფორმისტებისა და რევიზიონისტების ბანაკიდან კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის იდეა პირველად წამოაყენა, ე. ბერნშტეინმა. თავის „სოციალურ პრობლემებში“ იგი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმმა ძირეულად შეიცვალა სახე. მისი ისტორიული ადგილის შესახებ კ. მარქსის დასკვნები უკვე მოძველდაო. მანვე პირველმა მიუთითა კაპიტალიზმის ფარგლებში სოციალიზმის „ნაჭრების“, „ელემენტების“ შექმნის შესაძლებლობაზე. ანტიკომუნისტების ზემოთ აღნიშნულ თეორიებს და ბერნშტეინის ამ ზოგად პრინციპებს ემყარებიან თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები, რომლებიც ქადაგებენ „სახალხო კაპიტალიზმის“, სოციალიზმისა და კაპიტალიზმის „კონვერგენციის“ დოქტრინას.

მემარჯვენე სოციალისტები ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმმა უკანასკნელ პერიოდში ძირეულად იცვალა სახე — გახდა „სახალხო“, „ჰუმანური“, „ლიბერალური“. ლეიბორისტ გ. კროსლენდის აზრით, ტრადიციულ კაპიტალიზმს ინგლისმა, ეგრეთ წოდებული „მშვიდობიანი რევოლუციის“ განხორციელების გზით, ფაქტიურად გადააბიჯა 1951 წლიდან. ა. ფილიპის მტკიცებით არც საფრანგეთია დღეს კაპიტალისტური ქვეყანა.

1929 წლამდე რეფორმისტები ხელმძღვანელობენ ლოზუნგით: ფორდი ამარცხებს მარქსს. ამჯერად ეს კურსი ბოლომდეა მიყვანილი. ავსტრიელ სოციალისტთა მიხედვით თანამედროვე საზოგადოება არ განვითარდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ იდეების შესაბამისად. კაპიტალიზმმა შესძლო თვითრეგულირება და გადაიქცა „მომხმარებელთა მდიდარ საზოგადოებად“, როდესაც სოციალურ-ეკონომიურმა პრობლემებმა უკვე დაჰკარგეს მნიშვნელობა. ამრიგად, მემარ-

ჯვენე სოციალისტები ფაქტიურად ქადაგებენ ჯ. კეინსის „მოწესრიგებული კაპიტალიზმის“ თეორიას.

მემარჯვენე ლეიბორისტების ერთი ჯგუფი კაპიტალიზმს წარმოგვიდგენს როგორც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“, სადაც ჰარმონიულადაა შეხამებული კერძო და საერთო ინტერესები. ამ აზრს, კიდევ უფრო გარკვევით იცავს სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარე ავსტრიელი ბრუნო პიტერმანი. „კაპიტალისტური რევოლუციის“ შედეგად, აცხადებს იგი, მოისპო უმუშევრობა, კრიზისები და წარმოებაში ექსპლოატაციის შესაძლებლობა. ახლა ეკონომიური კანონები მოქმედებენ არა წარმოების, არამედ მხოლოდ მიმოქცევის სფეროში. ეკონომიური კანონების მოქმედების უარყოფითი შედეგების პარალიზება ამ უკანასკნელ სფეროში შესაძლებელია საგადასახადო კანონმდებლობით[1]. ასეთივე შეხედულებისაა რევიზიონისტი ა. ბიტელმანი. იგი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ კლასიკურ ნიმუშად აცხადებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. სოციალისტური ინტერნაციონალის პროგრამულ დოკუმენტში, რომელიც მიღებულ იქნა 1951 წელს, კაპიტალიზმი ფორმულირებულია როგორც „თავისუფალი საზოგადოება“.

თანამედროვე რეფორმისტების პროგრამულ დოკუმენტებსა და განცხადებებში „სახალხო კაპიტალიზმის“ იდეა „დასაბუთებულია“ აგრეთვე ორი სისტემის „კონვერგენციის“ თეორიის პრინციპებით. მემარჯვენე სოციალისტებმა ე. ბერნშტეინის იდეა კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდის შესახებ, კ. კაუცკის „საწარმოო ძალთა“ თეორია და „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ჰილფერდინგის თვალსაზრისი განავითარეს „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“ დოქტრინად. ისინი კაპიტალიზმს აცხადებენ „გარდამავალ წყობილებად,“ მაგრამ თვით გადასვლის არსს აყალბებენ. სოციალიზმზე გადასვლა მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც მხოლოდ რაოდენობრივი პროცესი. ლეიბორისტ ხ. დალტონის მიხედვით საკითხი დგას არა ასე — ყველაფერი ან არაფერი, არამედ ასე — ნაკლები ან მეტი. მათი აზრით სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის არ არსებობს თვისებრივი განსხვავება. სხვაობა მხოლოდ სიმწიფის ხარისხშია. ახლა ყოველი ცივილიზებული სახელმწი-

---

[1] См. Ф. Я. Полянский. Социализм и современный реформизм, М., 1972, стр. 113.

ფო, აცხადებენ რეფორმისტები, მოიცავს სოციალიზმის „ელემენტს“. ფრანგი სოციალისტის ლ. ლორას აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებს სოციალიზმის მეტი ელემენტი აქვს, ვიდრე „აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებს“. ინგლისელი ლეიბორისტის დ. კოულის მტკიცებით, ჩვენს დროში კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის განსხვავება მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ერთი საუკუნის წინათ. აქედან მემარჯვენე სოციალისტებს გამოჰყავთ უფრო ზოგადი ხასიათის დასკვნა: არ არსებობს „წმინდა“ კაპიტალისტური და „წმინდა“ სოციალისტური სახელმწიფოები. ეს დასკვნა მათ სჭირდებათ ორი მსოფლიო სისტემის სახელმწიფოთა არსებობის ფაქტის უარსაყოფად. ამ აზრს იცავს ფრანგი სოციალისტი ჟ. მოკი, ავსტრიელი და გერმანელი მემარჯვენე სოციალისტები. ჩვენს დროში, წერს გერმანელი სოციალისტი ფ. შტაინბერგი, დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, როდესაც აზრი დაჰკარგა ორი სისტემის სახელმწიფოთა დაპირისპირებამ. წამყვანი საწყისია ხალხთა და სახელმწიფოთა დაახლოება, სოციალურ სისტემათა სინთეზი. აღნიშნული ტენდენციის განხორციელების შედეგად ჩვენი პლანეტა იქცევა ერთიან ყოვლისმომცველ ერთეულად, „ერთიან ინდუსტრიულ საზოგადოებად“. ერთ მსოფლიო ტრესტამდე, რეფორმისტების აზრით, კაცობრიობას მიიყვანს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. გამოდის, რომ კაცობრიობის „პოზიტიური ალტერნატივაა“ არა სოციალიზმი, კომუნიზმი, არამედ „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“.

„სახალხო კაპიტალიზმის“ თეორიის სასარგებლოდ სოციალ-რეფორმისტები ქადაგებენ „საკუთრების დიფუზიის“, „შემოსავლის გათანაბრების“, „კაპიტალის დემოკრატიზაციის“ დოქტრინებს.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პირველი აუცილებელი პირობაა წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრება. კ. მარქსი სოციალისტურ ნაციონალიზაციას მიიჩნევდა „ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციის“ ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად. თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები უარყოფენ მარქსიზმ-ლენინიზმის ამ ძირეულ მოთხოვნას. ამ მიზნით ისინი იცავენ საკუთრების „დიფუზიის“, „დაქსაქსვის“ დოქტრინას და მას „ასაბუთებენ“ სხვადასხვა კუთხიდან.

მემარჯვენე სოციალისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენს დროში დღის წესრიგში უკვე არ დგას საკუთრების პრობლემა. ჟ. მოკის განცხადებით ხდება კერძო საკუთრების „დეგრადაცია“. ადრე მონოპოლიების

ხელში იყო. აცხადებს იგი, სამი ატრიბუტი-იურიდიული საკუთრება, პოლიტიკური ხელისუფლება და მოგება. ახლა ეს უპირატესობები არა აქვთ მათ. საკუთრება ყველას ეკუთვნის. იგი „ანონიმური“ გახდა. ე. მოკის მტკიცებით მოხდა საკუთრების განსაზოგადოება. დენაციონალიზაცია, ლეიბორისტი თეორეტიკოსების მიხედვით კი „სოციალიზაციაც“ კი. ფრანგი ლ. ბლიუმი ეთანხმება ბერნჰემის აზრს, რომ ხდება კერძო საკუთრების თვითლიკვიდაცია. დღეს მუშები, აცხადებენ მემარჯვენეები, ისეთივე მესაკუთრეები არიან, როგორც მონოპოლისტები. განსხვავება საკუთრების რაოდენობაშია. ზოგიერთნი „ორმხრივი მონოპოლიების“ თვალსაზრისსაც კი იცავენ: „კაპიტალისტთა მონოპოლიების“ გვერდით შეიქმნა „მუშათა მონოპოლიები“ (პროფკავშირთა სახით). ამრიგად, კაპიტალი გახდა, დემოკრატიული, სახალხო და შესაბამისად მიმდინარეობს სიღატაკის, ექსპლოატაციის ლიკვიდაცია, გათანაბრებითი პროცესი შემოსავლის განაწილებაში. ფაქტიურად რეფორმისტები ქადაგებენ რ. არონის თვალსაზრისს, რომლის თანახმად განვითარებულ ქვეყნებში XX საუკუნის შუა ხანებიდან განხორციელდა ნამდვილი „მუშათა რევოლუცია“, ხოლო მარქსისტულ-ლენინური ტიპის რევოლუციები განკუთვნილია მხოლოდ ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის.

მემარჯვენე სოციალისტთა ნაწილი იცავს ეგრეთწოდებული „შერეული ეკონომიკის“ დოქტრინას. მათ კერძო და საერთო საკუთრების პარალელური შენარჩუნება მიაჩნიათ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების აუცილებელ პირობად. ლეიბორისტთა აზრით, საწარმოთა 30 პროცენტი უნდა იყოს ნაციონალიზებული, 70 პროცენტი კი კერძო.

სოციალისტური პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი არ უარყოფს სოციალური პრობლემების ბოლომდე გადაწყვეტის საჭიროებას თანამედროვე პირობებში. მაგრამ ეს პრობლემები დღეს უნდა გადაიჭრას, მათი აზრით, არა წარმოების ძირითად საშუალებათა განსაზოგადოების, არამედ „სამეურნეო დემოკრატიის“ გზით. სოციალისტური ინტერნაციონალის თავმჯდომარის ბ. პიტერმანის აზრით, ახლა მთავარია უფლება — ყველამ მიიღოს მონაწილეობა წარმოების მართვასა და გამგეობაში. ჩვენს დროში ძირითადია არა საკუთრების, არამედ დემოკრატიის პრობლემა, — აცხადებს ფრანგი სოციალისტი ა. ფილიპი. იგივე აზრს იცავს ლ. ბლიუმი. მისი მტკიცებით ამჟამად დემოკრა-

ტიის დაცვა აუცილებელი და საკმარისი პირობაა კაპიტალიზმის „ნარჩენების“ დასაძლევად. ამრიგად, მემარჯვენე სოციალისტების მიხედვით კაპიტალისტური მეურნეობის დემოკრატიზაციის გზით არის შესაძლებელი საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრება.

რაც შეეხება უკიდურეს მემარჯვენეებს, ისინი აშკარად გამოდიან ერძო საკუთრების დაცვის მოთხოვნით. გერმანელ ულტრამემარჯვენე სოციალისტთა მიხედვით კაპიტალისტური ერძო საკუთრება თავისუფლების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ეკონომიური განვითარება ავტომატური პროცესია, რომელიც ხორციელდება საკუთრების მოცულობის რეგულარული ზრდის საფუძველზე. „კაპიტალის“ ავტორიც კი, მათი მტკიცებით, არ ყოფილა მარქსისტი[1]. კ. ფიშერი ერძო საკუთრებას მიიჩნევს „სამეურნეო კანონმდებლობის კონსტიტუციურ ელემენტად“. თუ ადრე რეფორმისტები აიდეალებდნენ წვრილ წარმოებას, ახლა ისინი ფაქტიურად გამოდიან მსხვილი მონოპოლისტური საკუთრების დამცველის როლში.

„საკუთრების დიფუზიის“ დოქტრინა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია პროლეტარიატის შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკების თეორიის წინააღმდეგ. მემარჯვენეთა მიზანია უარყონ მნიშვნელობა კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონისა, რომელიც აღმოაჩინა და დაასაბუთა კ. მარქსმა.

ინგლისელი ლეიბორისტი დ. სტრეჩი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ცხოვრებამ უარყო პროლეტარიატის გაღატაკების მარქსის თეორია. იგი მარქსიზმის ფუძემდებელს აწერს ვულგარულ შეხედულებას, თითქოს აბსოლუტური გაღატაკება მუდამ მზარდი, განუწყვეტელი, აბსოლუტური პროცესია, რომ მუშათა კლასის ცხოვრების დონე „რკინისებური აუცილებლობით“ სულ უფრო დაბლა ეშვება. ასეთივე ცილისწამებით გამოდის ფრანგი ერვე. კ. მარქსის მიხედვით მუშათა რეალური ხელფასი აბსოლუტურად მცირდება და უახლოვდება ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის საჭირო მინიმუმსო. ლეიბორისტ ფაბიანელის დ. კოულის განცხადებით თანამედროვე კაპიტალიზმმა დასძლია თავისი ძირითადი წინააღმდეგობა სწორედ იმის შედეგად, რომ მუშები უკვე აღარ ღატაკდებიან.

---

[1] См. «Новое явление в современной буржуазной политэкономии», М., 1962, стр. 161.

რეფორმისტები ამახინჯებენ სინამდვილეს. ამისათვის სჭირდებათ მათ მარქსის თეორიის გაყალბება. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები არასოდეს არ ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის პირობებში მუშათა კლასის მდგომარეობა აბსოლუტურად უარესდება, რომ ადრე თუ გვიან ყველა მუშა პაუპერი გახდება. მაგრამ აუცილებელია მითითება „სოციალური სიღატაკის", „ჩაგვრის, დამონების, დამცირებისა და ექსპლოატაციის" ზრდაზე. ეს სიტყვები, მიუთითებდა ლენინი, ყველაზე სრულად ახასიათებენ კაპიტალიზმის ძირითად და არსებით თვისებებს. მუშათა შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკება კაპიტალის ბატონობის აუცილებელი შედეგია.

შეფარდებითი გაღატაკება კაპიტალიზმის ატრიბუტია. იგი მიუთითებს „შეუსაბამობის ზრდაზე პროლეტარიატის მდგომარეობასა და ბურჟუაზიის ცხოვრების დონეს შორის. — იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დონეს შორის, რომლებიც იზრდება შრომის ნაყოფიერების გიგანტურ ზრდასთან ერთად"[1]. და შემდეგ. ხდება მუშების შეფარდებითი გაღატაკება, ესე იგი „საზოგადოებრივ შემოსავალში, — წერს ვ. ი. ლენინი, — მათი წილის შემცირება. კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რომელიც სწრაფად მდიდრდება, მუშების შედარებითი წილი სულ უფრო ნაკლები ხდება, ვინაიდან სულ უფრო სწრაფად მდიდრდებიან მილიონერები"[2].

ლენინიზმი როდი უარყოფს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების, შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაძლებლობას. მიუხედავად ლპობის ტენდენციის გაძლიერებისა, რომელიც იმპერიალიზმის, კერძოდ სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის, ნიშანდობლივი მხარეა, საწარმოო ძალთა დახშობა მაინც არ ხდება. საწარმოო ძალთა საერთო განვითარება ობიექტური ისტორიული პროცესია. მაგრამ ამით კაპიტალიზმის არსი არ იცვლება, მისი ტრანსფორმაცია არ ხდება.

ტექნიკური პროგრესის კვალობაზე, როგორც წესი, სამუშაო ძალის მოთხოვნილების ზრდა ჩამორჩება მისი მიწოდების ზრდას. მეცნიერულ ტექნიკური რევოლუციის შედეგად კაპიტალისტებს ეძლევათ მუშათა ექსპლოატაციის დონის აწევის მეტი შესაძლებლობა. სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში მიმდინარე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 279.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 18, გვ. 528.

ობს საწარმოთა გამსხვილების, კონცენტრაციის პროცესი. მაგალითად, საფრანგეთში 1959 წელს რეგისტრირებული იყო გაერთიანების 390 შემთხვევა, 1968 წელს კი — 2240. ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის ამ პროცესს თან სდევს ყველა მთავარი სარგებლობის მონოპოლიზაცია მოსახლეობის სრულიად უმნიშვნელო უმცირესობის ხელში. „კაპიტალიზმის ეს ზრდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოასწავებს სიმდიდრისა და ფუფუნების უზარმაზარ ზრდას ერთ მუჭა მეფაბრიკეებს, ვაჭრებსა და მიწათმფლობელებს შორის და მუშების სიღატაკისა და ჩაგვრის კიდევ უფრო სწრაფ ზრდას. მსხვილი ფაბრიკების მიერ წარმოებაში შემოღებული გაუმჯობესებანი და მანქანები ხელს უწყობენ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, ემსახურებიან მუშებზე კაპიტალისტების ბატონობის გაძლიერებას, უმუშევრობის ზრდას და ამასთან ერთად მუშების უმწეობასაც“[1].

მოვიყვანოთ ზოგიერთი ფაქტობრივი მაჩვენებელი. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1946—1947 წლებში მოსახლეობის 0, 8 პროცენტი ფლობდა ეროვნული შემოსავლის თითქმის ნახევარს[2]. პერლოს დაანგარიშებით ამერიკის გადამმუშავებელ მრეწველობაში 1958—1964 წლებში ზედმეტი ღირებულების ნორმა გაიზარდა 25 პროცენტით. აქ მოსახლეობის ერთი პროცენტი ფლობს ეროვნულ შემოსავლის 60 პროცენტს[3]. თუ 35 წლის წინათ აცხადებდნენ, რომ საფრანგეთის ეკონომიკასა და პოლიტიკას 200 ოჯახი განაგებს, წერს ჟ. მარშე, ახლა ათეული სამრეწველო და ფინანსური ჯგუფი ბატონობს მთელ სახელმწიფოში. დასავლეთ გერმანიაში 0,3 პროცენტი მოსახლეობისა უფრო მდიდარია, ვიდრე დანარჩენი 99, 7 პროცენტი. ანალოგიური თანაფარდობაა ყველა დანარჩენ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში. ასეთ პირობებში, ცხადია, „საკუთრების დიფუზიაზე“, „კაპიტალის დემოკრატიზაციაზე“ ლაპარაკი ზედმეტია.

იგივე შეიძლება ითქვას უმუშევრობის თაობაზე. 1970 წლისათვის ამერიკის შეერთებული შტატებში ითვლებოდა 5 მილიონი უმუშევარი. 1962 წელს იტალია ითვლიდა 5 მილიონ უმუშევარს (მოსახლეობის 8 პროცენტი), კანადა 400 ათასს, დასავლეთ გერმანია და საფრანგეთი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 2, გვ. 101.

[2] См. Г. С т е й н. Мир построенный на долларе. М., 1954, стр. 256

[3] См. «Проблемы мира и социализма», 1966, № 3, стр. 42.

კი 160 ათასს[1]. არასოციალისტურ ქვეყნებში ახლა 100 მილიონამდე უმუშევარია. არც უკრიზისოდ შეუძლია კაპიტალიზმს განვითარება. „კაპიტალიზმისათვის საჭიროა კრიზისი, რათა შეჰქმნას პროპორციულობა, — წერს ვ. ი. ლენინი, — რომელიც მუდამ ირღვევა“[2]. მაგალითად, ნაწილობრივ კრიზისს 1953 წელს თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი. ეგრეთ წოდებულ „მცოცავი კრიზისები“ კაპიტალიზმის მოუცილებელი ნიშანია.

ექსპლოატაციის ბუნება არ შეიძლება შეიცვალოს ანაზღაურების დონის შესაბამისად. ყოველთვის და ყველა პირობებში მუშა იძულებულია გაყიდოს სამუშაო ძალა როგორც საქონელი. ის მოკლებულია წარმოების საშუალებებზე საკუთრებას. აი ესაა მთავარი. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში მუდმივი შეუსაბამობაა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას შორის. შრომის პირობები იცვლება. იცვლება მეურნეობის ორგანიზაციის ფორმები. მაგრამ კაპიტალისტური წარმოება რჩება ზედმეტი ღირებულების წარმოებად, მუშათა კლასი კი დაქირავებულ კლასად, ექსპლოატაციის ობიექტად. 1960—1964 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში შრომის ნაყოფიერება გადიდდა 17 პროცენტით, ხელფასი 7 პროცენტით. იტალიაში შესაბამისად—37 და 27 პროცენტით, იაპონიაში —38 და 19 პროცენტით. დასავლეთ გერმანიაში 1957—1960 წლებში მონოპოლისტთა მოგება გაიზარდა 124 პროცენტით, ხელფასის ფონდი კი 44 პროცენტით. ეს შეუსაბამობა მუშათა შეფარდებითი გაღატაკების გამოხატულებაა. ამრიგად „...ზედმეტი ღირებულების წარმოების ყველა მეთოდი, — წერს კ. მარქსი, — იმავე დროს დაგროვების მეთოდია, და დაგროვების ყოველი გაფართოება, პირიქით, ამ მეთოდების განვითარების საშუალება ხდება. აქედან გამოდის, რომ იმდენად, რამდენადაც კაპიტალი გროვდება, მუშის მდგომარეობა უნდა გაუარესდეს, როგორიც უნდა იყოს—მაღალი თუ დაბალი—მისი ხელფასი... მაშასადამე, სიმდიდრის დაგროვება ერთ პოლუსზე არის იმავე დროს დაგროვება სიღატაკის, შრომითი ტანჯვის, მონობის, უვიცობის, გაველურების და მორალური დეგრადაციისა მოპირისპირე პოლუსზე, ე. ი. იმ კლასის. მხარე-

---

[1] См. «Капитализм против человека. «Справочник», М., 1963, стр. 57.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3. გვ. 732.

ზე, რომელიც თავის საკუთარ პროდუქტს კაპიტალის სახით აწარ-ჩოებს"[1].

კ. მარქსის „კაპიტალიდან" მოყვანილი ეს ადგილი განსაზღვრავს აგ-რეთვე მუშათა კლასის აბსოლუტური გაღატაკების არსს. მუშათა კლა-სის აბსოლუტური გაღატაკება განუწყვეტელი პროცესი როდია. პირი-ქით. კ. მარქსმა პირველმა გააკრიტიკა საფუძვლიანად ფ. ლასალის „ხელფასის რკინის კანონი" და მოითხოვა მუშათა ორგანიზებული ბრძოლის საჭიროება ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა-თვის. იგივე აზრს იცავდა ფ. ენგელსი. პროლეტარიატის გაღატაკება იზრდება, — ნათქვამი იყო ერფურტის პროგრამაში, აბსოლუტური ფორმით. ამის განცხადება, წერდა ენგელსი, არასწორია. მუშათა და-რაზმულობა, მათი წინააღმდეგობა დაბრკოლებაა გაღატაკების მატების გზაზე. მაგრამ გარკვეულად რაც იზრდება, ესაა — „არსებობის დაუ-კმაყოფილებლობა"[2]. „მე არ ვიძლევი წინადადებას, — წერდა ვ. ი. ლენინი თავის შენიშვნებში პლეხანოვის პროგრამის მეორე პროექტის გამო, — ვილაპარაკოთ სიღარიბისა და სიღატაკის აბსოლუტურ ზრდა-ზე"[3]. მაგრამ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა გარკვევით ჩაწერილიყო პარ-ტიის პროგრამაში, რომ კაპიტალიზმი ბუნებრივი აუცილებლობით წარმოშობს მუშათა კლასისა და საერთოდ მშრომელი ხალხის გაღარი-ბებასა და გაღატაკებას. აბსოლუტური გაღატაკების პროცესი დამო-კიდებულია კაპიტალისტებისადმი მუშათა წინააღმდეგობის დონეზე. ორგანიზებული ბრძოლით მუშებს შეუძლიათ მისი შეფერხება და ზოგ-ჯერ დროებით შეჩერებაც კი. ამიტომაა სკკპ პარტიის პროგრამაში ნა-თქვამი: კრიზისები და სამრეწველო მოდუნების პერიოდები „კიდევ უფრო სწრაფად იწვევენ მუშათა კლასის მდგომარეობის შედარებითს. ხოლო ზოგჯერ აბსოლუტურ გაუარესებასაც"[4].

რეფორმისტებს ხშირად მუშათა აბსოლუტური გაღატაკების დებუ-ლების სისწორის უარსაყოფათ მოჰყავთ მუშათა ეკონომიური მდგომა-რეობის შედარებითი გაუმჯობესების, კერძოდ, ზოგჯერ მუშათა ნო-მინალური, ხოლო შედარებით მაღალი კონიუნქტურის შემთხვევაში რე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 813.

[2] См. К. Маркс и Ф. Энгельс. соч., т. 22. стр. 233.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 42.

[4] „სკკპ პროგრამა", გვ. 11.

ალური ხელფასის ზრდის ფაქტები. ცხადია, მუშათა ეკონომიური პირობები დღეს არ შეიძლება შევადაროთ XIX საუკუნის პირობებს, რომლებიც კლასიკურად დაახასიათა ფ. ენგელსმა წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში". მაგრამ არსი იგივე დარჩა. ესაა მთავარი.

საწარმოო ძალთა განვითარებასთან ერთად იზრდება მთელი საზოგადოების, მათ შორის მუშათა კლასის, მოთხოვნილება და ხდება მისი შედარებითი დაკმაყოფილება ახალ დონეზე. შრომის ინტენსიფიკაციისა და მისი ნაყოფიერების საერთო ზრდის კვალობაზე სამუშაო ძალის ღირებულებაც ერთგვარად მატულობს. მოთხოვნილებაც შედარებითი ცნებაა. ის, რაც ადრე ფუფუნების საგნად იყო მიჩნეული, დღეს პირველი მოთხოვნილების საგანი გახდა (ტელევიზორი, ტელეფონი, რადიო, მაცივარი და სხვა) და მას ფლობენ მუშებიც. მაგრამ ამ ქონების შეძენით მუშათა კლასი ტრადიციული მდგომარეობიდან კი არ გამოდის. ის კვლავ რჩება თანამედროვე ეპოქის ექსპლოატატორულ კლასად, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას კაპიტალის სასარგებლოდ. მეტიც. უთანასწორობა, უფსკრული მუშებსა და ბურჟუაზიას შორის ახლა უფრო მეტია, ვიდრე ადრე, როდესაც მას ხელფასი უფრო ნაკლები ჰქონდა. საყოველთაო უკმაყოფილების მასშტაბებიც დღეს საგრძნობლად მეტია. ამის ნივთიერი საბუთია საგაფიცვო მოძრაობის ზრდა, ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის დაახლოება. ამრიგად, საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდა, პროლეტარიატის შეფარდებითი და აბსოლუტური გაღატაკება კაპიტალიზმის აუცილებელი კანონია. სოციალური თანასწორობის დამკვიდრება შეიძლება მხოლოდ წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების ლიკვიდაციის გზით.

მემარჯვენე სოციალისტები წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების დამყარების აუცილებლობას უარყოფენ სააქციო საზოგადოებების როლის არასწორი ინტერპრეტაციის გზითაც. ე. ბერნშტეინმა პირველმა წამოაყენა სააქციო საზოგადოებათა სახით კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალიზმის „ელემენტების" შექმნის იდეა. პირველი მსოფლიო ომის წინ სააქციო გაერთიანებათა წარმოშობასთან დაკავშირებით კაპიტალისტთა ხელისუფლების შესუსტების შესახებ ლაპარაკობდა ავსტრიელი კ. რენერი. საფრანგეთში 20-იან წლებში ამ აზრს იცავდნენ „ნეოსოციალისტები".

თანამედროვე მემარჯვენე რეფორმისტები უფრო შორს წავიდნენ. ისინი სააქციო საკუთრებას უწოდებენ კერძო საკუთრების კოლექტი-

ურ ფორმას. მათი მტკიცებით სააქციო გაერთიანებათა წარმოშობით ინდივიდუალური კერძო საკუთრების ადგილი დაიჭირა კოლექტიურმა კერძო საკუთრებამ. გერმანელი ე. რაიხი, რომელიც ცდილობს განაზოგადოს რეფორმისტთა თვალსაზრისი კ. რენერიდან დაწყებული ბ. კაუცკამდე, წერს, რომ სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფუნქციონირების პირობებში მსხვილი საწარმო საზოგადოებრივი საწარმოა და არა კერძო, რომ განვითარებულ იმპერიალისტურ ქვეყნებში გასახელმწიფოებრივ საწარმოებში გვაქვს „არაკაპიტალისტური საზოგადოებრივი საკუთრება", ხოლო სააქციო საწარმოებში „კაპიტალისტური საზოგადოებრივი საკუთრება". თუ ამ აზრს ბოლომდე დავიცავთ მონოპოლისტთა საკუთრებაც საზოგადოებრივი ხასიათის საკუთრებად წარმოგვიდგება. ფრანგი ლ. ლორას განცხადებით (იხ. მისი „სოციალიზმის თანამედროვე პრობლემები") სააქციო საზოგადოებაში მიმდინარეობს საკუთრების დეპერსონალიზაცია და კოლექტივიზაცია. მისივე მტკიცებით კოლექტიური საკუთრება, კაპიტალისტური იქნება ის თუ სახალხო, იურიდიულად ყველას კუთვნილებაა. ე. მოკის მიხედვით სააქციო საზოგადოებაში საკუთრება იღებს „ზეანონიმურ ფორმას". ლეიბორისტული პარტიის პროგრამულ დოკუმენტში „მრეწველობა და საზოგადოება" სააქციო საწარმოები მიჩნეულია სახალხო საწარმოებად, რომლებიც არავის არ ეკუთვნის მსგავსად ჰაერისა, რომლითაც ყველა სარგებლობს მაგრამ, რომელიც არავის კუთვნილება არაა. ამრიგად, მემარჯვენეთა მტკიცებით, სააქციო საკუთრება თვისებრივად არ განსხვავდება საზოგადოებრივი საკუთრებისაგან, რადგან მას ფლობს არა ერთი კაპიტალისტი, არამედ აქციონერთა მთელი კოლექტივი.

მემარჯვენე სოციალისტები ამჯერადაც ამახინჯებენ სინამდვილეს. სააქციო საზოგადოებები წარმოიშვნენ იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის, „კლასიკური", „ლიბერალური" კაპიტალიზმის დროს XIX საუკუნის მეორე ნახევარში, წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შედეგად. ფ. ენგელსმა თავიდანვე ამხილა სააქციო გაერთიანების არაკაპიტალისტურ საწარმოებად წარმოდგენის თვალსაზრისი. .....არც აქციონერულ საზოგადოებათა (და ტრესტების) ხელში გადასვლა და არც სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა,—წერს ფ. ენგელსი,— არ ნიშნავს საწარმოო ძალების კაპიტალისტურ თვისებებს"[1].

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, თბ., 1952, გვ. 331.

იმპერიალიზმის ეპოქაში სააქციო გაერთიანება კიდევ უფრო ფართო მასშტაბისა ხდება. ინდივიდუალური მეწარმეობა ადგილს უთმობს სააქციო კაპიტალს. ამით კაპიტალისტური კერძო საკუთრების დაქსაქსვა კი არ ხდება, არამედ, პირიქით, მისი კონცენტრაცია მილიონერთა ხელში, აქციების გაცემით მოგებული რჩებიან მხოლოდ კაპიტალისტები, მონოპოლისტები. მაგალითად, როკფელერისა და მორგანის ოჯახები თავდაპირველად ფლობდნენ 2.2 მილიარდ დოლარს, 50-იანი წლების შუა ხანებში კი 126 მილიარდს, ესე იგი 20-25 ჯერ მეტს[1]. მონოპოლისტთა მოგება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1937 წელს შეადგენდა 6, 2 მილიარდ დოლარს, 1953 წელს 38, 3 მილიარდს, ხოლო 1959 წელს 48,5 მილიარდ დოლარს. ინგლისელმა მონოპოლისტებმა 1951 წელს მიიღეს 2835 მილიონი გირვანქა სტერლინგი მოგება, 1956 წელს კი 43347 მილიონი[2].

აქციებს ფლობს მუშების ერთი ნაწილიც. აქედან წარმოსდგება სწორედ „საკუთრების დემოკრატიზაციის" ილუზია. სინამდვილეში აქციებს ფლობენ მუშათა სრულიად უმნიშვნელო ფენები. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსახლეობის 86 პროცენტს საერთოდ არა აქვს აქცია. ასევე მოკლებულია მას დაბალი ხელფასის მქონე ოჯახების 95 პროცენტი. 1969 წელს აქციას ფლობდა ინგლისის მოსახლეობის 4 პროცენტი, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის 10 პროცენტი და ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 79 პროცენტი. რ. მილსის გაანგარიშებით (იხ. მისი წიგნი „მბრძანებელი ელიტა") ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 0,2-0,3 პროცენტი ფლობს მთელი კორპორაციის აქციათა უმრავლესობას. აქციების საშუალებით საკუთრების „დიფუზიის" იდეა „კულტივირებული ილუზიაა", — წერს მილსი.

სააქციო კაპიტალი კერძო კაპიტალისტური საკუთრებაა და არა კოლექტიური, საზოგადოებრივი. ქონების დიდი რაოდენობის რომელიმე ერთი მესაკუთრის ხელში თავმოყრით საკუთრების ბუნება არ იცვლება. მონოპოლისტი მსხვილი კერძო მესაკუთრეა. საზოგადოებრივი საკუთრება მთელი კოლექტივის საკუთრებაა. ამ კოლექტივის თვითეული წევრი მ თ ე ლ ი ქონების მესაკუთრეა და არა მხოლოდ ნაწი-

---

[1] См. Е. Варга. Капитализм двадцатого века, М., 1961, стр. 100.

[2] См. «Критика правосоциалистической идеологии», М., 1966, стр. 15.

ლის. აქციონერი არაა მთელი ქონების მესაკუთრე. სააქციო კაპიტალი კერძო საკუთრების მოცულობის ზრდის გამოხატულება და გამოვლინებაა მხოლოდ.

ვ. ი. ლენინმა უჩვენა, რომ შემნახველი სალაროების საშუალებით მუშათა და წვრილ მწარმოებელთა სულ უფრო მეტი რიცხვი ხდება მსხვილ საწარმოთა მონაწილე, მაგრამ ამით მესაკუთრეთა რიცხვი კი არ იზრდება. რუსი მეანაბრე, — წერდა ლენინი, — 6 მანეთით „ფლობს“ რკინიგზებს. ამით იგი მესაკუთრე კი არ ხდება, არამედ რჩება პროლეტარად, რომელიც იძულებულია გაჰყიდოს თავისი სამუშაო ძალა. აქციების გავრცელებით „შრომა სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივი ხდება, — წერდა ვ. ი. ლენინი. — საწარმოები — სულ უფრო და უფრო ნაკლებად „კერძო“ და მაინც თითქმის მთლიანად კერძო პირთა ხელში რჩება“[1]. და შემდეგ: „ამ წვრილ მეანაბრეთა სიმრავლე მსხვილი კაპიტალის დაქუცმაცებას კი არ ნიშნავს, არამედ მსხვილი კაპიტალის ძლიერების გადიდებას, რომელიც თავის განკარგულებაში იღებს „ხალხის“ დანაზოგთა სულ უმცირეს ნამცეცებსაც კი. წვრილი მეანაბრე მსხვილ საწარმოში მონაწილეობით უფრო დამოუკიდებელი მეპატრონე კი არ ხდება, არამედ მსხვილი მეპატრონისგან უფრო დამოკიდებულ პიროვნებად“[2]. ამრიგად, სააქციო გაერთიანება კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი ფორმაა. იგი ემყარება წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას. მისი მიზანია ზემოგების მიღება კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერების გზით. სააქციო უწყებათა როლის „ახლებური“ განმარტებით რეფორმისტები ფაქტიურად იცავენ მსხვილ მონოპოლიათა საკუთრების ხელუხლებლობას.

რეფორმისტებს დამახინჯებულად აქვთ წარმოდგენილი აგრეთვე ნაციონალიზებულ საწარმოთა როლი საზოგადოების განვითარებაში. ინგლისელი ლეიბორისტები და ავსტრიელი სოციალისტები ნაციონალიზაციის პროგრამას სოციალიზმის რეალიზაციის პროგრამად აცხადებენ. ნაციონალიზებული საწარმოები, მათი გაგებით, წარმოადგენენ „სოციალიზმის კერებს“. ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტის მტკიცებით სახელმწიფო სექტორი „არაკაპიტალისტური კუნძულია“

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 105.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 6, გვ. 106.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის შიგნით. ჰ. დალტონი, რომელსაც ეტლის მთავრობაში ფინანსთა მინისტრის პოსტი ეკავა, უფრო შორს წავიდა. სოციალისტურ სექტორში შეჰყავდა მას სასამართლო, პოლიცია და არმიაც კი. ფრანგი სოციალისტი ჟ. მოკი ნაციონალიზებულ საწარმოებს უწოდებს შუალედურ საწარმოებს, როცა განვლილია სახელმწიფო კაპიტალიზმის სტადია და ჯერ კიდევ ვერ მისულან სოციალიზმამდე. სახელმწიფო სექტორი მას არ მიაჩნია კაპიტალისტური მეურნეობის შემადგენელ ნაწილად.

ამჯერადაც სინამდვილის სრულ გაყალბებასთან გვაქვს საქმე. სოციალიზმი აუცილებლად გულისხმობს ნაციონალიზაციას, წარმოების საშუალებათა გადასვლას ხალხის ხელში. მაგრამ ყოველგვარ ნაციონალიზაციას არ შეუძლია ამ ამოცანის გადაწყვეტა. მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგადაა შესაძლებელი ეკონომიკის ნამდვილი სოციალიზაცია, ახალი სოციალისტური ეკონომიკის შექმნა. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციას შორის. ბურჟუაზიული რევოლუცია მაშინ ი წ ყ ე ბ ა, როცა უკვე შექმნილია ძველის წიაღში ახალი ეკონომიკა. ამიტომ მისი მთავარი ამოცანაა პოლიტიკური ხელისუფლება გადასცეს ბურჟუაზიას. სოციალისტური რევოლუცია, პირიქით ი წ ყ ე ბ ა პოლიტიკური ხელისუფლების აღებით. პოლიტიკური ძალაუფლება (პროლეტარიატის დიქტატურა) უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა თითქმის „ცარიელ ადგილზე“ ახალი ეკონომიკის შესაქმნელად.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ძველის, კაპიტალიზმის წიაღში არ იქმნება სოციალისტური ეკონომიკის არც ერთი მზა წყობა. ამიტომ შეცდომაა ნაციონალიზებულ საწარმოთა სოციალისტურ საწარმოებად გამოცხადება. ნაციონალიზაციის კურსს მხარს უჭერენ ბურჟუაზიული პარტიებიც კი (მაგალითად, რადიკალები საფრანგეთში, კონსერვატორები ინგლისში). ესაა მრეწველობის ცალკეული დარგების გასახელმწიფოებრიობის კურსი, რომელიც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ისევ მონოპოლისტების გაძლიერებას. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო არსად არ აწარმოებს სამრეწველო პროდუქციის ნახევარსაც კი. საფრანგეთში ნაციონალიზაციის შედეგად სახელმწიფო 648 სამრეწველო და სავაჭრო საწარმოოს მფლობელი გახდა. ეს საწარმოები ყოველწლიურად იძლევიან საერთო პროდუქციის მხოლოდ 10

—12 პროცენტს[1]. ინგლისშიც მოხდა, მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობის ნაციონალიზაცია. აქ წარმოება ნაკლებად რენტაბელური იყო ტექნიკის მოძველებულობის გამო. სახელმწიფომ ეს მაღაროები ფაქტიურად იყიდა ხელსაყრელ პირობებში, რითაც მონოპოლისტები, იხსნა მოსალოდნელი გაღატაკებისაგან.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო სექტორს უჭირავს მხოლოდ 20—30 პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ მბრძანებელი ეკონომიური სიმაღლეები ყველგან კერძო კაპიტალის ხელშია.

ამრიგად, ნაციონალიზებული საწარმო, ვიდრე არ მომხდარა ძირეული ცვლილებები წარმოებით ურთიერთობაში, კერძო-კაპიტალისტურ საწარმოდ რჩება. კერძო-კაპიტალისტური მეურნეობაც და ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი სექტორიც კაპიტალისტური მეურნეობის ფორმებია. ბურჟუაზიული ნაციონალიზაცია არ გამოდის ბურჟუაზიული რეფორმების ფარგლებიდან.

მიუხედავად ამისა, მუშათა კლასი არ ილაშქრებს ნაციონალიზაციის კურსის წინააღმდეგ. როცა პოლიტიკური ხელისუფლება მონოპოლისტების ხელშია ნაციონალიზაციისაგან მუშები უშუალო სარგებელს ვერ ღებულობენ, მაგრამ მუშათა კლასისათვის მთავარია არა წუთიერი სარგებლობის პრინციპი, არამედ მომავლის პერსპექტივები. საქმე იმაშია, რომ ნაციონალიზაცია. აჩქარებს წარმოებისა და გაცვლის ცენტრალიზაციის პროცესს, ერთგვარად ზღუდავს მონოპოლისტთა თვითნებობას და ამგვარად ამზადებს ობიექტურ, მატერიალურ წანამძღვრებს სოციალიზმზე გადასასვლელად. ამ აზრით „სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, — წერდა ლენინი, — სოციალიზმის უაღრესად სრული **მატერიალური** მომზადებაა, მისი **კარიბჭეა**, ისტორიული კიბის ის საფეხურია, რომელს შუა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შუა არავითარი შუათანა საფეხური არ არის"[2]. მუშათა კლასისათვის ნაციონალიზაციას აქვს გარკვეული მორალური მნიშვნელობაც. გარდა ამისა, ნაციონალიზაციის კურსის გატარებას შეიძლება უშუალო დადებითი შედეგებიც მოჰყვეს. თუ ხელისუფლება ოლიგარქიიდან მემარცხენე ძალთა ხელში გადავა.

---

[1] См. «Сборник, Критика теории регулирующего капитализма», М., 1959, стр. 156—157.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 438.

თანამედროვე კომუნისტური და მუშათა პარტიები ამ მიმართულებით სახავენ პროგრესულ რევოლუციურ ღონისძიებებს. ისინი აყენებენ ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული ნაციონალიზაციის“ მოთხოვნას. „ახალი დემოკრატიისათვის“ ბრძოლის ამ პროგრამის განხორციელება ასუსტებს მონოპოლისტთა ხელისუფლებას და ხელს უწყობს სოციალიზმზე გადასვლას. ნაციონალიზაცია, კაპიტალისტურ რეჟიმს ვერ სპობს, წერს მორის ტორეზი, მაგრამ დემოკრატიული ხელისუფლების ფუნქციონირების პირობებში იგი ამსუბუქებს სოციალიზმისაკენ ქვეყნის განვითარებას[1]. ჩვენს დროში რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავენ „ახალი დემოკრატიის“ დამკვიდრებას, არ შეიძლება მოვაქციოთ ჩვეულებრივი ბურჟუაზიული რეფორმების ფარგლებში. ისინი აზიანებენ კაპიტალიზმის მთელ სტრუქტურას. კაპიტალიზმის ბატონობის ფარგლებში გატარებულ ასეთ დემოკრატიულ ღონისძიებებს ვ. ი. ლენინი „სოციალიზმზე გარდამავალი ზომების პროგრამას“ უწოდებდა[2]. ასე ხდება დემოკრატიისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი.

რეფორმისტები იცავენ ეგრეთწოდებული „მმართველობის რევოლუციის“ ბურჟუაზიულ თეორიასაც. ამ თეორიის მიხედვით დღეს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება მხოლოდ ფორმალურად, იურიდიულად არსებობს. ფაქტიურად მან მნიშვნელობა დაჰკარგა. კაპიტალისტები ახლა უშუალოდ არ ხელმძღვანელობენ წარმოებას. კ. მარქსის ეპოქაში, წერს ფრანგი სოციალისტი ლ. ლორა, მეწარმე იყო ცენტრალური ხელმძღვანელი ფიგურა. მუშები უპირისპირდებოდნენ მათ როგორც წარმოების საშუალებებს, მოკლებული მასები. დღეს ორივენი ჩამოვიდნენ სცენიდან. ახლა ბურჟუაზიაზე როგორც კლასზე მხოლოდ სოციოლოგიური თვალსაზრისით თუ შეიძლება ლაპარაკი. მეწარმეთა ადგილი დაიჭირეს დაქირავებულმა დირექტორებმა, მენეჯერებმა. ჩვენს დროში საკუთრების ქონობა არ ნიშნავს ხელისუფლების ფლობას, — აცხადებენ მემარჯვენეები. ლ. ლორას მიხედვით „დირექტორული წყობილება“ კაცობრიობის ერთადერთი ალტერნატივაა და არა ერთ-ერთი. მემარჯვენე სოციალისტები ქედს იხრიან ბურჟუაზიულ „დირექტორული რეჟიმის“ წინაშე. 1947 წელს ლ. ბლი-

---

[1] См. «Проблемы мира и социализма», 1962, № 11, стр. 17.

[2] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 26, გვ. 192.

უმმა სპეციალური წინასწარსიტყვაობა დაწერა ჯ. ბერნჰემის წიგნისათვის. ლ. ბლიუმი დირექტორულ რეჟიმს მიიჩნევს გარდამავალ ეტაპად. დემოკრატიის განვითარებაა საჭირო, მისი აზრით, ამ გადასვლის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ეს შენიშვნა ვერ ცვლის ძირითად აზრს. გი მოლეს განცხადებით ბერნჰემის ნაშრომი უნდა გახდეს თითოეული სოციალისტის სამაგიდო წიგნი. ჯ. ბერნჰემის წიგნს აქებენ სტრეჩი, ბ. კაუცკი, ჩერნეცი, ფილიპი და სხვანი.

კაპიტალიზმის პირობებში იქმნება მმართველი კასტა. მმართველობითი ფუნქციის გამოყოფის ეს ტენდენცია პირველად შეამჩნია კ. მარქსმა და იგი განსაზღვრა როგორც პარაზიტიზმის ზრდის ნიშანი. ამის შესახებ გარკვევით მიუთითებდა აგრეთვე ვ. ი. ლენინი, რომელიც რანტიეთა ფენას, „კუპონების კრეჭით“ რომ ცხოვრობს, უწოდებდა პარაზიტებს. ტექნიკურ ინტელიგენციას არ შეუძლია საზოგადოების ხელმძღვანელობა. ის ცხოვრების დონით უახლოვდება მსხვილ ბურჟუაზიას, მოსამსახურეთა საშუალო და დაბალი ფენები კი მუშათა კლასს. მენეჯერები „ახალ კლასს“ კი არ შეადგენენ. ისინი ემსახურებიან მსხვილ ბურჟუაზიას და გამოხატავენ მონოპოლისტთა ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ როკფელერი, მორგანი, მელონი და სხვ. ეკონომიურად და პოლიტიკურად უკვე განიარაღებული არიან და მოწყალებას ელიან დირექტორებისაგან, მენეჯერებისაგან. აი რა დასკვნამდე მივყავართ რეფორმისტთა ლოგიკას. სინამდვილეში ეკონომიურად გაბატონებული კლასი პოლიტიკურადაც გაბატონებულია. იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს კაპიტალისტთა ეკონომიურ ძლიერებას, საჭიროა მისი პოლიტიკური ხელისუფლების დამხობა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ნამდვილი სამეურნეო და პოლიტიკური დემოკრატიის დამკვიდრება.

„კონვერგენციის“ თეორიის სასარგებლოდ მემარჯვენე სოციალისტები ქადაგებენ „შერეული ეკონომიკის“, „30-პროცენტიანი სოციალიზმის“ დოქტრინას. მიზანი ამჯერადაც გასაგებია. რეფორმისტები იმეორებენ ბურჟუაზიული იდეოლოგების დებულებებს კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის, ორი სისტემის კონვერგენციის შესახებ, რათა უარყონ სოციალისტური რევოლუციის საჭიროება და აჩვენონ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერწყმის შესაძლებლობა. რეფორმისტები ფაქტიურად მდუმარედ ემყარებიან სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ხარჯზე კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის შენარჩუნების ვარაუდს.

მემარჯვენე სოციალისტები იცავენ ანტიკომუნისტთა ცრურწმენას კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შესახებ. „კონვერგენციის“ ძირითად საშუალებად აღიარებულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ თეორიის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკისა და პოლიტიკის თანაფარდობის საკითხისადმი მეტაფიზიკური მიდგომა. მემარჯვენეები ხელოვნურად თიშავენ ეკონომიურ ბაზას და პოლიტიკურ ზედნაშენს. ერთ შემთხვევაში ეკონომიურ მხარეს აძლევენ აბსოლუტურ მნიშვნელობას და უგულებელყოფენ პოლიტიკური ზედნაშენის როლს, მეორე შემთხვევაში კი, პირიქით, ამ უკანასკნელის როლის გადაფასებას ახდენენ. გარდა ამისა, რეფორმისტები აიგივებენ ეკონომიკისა და ტექნიკის ცნებებს. ტექნიკის როლის აბსოლუტიზაციის გზა მიდის ტექნიკურ დეტერმინიზმამდე და ევოლუციონიზმამდე. რ. გაროდის მტკიცებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა მოხდება არა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საშუალებით. ატომური ენერგია, ავტომატიზაცია, ელექტრონული ტვინი და ა. შ., რეფორმისტთა აზრით, აუცილებელი და საკმარისი ფაქტორებია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასასვლელად. რაკი საწარმოო ძალთა ერთ-ერთი ელემენტი მთელ წარმოებით ურთიერთობასთანაა გაიგივებული, ბუნებრივია, წარმოების წესის ძირეული შეცვლის საჭიროება მოხსნილია დღის წესრიგიდან. რჩება აუცილებლობა ერთიანი ტექნოლოგიური პროცესისა, რომელიც ავტომატურად მიგვიყვანს „აღთქმულ ქვეყნამდე“. ფაქტიურად ესაა კ. კაუცკის „საწარმოო ძალთა“ თეორიის „გაუმჯობესებული“ ვარიანტი. იგივეს ამტკიცებდა თავის დროზე პ. სტრუვე. მასაც აქცენტი გადაჰქონდა ტექნიკურ პროგრესზე და კაპიტალიზმს წარმოგვიდგენდა როგორც საერთოდ „პროგრესის“ ეტალონს, ფატალური ეკონომიური აუცილებლობის შედეგს. თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებიც ცდილობენ წარმოგვიდგინონ სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი როგორც საზოგადოება, რომელიც დგას პროგრესის „ავანგარდში“.

კაპიტალიზმის სოციალიზმში „შეზრდის“ თეორია და „კონვერგენციის“ დოქტრინა ერთი მედლის ორი მხარეა. კ. კაუცკის „ულტრაიმპერიალიზმის“ თეორიის მიხედვით კაპიტალიზმი იმპერიალიზმის სტადიაში შესვლით იქცევა ინტერნაციონალურ ძალად. ამიერიდან განვი-

თარება მიდის ერთი მსოფლიო ტრესტისაკენ. ამ თეორიის „გაშალაშინება“ განიზრახა რ. ჰილფერდინგმა. მისი აზრით, მონოპოლიების, საერთაშორისო კარტელების წარმოშობით წარმოებამ საბოლოოდ მიიღო განსაზოგადოებული სახე[1]. ასე ისპობა თავისუფალი კონკურენცია, რომელიც ადგილს უთმობს გეგმიან, პროპორციულ განვითარებას. ჰარმონიული ევოლუციის ორგანოა სამეურნეო და პოლიტიკური დემოკრატია.

პრინციპში იგივე „საბუთები“ აქვთ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებს. გერმანელი სოციალისტების მტკიცებით ორი სისტემის „სინთეზი“ ხორციელდება დღეს „მთლიანი ინდუსტრიალიზაციის“ კურსის გატარებით, „შრომის ნაყოფიერების“ ზრდით, ტექნიკური პროგრესის საშუალებით. კიდევ უფრო ზოგადი სახითაა ეს თვალსაზრისი წარმოდგენილი რ. გაროდის ნაშრომებში. მისი განცხადებით ამიერიდან სოციალური პროგრესი წარიმართება ამერიკული ტიპის კაპიტალისტური სისტემის სრულყოფისა და სოციალისტური რეჟიმის „დემოკრატიზაციის“ გზით. ასე მოხდება ორი სისტემის „კონვერგენცია-ტრანსფორმაცია“.

სახელმწიფოებსა და ერთა შორის ურთიერთკავშირი თანდათანობით ძლიერდება საზოგადოებრივი პროგრესის კვალობაზე. ეს ძველი ტენდენციაა, რომელიც პირველად მეცნიერულად დაასაბუთეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა. „ხალხთა ეროვნული განკერძოება და დაპირისპირებანი, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. უფრო და უფრო ქრებიან, რაც უფრო ვითარდება ბურჟუაზია, იქმნება ვაჭრობის თავისუფლება, მსოფლიო ბაზარი, სამრეწველო წარმოების ერთნაირობა და მისი შესაფერი ცხოვრების პირობები“[2]. ამ ციტატიდან ჩანს, რომ მარქსიზმის ფუძემდებლებს აღნიშნული ობიექტური პროცესის რეალური განხორციელება შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ პროლეტარიატის ბატონობის პირობებში. ამის შესახებ კიდევ უფრო გარკვევით წერს კ. მარქსი „კაპიტალის“ ბოლოსიტყვაობაში: „რამდენადაც პოლიტიკური ეკონომია ბურჟუაზიულია, ე. ი. რამდენადაც იგი კაპიტალისტურ წყობილებას განიხილავს არა როგორც განვითარების

---

[1] См. Р. Гильфердинг. Финансовый капитал, М., 1959, стр. 312.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1968, გვ. 81.

ისტორიულად წარმავალ საფეხურს. არამედ, პირიქით, როგორც საზოგადოებრივი წარმოების აბსოლუტურ და საბოლოო ფორმას, მას შეუძლია მეცნიერულად დარჩეს მხოლოდ მანამდე, ვიდრე კლასობრივი ბრძოლა ფარულ მდგომარეობაში რჩება, ან მხოლოდ ცალკეულ გამოვლინებებში მეღავნდება"[1]. ეს დებულება შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა ორი ისტორიული ტენდენციის შესახებ ეროვნულ საკითხში. მეორე ტენდენციაა „ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა"[2] იგი ახასიათებს სწორედ მომწიფებულ „სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს". კაპიტალიზმის პირობებში, ხდება რა შრომის განსაზოგადოება, მეღავნდება ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია. მაგრამ ვიდრე საზოგადოება თავის ნამდვილ საფუძველს არ დაემყარება, მას არ ძალუძს ამ ტენდენციის რეალური განხორციელება. საბოლოოდ მხოლოდ სოციალიზმი წყვეტს ერთიანი ყოვლისმომცველი ნამდვილი ინტერნაციონალური „ტრესტის" შექმნის ამოცანას. კ. კაუცკის წინააღმდეგ ვ. ი. ლენინი წერდა: „ეჭვი არ არის, რომ განვითარება მიდის იმ ერთადერთი მსოფლიო ტრესტის მ ი მ ა რ თ უ ლ ებ ი თ, რომელმაც უნდა ჩანთქას უკლებლივ ყველა საწარმო და უკლებლივ ყველა სახელმწიფო. მაგრამ განვითარება აქეთკენ მიდის ისეთ პირობებში, ისეთი ტემპით, ისეთ წინააღმდეგობათა, კონფლიქტთა და შერყევათა, — სრულიადაც არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკურ, ეროვნულ და სხვ. და სხვ.,—პირობებში, რომ, უეჭველია, უ ფ რ ო ა დ რ ე, ვიდრე საქმე ერთ მსოფლიო ტრესტამდე, ნაციონალურ ფინანსურ კაპიტალთა „ულტრა-იმპერიალისტურ" მსოფლიო განვითარებამდე მივიდოდეს, იმპერიალიზმი აუცილებლად უნდა გასკდეს, კაპიტალიზმი გადაიქცევა თავის წინააღმდეგობად"[3].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ერთიანი მსოფლიო პროცესია, მაგრამ მისი სოციალური შედეგები განსხვავებულია კაპიტალისტურ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 13.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20, გვ. 14.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 22, გვ. 123 — 124.

და სოციალისტურ სინამდვილეში. გარდა ამისა, შეუძლებელია საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფა მხოლოდ ტექნიკის განვითარებით. საჭიროა ძირეული ცვლილებანი წარმოების ორივე მხარეში, კერძოდ, წარმოებით ურთიერთობაში. პროგრესისაკენ ტენდენცია ჩვენი ეპოქის ნიშანია. ამასთან, მისი განხორციელების შესაძლებლობა განსხვავებულია. ნამდვილი სოციალური პროგრესი გულისხმობს უსამართლო პრინციპებზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების ლიკვიდაციას. „მარქსიზმის ძირითადი იდეების თვალსაზრისით, — წერდა ვ. ი. ლენინი, — საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები პროლეტარიატის ინტერესებზე უფრო მაღლა დგას, — მთელი მუშათა მოძრაობის ინტერესები, მთლიანად აღებული, მუშათა ცალკეული ფენის ან მოძრაობის ცალკეული მომენტების ინტერესებზე უფრო მაღლა დგას“[1]. ამ აზრით პროლეტარიატი მხარს უჭერს ყოველგვარ პროგრესულ მოთხოვნებს, მათ შორის ტექნიკურ პროგრესს, მაგრამ ეს უკანასკნელი მას მიაჩნია საზოგადოების პროგრესული განვითარების არა ერთადერთ, არამედ ერთ-ერთ ფაქტორად. ამიტომ ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ კლასობრივი, პარტიული პრინციპით. მთელი საზოგადოების სასარგებლოდ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელება სოციალიზმის მისიაა და არა კაპიტალიზმისა. მხოლოდ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით არის შესაძლებელი საზოგადოების ნამდვილი პროგრესული განვითარება. საკაცობრიო პროგრესული განვითარების საბოლოო შედეგი იქნება „მსოფლიო კოოპერატივი“. მაგრამ იგი შეიქმნება არა კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“, არამედ მისი გარდაუვალი მოსპობის შედეგად. „ზოგადი თეორია ტრანსფორმაციული პროცესისა“ — ასეა დასათაურებული ნ. ბუხარინის წიგნის „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის“ ერთ-ერთი თავის პარაგრაფი. რაო??? „ზოგადი“? — შენიშნავდა ვ. ი. ლენინი. აქვე ლაპარაკი იყო „კაპიტალისტური საზოგადოების კომუნისტურ საზოგადოებად გადაქცევის პროცესის ხასიათის შესახებ. ვ. ი. ლენინმა ხაზი გაუსვა ამ სიტყვებს და იქვე მიანიშნა: „მადლობა ღმერთს: ოღონდაც არა ტრანსფორმაციის და არა ზოგადად, არამედ გასაგებია, რომელი რად!![2]“. ორი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 4, გვ. 282.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. შენიშვნები ნ. ბუხარინის წიგნზე „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“, თბ., 1933, გვ. 5.

სისტემის კონვერგენცია“ კი არ მოხდება, არამედ იმპერიალიზმის ჯაჭვის სუსტი რგოლების თანდათანობით ჩამოცილების შედეგად სოციალიზმის სისტემა გადაიქცევა ყოვლისმომცველ მსოფლიო სისტემად. ასეთია კაცობრიობის მომავალი.

ჯ. „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორია

რეფორმისტები სოციალიზმის პრობლემას წყვეტენ წმინდა ევოლუციური თვალსაზრისით. მათი ძირითადი სოციალ-პოლიტიკური დოქტრინაა „დემოკრატიული სოციალიზმი“. „დემოკრატიული სოციალიზმის“ კონცეფციამაც გარკვეული ევოლუცია განიცადა მარჯვნივ. რეფორმისტებს არც ამ საკითხზე აქვთ აზრთა ერთიანობა. ისინი სოციალიზმის პრობლემასაც სხვადასხვა კუთხით განიხილავენ. მიუხედავად ამისა, საბოლოო ჯამში, ერთგვარი გარკვეულობა მაინცაა — უარყოფილია მეცნიერული სოციალიზმი, ერთმანეთთან გაიგივებულია კაპიტალიზმი და სოციალიზმი. კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია არის სოციალიზმი — ასეთია მემარჯვენეთა საბოლოო დასკვნა. „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორიის მიზანია რეალური სოციალიზმის როგორც მეცნიერების, თეორიის და პრაქტიკის უარყოფა.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ კონცეფცია წარმოიშვა XX საუკუნის პირველ მეოთხედში, როდესაც ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ გამოვიდნენ კ. კაუცკი, ო. ბაუერი, რ. ჰილფერდინგი, კ. რენერი და სხვ. უფრო ადრე, როგორც ცნობილია, სოციალიზმის მეცნიერული დასაბუთების შესაძლებლობის უარყოფის მოთხოვნით გამოვიდა ე. ბერნშტეინი. სოციალიზმი არ არის და არც შეიძლება იყოს მეცნიერება, წერდა იგი[1]. მეცნიერული სოციალიზმი ისეთივე უაზრობაა, დასძენდა ბერნშტეინი, როგორც „მეცნიერული კაპიტალიზმი“, „მეცნიერული ლიბერალიზმი“. მეცნიერული სოციალიზმის ცნებას იგი ცვლიდა „კრიტიკული სოციალიზმით“. ასეთი მსჯელობა სავსებით შეესაბამებოდა და სრულად გამოხატავდა ბერნშტეინის ლოზუნგის მოთხოვნებს. შესაბამისად უარყოფილი იყო სოციალიზმის დამყარების ობიექტური აუცილებლობა. მთავარია მოძრაობა არსებულის სრულ-

---

[1] См. Э. Бернштейн. Критический социализм, 1906, стр. 26.

ყოფისათვის. სოციალიზმი არ არის ბრძოლის მიზანი, ასკვნიდა ე. ბერ-ნშტეინი.

მეორე ინტერნაციონალის თეორეტიკოსებმა სოციალიზმის როგორც მეცნიერების უარყოფის თეზისი გამოიყენეს ოქტომბრის რევოლუციის პირველი შედეგების უგულებელსაყოფად. უპირველეს ყოვლისა ისინი უარყოფდნენ პროლეტარიატის დიქტატურის საჭიროებას და აყენებდნენ არადიქტატორული ანუ „დემოკრატიული სოციალიზმის" ლოზუნგს. „წმინდა", „ზეკლასობრივი", „ინტეგრალური დემოკრატია", ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის გაიდეალება, ანტისოვეტიზმი, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება „ტოტალიტარულ" წყობილებად და სხვა—აი რა ნიშნებით ხასიათდებოდა მაშინ „დემოკრატიული სოციალიზმი". როგორც შუა საუკუნის ქრისტიანულ საზოგადოებაში ყველა გზა მიდიოდა რომისაკენ, წერდა კ. კაუცკი, ასევე ახლა მთელი მსოფლიო პროლეტარიატი მიდის „დემოკრატიული სოციალიზმისაკენ[1]". „დემოკრატიული სოციალიზმი" სოციალ-პოლიტიკურ სფეროში კ. კაუცკის „საწარმოო ძალთა" თეორიის გაგრძელებაა.

„დემოკრატიული სოციალიზმის" დოქტრინა ფართოდ გავრცელდა 40-იანი წლების დამლევიდან და 50-იანი წლების დამდეგიდან. ამ პერიოდში გამოსულ ავსტრიის, დასავლეთ გერმანიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების და ინგლისის ლეიბორისტული პარტიის პროგრამულ დოკუმენტებში მეცნიერული სოციალიზმი მოძველებულად, უტოპიზმის სახეს ხვეობადაც კია გამოცხადებული. სამაგიეროდ წამოყენებულია ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული სოციალიზმის" მოთხოვნა. „დემოკრატიული სოციალიზმის" დოქტრინის დასაბუთებით გამოვიდნენ ბ. კაუცკი, ო. პოლაკი, კ. ჩერნეცი, ბ. პიტერმანი (ავსტრია), ჟ. მოკი, ლ. ლორა, გი მოლე (საფრანგეთი), კ. შტაინბერგი, ე. ტაიმერი (დასავლეთ გერმანია), დ. სტრეჩი, კროსლენდი (ინგლისი) და სხვ.

1951 წელს სოციალისტური ინტერნაციონალის ფრანკფურტის კონგრესზე მიღებული იქნა დეკლარაცია — „დემოკრატიული სოციალიზმის მიზნები და ამოცანები". ამ დოკუმენტში „დემოკრატიული სოცია-

---

[1] См. С. П. Попов. Социал-реформизм: теория и политика М., 1971, стр 61.

ლიზმის“ მთავარ მტრად გამოცხადებულია არა კაპიტალიზმი, არამედ კომუნიზმი. უკუვაგდოთ კომუნისტური დოქტრინა და კაპიტალისტური უსამართლობაც, ნათქვამია დეკლარაციაში. მომავალი ეკუთვნის „დემოკრატიულ სოციალიზმს“. ახლა სოციალურ მეცნიერებაში, მემარჯვენეთა მტკიცებით, ისევე ნაკლებადაა საჭირო მივმართოთ მარქსიზმს, როგორც ფიზიკაში ნიუტონის მოძღვრებას და ბოტანიკაში. კ. ლინეისას. ამავე აზრს, ოღონდ სხვა კუთხით, იცავს ი. ბრაუნტალი. მისი მტკიცებით სოციალიზმი ყველა სოციალისტის (უტოპისტებით დაწყებული) შეხედულებათა სინთეზია. შესაბამისად სოციალისტური ინტერნაციონალის დეკლარაცია აცხადებს — სოციალიზმი ვრცელდება მთელ მსოფლიოში, იგი მთელი კაცობრიობის ყოველდღიური პრაქტიკის შინაარსი ხდებაო, თუ რ. ჰილფერდინგი იცავდა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ იდეას, თანამედროვე მემარჯვენენი სოციალიზმს აიგივებენ კაპიტალიზმთან. ზოგიერთი პარტიის პროგრამულ დოკუმენტში სოციალიზმი წარმოდგენილია არა როგორც თვისებრივად ახალი ეკონომიური ფორმაცია, არამედ როგორც კაპიტალისტური საზოგადოების „გაუმჯობესებული ვარიანტი“. კროსლენდის მიხედვით დღეს „სოციალიზმის“ ცნებამ უკვე დაჰკარგა აზრი. დასავლეთგერმანელი სოციალისტი დ. კაბელი სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბატონობის ხანას „ოქროს საუკუნესაც“ კი უწოდებს. მემარჯვენე სოციალისტები ცდილობენ დღის წესრიგიდან მოხსნან ისტორიული დილემა — კაპიტალიზმი თუ სოციალიზმი.

„დემოკრატიული სოციალიზმი“ ეკონომიურ დარგში უარყოფს კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა და საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნას, პოლიტიკურ დარგში — პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას, იდეოლოგიის დარგში — მეცნიერული კომუნიზმის თეორიის და საზოგადოდ ყოველგვარი იდეოლოგიის საჭიროებას. მემარჯვენეები ფორმალურად ეძებენ „მესამე გზას“, ფაქტიურად კი იცავენ თანამედროვე კაპიტალიზმს. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქციეს. თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები მას კვლავ უტოპიად აცხადებენ.

მემარჯვენე სოციალისტებისათვის „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორიის „დასაბუთების“ პირველი ძირითადი პოსტულატია „პლურალისტური სოციალიზმის“ დოქტრინა. იყო დრო, როდესაც ოპორტუნისტები სოციალიზმის „უდღეურობაზე“ ლაპარაკობდნენ. ახლა, როცა

იგი მსოფლიო სისტემად იქცა, სხვა „საბუთი“ გახდა საჭირო. ოპორტუნისტებმა შეცვალეს სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკა. ქადაგებენ ეგრეთ წოდებული „მისაღები“ და „მიუღებელი“ სოციალიზმის დოქტრინას. კომუნიზმი, ამტკიცებენ ისინი რეალური სოციალიზმის მისაძართით, გამორიცხავს თავისუფლებას, თანასწორობას, ზნეობრიობას. დემოკრატიის დაცვის ინტერესები მოითხოვს არ დაუმორჩილოთ ხალხის ნება „დიქტატორულ წყობილებას“. საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა არ უნდა განისაზღვროს ეკონომიური მოტივებით. გაძოსავალია „პლურალისტური წყობილება“ — „ლიბერალური“, „ეთიკური“. „ჰუმანური“ და სხვა სოციალიზმი.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ ერთ-ერთ ძირითად სახედ აღიარებულია „ადამიანური სახის სოციალიზმი“ — „ეთიკური სოციალიზმი“. მორალურ-ეთიკური სოციალიზმის იდეაც პირველად წამოაყენა ე. ბერნშტეინმა. იგი შეეცადა მარქსიზმისათვის მოეძებნა ფილოსოფიური და ეთიკური „ფუნდამენტი“. ე. კანტის „კატეგორიულ იმპერატივს“ ბერნშტეინი სოციალიზმის „ძირითად კანონად“ აცხადებდა. შესაბამისად იგი უშვებდა სოციალიზმის ზნეობრივი დასაბუთების შესაძლებლობას.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებმა განავითარეს ბერნშტეინის იდეა. ისინი აძტკიცებენ, რომ სოციალიზმი ესაა არა ეკონომიური წყობილება, ეკონომიური სისტემა, არამედ მორალი და ზნეობა, ეთიკური იდეალი. ფრანგი სოციალისტების განცხადებით სოციალიზმი XX საუკუნის მორალია. იგი თავისთავად იძენს თავისუფლების ნიშანს, რადგან არის ზოგად საკაცობრიო აბსტრაქტული ეთიკური იდეალი. ამიტომ თავისუფლებისათვის ბრძოლა, მათი აზრით, დაკავშირებულია არა წარმოების განსაზოგადოებისათვის ბრძოლასთან, არამედ ზნეობრივ დარწმუნებულობასთან, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ იდეური მუშაობით. სიტყვის თავისუფლება, წერს ხ. პერატი, ყველასათვის მისაღები აბსოლუტური ზეკლასობრივი პრინციპია. ინგლისელი ლეიბორისტის კროსლენდის მტკიცებით, თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების დანერგვა ხდება არა ეკონომიური კანონების გამოყენებით, არამედ საზოგადოებრივი სინდისის სრულყოფით, სინდისისა, რომელიც ემყარება მორალის ზოგად საკაცობრიო ნორმატივებს. იგივეს ამბობენ რეფორმისტები ჰუმანიზმის შესახებ. მაშასადამე, სამართლიანი წყობილების დასასაბუთებლად საჭიროა არა ბრძოლა, არამედ

ხალხის დარწმუნება, რომ ესაა სოციალიზმი და „დემოკრატიული სოციალიზმი“ განხორციელებულია.

რეფორმისტები დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ სოციალური მოძრაობის არსს. მართლაც, რაკი კაპიტალიზმი მშვიდობიანად გადაიზრდება სოციალიზმში, სოციალური მოძრაობის ამოცანაა არა ეკონომიური ურთიერთობის შეცვლა, არამედ საზოგადოების მხოლოდ მორალური, ზნეობრივი სრულყოფა. ჰეშმარიტი სოციალიზმი ეთიკური სოციალიზმია, აცხადებენ მემარჯვენეები. წინ წავწიოთ კულტურული რევოლუცია, წერს კ. კრეიცერი. ო. პოლაკის მიხედვით სოციალიზმი XX საუკუნის კულტურული მოძრაობაა. კ. ჩერნეცის განცხადებით „დემოკრატიული სოციალიზმის“ ამოცანაა მხოლოდ ეთიკური მიზნების განხორციელება. ლ. ბლიუმის აზრით, სოციალიზმი ყოველგვარი ჰუმანური კონცეფციაა[1]. 1920 წელს იგი სიტყვიერად მაინც აყენებდა „სოციალური განთავისუფლების“ ამოცანას. ახლა „მორალური სრულყოფის“ მოთხოვნით კმაყოფილდება. ჩვენს დროში, აცხადებს ის, სოციალიზმისაკენ ილტვის მთელი კაცობრიობა. მის სასარგებლოდ მუშაობენ ყველაზე ცნობილი დიქტატორებიც. გამოდის, რომ მუსოლინი, ჰიტლერი, ფრანკო, სალაზარი იბრძოდნენ და იბრძვიან სოციალიზმისათვის! ლ. ბლიუმი მოითხოვს მარქსიზმის სინთეზს ჟორესიზმთან. მარქსიზმი იძლევა სოციალიზმის მხოლოდ ობიექტურ-ეკონომიურ დასაბუთებას. საჭიროა მისი ზნეობრივი დასაბუთებაცო.

რეფორმისტების მტკიცებით ახლა სოციალური რევოლუციის ადგილს იჭერს მორალური რევოლუცია. ადგილი არა აქვს კლასობრივ ბრძოლას. ბრძოლაა „სიკეთესა და ბოროტებას“ შორის. მიზეზი ხალხის ჯერ კიდევ დაბალი შეგნებულობაა. გამოსავალია, რეფორმისტთა აზრით, „სოციალური პედაგოგიკა“ და არა სოციალური ბრძოლა. ან მორალური რევოლუცია, ან არავითარი რევოლუცია, — აცხადებენ კანადელი სოციალისტები. იგივე აზრისაა ლ. ბლიუმი. ყოველ სოციალურ რევოლუციას წინ უსწრებს მორალური რევოლუცია, წერს იგი. რეფორმისტებმა ეკონომიური მოტივი შეცვალეს მორალურით. ცხადია, ამით სოციალიზმს გამოეცალა ყოველგვარი — ეკონომიური, სოციალ-კლასობრივი, პოლიტიკური — საფუძველი. სოციალიზმი აბსტრაქტული სურვილების საგანი ხდება.

---

[1] См. «Критика правосоциалистической идеологии», М., 1970, стр. 150.

ყოველი სოციალისტური მოძღვრება როდია მეცნიერული. უტოპისტებიც ცდილობდნენ სიკეთის დანერგვას, მაგრამ მათ ვერ შეძლეს განვითარების სწორი გზის დასახვა. ისინი დასკვნებს იძლეოდნენ არა საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესწავლის საფუძველზე (ამ კანონების აღმოჩენა მათ ვერ შეძლეს), არამედ აბსტრაქტული მორალის პრინციპებიდან გამომდინარე. მარქსიზმი, პირიქით, თეორიულ დასკვნებს აკეთებს კონკრეტულ ისტორიული პირობების ანალიზის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. ცხადია, ვიდრე სოციალისტური რევოლუცია არ განხორციელდება, სოციალიზმი, კომუნიზმი მშრომელთა, კერძოდ პროლეტარიატის, მაღალი იდეალია. მაგრამ მისი ხორცშესხმა ხდება მხოლოდ ეკონომიური გადატრიალების შედეგად. „კომუნიზმი ყველა წინანდელი მოძრაობისაგან იმით განსხვავდება, წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — რომ იგი წარმოებისა და აღებმიცემობის ყველა წინანდელი ურთიერთობის საფუძვლის გადატრიალებას ახდენს და პირველად განიხილავს შეგნებულად ყველა სტიქიურად წარმოქმნილ წანამძღვარს როგორც წინა თაობათა ქმნილებებს, უკარგავს ამ წინამძღვრებს სტიქიურობას და უმორჩილებს მათ გაერთიანებული ინდივიდების ძალას. აქედან კომუნიზმის დამყარებას არსებითად ეკონომიური ხასიათი აქვს. იგი ამ გაერთიანების მატერიალური პირობების შექმნაა“[1].

სოციალ-რეფორმისტები სრულიად უსაფუძვლოდ სდებენ ბრალს მარქსისტ-ლენინელებს სუბიექტური ფაქტორის როლის შეუფასებლობაში. პირიქით, მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმმა განსაზღვრა სწორად სუბიექტური ფაქტორის როლი ისტორიაში. ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეკონომიური გადატრიალების აუცილებელი პირობაა პოლიტიკური რევოლუცია, რომელიც კლასობრივი ბრძოლის შედეგია. არ არსებობს მორალი, თავისუფლება, ჰუმანიზმი საერთოდ. განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს კლასობრივი, პარტიული პრინციპის დაცვას. მუშათა კლასისათვის თავისუფლება ნიშნავს ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებას, ბურჟუაზიისათვის კი ექსპლოატაციის თავისუფლებას. „ყოველგვარი თავისუფლება მოტყუებაა, — წერს ლენინი, — თუ იგი ეწინააღმდეგება კაპიტალის უღლისაგან შრომის განთავისუფლების ინტერესებს“[2]. იგივე უნდა ითქვას ჰუმანიზმის თაობაზე. ჰუმანურ იდე-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა. გვ. 111.

[2] ვ. ი. ლენინი თხზ., ტ. 29, გვ. 407.

ებს აღმავალი ბურჟუაზიაც ქადაგებდა, მაგრამ მას არ შეეძლო მისი რეალური განხორციელება. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა სოციალიზმის ეთიკური დასაბუთება. მაგრამ ნამდვილი მორალური, ჰუმანური ურთიერთობის და თავისუფლების დამყარება შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოების ფუნქციონირების პირობებში. ამისათვის საჭიროა სოციალისტური რევოლუციის განხორციელება და არა არსებული ზოგად საკაცობრიო ეთიკური და ჰუმანური იდეების ქადაგება. „დემოკრატიულ სოციალიზმს“ საფუძვლად უდევს „ეთიკური იდეალიზმი“.

მემარჯვენე სოციალისტებისათვის „დემოკრატიული სოციალიზმის“ დასაბუთების მეორე ძირითადი პოსტულატია ანტისოვეტიზმი. სოციალისტური სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის უხეში დამახინჯება. მემარჯვენეები უპირველეს ყოვლისა გამოდიან სსრ კავშირის წინააღმდეგ, უწოდებენ ჩვენს წყობილებას „სახელმწიფო კაპიტალიზმს“. ეს უკანასკნელი, რეფორმისტთა ვარაუდით, „სოციალური დიფერენციაციის“ ახალი წყაროა. ამიტომ წარმოიშვნენ სსრ კავშირში, აცხადებენ მემარჯვენეები, ახალი ანტაგონისტური კლასები და ბრძოლას მათ შორის უფრო მწვავე ხასიათი აქვს, ვიდრე „კლასიკური“ კაპიტალიზმის ქვეყნებში. ზოგიერთი რეფორმისტი უფრო შორს მიდის. მათი მტკიცებით სოციალიზმის პირობებში კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას წარმოშობს შრომის მიხედვით პროდუქტთა განაწილების პრინციპი. ამიტომ ძლიერდება, აცხადებენ მემარჯვენეები, სოციალისტურ ქვეყნებში კერძომესაკუთრული ტენდენციები.

მემარჯვენე სოციალისტები ამჯერადაც უხეშად ამახინჯებენ სინამდვილეს. კაპიტალიზმის პირობებში ქონებრივი უთანასწორობა ემთხვევა ძირითადად კლასობრივ განსხვავებულობას. ეს ფაქტი მათ მექანიკურად გადააქვთ სოციალისტურ სინამდვილეზე. კლასები განსხვავდებიან მათი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი. სოციალიზმი ერთადერთი საზოგადოებაა, რომელიც სპობს ზღვარს წარმოების საშუალებათა მქონებელთა და ამ საშუალებებს მოკლებულთ შორის. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კლასების წარმოშობის პირობების ლიკვიდაცია და ყოველგვარი კლასობრივი განსხვავების დაძლევა.

სოციალიზმის პირობებში ხდება პროდუქტთა განაწილება შრომის მიხედვით. სოციალიზმი როდი გულისხმობს სრულ თანასწორობას. ჯერ

კიდევ არ არის ამის ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური პირობები. ჭართალია, სოციალიზმის ეტაპზე ჯერ კიდევ შემორჩა ისეთი სოციალური წყლულები, როგორიცაა მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ცილისწამება და სხვ., მაგრამ ესაა წარსულის მავნე გადმონაშთები ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში. შრომის მიხედვით პროდუქტთა განაწილების პრინციპის განუხრელი დაცვა ხელს უწყობს მათს დაძლევას. იგი ამავე დროს ყოველგვარი კლასობრივი განსხვავების დაძლევის პირობაა და არა კლასობრივი დიფერენციაციის ახალი წყარო.

მემარჯვენეები სოციალისტურ ხელისუფლებას უწოდებენ „ტოტალიტარულ" წყობილებას, „ეტატიზმს", რომელიც უპირისპირდება დემოკრატიზმს, ჰუმანიზმს. პროლეტარიატის გაბატონებული მდგომარეობა, რეფორმისტების აზრით, მისი „კლასობრივი ეგოიზმის" მაჩვენებელია. ჟ. მოკის განცხადებით წარმოება არ უნდა დაუმორჩილდეს პოლიტიკურ ხელისუფლებას. მას უნდა მიეცეს სრული ავტონომია. ბ. კაუცკი ამ დებულებას უფრო ზოგად მნიშვნელობას აძლევს. მისი აზრით, ოქტომბრის რევოლუცია იყო არა სოციალური, არამედ მხოლოდ პოლიტიკური გადატრიალება. რუსეთში ეგრეთ წოდებული „ტოტალიტარული" ხელისუფლების დამყარების მიზეზს რეფორმისტთა ზოგიერთი წარმომადგენელი ეძებს ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენილობაში. ნაადრევად მოხდა აქ რევოლუცია, არ იყო ამისათვის ეკონომიური პირობები. ამის შესახებ თვით ლენინი მიუთითებდაო, ამბობს ი. ბრაუნტალი. რ. გაროდის მიხედვით ეკონომიური პირობების მოუმწიფებლობის ფაქტის კომპენსაციას ბოლშევიკები შეეცადნენ ზემოდან, პარტიის დიქტატურის დამყარებითო. იქნებ საჭიროა კოპერნიკის მაგალითისამებრ, წერს იგი, ჩვენც მოვახდინოთ მკვეთრი შემობრუნება — სოციალიზმი ვაშენოთ არა მხოლოდ ზემოდან, არამედ ქვემოდანაც. არა, ეს არ არის სოციალიზმი, აცხადებს გაროდი ჩვენს ქვეყანაში აშენებული განვითარებული სოციალიზმის შესახებ.

რეფორმისტებისათვის გაუგებარია სოციალისტური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობების თანაფარდობა. ბუხარინიც თავის დროზე რუსეთის მეტისმეტი ეკონომიური ჩამორჩენილობის ფაქტორს ძიიჩნევდა რევოლუციის გამარჯვების მთავარ პირობად. ამით იგი მიუთითებდა ანტიიმპერიალისტურ ძალთა სისუსტეზე. მაშინ

როდესაც სინამდვილეში რევოლუციის გამარჯვება განაპირობა კაპიტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა ორგანიზებულობის მაღალმა დონემ. მართალია, რევოლუციამდელი რუსეთი არ ყოფილა ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა, მაგრამ მას ჰქონდა კაპიტალისტური განვითარების აუცილებელი საშუალო დონე. მეტიც, მუშათა კონცენტრაციის მიხედვით რუსეთი პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში. მეორე მხრივ, დასავლეთისაგან განსხვავებით აქ უაღრესად მომწიფებული იყო რევოლუციის სუბიექტური პირობები. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ამ შეხამებამ განსაზღვრა იმპერიალიზმის ჯაჭვის გაწყვეტა რუსეთის რაიონში. რეფორმისტთა ეს „საბუთი" არ არის ახალი. იგი ამხილა თავის დროზე ვ. ი. ლენინმა. ეს ზედაპირული შაბლონური საბუთია, წერდა ლენინი, რომ ჩვენ არა გვაქვს „ობიექტური ეკონომიური წანაძძღვრები სოციალიზმისათვის"[1]. ამავე ნაშრომში, სუხანოვის წინააღმდეგ ლენინმა აჩვენა აგრეთვე რუსეთში რევოლუციისათვის ეგრეთ წოდებული კულტურული წანამძღვრების მოუმწიფებლობის თვალსაზრისის სიყალბე.

სოციალიზმის პირობებში სამეურნეო და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპია დემოკრატიული ცენტრალიზმი. გარდამავალ პერიოდში იგი ხორციელდება პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით. პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, აგრეთვე საერთოსახალხო სახელმწიფოს ფუნქციონირების ეტაპზეც ხელმძღვანელი ძალაა მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის მეთაურობით. ამით დემოკრატიის პრინციპი კი არ ირღვევა, არამედ, პირიქით, ახალ, უმაღლეს გამოხატულებას ღებულობს. პროლეტარიატი როგორც ყველაზე რევოლუციური, მოწინავე და შეგნებული კლასი, განუხრელად იცავს არა მარტო საკუთარ, არამედ მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს. იგი ინტერნაციონალური ბუნების კლასია. თავდაპირველად, კერძოდ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ახალი ფორმით გრძელდება კლასობრივი ბრძოლა, პროლეტარიატი ერთგვარ უპირატესობებს იტოვებს თავისთვის. ამ აზრით იგი „გაბატონებული უნდა იყოს ყველა დანარჩენ კლასზე" (ლენინი), მაგრამ ეს გარემოება პროლეტარიატის „კლასობრივ ეგოიზმზე" კი არ მიუთითებს. მხოლოდ პროლეტარიატის განუყოფელი ბატონობის დაცვითაა შესაძლებელი გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობათა ეადაჭრა, რაც შემდეგში ყოველგვარი კლასობრივი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 33, გვ. 564.

განსხვავების დაძლევის, ესე იგი სრულ სოციალურ ერთგვაროვნობაზე გადასვლის პირობაა.

იგივე უნდა ითქვას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ. პარტია ხალხს კი არ უპირისპირდება, არამედ მისი ინტერესების ყველაზე შეგნებული დამცველია. დიქტატურას ახორციელებს კლასი და არა პარტია. მაგრამ მხოლოდ პარტიის მითითებების საფუძველზე შეუძლია მუშათა კლასს სწორი ხელმძღვანელობა. ადგილებზე მუშაობას წარმართავს მუშათა კლასის სხვადასხვა ორგანიზაცია. პარტია არ ეწევა მათს მეურვეობას. მაგრამ ერთი გარკვეული გეგმის შესაბამისად მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა შეუძლია მხოლოდ კომუნისტურ პარტიას, რომელიც აღჭურვილია საზოგადოების განვითარების მეცნიერული კანონების ცოდნით. აი როგორ წყვეტს ლენინიზმი სოციალიზმის „ზემოდან“ და „ქვემოდან“ მშენებლობის შეხამების საკითხს. მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობა სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებითი მშენებლობის აუცილებელი პირობაა.

მემარჯვენე სოციალისტები ერთმანეთს უპირისპირებენ პოლიტიკურ და სოციალურ რევოლუციას. ეს კურსი გადააქვთ მათ სოციალიზმის მშენებლობის ეტაპზეც. ამიტომ უარყოფენ ისინი წარმოების ყოველგვარ კავშირს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან, სახელმწიფოსთან. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში სახელმწიფო მართლაც უპირისპირდება ხალხს. მაგრამ ძირეულად იცვლება მდგომარეობა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც ფუნქციონერებს სახელმწიფო, რომელიც, პირიქით, იცავს ხალხის ინტერესებს, სოციალისტური რევოლუცია არაა მხოლოდ პოლიტიკური რევოლუცია. მისი მიზანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის გარდაქმნა. პოლიტიკური ხელისუფლება მუშათა კლასის ხელში ახალი სოციალისტური ეკონომიკის აშენების მთავარი იარაღია. სოციალიზმის პირობებში ცენტრალიზმი არ ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს. რასაკვირველია, ულტრაცენტრალიზმიც და ულტრადემოკრატიზმიც შეცდომაა. პირველი ზღუდავს დემოკრატიულ უფლებებს, მეორე კი ხელს უშლის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას. გამოსავალია დემოკრატიული ცენტრალიზმი, რომელიც გულისხმობს ქვედაფენების თაოსნობის, ინიციატივის შეერთებას ნებაყოფლობით ცენტრალიზმთან. მსჯელობა საერთო, გადაწყვეტილება ერთპიროვნული — ასეთია ლენინიზმის სახელმძღვანელო პრინციპი.

რეფორმისტები ამახინჯებენ სოციალისტური ქვეყნების. აგრეთვე ორი მსოფლიო სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის პრინციპებს. მათი მტკიცებით სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის ერთადერთი საფუძველია „მშვიდობიანი თანაარსებობა“, რომელსაც იდეოლოგიის სფეროზეც ავრცელებენ. ანტიკომუნისტებთან ერთად მემარჯვენეები ქადაგებენ ეგრეთ წოდებული „შეზღუდული სუვერენიტეტის“ დოქტრინას და სოციალიზმის ბანაკს აცხადებენ „დახშულ“ სისტემად.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ქვეყნების ურთიერთობის ახალი ტიპია. იგი ემყარება თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, ურთიერთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მაგრამ აღნიშნული პრინციპები ვერ ამოწურავენ მათი ურთიერთობის არსს. ისინი ამავე დროს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებია, რომლებიც შეეხება, აგრეთვე ორი სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა ურთიერთობის სფეროს. სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობის უმაღლესი პრინციპია პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. აუცილებელია სოციალისტურ სახელმწიფოთა შორის ძმური ურთიერთდახმარება და მეგობრობა, ფართო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა. ასე იქმნება ერთიანი ყოვლისმომცველი მსოფლიო სოციალისტური მეურნეობა ანუ, როგორც ლენინი მიუთითებდა, „ხალხთა მსოფლიო კოოპერატივი“.

რეფორმისტებს დამახინჯებულად აქვთ წარმოდგენილი სუვერენიტეტის პრინციპი. ლენინიზმი სუვერენიტეტის აბსტრაქტული გაგების წინააღმდეგია. სახელმწიფოს სუვერენიტეტი, უპირველეს ყოვლისა, გაბატონებული კლასის სუვერენიტეტია. სოციალისტური სახელმწიფო მუშათა კლასის სახელმწიფოა. სოციალისტური სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვა ნიშნავს მისი სოციალისტური ბუნების, მუშათა ხელისუფლების დაცვას. სოციალისტური მონაპოვრების დაცვა უმაღლესი ინტერნაციონალური მოვალეობაა.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა როდია „დახშული“ სისტემა. მისი თითოეული წევრი დამოუკიდებელი ერთეულიცაა და საერთო ოჯახის წევრიც. ყოველი ქვეყნის ეკონომიკა ეროვნული მეურნეობაცაა და მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ნაწილიც. ასეთია ზოგადისა და კერძოს დიალექტიკური ურთიერთკავშირი. მაგრამ სოციალისტური

სისტემა მართლაც „დახურულია“ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არ დაიცავენ სოციალიზმის მშენებლობის ზოგად კანონზომიერებებს. ამაში მდგომარეობს კლასობრივი, პარტიული მიდგომის არსი. პირიქით, იგი „ღიაა“ ყველა სახელმწიფოსათვის, სადაც დაემხობა კაპიტალის უღელი და დაიწყება ახალი საზოგადოების მშენებლობა. ორი მსოფლიო სისტემის სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა ამავე დროს კლასობრივი ბრძოლის ასპარეზია. ამასთან ლენინიზმი გაძორიცხავს იდეოლოგიის სფეროში თანაარსებობის შესაძლებლობას. მშვიდობიანი თანაარსებობის პერიოდი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პერიოდია. სოციალიზმის გადაქცევა ყოვლისმომცველ სისტემად ობიექტური ისტორიული კანონზომიერებაა.

მემარჯვენე სოციალისტები, როგორც ზემოთ აღინიშნა, იცავენ ორი სისტემის „კონვერგენციის დოქტრინას“. არის ორი მსოფლიო სისტემის სინთეზის სხვა კონცეფციაც. ესაა ეგრეთ წოდებული „ხიდების გადების“ თეორია. მემარჯვენეები კაპიტალისტურ სისტემას აწერენ სოციალისტური სისტემის ნიშნებს და პირიქით. საჭიროა ხელი შეეუწყოთ, აცხადებენ ისინი, ორი სისტემის ურთიერთგამდიდრებადაახლოების პროცესს. ფაქტიურად ამით მემარჯვენე სოციალისტები მოითხოვენ სოციალისტური სისტემის „შიგნიდან აფეთქებას“, რათა აბსოლუტურად გაბატონებული მდგომარეობა დარჩეს კაპიტალიზმს. ამრიგად, „დემოკრატიული სოციალიზმი“ მოდიფიცირებული კაპიტალიზმია.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორიის დასაცავად რეფორმისტები იძულებული არიან დაამახინჯონ თვით კაპიტალისტური სინამდვილე. ამ მიზნით ისინი ქადაგებენ „შერეული ეკონომიკის“, „სამეურნეო დემოკრატიის“ და სხვა დოქტრინებს.

„შერეული ეკონომიკის“ დოქტრინაც არ არის ახალი. მას ქადაგებენ გასული საუკუნის მიწურულიდან. მისი მიზანია კერძო საკუთრების შენარჩუნება. მემარჯვენე სოციალისტთა მტკიცებით ყველაზე დემოკრატიული და თავისუფალი წყობილება ემყარება უთუოდ „შერეულ ეკონომიკას“. უნდა დავნერგოთ საკუთრების სამი სახე: სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული და კერძო, — აცხადებენ მემარჯვენეები. კლასიკურმა კაპიტალიზმმა, წერს ლ. ლორა, ევროპასა და ამერიკაში ადგილი დაუთმო შერეულ ეკონომიკას, რომელსაც აქვს კოლექტივისტური სული. ჟ. მოკის მიხედვით ნამდვილი დემოკრატიული საზოგა-

დოების საფუძველია შერეული ეკონომიკა, როდესაც საწარმოები ნახევრად ნაციონალიზებულია და ნახევრად კერძო. ადრე ინგლისელი ლეიბორისტები რ. კროსმენი და გ. კროსლენდი ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალისტურ ეკონომიკას აქვს გარდამავალი ხასიათი. ახლა ისინი „შერეულ ეკონომიკას" სოციალისტურ ეკონომიკად აცხადებენ. იგივე აზრია გატარებული სოციალისტური ინტერნაციონალის პროგრამულ დოკუმენტში „XX საუკუნის სოციალიზმი". სოციალისტური ეკონომიკა, ნათქვამია აქ, არის შერეული ეკონომიკა, ნაწილობრივ კერძო, ნაწილობრივ საზოგადოებრივი, მაგრამ ყველა ასპექტში შერეული.

ზოგიერთი შემარჯვენე სოციალისტი კონკურენციისა და გეგმიანობის შეხამების შესაძლებლობასაც უშვებს. მეტიც, ა. ფილიპის განცხადებით, კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში დაგეგმვა შესაძლებელია არა მარტო ცალკე საწარმოებში, არამედ საერთო ეროვნული მასშტაბითაც. ი. ბრაუნტალის მტკიცებით საზოგადოებაში, რომელიც ემყარება „შერეულ ეკონომიკას" მეურნეობის დაგეგმვა შესაძლებელია სოციუზრუნველყოფის გზით[1]. გამოდის, რომ სოციალისტური ეკონომიკა არის ჰიბრიდული ეკონომიკა, რომელიც სოციალისტური წარმოებისაგან სესხულობს დაგეგმვის, კონტროლის ნიშნებს, კაპიტალისტურისაგან კი ზემოგების მიღების პრინციპებს, ბაზრის სტიქიას.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ კაპიტალის ბატონობის პირობებში სახელმწიფოებრივი, კოოპერაციული და კერძო საკუთრება ერთიანი კერძო კაპიტალისტური საკუთრებაა. სხვანაირად არც შეიძლება. ვინც წვრილგლეხური მეურნეობის შენარჩუნებას აღიარებს, მან კაპიტალიზმის შენარჩუნებაც უნდა დაუშვას. „წვრილი წარმოება, — წერს ლენინი, — წ ა რ მ ო შ ო ბ ს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, ყოველსაათობით, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით"[2]. კაპიტალიზმი ხელს უწყობს წარმოების განსაზოგადოებას. შესაბამისად იქმნება სახელმწიფოებრივი საკუთრებაც, მაგრამ ეს უკანასკნელი ნამდვილი საზოგადოებრივი საკუთრების ხასიათს იღებს მხოლოდ სოციალიზმის დროს.

იგივე უნდა ითქვას გეგმიანობის თაობაზე. შეუძლებელია კონკურენციის დაგეგმვა, ისევე როგორც არ შეიძლება კონკურენცია გეგმიან ეკონომიკაში. ერთია მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება

---

[1] См. «Идеология современного реформизма», М., 1970, стр. 15.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 8—9.

გეგმიან საწყისებზე და სხვაა გეგმა-პროგნოზები. ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირება, პროგრამირება შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს. მაგრამ ვიდრე კერძო საკუთრება ბატონობს, შეუძლებელია ერთიანი გეგმის მიხედვით სახალხო მეურნეობის განვითარება. „ყველაზე გავრცელებულ შეცდომას წარმოადგენს ის ბურჟუაზიულ-რეფორმისტული მტკიცება, თითქოს მონოპოლისტური ან სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმი, — წერს ვ. ი. ლენინი, — უკვე აღარ იყოს კაპიტალიზმი, უკვე შეიძლებოდეს ეწოდოს მას „სახელმწიფოებრივი სოციალიზმი“ და სხვა ამგვარი. სრულ გეგმაზომიერებას ტრესტები, რა თქმა უნდა, არ იძლეოდნენ, დღემდე არ იძლევიან და ვერც მოგვცემენ. მაგრამ რამდენადაც ისინი იძლევიან გეგმაზომიერებას, რამდენადაც კაპიტალის მაგნატები წინასწარ ითვალისწინებენ წარმოების ოდენობას ნაციონალური ან ინტერნაციონალური მასშტაბითაც კი, რამდენადაც ისინი გეგმაზომიერად აწესრიგებენ მას, ჩვენ მაინც ვრჩებით კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს პირობებში“[1]. ამრიგად, „შერეული ეკონომიკა“ ფაქტიურად კაპიტალიზმის გაუმჯობესებული ვარიანტია.

კაპიტალისტთა ინტერესებს იცავს აგრეთვე „საწარმოო დემოკრატიის“ თეორია. ეკონომიური დემოკრატიის იდეა წამოაყენეს XIX საუკუნის ბოლოს ფაბიანელებმა ს. და ბ. უებებმა. XXსაუკუნის 20-იან წლებში ეს თვალსაზრისი „ეკონომიური დემოკრატიის“ დოქტრინად სრულჰყო რ. ჰილფერდინგმა. ჩვენ უარი არ უნდა ვთქვათ სახელმწიფოებრივ სოციალიზმზე (ასე უწოდებდნენ მეცნიერულ სოციალიზმს. — ი. ქ.). სოციალიზაციის პროცესი — ესაა საწარმოო დემოკრატიის პროცესი, აცხადებდა იგი. ეკონომიური დემოკრატია, რეფორმისტების განცხადებით, საშუალებას აძლევს ყველა მუშას ამაღლდეს ხელმძღვანელის დონემდე. ეკონომიური დემოკრატიის გარეშე, წერდა კ. რენერი 1929 წელს, შეუძლებელია სოციალიზმი. უფრო ადრე „საწარმოო დემოკრატიის“ პრაქტიკული განხორციელების ინიციატივა გამოიჩინა გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ. 1918 წელს რევოლუციის შედეგად მონარქიის დამხობით, აცხადებდნენ გერმანელი სოციალისტები, დამკვიდრდა სრული პოლიტიკური დემოკრატია. ამიერიდან დღის წესრიგიდან მოიხსნა ხელისუფლებისათვის ბრძოლის საკითხი. რჩება ეკონომიური დემოკრატიზაციის, ეკონომიური ხელისუფლების საკითხი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 548.

„მესამე იმპერიასთან“ ერთად, წერდა შუმახერი, გერმანიაში კაპიტალიზმის სისტემაც დაინერგა. რევოლუციამ პოლიტიკურ სფეროში მისცა მუშებს სრული თანასწორობა, აცხადებდა ჰერმან მიულერი, საჭიროა პოლიტიკურ რევოლუციას მოჰყვეს ეკონომიურიო. მართლაც, 1919 წლის კონსტიტუციის 165-ე მუხლი მიუთითებდა წარმოების ხელმძღვანელობაში მუშათა მონაწილეობის შესაძლებლობაზე. 1920 წელს რაიხსტაგმა კანონიც კი მიიღო „საფაბრიკო-საქარხნო საბჭოების“ შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მემარჯვენე სოციალისტები კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ქადაგებენ „საწარმოო დემოკრატიის“ დოქტრინას. ბ. კაუცკის განცხადებით სოციალიზმი — ესაა პოლიტიკური და ეკონომიური დემოკრატიის ჯამი. სოციალიზმი სრული არ იქნება, თუ პოლიტიკურ დემოკრატიას არ დაემატა ეკონომიური, საშეურნეო დემოკრატიაო. სოციალიზმი, ავსტრიელ რეფორმისტთა მტკიცებით, არის სრული დემოკრატია, შეუზღუდველი პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური დემოკრატია. გერმანელ სოციალისტთა განცხადებით ახლა მიმდინარეობს კაპიტალიზმის „სპონტანური სოციალიზაცია“ ეკონომიური დემოკრატიის განხორციელების გზით. ჩვენს დროში საზოგადოდ სოციალური პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ „საშეურნეო დემოკრატიის“ გატარებით, აცხადებენ რეფორმისტები.

„საწარმოო დემოკრატიის“ თეორია არამეცნიერულია და მავნე. „ეს ტერმინი (ლაპარაკია „საწარმოო დემოკრატიაზე“. — ი. ქ.) თეორიულად სწორი არ არის. ყოველი დემოკრატია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როგორც საზოგადოდ ყოველი პოლიტიკური ზედნაშენი „...ემსახურება, საბოლოო ანგარიშით, წარმოებას და განისაზღვრება. საბოლოო ანგარიშით, არსებული საზოგადოების საწარმოო ურთიერთობით. ამიტომ „საწარმოო დემოკრატიის“ გამოყოფა ყოველგვარი სხვა დემოკრატიიდან არაფერს არ გვეუბნება. ეს დომხალი და ლათაიაა“[1]. რეფორმისტები უპირისპირებენ ერთმანეთს სამეურნეო და პოლიტიკურ, სოციალისტურ დემოკრატიას. ისინი ამით აიდეალებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას და იცავენ „წმინდა“ დემოკრატიის თვალსაზრისს. სინამდვილეში პოლიტიკურად გაბატონებული კლასი ეკონომიურადაც გაბატონებულია. თუ პოლიტიკური ხელისუფლება ხალხის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი., თხზ., ტ. 32, გვ. 84.

ხელშია, სახელმწიფოც მის ინტერესებს იცავს. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში არ არსებობს ერთიანი საზოგადოებრივი ინტერესი. პროლეტარიატია მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესების ნამდვილი დამცველი. ვიდრე პოლიტიკური ხელისუფლება არ გადავა მუშათა კლასის ხელში, შეუძლებელია მშრომელთა რეალური ჩაბმა მართვა-გამგეობაში. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რაზედაც დიდ იმედს ამყარებდნენ გერმანელი სოციალისტები, ფაქტიურად გამოიყენეს მონოპოლისტებმა თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასაცავად. ამიტომ მოითხოვა გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ მათი გაუქმება და პროფკავშირების უფლებების გაფართოება. „სინდიკალიზმი წარმოებათა მიხედვით დაქსაქსულ უპარტიო მუშათა მასას გადასცემს მრეწველობის დარგების („მთავარი კომიტეტები და ცენტრები") გამგებლობას, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ამით სპობს პარტიის აუცილებლობას, არ აწარმოებს ხანგრძლივ მუშაობას არც მასების აღსაზრდელად, არც მ ა თ ხ ე ლ შ ი მ თ ე ლ ი ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს გამგებლობის ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მოსაქცევად[1]". თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები ქადაგებენ სწორედ ანარქოსინდიკალისტურ, წვრილბურჟუაზიულ შეხედულებებს.

ასევე ყალბია არასახელმწიფოებრივი, ეგრეთწოდებული, „ეკონომიური პარლამენტის" შექმნის რეფორმისტული მოთხოვნა. ამით უარყოფილია ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის საჭიროება. მაგრამ დეცენტრალიზაციის პირობებში ხომ შეუძლებელია გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარება. რეფორმისტები მდუმარედ ემყარებიან ცრუ ვარაუდს, თითქოს კაპიტალისტურ ქვეყნებში პოლიტიკური დემოკრატიის პრობლემა გადაწყვეტილია. პოლიტიკური და ეკონომიური დემოკრატიის დაპირისპირებით ისინი ფაქტიურად იცავენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. პოლიტიკური დემოკრატიის ნამდვილი დამკვიდრებით ეკონომიურ სფეროშიც ინერგება დემოკრატია.

ამრიგად, სოციალ-რეფორმიზმი თავისი სოციალური ფუნქციით ბურჟუაზიის მსახურია. „სახალხო კაპიტალიზმის". კაპიტალიზმის და სოციალიზმის „ტრანსფორმაცია-კონვერგენციის" თეორიის მიზანია მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხარჯზე კაპიტალისტური მსო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ. 41.

ფლიო სისტემის შენარჩუნება და განმტკიცება. „დემოკრატიული სოციალიზმის“ იდეოლოგია ოპორტუნიზმის ლოგიკური დაგვირგვინებაა. „დემოკრატიული სოციალიზმი“ იცავს კაპიტალიზმს სოციალიზმის დროშით. თუ ბერნშტეინისათვის მოძრაობა იყო ყველაფერი, ხოლო საბოლოო მიზანი არაფერი, თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებისათვის მოძრაობა ყველაფერია, საბოლოო მიზანი კი — უტოპია.

რეფორმისტების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების კრიტიკა

I. „სოციალური პარტნიორობა“ კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად. პროლეტარიატის ისტორიული მისია

კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ თეორიის გაგრძელება და „დასაბუთებაა“ „სოციალური პარტნიორობის“ დოქტრინა. რეფორმისტებს სურთ უარყონ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის, კერძოდ, მუშათა კლასის ისტორიული როლის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მნიშვნელობა თანამედროვე პირობებში. ამით ისინი ქადაგებენ „კლასობრივი ზავის“, ესე იგი სოციალური რევოლუციის უარყოფის, თვალსაზრისს.

რეფორმისტების ერთი ნაწილი ცდილობს მოძველებულად გამოაცხადოს კლასების მარქსისტულ-ლენინური განსაზღვრა და ამ გზით უარყოს თვით კლასების არსებობა. გერმანელი სოციალისტის ვაისმერის მტკიცებით წარმოების საშუალებებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება საზოგადოების კლასებად დაყოფის კრიტერიუმად შეიძლება ვაღიაროთ მხოლოდ კაპიტალიზმის გარიჟრაჟზე. ახლა განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეძლევა კერძო ფაქტორებს. მემარჯვენე სოციალისტები, ბურჟუაზიული იდეოლოგების მსგავსად, „კლასობრივი სტრუქტურის“ ცნებას ცვლიან „სტრატიფიკაციის“ ცნებით. ჩვენ დროში სოციალური სტრუქტურის ძირითადი ნაწილია, ამტკიცებენ ისინი, არა საზოგადოებრივი კლასები, არამედ სოციალური ფენები ანუ „სტრატები“. თითოეულ სოციალურ ჯგუფს აქვს საკუთარი ინტერესი. ისინი განსხვავდებიან „ცხოვრების სტილით“ — განათლებით, ასაკით, კანის ფერით, ჩაცმულობით, პროფესიით და სხვ. გერმანელი სოციალისტის კ. შმიდტის აზრით, ამჟამად სოციოლოგიური თვალსაზრისით ფე-

ხით მოსიარულესა და მანქანის მძღოლს შორის განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლასობრივი განსხვავებულობა. ჰამბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ზ. ლანდსმუტი კიდევ უფრო შორს მიდის. ახლა გენერალური დირექტორი და მუშა ერთად დადიან ფეხბურთის საყურებლად. გაქრა მათი ინტერესთა დაპირისპირებულობა. ერთი რომ „მერსედესს" ფლობს, ხოლო მეორე — „მოპედს", ეს მხოლოდ გემოვნების საქმეაო, — წერს იგი. ლეიბორისტ დ. კოულის მიხედვით კლასების ცნება სრული აბსტრაქციაა. მას არა აქვს სინამდვილესთან რაიმე კავშირი. ახლა საზოგადოებრივ ცვლილებებს წარმართავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. ინდუსტრიალიზაციის პროცესმა ძირეულად შეცვალა კერძო საკუთრების სოციალური როლი. ზედმეტ ღირებულებას ქმნიან არა მუშები, არამედ მანქანები. ესე იგი გაქრა ექსპლოატაციის შესაძლებლობა. ინგლისში უკვე არ არის ექსპლოატაცია, — აცხადებენ ლეიბორისტები. „უკლასო" საზოგადოება, რაზედაც კ. მარქსი ოცნებობდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში უკვე აშენებულიაო. ამრიგად, რეფორმისტთა მტკიცებით, კლასობრივი საზოგადოების ნაცვლად შექმნილია „მასობრივი საზოგადოება". კლასობრივი განსხვავებულობის ადგილი დაიჭირა ინდივიდუალურმა განსხვავებულობამ.

კლასის ცნების დამახინჯებას რეფორმისტები კლასობრივი ბრძოლის უარყოფამდე მიჰყავს. ისინი ქადაგებენ კლასობრივი ბრძოლის „ქრობისა" და „სოციალური პარტნიორობის" დამკვიდრების იდეას. „სოციალური პარტნიორობის" დოქტრინა ახალი არ არის. მას ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში იცავდა ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ერთი ჯგუფი. ამავე საუკუნის დასასრულს „სოციალური პარტნიორობის თეზისის" ახალი „დასაბუთება" მოგვცა ე. ბერნშტეინმა. „ინტერესთა შერიგების", „ადამიანური ურთიერთობის" დამკვიდრების, „სოციალური პარტნიორობის" თვალსაზრისს თავგამოდებით იცავენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები. ისინი კლასობრივ ბრძოლას აცხადებენ „კლასიკური კაპიტალიზმის" ატრიბუტად. ჩვენ, ლეიბორისტები, არასოდეს არ ვუჭერდით მხარს კლასობრივი ბრძოლის თეორიას. — წერდა კ. ეტლი. 1946 წელს ლეონ ბლიუმის წინადადებით საფრანგეთის სოციალისტური პარტიის პროგრამიდან ამოღებულ იქნა თვით ტერმინი „კლასთა ბრძოლა". ჩვენს დროში, წერს ლ. ლორა, ყველაზე საშიშია კლასობრივი ბრძოლის ლოზუნგი. კლასობრივმა

ბრძოლამ, ფ. კლენერის აზრით, მიგვიყვანა კლასობრივ წინააღმდეგობათა შესუსტებამდე. დღეს ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ამტკიცებენ რეფორმისტები, არიან არა ანტიპოდები, არამედ სოციალური პარტნიორები.

რეფორმისტთა შეხედულებებში, როგორც წესი, არის წინააღმდეგობებიც. ავსტრიელი სოციალისტი ლორა ვორი კლასობრივ ბრძოლას აღიარებს განათლების სფეროში. ამერიკელი სოციალისტი ს. ლიპსეტი უშვებს ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული კლასობრივი ბრძოლის“ შესაძლებლობას. ესაა „ბრძოლა“ ერთიანი იდეოლოგიის, „წითელი დროშის“, „პირველი მაისის დემონსტრაციების“ გარეშე[1]. ფ. კროინცერი მიანიშნებს დაპირისპირებულობის შესაძლებლობაზე ტექნიკურ ცივილიზაციასა და სულიერ კულტურას შორის. სოციალიზმმა უნდა დასძლიოს ეს წინააღმდეგობა. იგი კულტურული მოძრაობაა. მისი მიზანია საზოგადოების კულტურული სუბლიმაცია, — ასკვნის ფ. კროინცერი. აღნიშნული „კორექტურა“ ცხადია, ვერ ცვლის საქმის არსს. იგი მხოლოდ რეფორმისტთა შეხედულებების არათანმიმდევრობაზე მიუთითებს. ამრიგად, რეფორმისტები კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად იცავენ „სოციალური პარტნიორობის“, კლასთა შერიგების თვალსაზრისს.

რეფორმისტების მეორე ნაწილი ხელაღებით არ უარყოფს კლასების არსებობის ფაქტს, მაგრამ ამახინჯებს კლასების შინაარსს და ამასთან დაკავშირებულ კლასობრივი ურთიერთობის ყველა მხარეს. მათი მტკიცებით ჩვენი ეპოქის ნიშანია ეგრეთ წოდებული „საშუალო კლასების“ ბატონობა. ბურჟუაზიული სტატისტიკა უკლებლივ ყველას — რიგითი მუშაკიდან სააქციო კომპანიის გენერალურ დირექტორამდე, შიკრიკიდან მინისტრამდე — „მოსამსახურეთა კლასს“ განაკუთვნებს. მემარჯვენე სოციალისტები კი — „ახალ საშუალო კლასს“. დ. კოულის აზრით, შეცდა კ. მარქსი, რომელიც კაპიტალის კონცენტრაციის კვალობაზე კლასების პოლარიზაციის შესახებ მიუთითებდა[2]. მას „საშუალო კლასში“ 12-ზე მეტი ჯგუფი და ფენა შეჰყავს. 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში „საშუალო კლასს“ ოფიციალურად მიაკუთვნებდნენ ყველას, ვისაც წელიწადში ჰქონდა 10-დან 25 ათასადმე დოლარი შემოსავალი, ხოლო 1950 წლიდან — 6-დან 25 ათასა-

---

[1] См. «Философские науки», 1970, № 3, стр. 155.

[2] См. Д. Г Коул. Капитализм в современном мире. М., 1958, стр. 44.

მდე დოლარის მფლობელთ. შემდეგ მასშტაბები უფრო გაფართოვდა. „საშუალო კლასში" ჩარიცხეს ზედაფენებიდან 25-დან 100 ათას დოლარამდე, ქვედაფენებიდან კი 3-დან 6 ათას დოლარამდე ხელფასის მქონე მოქალაქეები. რ. დარენდორფს „საშუალო კლასში" შეჰყავს სახელმწიფო მდივანი და მემანქანეც. კურტ მაიერის (იხ. მისი „კლასები და საზოგადოება") მტკიცებით ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არის კლასები ტრადიციული გაგებით. ყოველი ამერიკელი „საშუალო კლასის" წარმომადგენელია. მე ისეთივე კარგი ვარ, როგორც ყოველი სხვა, — წერს ის.

რეფორმისტებს უნდათ ბურჟუაზია და პროლეტარიატი წარმოადგინონ ერთიან „საშუალო კლასად". პროლეტარიატი ამაღლდა საშუალო კლასის დონემდეო, — აცხადებენ ისინი. 20—30-იან წლებში სოციალ-დემოკრატები მუშათა კლასის რაოდენობის ზრდაზე ამყარებდნენ იმედს. სოციალიზმზე გადასვლა წარმოდგენილი ჰქონდათ მათ როგორც სტიქიური პროცესი, როდესაც პარლამენტში ხმების მეტ წილს მიიღებენ მუშები, რადგან შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. თანამედროვე მემარჯვენეებს სხვა „საბუთი" აქვთ. ისინი ამტკიცებენ, რომ მოხდა მუშათა კლასის „განზავება" „საშუალო კლასში". ესე იგი „გაქრა" პროლეტარიატი. ამიტომ ორიენტაცია უნდა ავიღოთ „საშუალო კლასზე". ამრიგად „საშუალო კლასმა" შთანთქა ყველა კლასი და ფენა. ასე იქცა, ამტკიცებენ მემარჯვენეები. ყოველი განვითარებული ქვეყანა „საშუალო კლასის საზოგადოებად". „უკლასო" საზოგადოებად.

კლასთა ბრძოლის უარყოფით ბურჟუაზიის იდეოლოგებს და რეფორმისტებს სურთ მოძველებულად გამოაცხადონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მუშათა კლასის ისტორიული მისიის შესახებ. „საშუალო კლასის" დოქტრინაც იმავე მიზანს ისახავს. ჩვენს დროში, ამტკიცებენ ისინი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მუშათა კლასმა დაჰკარგა ისტორიული ინიციატივა. კოსმონავტიკის, ატომური ენერგიის, ავტომატიზაციის ეპოქაში უპერსპექტივო გახდა თვით მუშათა მოძრაობა. მას არ შეუძლია დამოუკიდებელი როლის შესრულება. წარმოებიდან მუშები გამოდევნა მანქანამ. ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიამ შექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც „დაადგინა", რომ 2000 წელს ინდუსტრიულ ქვეყნებში წარმოებაში უშუალოდ დასაქმებული იქნება შრო-

მისუნარიანი მოსახლეობის 10 პროცენტი[1]. თანამედროვე მუშათა კლასი ფიქციაა, — ასკვნიან ბურჟუაზიის იდეოლოგები დ. ბერნჰემი, უ. როსტოუ, რ. არონი და სხვები. „მემარცხენე“ წვრილბურჟუაზიული ექსტრემიზმის იდეოლოგ ჰ. მარკუზეს მტკიცებით მოხდა მუშათა კლასის „ინტეგრაცია“ სახელმწიფო მონოპოლისტურ კაპიტალიზმთან. მარქსისათვის პროლეტარიატი არის მუშა, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ შრომას ეწევა. აქედან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში იგი კონსერვატიულ ძალად იქცა. მან დაჰკარგა რევოლუციურობა და ესტაფეტა გადასცა ახალგაზრდობას, დაასკვნის ჰ. მარკუზე.

მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნიზმის წარმომადგენლები ასევე უარყოფენ მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს საზოგადოების განვითარებაში. ისინი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე მუშათა კლასი „გაბურჟუაზიულდა“. იგი ყოველმხრივ უზრუნველყოფილია და ამიტომ უარს ამბობს რევოლუციაზე. მეტიც, ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტის აზრით, ახლა მუშას, რომელიც მაძღარია, შრომაც არ უნდა. გერმანელი სოციალისტის გ. დეისტის, ავსტრიელი ბ. კაუცკის მტკიცებით დიდი ხანია მოძველდა მარქსიზმის დებულება — პროლეტარიატი რევოლუციაში არაფერს დაჰკარგავს გარდა ბორკილებისა. გ. სალვადორის მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქე, რომელსაც შემნახველი სალაროს წიგნაკი აქვს, ფაქტიურად კაპიტალისტია. უთანასწორობა მოისპო, ჩვენ ყველანი მუშები ვართ, — აცხადებენ მემარჯვენეები.

რეფორმისტები „ორიგინალურ“ ინტერპრეტაციას აძლევენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს. როჟე გაროდის მტკიცებით ამ რევოლუციის გავლენით მოხდა კლასობრივ სტრუქტურაში „მუტაცია“. პროლეტარიატმა დაჰკარგა მოწინავე პოზიციები. მოძრაობის მთავარი ძალა გახდა მეცნიერულ-ტექნიკური ინტელიგენცია და სტუდენტი ახალგაზრდობა. იგივე აზრისაა ე. ფიშერი. იგი „ახალ მუშათა კლასში“ აერთიანებს ყველა მუშაკს, რომელიც ხელფასს ღებულობს. რ. გაროდის „ახალ ისტორიულ ბლოკში“ კი ნაგულისხმევია გონებრივი და ფიზიკური შრომის ყველა წარმომადგენელი. „თეთრ“ და „რუხ“ საყელოიანთა ჯამი. როჟე გაროდი აიგივებს ცნებებს „ერთიანი მუშაკი“ და „მუშათა კლასი“. ე. ფიშერი ახალგაზრდობასაც კლასს უწოდებს და აფრთხილებს მას, არ მიბაძოს აღმოსავლეთ ევროპის

---

[1] См. «Правда», 24 декабря 1968 г.

მაგალითს. ფრანგი ე. მორენი „ახალგაზრდული რევოლუციის“ შესახებაც კი ლაპარაკობს.

„მემარცხენე“ ოპორტუნისტები სხვა უკიდურესობაში არიან გადავარდნილი. ისინი გლეხობას მიიჩნევენ ძირითად რევოლუციურ ძალად. მათი მტკიცებით აწლა რევოლუციურობის საზომი სიღარიბეში უნდა ვეძიოთ. სინამდვილეში „მემარცხენეები“ მემარჯვენეებისაგან პლატფორმით განსხვავდებიან მხოლოდ. დოგმატიკოსებიც ფაქტიურად უარყოფენ მოძრაობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლს. აუცილებელია ორივე გადახრის მხილება და დაძლევა.

*

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით. რევოლუციას ახორციელებენ ხალხის მასები, რომლებიც დაყოფილი არიან კლასებად. მასები რევოლუციამდე მიჰყავს კლასობრივ ბრძოლას. ამ გაგებით საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. კაპიტალიზმმა გაამარტივა კლასთა ურთიერთობა იმ აზრით, რომ დაუპირისპირა ერთმანეთს ო რ ი ძირითადი პოლუსი: შრომა და კაპიტალი, პროლეტარიატი და ბურჟუაზია. მაგრამ ამით კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

კლასების წარმოშობა კერძო საკუთრების წარმოშობასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ანტაგონისტურ კლასებად საზოგადოების დაყოფა რომ მოსპო, უნდა მოსპო კერძო საკუთრება. ვ. ი. ლენინმა მოგვცა კლასების აბმოწურავი მეცნიერული განსაზღვრება, რომელსაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს დღესაც. კლასები ადამიანთა დიდი ჯგუფებია, რომლებიც განსხვავდებიან: ა) მათი ადგილით საზოგადოებრივი წარმოების სისტემაში; ბ) მათი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი; გ) მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში; დ) სიმდიდრის წილის მიღების წესით და სიდიდით. წინასოციალისტურ საზოგადოებაში ერთი კლასი ყოველთვის გაბატონებულია, მეორე—დაჩაგრული. ვიდრე არ მოისპობა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება, შეუძლებელია კლასების მოსპობაც. რეალური თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრება სწორედ კლასების ლიკვიდაციასთანაა დაკავშირებული. მარქსიზმს თანასწორობა ესმის როგორც „საზოგადოებრივი თანასწორობა, საზოგადოებრივი მდგომარე-

ობის თანასწორობა“(ლენინი). კლასების მოსპობა ნიშნავს წარმოების საშუალებათა მიმართ ყ ვ ე ლ ა მოქალაქის თ ა ნ ა ბ ა რ დამოკიდებულებაში ჩაყენებას. ამრიგად, უკლასო საზოგადოებისაკენ მივყეევართ არა „კლასობრივი ზავის“, არამედ კლასობრივი ბრძოლის გზას.

თანამედროვე რეფორმისტები საზოგადოების კლასებად დაყოფის მიზეზებს ეძებენ არა წარმოების. არამედ განაწილების სფეროში. რეფორმისტების ეს მეთოდოლოგიური ცრურწმენა თავის დროზე ამხილა ვ. ი. ლენინმა. „სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნის ძებნა შემოსავლის წყაროში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — იმას ნიშნავს, რომ პირველ ადგილზე წამოაყენო განაწილების ურთიერთობა. მაშინ როდესაც ნამდვილად იგი საწარმოო ურთიერთობის შედეგია“[1]. მემარჯვენე სოციალისტები ამტკიცებენ. რომ თანამედროვე პირობებში ხდება ქონების გათანაბრება. არც ეს „საბუთია“ ახალი. კაპიტალისტებს არ შეუძლიათ მოიხმარონ მთელი ზედმეტი ღირებულება, რომელიც კოლოსალურად მატულობს. ამიტომ იზრდება მომხმარებელთა რიცხვიო, წერდა ე. ბერნშტეინი. სინამდვილეში, როგორც ლენინი მიუთითებდა მაშინ ბერნშტეინის წინააღმდეგ. ხდება „ფუფუნებისა და მფლანგველობის ზრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში“. ფაქტები ნათლად ადასტურებენ ამ დებულების სისწორეს. მოგება ხელფასი როდია, როგორც ეს სურთ დაამტკიცონ მემარჯვენე ოპორტუნისტებს. იგი ქონებრივი უთანასწორობის ზრდის წყაროა. რამდენიმე მსხვილი მეწარმე, აღნიშნავდა ჟ. მარშე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე, ერთ საღამოს ხარჯავს 100 მილიონ ძველ ფრანკს, 800 ათასი ფრანგი კი სამუშაოს ეძებს. 1950 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის ერთი პროცენტი ფლობდა ეროვნული შემოსავლის 60 პროცენტს. 87 პროცენტი კი მხოლოდ 8 პროცენტს. თვით ყოფილი პრეზიდენტების კენედისა და ჯონსონის აღიარებით 32-დან 36 მილიონამდე ამერიკელი სიღატაკის საზღვრამდე იყო მისული. 21,5 მილიონ ადამიანს, წერს ჯ. გოლანი. რომელთა ძალებით ყველაფერი იწარმოება. თითქმის არაფერი აქვს, ერთი მილიონი ზედაფენა კი ეროვნული სიმდიდრის მეტ წილს ფლობს და ყველგანაა გაბატონებული[2]. ავსტრიაში მსხვილი საქმოსნები ფლობენ საა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 324.

[2] См. Д. Г о л л а н. По какому пути должны пойти социалисты, М., 1959, стр. 5—6.

ქციო კაპიტალის 72 პროცენტს, ქვანახშირისა და მეტალურგიულ მრეწველობაში კი — 96 პროცენტს. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც. რა ქონებრივ გათანაბრებაზე შეიძლება ლაპარაკი ასეთ პირობებში? კ. მარქსი სამართლიანად მიუთითებდა: „თუ სიღარიბის უკიდურესობანი არ შემცირებულა, მაშინ ისინი გადიდებულა, რადგან გადიდდა სიმდიდრის უკიდურესობანი"[1].

რეფორმისტებს ყურადღების ცენტრი გადააქვთ „ცხოვრების სტილის" განსხვავებულობაზე. ამით ისინი მიანიშნებენ მხოლოდ შედეგებზე, ისიც ანალიზის გარეშე. მაგალითად, მათ არ უნდათ პირდაპირ უპასუხონ კითხვაზე, თუ კაპიტალის ბატონობის პირობებში რატომ არ არის განათლების მიღების ერთნაირი შესაძლებლობა. სოციალისტ ჰ. გაიტსკელის მტკიცებით ახლა მოსახლეობის 99,9 პროცენტი „მუშაობს", დასაქმებულია წარმოებაში. ამიტომ კლასობრივ დაყოფაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. აღნიშნული პროცენტული მონაცემები თუნდაც რომ სწორი იყოს, დასკვნა მაინც ყალბია. მეცნიერება კლასებს როდი განასხვავებს იმის მიხედვით, „მუშაობს" მისი მთელი შემადგენლობა თუ არა. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესების შესახებ. ადამიანი, რომელიც საკუთარი შრომით ცხოვრობს, ესე იგი, ყიდის სამუშაო ძალას, კაპიტალისტად არ შეიძლება იქცეს მაცივრის, ტელევიზორის ან მსუბუქი მანქანის შეძენის შედეგად. სხვადასხვა მარკის მანქანებს იმიტომ ყიდულობენ კაპიტალისტები და მუშები, რომ მათი ეკონომიური შესაძლებლობებიც ასევე განსხვავებულია. მუშათა კლასი მოკლებულია წარმოების საშუალებებზე საკუთრებას.. ამითაა განსაზღვრული მისი „ცხოვრების სტილი". რეფორმისტები კლასებს ყოფენ „ავტონომიურ" ერთეულებად მათი დასუსტების მიზნით. სინამდვილეში „კლასებს შორის განსხვავების ძირითადი ნიშანი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — არის მათი ადგილი საზოგადოებრივ წარმოებაში და, მაშასადამე, მათი დამოკიდებულება წარმოების საშუალებებისადმი. წარმოების საზოგადოებრივ საშუალებათა ამა თუ იმ ნაწილის მითვისება და მათი მოხმარება კერძო მეურნეობაზე, პროდუქტის გაყიდველ მეურნეობაზე — აი თანამედროვე საზოგადოების ერთი კლასის (ბურჟუაზიის) ძირითადი განსხვავება პროლეტარიატისაგან, რომელიც მოკლებულია წარმოების საშუალებებს და ჰყიდის თავის სამუშაო ძალას"[2].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I. გვ. 821.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 324.

შემარჯვენე სოციალისტები კომუნისტურ პარტიებს ბრალს სდებენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის როლის შეუფასებლობაში. საყოველთაოდ ცნობილია ამ რევოლუციის სოციალური შედეგები. მაგრამ წარმოებითი ურთიერთობისა და კლასობრივი სტრუქტურის ძირეული შეცვლა ხდება არა მეცნიერულ-ტექნიკური, არამედ სოციალური რევოლუციის გზით. წარმოების ავტომატიზაციის კვალობაზე ზედმეტი ღირებულებაც იზრდება და ექსპლოატაციის დონეც. ამასთან, ზედმეტ ღირებულებას ისევ მუშები ქმნიან და არა მანქანები. მეორე მხრივ, ავტომატიზაციის პროცესთან დაკავშირებით პროლეტარიატს გამუდმებით ემუქრება სამუშაო ადგილის დაკარგვის საშიშროება. მაშასადამე, ყოველგვარი სოციალური უბედურებისაგან კაცობრიობის საბოლოო დახსნის ერთადერთი გზაა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა, სოციალისტური რევოლუცია.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა საშუალო ფენებთან მუშათა კლასის კავშირის სწორი ორგანიზაცია. რეფორმისტების დოქტრინა ეგრეთ წოდებული „საშუალო კლასის“ შესახებ ამახინჯებს პროლეტარიატის მოკავშირეობის პრობლემის ყველა მხარეს. ადრე საშუალო ფენას მიაკუთვნებდნენ უმთავრესად ქალაქისა და სოფლის წვრილ ბურჟუაზიას. თანამედროვე რეფორმისტები ამ ფენას ძველ „საშუალო კლასს“ უწოდებენ. მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებით საშუალო ფენების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა ხარჯზე. რეფორმისტები ამ ფენებს „ახალ საშუალო კლასს“ უწოდებენ. სინამდვილეში არ არსებობს „საშუალო კლასი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვენლობით. არიან მხოლოდ სოციალური ფენები, რომლებსაც შუალედი მდგომარეობა უჭირავთ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ჩვენს დროში საშუალო ფენების შემადგენლობაში მოხდა ძირეული ცვლილებები. ამ სოციალური „მობილობის“ მეცნიერული ახსნა შეიძლება მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური პრინციპის საფუძველზე. კაპიტალის ბატონობის პირობებში წვრილ მწარმოებელთა სრული ლიკვიდაცია კი არ ხდება, პირიქით, კაპიტალიზმი წარმოიშვა და მუდამ წარმოიშობა წვრილი წარმოებიდან. მარქსიზმი მიუთითებს წვრილ მწარმოებელთა თანდათანობით გაღატაკებაზე. ეს პროცესი მონოპოლიების ბატონობის ეპოქაში უფრო ძლიერდება. „კაპიტალიზმი კაპიტალი-

ზმი არ იქნებოდა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — „წმინდა“ პროლეტარიატი გარემოცული რომ არ იყოს უამრავი უაღრესად ჭრელი გარდამავალი ტიპებით — პროლეტარიდან ნახევრად პროლეტარამდე... ნახევრად პროლეტარიდან წვრილ გლეხამდე, წვრილი გლეხიდან საშუალომდე და ა. შ.“[1]. ამიტომაა, რომ მთელ რიგ ქვეყნებში „ძველი“ საშუალო ფენების წილი ჯერ კიდევ საგრძნობია. მარქსისტ რ. დელილის მტკიცებით საფრანგეთში ხელოსნები და წვრილი ვაჭრები შეადგენენ საშუალო ფენის საერთო რაოდენობის 50 პროცენტს. იტალიაში 1970 წელს აღრიცხული იყო 1,2 მილიონი წვრილი სახელოსნო. იგივეს თქმა არ შეიძლება სხვა ქვეყნების შესახებ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში „კლასიკური“ საშუალო ფენა შემცირდა 20 პროცენტით. ინგლისში ამავე პერიოდში წვრილი ბურჟუაზიის რაოდენობა შემცირდა სამჯერ და ა. შ. ამგვარად, ეპოქის ნიშანია „ძველი“ საშუალო ფენების ხვედრითი წონის საერთო შემცირება. სამგიეროდ ეგრეთ წოდებული „გარდამავალი ტიპების“ ზრდის ძირითადი წყარო გახდა ინტელიგენცია და საერთოდ მოსამსახურე პერსონალი. ამაში მდგომარეობს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი სოციალური შედეგი.

კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე იზრდება გონებრივი შრომის წილი. წარმოებაში უშუალოდ დაუსაქმებელ საშუალო ფენებს კაპიტალიზმი გარდუვალად ა ხ ლ ა დ ქმნის. „კაპიტალიზმი სახალხო შრომის ყველა სფეროში განსაკუთრებული სისწრაფით ამრავლებს მ ო ს ა მ ს ა ხ ურ ე თ ა რიცხვს, — წერს ლენინი, — აყენებს სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნას ინტელიგენციაზე“[2]. XIX საუკუნის შუა ხანებში ინტელიგენცია და მოსამსახურეები შეადგენდნენ მოსახლეობის 5-დან 15 პროცენტამდე, XX საუკუნის შუა ხანებში კი — 20—40 პროცენტს. „რუხსაყელოიანთა“ რაოდენობა შესაბამისად შემცირდა 40,7 პროცენტიდან 36,7 პროცენტამდე[3]. ტექნიკური ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა რიცხვი განსაკუთრებით იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1901—1910 წლებში საშუალო ფენა გაიზარდა 12 პროცენტით. 1957—1963 წლებში კი 28 პროცენტით. ინგლისში და დასავლეთ გერ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 75.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 4, გვ. 241.

[3] См. Журн. «Коммунист». 1959, № 2. стр. 87.

მანიაში შესაბამისად — 8,6-დან 22 პროცენტამდე და 7,6-დან 23,0 პროცენტამდე. XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში იხეიხერ-ტექნიკური პერსონალი და მოსამსახურეები შეადგენდნენ დამოუკიდებელი მოსახლეობის 7.7 პროცენტს, 60-იან წლებში კი — 26 პროცენტს, ინგლისში შესაბამისად — 8,6 და 23 პროცენტს, საფრანგეთში კი — 10,4 და 23 პროცენტს[1]. მრეწველობის ცალკეულ დარგებში ახალი საშუალო ფენების წილი კიდევ უფრო მეტია. მაგალითად, საფრანგეთში ქიმიურ მრეწველობაში იგი აღწევს 25 პროცენტამდე, ელექტრომრეწველობაში—50, ხოლო ნავთობის წარმოებაში 60 პროცენტამდე. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ქვეყნებშიც.

მემარჯვენე სოციალისტები არასწორად განსაზღვრავენ „ახალი საშუალო ფენების", ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა ისტორიულ ადგილს საზოგადოების განვითარებაში. მათ, როგორც ზემოთ აღინიშნა, „ახალ საშუალო კლასში" შეჰყავთ თითქმის ყველა კლასი და ფენა. სინამდვილეში სოციალური „მობილობის" მთავარი მიმართულებაა დაქირავებული შრომის არმიის ზრდა. მუშათა კლასი კი არ „შთანთქა" „საშუალო კლასმა", არამედ საშუალო ფენების დიფერენციაციის გზით გაძლიერდა მათი პროლეტარიზაციის პროცესი. ახალი საშუალო ფენები მუშათა კლასის მსგავსად, მოკლებული არიან წარმოების საშუალებებზე საკუთრებას. ეს „თეთრხალათიანი პროლეტარები" იძულებული არიან გაყიდონ სამუშაო ძალა. მონოპოლისტური ბურჟუაზია ექსპლოატაციას უწევს მათს შრომას. ავსტრიაში მოსამსახურეთა ორი მესამედი მუშებზე მეტ ხელფასს არ ღებულობს. ზოგიერთ ქვეყანაში მოსამსახურეთა ცხოვრების პირობები საშუალო მუშის მდგომარეობაზე უარესია.

ჩვენი ეპოქის ნიშანია დაქირავებული შრომის არმიის შესამჩნევი ზრდა. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაქირავებული შრომის მუშაკთა რაოდენობა 1880 წელს შეადგენდა მოსახლეობის 63,1 პროცენტს, 1900 წელს — 69,2 პროცენტს, 1940 წელს — 84,0 პროცენტს, ხოლო 1959 წელს — 89,1 პროცენტს[1]. ავსტრიაში 1937—1958 წლებში (უმუშევართა ჩათვლით) მოსამსახურეთა რიცხვი დაქირავებული შრომის არმიაში გაიზარდა 25-დან 31.8 პროცენტამდე. 1923 წელს დაქირავებულ

---

[1] См. «Научный коммунизм и фальсификация его ренегатами». М., 1972, стр. 45.

[2] См. В. С. Семенов. Капитализм и классы. М., 1969, стр. 184.

მუშათა რიცხვი აქ შეადგენდა დამოუკიდებელი მოსახლეობის 60,9 პროცენტს, 1953 წელს კი — 64.17 პროცენტს. წარმოების საშუალებათა საკუთრებას მოკლებული დაქირავებული შრომის მუშაკთა წილი ამჟამად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში აღწევს დამოუკიდებელი მოსახლეობის 75-დან 90 პროცენტამდე[1].

ადრე დაქირავებული შრომის არმია იზრდებოდა უმთავრესად სამრეწველო პროლეტარიატის ხარჯზე. ახლა დაქირავებული შრომის მუშაკთა უმრავლესობას შეადგენდნენ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენცია და მოსამსახურეები. მეცნიერება ხდება უშუალო საწარმოო ძალა. ამასთან დაკავშირებით ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია ძასობრივად ჩაება წარმოების პროცესში. ისინი ქმნიან მაღალკვალიფიციურ მუშათა ფენას. მართალია, მათი წილი ჯერ კიდევ დიდი არ არის. მაგალითად, როგორც ჟ. მარშე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნავდა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საერთო რაოდენობიდან (2 მილიონი) მუშათა კლასს მიეკუთვნება 4,5 პროცენტი. მაგრამ მთავარი ისაა, რომ განვითარების მაგისტრალური გზა გაკვალულია. ძიმდინარეობს ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა მზარდი დაახლოება მუშათა კლასთან. თუ ადრე ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენცია მხარს უჭერდა გაბატონებულ კლასებს, აღნიშნავდა გ. დიმიტროვი, დღეს ის ძუშათა კლასის შემადგენელი ნაწილი გახდა. ძოსამსახურეები იგივე დაქირავებული შრომის მუშაკები არიან, წერდა მ. ტორეზი .

პროლეტარიატს მშრომელ ინტელიგენციასთან არასოდეს არ ჰქონია ანტაგონისტური დამოკიდებულება. პროლეტარიზებული ინტელიგენცია და მოსამსახურეები მუშათა კლასს უჭერენ მხარს მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენს ეპოქაში ინტელიგენციის „... სოციალური ინტერესები, — ნათქვამია 1969 წლის ნოემბრის თათბირის „დოკუძენტებ'ში", — უკავ'შირდება მუშათა კლასის ინტერესებს. მისი შეძოქმედებითი ძისწრაფებანი აწყდება მეპატრონე-მონოპოლისტთა ინტერესებს, რომლებიც მოგებას ყველაფერზე მაღლა აყენებენ... ბურჟუაზიის იდეოლოგიის კრიზისი და სოციალიზმის მიმზიდველი ძალა ხელს უწყობენ იმას, რომ ინტელიგენცია დაადგეს ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გზას"[2]. კომუნისტური და მუშათა პარტიები ორიენ-

[1] См. «Вопросы философии», 1973, № 3, стр. 107.

[2] „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები", გვ. 30.

ტაციას იღებენ ახალ საშუალო ფენებთან, კერძოდ ინტელიგენციასთან მუშათა კლასის დაახლოების ტენდენციის გაძლიერებაზე. საწინააღმდეგოს თქმა ნიშნავს დავუშვათ კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში გონებრივი და ფიზიკური შრომის შეერთების შესაძლებლობა. სინამდვილეში, ბურჟუაზია სოციალურად დაინტერესებულია დაუპირისპიროს ერთმანეთს გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკები. კაპიტალიზმის დროს სხვაგვარად შეუძლებელიცაა. ამრიგად, საშუალო ფენების როლის გაზვიადება და უგულებელყოფაც შეცდომაა. რევოლუციის სასარგებლოდ მათი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა კლასის ხელმძღვანელობის პირობებში.

რეფორმისტები საშუალო ფენების როლის არასწორ განსაზღვრას მიჰყავს მუშათა კლასის ისტორიული მისიის უარყოფამდე. პროლეტარიატის ცნების გაფართოებით მემარჯვენე სოციალისტებს უნდათ მისი ხელმძღვანელი როლის უგულებელყოფა. ამიტომ აიგივებენ ისინი „მუშათა კლასის“ და „ერთობლივი მუშაკის“ ცნებებს, „პროლეტარიატად“ ეკონომიურ აზრით, მიუთითებდა კ. მარქსი, იგულისხმება დაქირავებული მუშა, რომელიც კაპიტალს აწარმოებს და ზრდის მის ღირებულებას. კაპიტალის დაგროვება მუშათა კლასის გამრავლებაა. მაგრამ პროლეტარიატის ცნება არ შეიძლება შემოვსაზღვროთ მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების მუშებით. როცა მარქსი „ერთობლივ მუშაკზე“ მიუთითებს, მას მხედველობაში აქვს შრომის საწარმოო-ტექნოლოგიური შინაარსი. ამ მნიშვნელობით მარქსს ინჟინრები და მექანიკოსები მუშათა შემადგენლობაში შეჰყავს. იგივე ითქმის ინტელიგენციის ნაწილის შესახებ. ამავე აზრით ლაპარაკობდა ლენინი „საინჟინერო პროლეტარიატზე“, მაგრამ შრომის სოციალური დანაწილების თვალსაზრისით მარქსი ცალკე გამოჰყოფს ამ პერსონალს და მიუთითებს გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებულობის გარდაუვალობაზე. „ერთობლივი მუშაკის“ შემადგენლობაში შემავალი არაპროლეტარული ფენები მონოპოლიების წინააღმდეგ გამოდიან. მაგრამ მათ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის გარეშე არ შეუძლიათ დამოუკიდებელი როლის შესრულება. ამ ერთობლიობაში წამყვანი ადგილი უჭირავს სამრეწველო მუშათა კლასს. არც დაქირავებული შრომის არმიის გაიგივება შეიძლება მუშათა კლასთან. ზედამხედველიც დაქირავებული მუშაკია, მაგრამ არ შედის მუშათა კლასის შემადგენლობაში. საერთო-ეროვნულ ერთობაში მუშათა კლასი წამყვან როლს ასრუ-

ლებს. ამავე დროს იგი ყოველთვის ინარჩუნებს თავის კლასობრივ დამოუკიდებლობას. „აუცილებლად საჭიროა ჯერ გ ა ვ ე მ ი ჯ ნ ო თ ყ ვ ე ლ ა ს, — წერდა ლენინი, — გამოვყოთ მხოლოდ ერთი, ე რ თ ა დ ე რ თ ი დ ა **მარტოდმარტო** პროლეტარიატი, — ხოლო უკვე ამის **შემდეგ** განვაცხადოთ, რომ პროლეტარიატი ყველას გაათავისუფლებს, ყველას მოუხმობს, ყველას იწვევს.

მე თანახმა ვარ ამ „შემდეგი"-სა, მაგრამ ამაზე ადრე მოვითხოვ „ჯერ"-ს![1]". ამ მოთხოვნის დაცვის გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის ჰეგემონიის პრინციპის განხორციელება.

კ. მარქსმა განსაზღვრა პირველად მუშათა კლასის ისტორიული მისია. მუშათა განთავისუფლება თვით მუშების საქმეა, მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი. მაგრამ პროლეტარიატს არ შეუძლია თავის განთავისუფლება, თუ არ მოსპო უსამართლო პრინციპებზე აგებული საკუთარი ცხოვრების პირობები. ამისათვის მან უნდა მოსპოს თანამედროვე საზოგადოების ყველა არაადამიანური ცხოვრების პირობები. შესაბამისად — პროლეტარიატს არ ძალუძს თვით ემანსიპაცია, თუ მან ამავე დროს ყველა ჩაგრული არ დაიხსნა. პროლეტარიატი მთელი ჩაგრული კაცობრიობის წარმომადგენელია. მისი ძალა მოძრაობაში განუზომლად დიდია, ვიდრე მისი წილი მოსახლეობის მასაში. მუშათა კლასის ძალა ოთხ ძირითად ფაქტორს ემყარება: 1. პროლეტარიატი ყველაზე მზარდი კლასია; 2. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში; 3. პროლეტარიატი მჭიდრო კავშირშია მშრომელ ხალხთან, პირველ რიგში გლეხობასთან; 4. პროლეტარიატი ყველაზე ორგანიზებული კლასია[2]. პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელსაც შეუძლია იყოს როგორც საერთო-დემოკრატიული, ისე სოციალისტური მოძრაობის ჰეგემონი.

რეფორმისტები ამახინჯებენ სინამდვილეს, როდესაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად პროლეტარიატის რაოდენობის შემცირებაზე მიუთითებენ. პირიქით, ამ რევოლუციის გავლენით კიდევ უფრო გაფართოვდა მუშათა კლასის სოციალური ბაზა. მან ხელი შეუწყო წარმოების შემდგომ კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას. 1920 — 1960 წლებში მწარმოებლურ დარგებში მუშათა რიცხვი გაიზარდა საფრანგეთში 23-დან 45 პროცენტამდე, იაპონიაში 22-დან 33 პროცენ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 6, გვ. 79.

[2] См. «Ленинский сборник», XI, стр. 391.

ტამდე"[1]. 100 წლის წინათ კაპიტალისტური მსოფლიო ითვლიდა 10 მილიონ მუშას, XX საუკუნის დასაწყისში 30 მილიონს. 60—70-იან წლებში საერთაშორისო მუშათა კლასის რაოდენობა შეადგენდა 540 მილიონს (აქედან განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 220 მილიონს. სოციალიზმის ქვეყნებში 150 მილიონს, განვითარებად ქვეყნებში 170 მილიონს)[2]. 1972 წელს დაქირავებული შრომის არმია აღწევდა 570 მილიონს. აქედან თითქმის ნახევარი საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატია. „მარქსი და ენგელსი მთელ თავიანთ იმედებს, — წერდა ლენინი, — პროლეტარიატის შეუჩერებელ ზრდაზე ამყარებდნენ. რაც უფრო მეტია პროლეტარები, მით უფრო მეტია მათი ძალა, როგორც რევოლუციური კლასისა, მით უფრო ახლოა და უფრო შესაძლებელია სოციალიზმი"[3]. ჩვენს ეპოქაში შეიქმნა ლენინის ამ მითითების განხორციელების ყველაზე რეალური შესაძლებლობა. პროლეტარიატი გახდა მსოფლიო მუშათა კლასი.

ოპორტუნისტები ცილს სწამებენ პროლეტარიატს „გაბურჟუაზიულების" თეზისის წამოყენებით. ისინი მიუთითებენ გასულ საუკუნესთან შედარებით მუშათა ეკონომიური მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესების შესახებ და, აქედან გამომდინარე, ქადაგებენ კლასობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის იდეას. პროლეტარიატს ადრე მართლაც 15—16 საათს უხდებოდა მძიმე ფიზიკური მუშაობა. არათუ ბონაპარტეს საფრანგეთში და ბისმარკის გერმანიაში, არამედ „პარლამენტური დემოკრატიის" კლასიკურ ქვეყანა ინგლისშიც მუშები მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს. ცხადია, ახლა სხვა მდგომარეობაა. მუშათა კლასმა ~~ბრძოლით~~ მოიპოვა გარკვეული უფლებები. მაგალითად, 38 ქვეყანაში დაშვებულია სოციალური დაზღვევა მოხუცებულობაზე, ინვალიდობაზე და მარჩენალის დაკარგვისას, 74 ქვეყანაში უბედურ შემთხვევაზე წარმოებაში მუშაობის დროს, 20 ქვეყანაში უმუშევრობაზე. განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გასული საუკუნის შუახანებში სამუშაო კვირის ხანგრძლივობა შეადგენდა 70—90 საათს, XIX საუკუნის დასაწყისში 60—70 საათს, ახლა უფრო ნაკლებს — 41—47 საათს[4]. ხელფასიც მუშებს მეტი

---

[1] См. «Социальная революция и современный капитализм», М., 1968, стр. 170—171.

[2] См. «Философия и современность», 1973, стр. 260.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 2, გვ. 7.

[4] См. «Борьба классов и современый мир», М., 1972, стр. 36.

აქვთ. ვიდრე წინათ. ანალოგიური სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა.

განა ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ კაპიტალიზმმა შეიცვალა ბუნება? ცხადია, არა. კაპიტალიზმის დროს ცხოვრების პირობების გაუმჯობესება შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ხასიათისაა. ხელფასის ზრდა ყოველთვის ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს. იგი არ შეეთანაზომება მონოპოლიების მოგებათა ზრდას. ამ შეუსაბამობის ლიკვიდაცია შეუძლებელია კაპიტალიზმის პირობებში. „რაც უფრო სწრაფია სიმდიდრის ზრდა, — წერდა ლენინი, — მით უფრო სრულად ვითარდებიან შრომის საწარმოო ძალები და მისი განსაზოგადოება, მ ი თ უ ფ რ ო უ კ ე თ ე ს ი ა მ უ შ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა, რამდენადაც კი შეიძლება ის უკეთესი იყოს საზოგადოებრივი მეურნეობის არსებულ სისტემაში“[1]. ვ. ი. ლენინი აქვე აკრიტიკებს რომანტიკოსებს, რომლებიც იმედს ამყარებდნენ კაპიტალიზმის სუსტ განვითარებაზე. სოციალიზმისათვის უცხოა სიღატაკის ფილოსოფია. „მემარცხენეთა“ მტკიცებით ყველაზე რევოლუციურია მუშათა ღატაკი უბნები. სიღარიბეშია სიმდიდრე. — აცხადებენ ისინი. პირიქით მუშათა კლასი და მისი იდეოლოგები, როგორც ლენინი მიუთითებდა, ყველაზე სწრაფად, სრულად და მტკიცედ ითვისებენ მარქსიზმს „მსხვილი მრეწველობის უდიდესი განვითარების პირობებში“[2]. საზოგადოებრივი პროგრესი როგორც წესი, ხელს უწყობს ქვედაფენების მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესებას კერძო საკუთრების ბატონობის დროსაც. ამიტომ მარქსიზმი ორიენტაციას იღებს არა საწარმოო ძალთა შეფერხებაზე, არაშედ მის განვითარებაზე.

კაპიტალიზმის განვითარება გარდუვალად იწვევს მთელი მოსახლეობის, კერძოდ პროლეტარიატის, მოთხოვნილებათა დონის ზრდას. „ამ ზრდას საერთოდ ქმნის,—წერდა ლენინი,—პროდუქტთა გაცვლის გახშირება... ამასვე იწვევს მუშათა პროლეტარიატის შემჭიდროებულობაც და შექუჩებულობაც“[3]. მაგრამ კაპიტალიზმს არ შეუძლია ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. კაპიტალიზმის პირობებში მუდამ მოქმედებს ორი ტენდენცია — სიღატაკის ზრდისა და გაუმჯობესებისაკენ მისწრაფების ტენდენცია. „სიღატაკე იზრდება არა ფიზიკური, არამედ სოციალური აზრით, ე. ი. იმ აზრით, რომ ჩნდება შეუსაბამობა ბურ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 2, გვ. 167.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ.. ტ. 16. გვ. 434.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 112 — 113.

ჟუაზიისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილებათა მზარდ დონესა და მშრომელი მასების ცხოვრების დონეს შორის"[1].

მკვეთრად გამოყოფილი კონტრასტები კაპიტალიზმის, განსაკუთრებით მონოპოლისტური კაპიტალიზმის, ნიშანდობლივი მხარეა. ერთი მუშისაგან მიღებული ზედმეტი ღირებულება 1810 წელს უდრიდა 614 დოლარს, 1929 წელს — 1108 დოლარს, 1968 წელს — 5138 დოლარს[2]. 1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მდიდარი ოჯახი შეადგენდა მოსახლეობის 7.3 პროცენტს, ღარიბი ოჯახი 23 პროცენტს, უღარიბესი 7,3 პროცენტს. 12.5 მილიონი მდიდარი ოჯახი ფლობდა ეროვნული შემოსავლის 24 პროცენტს, 12,5 მილიონი ღარიბი ოჯახი კი 1,1 პროცენტს[3]. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით მეოთხედ მილიონზე მეტი ინგლისელი ფურგონებში ცხოვრობს. ამერიკის შეერთებულ შტატების ზანგი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა შვიდჯერ ნაკლებია, ვიდრე თეთრკანიანი მოსახლეობისა. იზრდება პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასები. გადამამუშავებელ მრეწველობაში ექსპლოატაციის ნორმა ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 წლის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ 4 საათიდან 3 საათს მუშა მუშაობს კაპიტალისტისათვის. საფრანგეთში მუშათა უმრავლესობის თვიური ხელფასი ნაკლებია, ვიდრე 1938 წელს[4]. ვენაში ზანგები 13—14-ჯერ ნაკლებ ხელფასს ღებულობენ, ვიდრე თეთრკანიანები.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ტექნიკის განვითარება, როგორც ჩანს, განაპირობებს არა საყოველთაო თანასწორობის, არამედ საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდას, მქონებელთა და უქონელთა შორის მანძილის გადიდებას. არ არსებობს არავითარი „ზოგადსაკაცობრივი წინააღმდეგობა" ადამიანსა და ტექნიკას შორის. ტექნიკის ცალმხრივი განვითარება გამომდინარეობს არა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, არამედ თვით კაპიტალიზმის ბუნებიდან. იგი მისი ძირითადი წინააღმდეგობის გამოხატულებაა. დ. კოულის ტექნიკური პროგრე-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 4, გვ. 240.

[2] См. С. П. Попов. Социал-реформизм: теория и политика. М., 1971, стр. 118.

[3] См. В. С. Семенов. Капитализм и классы. М., 1969, стр. 251.

[4] См. «Проблемы кризисов и обнищания рабочего класса после второй мировой войны», М., 1959, стр. 499.

სის შედეგად სამუშაო დღის შემცირება მიაჩნია ექსპლოატაციის ლიკვიდაციის გზად. ანალოგიური მტკიცების მცდარობა აჩვენა თავის დროზე ლენინმა ტეილორის სისტემის კრიტიკის მაგალითზე. ეს სისტემა მიზნად ისახავს „გამოსწუროს მუშას სამჯერ მეტი შრომა იმავე სამუშაო დღის განმავლობაში... იმავე 9—10 სამუშაო საათში გამოსწურავენ მუშას ერთისამად მეტ შრომას, ულმობლად გამოუღევენ მთელ ძალას, გასამკეცებელი სისწრაფით გამოსწოვენ დაქირავებული მონის ნერვებისა და კუნთების ენერგიის თვითეულ წვეთს. დროზე ადრე მოკვდება? — ჭიშკარს იქით ბევრი სხვაა!..

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი ნიშნავს პროგრესს ქანცის გამოცლის ხელოვნებაში"[1]. ვ. ი. ლენინის ამ მითითებას დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, უთანასწორობა კაპიტალიზმისათვის ისეთივე ნორმალური მდგომარეობაა, როგორც რეალური თანასწორობა სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა მუშათა კლასის სტრუქტურაში. საგრძნობლად გაიზარდა მისი რაოდენობა. მაგრამ პროლეტარიატის, როგორც კლასის, სოციალური მდგომარეობა იგივე დარჩა. პროლეტარიატი კვლავ დაჩაგრული და ექსპლოატირებული კლასია. სამაგიეროდ ამაღლდა მისი ორგანიზებულობის, პოლიტიკური აქტივობის დონე **„კაპიტალიზმის ციტადელებში მუშათა კლასი,** — ნათქვამია 1969 წლის ნოემბრის თათბირის „დოკუმენტებში". — **როგორც ეს კვლავ დაადასტურეს უკანასკნელი დროის ამბებმა, რევოლუციური ბრძოლის, მთელი დემოკრატიული ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი და დამრაზმველი ძალაა"**[2]. ჩვენს დროში მუშათა კლასის საბრძოლო სულისკვეთება კი არ შესუსტდა. არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა. ამ დებულების სისწორეს ადასტურებს საგაფიცვო მოძრაობის მძლავრი განვითარება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929—1940 წლებში ყოველწლიურად საშუალოდ ხდებოდა 1965 გაფიცვა, 1946—1957 წლებში კი —

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 18. გვ. 719—720.

[2] „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები". გვ. 27.

4225. 6 მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში 1950 წელს გაიფიცა — 8619,2 ათასი კაცი, 1967 წელს—159 23,6 ათასი[1]. 1961—1964 წლებში საფრანგეთში გაფიცვებში მონაწილეობას ღებულობდა ყოველი მეექვსე მუშა-მოსამსახურე. 1966—1970 წლებში კი ყოველი მეოთხე. 1960—1970 წლებში საგაფიცვო მოძრაობაში მონაწილეობა მიიღო 583 მილიონმა, 1970 წელს—65 მილიონმა, 1971 წელს — 70 მილიონმა კაცმა. გაფიცვებში მონაწილეობენ ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა წარმომადგენლებიც. 1961 წელს 14 მარტს საფრანგეთში გაფიცვებში მონაწილეობა მიიღო ერთ მილიონამდე ექიმმა და მედიცინის დამ. ფინეთში 1963 წლის იანვარში გაიფიცნენ ბანკისა და სადაზღვევო საზოგადოების მოსამსახურეები, ხოლო შვეციაში (1964 წ. მარტი) რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები და ა. შ. გაფიცვების საყოველთაო-სახალხო ხასიათი ჩვენი ეპოქის ნიშანდობლივი მხარე გახდა.

რეფორმისტები გაფიცვებს უწოდებენ უბრალო „დავას", რომელსაც არა აქვს სოციალ-პოლიტიკური ხასიათი. დ. სტრეჩის განცხადებით „ოქტომბრის დავა" იყო უკანასკნელი სოციალური ომი. რ. კროსლენდი გაფიცვებს უწოდებს „ემოციებს". რომელსაც „კლასობრივი წინააღმდეგობებთან" საერთო არაფერი აქვს. სინამდვილეში ყოველი გაფიცვის უკან რევოლუციის გველეშაპი იმალება. გაფიცვები, ბრძოლის სხვა საშუალებებთან ერთად, სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნის მნიშვნელოვანი პირობაა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ბრძოლის შეერთებას პოლიტიკურთან. ბრძოლის ამ ფორმების შეხამების მაგალითებია: 1960 წელს ივლისის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა იტალიაში, ბელგიის 1960 წლის იანვარ-თებერვლის საყოველთაო გაფიცვა, 1963 წლის მარტში მაღაროელთა გაფიცვა საფრანგეთში და ა. შ.

მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ სისწორეს მარქსისტულ-ლენინური დებულებისა, რომ მუშათა კლასი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მძლავრი და მოწინავე კლასია. იგი დგას ანტიმონოპოლისტური ბრძოლის ცენტრში, როგორც საერთო-სახალხო მოძრაობის ჰეგემონი. მუშათა კლასი მძლავრი საწარმოო და სოციალ-პოლიტიკური ძალაა. პროლეტარიატი ბუნებით სოციალისტური, კომუნისტური იდე-

---

[1] См. «Проблемы мира и социализма», 1973, № 3, стр. 26.

ალის მატარებელია. ყოველგვარი უბედურებისაგან კაცობრიობას იხსნის მხოლოდ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა. ეს ბრძოლა გაგრძელდება იმ დრომდე, წერდა ლენინი, ვიდრე არ გაქრება კლასობრივი ბრძოლის საფუძვლები—კერძო საკუთრება და უწესრიგო საზოგადოებრივი წყობილება. კლასთა ბრძოლა კლასობრივი განსხვავების დაძლევის პირობაა.

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" რეფორმისტული კონცეფციის კრიტიკა. პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისია

რეფორმისტები და რევიზიონისტები სოციალური რევოლუციის, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის არსის არასწორ განსაზღვრამ მიიყვანა პოლიტიკური ზედნაშენის — სახელმწიფოს — როლის დამახინჯებამდე. „სახალხო კაპიტალიზმის", „სოციალური პარტნიორობის" დოქტრინებს შეესაბამება მემარჯვენე სოციალისტების აპოლოგეტური კონცეფცია „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" შესახებ. ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის გაზვიადებით რეფორმისტები ცდილობენ უარყონ სოციალისტური სახელმწიფოს, კერძოდ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისია.

რეფორმისტები ბურჟუაზიულ სახელმწიფოს აცხადებენ ნეიტრალურ, ზეკლასობრივ ძალად. დ. სტრეჩის მტკიცებით სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათი ჰქონდა გასულ საუკუნეში. დ. კოული სახელმწიფოს კლასობრივი ბატონობის ორგანოდ აღიარებს მხოლოდ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ახლა, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის ფორმა და შინაარსი ძირეულად შეიცვალა, აცხადებენ ისინი, მან დაჰკარგა კლასობრივი ხასიათი და იქცა მთელი ერის ნების გამომხატველ ორგანიზაციად. თანამედროვე სახელმწიფო პარტნიორთა ინტერესების ჰარმონიული შეხამების ორგანოა. ჩვენ ყველანი ვართ სახელმწიფო, ამბობდა ვ. ბრანდტი. იგივე აზრისაა გერმანელი სოციალისტი ფ. ერლერი. სახელმწიფო როდია კოალიცია ან პარტია. ეს ჩვენ ვართ ყველანი, წერს ის, ჩვენ ერთი ხალხი ვართ. პ. ნენის მიხედვით დასავლეთის ქვეყნებში დიდი ხანია სახელმწიფო არ გვევლინება ერთი კლასის დიქტატურად. იგი სოციალურ ჯგუფთა შო-

რის წონასწორობის შენარჩუნების ინსტრუმენტიაო. იგივეს იმეორებს ავსტრიელი სოციალისტი ფ. კლენერი. თანამედროვე სახელმწიფო, წერს ის, არ არის ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის ორგანო. რეფორმისტთა მეორე ნაწილის აღიარებით ბურჟუაზიული სახელმწიფო და „სოციალური დემოკრატია“ იგივეობრივი მნიშვნელობის ცნებებია. ფრანგი სოციალისტი ლ. ლორა სახელმწიფოს მიიჩნევს „ავტონომიურ“, ზეკლასობრივ ფაქტორად. „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებამ“, ნათქვამია ავსტრიის სოციალისტთა პროგრამაში, შექმნა შესაბამისად „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო“. ბურჟუაზიულმა სახელმწიფომ მოხსნა დღის წესრიგიდან კლასობრივი ანტაგონიზმის პრობლემა. მას კლასებისადმი განურჩეველი დამოკიდებულება აქვს. თანამედროვე სახელმწიფო საზოგადოებაზე მაღლა დგას. იგი სახელმწიფო არბიტრი, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის სააგენტოაო, აცხადებენ მემარჯვენე სოციალისტები.

ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივ-პოლიტიკურ ხასიათს უარყოფენ აგრეთვე რევიზიონისტები. ჯოლიტის განცხადებით თანამედროვე სახელმწიფო „მოქალაქეთა ერთობლიობაა“. იგი განუხრელად იცავს საყოველთაო კეთილდღეობის პრინციპებს. საზოგადოების ტრანსფორმაცია ზეკლასობრივ სახელმწიფოდ ჩვენი ეპოქის ნიშანიაო, აცხადებენ რევიზიონისტები.

რეფორმისტები და რევიზიონისტები სახელმწიფოს კლასობრიობის უარყოფამ მიიყვანა ძველი ბიუროკრატიული აპარატის დამსხვრევის მოთხოვნის უგულებელყოფამდე. დ. სტრეჩი პირდაპირ აცხადებს. საჭიროა გადავსინჯოთ XIX საუკუნის მარქსისტული დოქტრინა, რომელიც სახელმწიფო აპარატის უთუო დამსხვრევას ითვალისწინებსო. ძველი სახელმწიფო აპარატის მოსპობა კოულის მიხედვით არ არის. ყველა ქვეყნისათვის სავალდებულო ღონისძიება. მისი გატარება შეიძლება გახდეს მხოლოდ ტოტალიტარული, ანტიდემოკრატიული ხელისუფლების ბატონობის პირობებში. მაგალითად, ვ. ი. ლენინს არ შეეძლო, ასკვნის კოული, გამოეყენებინა ცარისტული სახელმწიფო. არც ვერმანელ სოციალისტებს შეეძლოთ ფაშისტური სახელმწიფოს შენარჩუნება, მაგრამ თანამედროვე პარლამენტური დემოკრატიის ქვეყნებში, რეფორმისტთა მტკიცებით, დღის წესრიგიდან მოიხსნა ა ხ ა ლ ი სახელმწიფოს შექმნის ამოცანა. ლეიბორისტები „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ სოციალიზმის შემადგენელ ნაწილადაც კი

მიიჩნევენ. ფაქტიურად ესაა რ. მაკდონალდის დებულების გამეორება. იგი ამტკიცებდა კაპიტალისტური სახელმწიფოს შიგნით იქმნება სოციალისტური სახელმწიფო[1]. „ნეოკაპიტალიზმის“ ეპოქაში სახელმწიფო უკვე არ არის ძალდატანებითი ორგანიზაცია. ამიტომ ხალხმაც შეიცვალა მასზე შეხედულება. ჩვენი დროის თავისებურებაა პოზიტიური დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი, ამბობენ რეფორმისტები. ლიბერალიზმის ეპოქის სახელმწიფო, წერს ლ. ლორა, ასრულებდა მხოლოდ „ღამის დარაჯის“ როლს. თანამედროვე სახელმწიფო კლასთა თანამშრომლობის ორგანო გახდა[2]. კ. კაუცკის აზრით, ბურჟუაზიული სახელმწიფო „საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულატორია“. ივი იცავს „სოციალურად სუსტი“ ფენების ინტერესებს. გამოდის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის აუცილებელი და საკმარისი პირობაა ბურჟუაზიული სახელმწიფოს განმტკიცება და შემდგომი სრულყოფა.

რეფორმისტები ბურჟუაზიული სახელმწიფოს კლასობრივი ბუნების უარყოფას მისი ეკონომიური როლის არასწორ განსაზღვრამდე მიჰყავს. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად, ამტკიცებენ მემარჯვენე სოციალისტები, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დაეკისრა ახალი სოციალური ფუნქცია — სამეურნეო ადმინისტრაციული მუშაობის ფუნქცია და ასე იქცა იგი დადებით ეკონომიურ ფაქტორად. ფრანგი სოციალისტების მტკიცებით ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის ზრდა კერძო საკუთრების ლიკვიდაციის პირობაა. კაპიტალისტური წყობილება, აცხადებენ ისინი, ჩვენ თვალწინ იქცა სახელმწიფოებრივ ეკონომიკად. დ. ლეკორის აზრით, ჩვენს დროში სახელმწიფოებრივი რეგულირების შედეგად მსხვილი მეწარმეები ნომინალური მესაკუთრენი გახდნენ. იაპონიის „დემოკრატიული სოციალიზმის პარტიის“ ლიდერები კიდევ უფრო შორს მიდიან.. მათი განცხადებით სახელმწიფოს დახმარებით ძირეულად იცვლება კაპიტალისტური ეკონომიკის მთელი სტრუქტურა. ლ. ლორა სახელმწიფოსა და ეკონომიკის ურთიერთშერწყმის შესახებაც კი ლაპარაკობს. ჩვენს დროში, აცხადებს ე. ერმანი,

---

[1] См. Д. Голлан. Политическая система Великобритании. М., 1955, стр. 17.

[2] См. Ф. Я. Полянский. Социализм и современный реформизм, М., 1972, стр. 339

სახელმწიფო ეკონომიური ბერკეტი გახდა. ლეიბორისტ რ. კროსლენდის მიხედვით თანამედროვე სახელმწიფოს გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ეკონომიკაში. იგი არეგულირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. რევიზიონისტ ჯოლიტის განცხადებით თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო უპირისპირდება კერძო მესაკუთრეებს და იცავს საზოგადოებრივ, სახალხო ინტერესებს. სახელმწიფომ იკისრა, დასძენს ჯოლიტი, უპრეცენდენტო ამოცანა — ბოლო მოუღოს დისპროპორციებს კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარებაში. ამრიგად, ბურჟუაზიული სახელმწიფო, რეფორმისტთა აღიარებით, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის ეკონომიური ორგანოა.

რეფორმისტები ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის არასწორ გაგებას პროლეტარული დემოკრატიის ანუ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული ადგილის გაყალბებამდე მიჰყავს

რეფორმისტები მუშური დემოკრატიის მნიშვნელობის უგულებელყოფის მიზნით აიდეალებენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. პარლამენტური დემოკრატია მათ მიაჩნიათ სრულ პოლიტიკურ დემოკრატიად. დემოკრატიად ყველასათვის. ფრანგ სოციალისტებს სოციალიზმისათვის ბრძოლა წარმოდგენილი აქვთ როგორც პოლიტიკური დემოკრატიისათვის ბრძოლა. დ. სტრეჩის მიხედვით თანამედროვე დემოკრატია — ესაა მთელ საზოგადოებაში ხელისუფლების დიფუზია. ბ. კაუცკის განცხადებით ბურჟუაზიული დემოკრატია სრულყოფილი პოლიტიკური დემოკრატიაა. დეპრეს აზრით, ბურჟუაზიული დემოკრატია თითქმის სოციალიზმია. თანამედროვე კაპიტალიზმი, წერს დ. სტრეჩი, „დემოკრატიის გავლენით“ იძულებულია იზრუნოს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ასე იქცევა იგი „პირველი კლასის ეკონომიურ ძალად“. რეფორმისტთა მტკიცებით სოციალიზმი (ესე იგი „დემოკრატიული სოციალიზმი“. — ი. ქ.) „სრული დემოკრატიაა“. დ. კოულის აზრით, არ არსებობს ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია. დემოკრატია ერთია, ერთადერთი — ესაა პარლამენტური დემოკრატია. მისი სრულყოფის შედეგია „სოციალური დემოკრატია“, „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ შესატყვისი დემოკრატია.

რეფორმისტთა მეორე ნაწილი იცავს ეგრეთ წოდებული „პლურალისტური დემოკრატიის“ მოდურ დოქტრინას. ეს ანტიმარქსისტული მოძღვრება მიზნად ისახავს უარყოს მუშური დემოკრატიის ისტორიუ-

ლი ადგილი საზოგადოების განვითარებაში. პლურალისტური საზოგადოება ნამდვილი თავისუფალი საზოგადოებაა, აცხადებენ პლურალიზმის წარმომადგენლები.

რეფორმისტებს დემოკრატიის არსის დამახინჯება სჭირდებათ პროლეტარიატის დიქტატურის იდეის უარსაყოფად. ისინი უპირისპირებენ ერთმანეთს დემოკრატიას და დიქტატურას. რაკი ბურჟუაზიული სახელმწიფო დემოკრატიული გახდა, რა საჭიროა დიქტატურა. სოციალიზმი საყოველთაო-სახალხო საქმეა. ამიტომ ზედმეტია რომელიმე კლასის დიქტატურა, ამტკიცებენ მემარჯვენე სოციალისტები. ბ. კაუცკი გამოდის დიქტატურის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. მეტიც, იგი პროლეტარიატის დიქტატურას აიგივებს ფაშისტურ ხელისუფლებასთან. ყოველგვარი ხელისუფლება, წერს ე. ფიშერი, საზოგადოების სოციალური სენია. ლეიბორისტ რ. კროსლენდის აზრით, დიქტატურა მუშათა კლასს თიშავს „საშუალო კლასისაგან". ამით ზიანდება საზოგადოებრივი პროგრესის საქმე. ფრანგი სოციალისტების მტკიცებით დიქტატურა ესაა პროლეტარიატის „კლასობრივი ეგოიზმის" გამოხატულება. კოული პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ჟ. მოკს ყოველგვარი დიქტატურა ზედმეტად მიაჩნია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების აღების შემდეგ. ამრიგად, რეფორმისტთა მიხედვით, მოძველდა მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა განხორციელდება პარლამენტური დემოკრატიის სრულყოფის გზით.

* *

რეფორმისტები და რევიზიონისტები „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" კონცეფციის ქადაგებით უხეშად ამახინჯებენ სინამდვილეს. ისინი, უპირველეს ყოვლისა, მოძველებულად აცხადებენ მარქსისტულ მოძღვრებას სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. მაგ. უნდათ უგულებელყონ ელემენტარული ჭეშმარიტება, რომ სახელმწიფოს გენეზისი კერძო საკუთრებისა და კლასების წარმოშობასთანაა დაკავშირებული და მისი „კვდომაც" კლასობრივი განსხვავების სრული დაძლევის პერიოდს განეკუთვნება.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ ეკონომიურად გაბატონებული კლასი, რომელიც წარმოების საშუალებებს ფლობს, პოლიტიკურადაც გაბა-

ტონებულია. გაბატონებული კლასი სახელმწიფოს ქმნის სწორედ საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად. ყოველი სახელმწიფო ერთი კლასის მიერ მეორე კლასის დათრგუნვის იარაღია, **განსაზღვრული** კლასის მიერ ორგანიზებული ძალადობის განსაკუთრებული სისტემაა, ძალდატანების ორგანიზაციაა რომელიმე კლასის დასათრგუნავად. „რადგან სახელმწიფო კლასების წინააღმდეგობათა ლაგამის ამოდების მოთხოვნილებიდან წარმოიშვა, — წერდა ფ. ენგელსი. — რადგან იგი ამასთანავე ამ კლასების შეჯახებებში წარმოიშვა, ამიტომ იგი, როგორც წესი, იმ უძლიერესი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოსავე დახმარებით პოლიტიკურადაც გაბატონებული კლასი ხდება და ამ გზით ახალ საშუალებებს იძენს ჩაგრული კლასის დასათრგუნავად და საექსპლოატაციოდ"[1]. ანტიკური სახელმწიფო მონათმფლობელთა სახელმწიფო იყო, ფეოდალური — თავად-აზნაურებისა, ხოლო კაპიტალისტური—ბურჟუაზიისა. პირველი შეიქმნა მონების დასათრგუნავად, მეორე — ყმა-გლეხებისა, ბურჟუაზიულ სახელმწიფოში კი „კაპიტალი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა", — ასკვნის ფ. ენგელსი. მარქსიზმის ერთ-ერთი ფუძემდებლის ამ დასკვნას დღესაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფო კლასობრივი ბატონობის ორგანოა. მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში მისი ძირითადი ამოცანა იყო და არის ექსპლოატირებული უმრავლესობის დამორჩილება. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში ხალხის წარმომადგენლად სახელმწიფოს გამოცხადება რეფორმისტთა ილუზიაა. ასევე ყალბია მემარჯვენე სოციალისტთა მტკიცება, თითქოს სახელმწიფო საზოგადოებაზე მაღლა დგას და „ზემოდან აწესრიგებს" ცხოვრებას. სახელმწიფო „არის ძალა, — წერს ლენინი, — რომელიც საზოგადოების **ზემოთ დგას** და **„სულ უფრო და უფრო ეთიშება** საზოგადოებას"[2]. ვ. ი. ლენინს აქ მხედველობაში აქვს ბურჟუაზიული სახელმწიფოს ანტისაზოგადოებრივი მისია, მისი მოჩვენებითი „ნეიტრალობა". სახელმწიფო მართლაც საზოგადოებაზე „მაღლა" დგას და ეთიშება" მას იმ აზრით, რომ იცავს არა ხალხს, არა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარმოები, ტ. II, თბ., 1950. გვ. 386.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 474.

მედ გაბატონებული უმცირესობის ინტერესებს. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ნამდვილი საერთო-სახალხო სახელმწიფოს შექმნა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვების შედეგად.

მემარჯვენე სოციალისტები უხეშად ამახინჯებენ მარქსისტულ მოძღვრებას ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის შესახებ. ცხადია, სახელმწიფოს ფუნქციები არ არის უცვლელი. ყოველი ეპოქა ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს სახელმწიფოს წინაშე. მაგრამ არსი იგივე რჩება: ბურჟუაზიული სახელმწიფო ბურჟუაზიის მსახურია. რეფორმისტები უარყოფენ ამ დებულების სისწორეს.

XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმად, რომელიც მონოპოლიების ბატონობის ეპოქაა. იმპერიალიზმის სტადიაზე ხდება მონოპოლისტური კაპიტალიზმის გადაზრდა სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად. ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს როლიც შეიცვალა. ადრე სახელმწიფო ნაკლებად ერეოდა საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში. მის ხელში იყო მრეწველობის მხოლოდ რამდენიმე დარგი. ვაჭრობის სფეროშიც კი სუსტი იყო სახელმწიფოს გავლენა. მაგალითად, საფრანგეთში სახელმწიფოს ჰქონდა თამბაქოს გასაღების მონოპოლია, რუსეთში კი — არყისა და ა. შ. სახელმწიფო უპირატესად „ღამის დარაჯის“ როლს ასრულებდა.

იმპერიალიზმის სტადიაზე ვითარდება სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. იქმნება „საწყისები კაპიტალისტური წარმოების გასახელმწიფოებრიობისა, — წერდა ლენინი, — კაპიტალიზმის გიგანტური ძალის სახელმწიფოს გიგანტურ ძალასთან ერთ მექანიზმად შეერთებისა, რომელიც ათეულ მილიონობით ადამიანს აყენებს სახელმწიფო კაპიტალიზმის ერთი ორგანიზაციის სამსახურში“[1]. იწყება სახელმწიფოს უშუალო ჩარევა კაპიტალისტური კვლავწარმოების პროცესში. სახელმწიფო ეკონომიკაზე ზემოქმედებს საფინანსო, საბჟო, საგადასახადო და სხვ. პოლიტიკით, მონაწილებს ნედლეულის განაწილებაში. მონოპოლისტური სახელმწიფოს გავლენის ზრდის ამ ტენდენციის შესახებ 1969 წლის ნოემბრის თათბირის „დოკუმენტებში“ ნაჩვენებია: მონოპოლისტები „სულ უფრო ხშირად იყენებენ ისეთ პერიოდებს, როგორიც არის წარმოებისა და კაპიტალის მონოპოლისტური

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., 24, გვ. 485—486.

კონცენტრაციის სტიმულირება სახელმწიფოს მიერ. ეროვნული შემოსავლის სულ უფრო დიდი წილის ხელახლა განაწილება, მონოპოლიებისათვის სამხედრო შეკვეთების მიცემა, მრეწველობისა და მეცნერული კვლევის განვითარების პროგრამების დაფინანსება მთავრობის მიერ, ქვეყნის მასშტაბით ეკონომიური განვითარების პროგრამების შედგენა, იმპერიალისტური ინტეგრაციის პოლიტიკა, კაპიტალის გატანის ახალი ფორმები"[1]. განსაკუთრებით საგრძნობია სახელმწიფოს „მოღვაწეობა" ომებისა და კრიზისების დროს.

რეფორმისტები და რევიზიონისტები თანამედროვე იმპერიალიზმის სახელმწიფო-მონოპოლისტური ხასიათის ამ გაძლიერებას მიიჩნევენ ახალი ერის დასაწყისად, როდესაც „ნეიტრალურ", „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" დახმარებით ხდება „უკლასო" საზოგადოებაზე გადასვლა. სინამდვილეში ეკონომიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა ხორციელდება ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებისათვის. თანამედროვე სახელმწიფო „არბიტრის" როლში არ გვევლინება. ეს რეფორმისტთა ცრურწმენაა. ახალ „მარეგულირებელ" ფუნქციას იგი ასრულებს სწორედ მონოპოლიების ხელმძღვანელობით, კონტროლით და კარნახით. ფინანსური ოლიგარქია ხელისუფლებას კი არ უნაწილებს სახელმწიფოს, არამედ იმორჩილებს და აქცევს მას საკუთარი კლასობრივი მიზნებისათვის მებრძოლ ბრმა იარაღად. ცხადია, მონოპოლიებთან სახელმწიფოს „შეზრდა" არ უნდა გავიგოთ აბსოლუტური მნიშვნელობით. ბურჟუაზიული სახელმწიფო ერთგვარ „დამოუკიდებლობას" ინარჩუნებს სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფუნქციონირების პირობებში. იგი ზოგჯერ ცალკეული მონოპოლისტის ვიწრო უწყებრივ ინტერესებს კიდეც უგულებყოფს, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო ფინანსური ოლიგარქიის მსახურია. ესაა მთავარი. გარდა ამისა, მეურნეობის სახელმწიფოებრივი რეგულირება და სახელმწიფოებრივი საკუთრება, როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკადემიკოსი ვარგა, მონოპოლიათა იდეალი როდია[2]. ხელსაყრელი კონიუქტურის პირობებში მონოპოლიებს არც აწყობთ სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევა. ამჯერად ისინი ზემოგებას უფრო თავისუფლად მიიღებენ. ეს გარემოებაც სახელ-

---

[1] „კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები", გვ. 17.

[2] См. Журн. «Коммунист», 1959, № 17, стр. 48.

მწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობაზე მიუთითებს.

ამრიგად მონოპოლიები ბატონობენ ერის ცხოვრებაზე. ერთი მუჭა მილიარდერები განაგებენ კაპიტალისტური მსოფლიოს მთელ სიმდიდრეს. სახელმწიფო მონოპოლისტური ბურჟუაზიის საქმეთა მართვის კომიტეტია მხოლოდ. „სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი მონოპოლიების ძალას აერთებს სახელმწიფოს ძალასთან ერთიან მექანიზმად იმ მიზნით, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — რომ გაამდიდროს მონოპოლიები, ჩაახშოს მუშათა მოძრაობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, იხსნას კაპიტალისტური წყობილება, გააჩაღოს აგრესიული ომები“[1].

თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო „ნეიტრალური“ ორგანო კი არ არის, არამედ ფინანსური ოლიგარქიის კლასობრივი ინტერესების დაცვის ინსტრუმენტია. სახელმწიფო ცდილობს ხელი შეუშალოს მუშათა საგაფიცვო მოძრაობის განვითარებას. ამ მიზნით იგი სცემს მთელ რიგ ანტიდემოკრატიულ კანონებს.

კაპიტალიზმის პირობებში სახელმწიფოს „სოციალური მოღვაწეობა“ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ერთი მხრივ, იგი მიმართავს დათრგუნვით ფუნქციებს, მეორე მხრივ, იძულებულია გარკვეულ დათმობებზე წავიდეს. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ძალუძს შეასრულოს „სოციალური ფუნქცია“, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. იგი ფაქტიურად ახორციელებს „თაფლაკვერისა და მათრახის“ პოლიტიკას მონოპოლიების ხელისუფლების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

ვიდრე კაპიტალიზმი კაპიტალიზმია, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ შეიძლება ჩამოვაშოროთ „ღამის დარაჯის“ ფუნქცია. პირიქით, ამ ფუნქციის განხორციელების ფარგლები საგრძნობლად გაფართოვდა თანამედროვე პირობებში, როდესაც იძულებითი ხასიათის ღონისძიებათა გაზრდილ მრავალგვარობასთან გვაქვს საქმე.

იგივე უნდა ითქვას სახელმწიფოს „სამეურნეო-ადმინისტრაციული“ ფუნქციის შესახებ. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში სახელმწიფოს არ შეუძლია შეასრულოს სამეურნეო ორგანიზატორის როლი, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობის დარგებს შორის გეგმა-

---

[1] „სკკპ პროგრამა“. გვ. 37.

ზომიერი, პროპორციული განვითარება. ბურჟუაზიული სახელმწიფო გამოდის არა „მმართველის“, „ეკონომიური ბერკეტის“, არამედ ზედამხედველის როლში. თავისი სოციალური ფუნქციით ის ემსახურება მონოპოლიებს. სახელმწიფო კაპიტალისტური საზოგადოების ოფიციალური წარმომადგენელია, იდეალური ერთობლივი კაპიტალისტი. ბურჟუაზიული სახელმწიფოს არსი მთელი სისრულით განსაზღვრა ფ. ენგელსმა „ანტი-დიურინგში“. „თანამედროვე სახელმწიფო, — წერს ენგელსი, — როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა, არსებითად კაპიტალისტურ მანქანას წარმოადგენს, კაპიტალისტების სახელმწიფოს, იდეალურ ერთობლივ კაპიტალისტს. რაც უფრო მეტ საწარმოო ძალას დაეპატრონება იგი. როგორც საკუთრებას, მით უფრო ნამდვილი ერთობლივი კაპიტალისტი გახდება, მით მეტ მოქალაქეს გაუწევს ექსპლოატაციას. მუშები დაქირავებულ მუშებად, პროლეტარებად რჩებიან. კაპიტალისტური ურთიერთობა კი არ ისპობა, არამედ, პირიქით, უაღრესად მწვავდება, უკიდურეს წერტილს აღწევს“[1].

რეფორმისტები და რევიზიონისტები სახელმწიფოს როლის ზრდას მიიჩნევენ კაპიტალიზმის სოციალიზმად ტრანსფორმაციის გამოხატულებად. სინამდვილეში ესაა გამოვლინება იმ ობიექტურ-ისტორიული პროცესისა, რომელიც გულისხმობს სოციალიზმის მატერიალური პირობების მომზადებას. კაპიტალიზმის განვითარების ამ იმანენტური კანონზომიერების შესახებაც გარკვევით მიუთითა ფ. ენგელსმა იქვე, ზემოთ მოტანილი ციტატის გაგრძელებაში: „მაგრამ ამ უკიდურეს წერტილზე ხდება გადატრიალება. საწარმოო ძალების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა არ წარმოადგენს კონფლიქტის გადაჭრას, მაგრამ იგი შეიცავს მის ფორმალურ საშუალებას, მისი გადაჭრის შესაძლებლობას.

ეს გადაჭრა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ფაქტიურად აღიარებულ იქნება თანამედროვე საწარმოო ძალების საზოგადოებრივი ბუნება, რომ, მაშასადამე, წარმოების, მითვისების და გაცვლის წესი შეგუებულ იქნება საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი ხასიათთან“[2]. ანალოგიურად აფასებდა ვ. ი. ლენინი განვითარების ამ ტენდენციას, მაგალითად, კოოპერაციის მაგალითზე. „კაპიტალისტური სახელმწიფოს ვითარებაში, — წერდა ლენინი, — კოოპერაცია არ-

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ 331—332.

[2] იქვე, გვ. 332.

ის კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულება... კერძო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, როგორც კოლექტიური საწარმონი კერძო საწარმოთაგან. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, ჯერ-ერთი, როგორც კერძო საწარმონი, მეორე, როგორც კოლექტიური საწარმონი"[1]. ყველა შემთხვევაში ლენინი ხაზს უსვამს გაერთიანების, კოლექტივიზმის როლს მომავლისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. ყოველი დათმობა, რომელსაც ბურჟუაზია სახელმწიფოს ხელით აკეთებს, საბოლოო ჯამში, კაპიტალიზმის დასუსტების წისქვილზე ასხამს წყალს. ასე მწიფდება სოციალური რევოლუციის ობიექტური და სუბიექტური პირობები. ასეთია განვითარების დიალექტიკური პროცესი.

რეფორმისტები სახელმწიფოს როლის დამახინჯებას მიჰყავს ბიუროკრატიული სამხედრო აპარატის დამსხვრევის, ესე იგი ახალი მუშური დემოკრატიის, პროლეტარიატის დიქტატურის შექმნის აუცილებლობის უარყოფამდე.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ პროლეტარიატი არ შეიძლება დასჯერდეს პოლიტიკური ხელისუფლების აღებას. იგი ვერ ააშენებს სოციალიზმს საკუთარი სახელმწიფოს ფუნქციონირების გარეშე. ახალი სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა უნდა შეიქმნას ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის დამსხვრევის საფუძველზე. „ფორმულა „პროლეტარიატის დიქტატურა", — წერს ვ. ი. ლენინი, — არის მხოლოდ უფრო ისტორიულად კონკრეტული და მეცნიერულად ზუსტი გადმოცემა პროლეტარიატის ამოცანისა— „დაამსხვრიოს" ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა..."[2] ეს იდეა პირველად წამოაყენა და დაასაბუთა კ. მარქსმა. ვ. ი. ლენინი ამ დასკვნას უწოდებდა სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების ქვაკუთხედს. როგორც ცნობილია, კ. მარქსი თავის დროზე ინგლისის და ამერიკის მუშათა კლასის წინაშე არ აყენებდა ძველი სახელმწიფო აპარატის დამსხვრევის ამოცანას. აღნიშნულ ქვეყნებში მაშინ სამხედრო ხროვა არ იყო გაბატონებული და არც ბიუროკრატია იყო მომძლავრებული. ამას უკავშირდებოდა სწორედ რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33. გვ. 558.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 28, გვ. 279.

შესაძლებლობა ინგლისში, ამერიკასა და ნაწილობრივ ჰოლანდიაში. შემდეგში ვ. ი. ლენინმა ეს შეზღუდვა მოხსნა. იმპერიალიზმის ეპოქაში ძველი სახელმწიფო მანქანის დამსხვრევა ყველა ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების სავალდებულო პირობა გახდა. პროლეტარიატის დამთრგუნველი ბურჟუაზიული მანქანის ხელუხლებლობის აღიარება, — მიუთითებდა ლენინი, — ნიშნავს ფაქტიურად გადახვიდე ბურჟუაზიის ბანაკში. პროლეტარიატმა უნდა დაანგრიოს მოჩელუერი, სამოსამართლო, სამხედრო, პოლიციური აპარატი და შეცვალოს იგი „მუშათა თვითმმართველი მასობრივი ორგანიზაციით". ამ მოთხოვნის უარყოფა ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურაზე უარისთქმას.

მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადეთრი მეცნიერებაა, რომელიც სწორად წყვეტს დემოკრატიისადმი სოციალისტური რევოლუციის, კერძოდ, დიქტატურისა და დემოკრატიის, თანაფარდობის პრობლემას.

არ არსებობს დემოკრატია საერთოდ, ზეკლასობრივი, „წმინდა", „ინტეგრალური" დემოკრატია. დემოკრატია კლასობრივი, პოლიტიკური ცნებაა. ჩვენს დროში ერთმანეთს უპირისპირდება ბურჟუაზიული და პროლეტარული დემოკრატია. მარქსისტს დემოკრატიაზე უნდა ჰქონდეს ისტორიული შეხედულება. შეცდომაა ბურჟუაზიული დემოკრატიის მნიშვნელობის აპრიორული უარყოფა, ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი პროლეტარიატის აბსტრაქტული დაპირისპირება. არანაკლებ დასაგმობია ბურჟუაზიული დემოკრატიისადმი ბრმა მხარდაჭერის თვალსაზრისი. პროლეტარიატი მხარს უჭერს ბურჟუაზიულ დემოკრატიას არა უთუოდ, არამედ განსაზღვრული პირობით და გარკვეულ პერიოდში. პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელიც აყენებს და დადებითად წყვეტს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბურჟუაზიული დემოკრატიის გამოყენების ამოცანას. „დემოკრატიას ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყოველთვის ვუჭერთ მხარს არა „კაპიტალიზმისათვის", არამედ იმისათვის, რომ გზა გავუკაფოთ ჩ ვ ე ნ ს მოძრაობას"[1]. სოციალიზმისა და დემოკრატიის გაიგივებაც შეცდომაა და მათი მეტაფიზიკური დაპირისპირებაც. პროლეტარული დემოკრატია ბურჟუაზიული დემოკრატიის გაფართოების შედეგი, მისი გაგრძელება როდია. იგი თვისებრივად ახალი დემოკრა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 35, გვ. 255.

ტიაა, რომელიც მკვიდრდება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ფუნქციონერებს სოციალისტური სახელმწიფო პროლეტარიატის დიქტატურის სახით. კ. მარქსმა კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება მიუყენა სახელმწიფოს საკითხს და მივიდა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობის დასკვნამდე. მარქსისტმა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, კლასობრივი ბრძოლის აღიარება უთუოდ უნდა განავრცოს პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე. ლენინიზმი განუხრელად იცავს ერთი კლასის დიქტატურის მოთხოვნას. ვ. ი. ლენინმა თავის დროზე ამხილა „მემარცხენე" კომუნისტები, რომლებიც ლაპარაკობდნენ მასების, პარტიის დიქტატურის შესახებ და უარყოფდნენ კლასის დიქტატურას. კლასს არ შეუძლია მართოს, აცხადებენ დღეს მემარჯვენე სოციალისტები. ადრინდელი და თანამედროვე ოპორტუნისტები ერთიანად ამახინჯებენ სინამდვილეს. პარტიამ თავის დროზე დაგმო ზინოვიევის ჯგუფის მტკიცება პარტიის დიქტატურის თაობაზე. თანამედროვე კომუნისტური და მუშათა პარტიები განუხრელად იცავენ ლენინის იდეებს პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მასები შედგება კლასებისაგან. პროლეტარიატი არის საზოგადოების ყველაზე მზარდი, ორგანიზებული და რევოლუციური ნაწილი. მხოლოდ იგია მოწოდებული ისტორიისაგან გადაიქცეს გაბატონებულ კლასად, „მხოლოდ ერთი კლასის — პროლეტარიატის — დიქტატურას შეუძლია, — წერდა ლენინი, — საკითხის გადაჭრა ბურჟუაზიასთან ბრძოლაში ბატონობისათვის. ბურჟუაზიის დამარცხება შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას. ბურჟუაზიის დამხობა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს. ბურჟუაზიის წინააღმდეგ მასების გაძღოლა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს"[1].

სოციალისტური რევოლუცია პროლეტარიატს მდგომარეობის ბატონ-პატრონად აქცევს. ადრე იგი უპირატესად ნეგატიურ, ძველის ნგრევის სამუშაოს ასრულებდა. რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატი ხდება ახლის მშენებელი, შემოქმედი ძალა. იგი მაღლდება მმართველი კლასის დონემდე. მმართველობა მტკიცე ხელს მოითხოვს. დიქტატურა სახელმწიფოებრივი ცნებაა. მას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 29. გვ. 225.

მიუთითებდა ლენინი, როცა ერთმა კლასმა გარკვევით იცის, რომ მარტოდმარტო იღებს ხელისუფლებას და არავის ატყუებს „საყოველთაო სახალხო ხელისუფლებაზე“ ლაპარაკით. ერთი კლასის ხელისუფლება, ერთი კლასის კლასობრივი ბატონობა ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის და კლასობრიობის დაძლევის პირობაა.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა პროლეტარიატის დიქტატურის კლასობრივი არსი და პოლიტიკური საფუძველი. პროლეტარიატის დიქტატურა კლასობრივი ბუნებით, ძირითადი ამოცანებით მუშური სახელმწიფოა. იგი ახორციელებს იმ კლასის პროგრამას, რომელიც ყველაზე უფრო თანმიმდევრული მებრძოლია კაპიტალის წინააღმდეგ და ყველაზე მომზადებულია კომუნიზმის აშენებისათვის. პროლეტარიატის დიქტატურა ამავე დროს მუშურ-გლეხური სახელმწიფოა. „მ უ შ უ რ-გ ლ ე ხ უ რ ი ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა, — წერდა ლენინი. — ს ა ბ ჭ ო თ ა ხ ე ლ ი ს უ ფ ლ ე ბ ა — ი რ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს ს ა ქ მ ი თ „მუშათა კლასის დიქტატურა“[1]. პროლეტარიატი პოლიტიკურად გაბატონებული კლასია „ყველა მშრომელის ხელმძღვანელობის აზრით“ (ლენინი). უსაფუძვლოა მემარჯვენე სოციალისტთა მტკიცება პროლეტარიატის „კლასობრივი ეგოიზმის“ შესახებ. პროლეტარიატის კლასობრივი მიზნები გამოხატავს მთელი საზოგადოების პროგრესულ მისწრაფებებს, განსაკუთრებით მშრომელი გლეხობის ინტერესებს. პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი პრინციპია პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირი. პროლეტარიატი სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელობას ახორციელებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ გლეხობის მიმართ. პროლეტარული სახელმწიფოს ძლიერება სწორედ მუშათა და გლეხთა კავშირის სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ამ გაგებით პროლეტარული სახელმწიფო, ამავე დროს, საერთო-სახალხო სახელმწიფოა.

პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფოს ახალი ფორმაა, ახალი ტიპი. ყველა მანამდელი დიქტატურა იყო მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგობის ძალდატანებით დათრგუნვა. პროლეტარიატის დიქტატურა მოსახლეობის უმცირესობის წინააღმდეგობის ძალდატანებით დათრგუნვაა. ბურჟუაზიული სახელმწიფო, პროლეტარიატის დიქტატურა, კონსტიტუციური მონარქიით დაწყებული და პარლამენტური დემოკრატიული რესპუბლიკით დამთავრებული, ხალხზე გაბატონებული ორგანოა. პროლეტარული სახელმწიფო. პროლეტა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ. ტ. 29, გვ. 664.

რიატის დიქტატურა რევოლუციური ხალხის დიქტატურაა. ამ აზრით მას ფ. ენგელსი ნახევარ სახელმწიფოს უწოდებდა.

პროლეტარიატის დიქტატურა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის რევოლუციური ხელისუფლებაა. ის ერთდროულად ანგრევს ძველს და აშენებს ახალს. შესაბამისად მას აქვს ორი მხარე — იძულებით-ძალდატანებითი და აღმზრდელობით-აღმშენებლობითი. საჭიროა ორივე მხარის ორგანული შეხამება.

პროლეტარიატის დიქტატურა მოასწავებს კლასობრივი ბრძოლის არა დამთავრებას, არამედ გაგრძელებას ახალი ფორმებით. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა გარდამავალ პერიოდში კლასობრივი ბრძოლის 5 ფორმა: ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, სამოქალაქო ომი, წვრილი ბურჟუაზიის, კერძოდ გლეხობის, „ნეიტრალიზაცია", ბურჟუაზიულ სპეციალისტთა გამოყენება და ახალი დისციპლინის აღზრდა[1]. პროლეტარიატის დიქტატურის უპირველესი ამოცანაა დამხობილი ექსპლოატატორული კლასების სრული დათრგუნვა. „დიქტატურა გულისხმობს და ნიშნავს ჩახშული ომის მდგომარეობას"[2]. სახელმწიფო პროლეტარიატის იარაღია კლასობრივ ბრძოლაში. მისი საშუალებით პროლეტარიატმა უნდა დაძლიოს გარდამავალი პერიოდის ანტაგონისტური და არაანტაგონისტური წინააღმდეგობები. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ძევს მშობიარობის „ტანჯვის" ხანგრძლივი პერიოდი. მიუხედავად დამარცხებისა ბურჟუაზიის მხრიდან „წინააღმდეგობა გაათკეცებულია მისი დამხობით"[3]. წინსვლის ამოცანები მკაცრი აუცილებლობით აყენებენ ძალდატანებითი ხასიათის ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ძალადობა ძალაუფლების იარაღია. იძულების გამოყენება აუცილებელია, აფრთხილებდა ვ. ი. ლენინი პარტიას, რომ „პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგს ჩირქი არ მოეცხოს პროლეტარული ხელისუფლების ფაფისებური მდგომარეობის პრაქტიკით"[4]. და შემდეგ: „დიქტატურა არის საზოგადოების ნაწილის ბატონობა მთელ საზოგადოებაზე, და ისიც ისეთი ბატონობა, რომელიც უშუალოდ ძალმომრეობას ეყრდნობა"[5].

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 97—99.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 26, გვ. 469.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31, გვ. 8.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 27, გვ. 306.
[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 80.

პროლეტარიატის სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობით ხორციელდება არა მარტო გლეხობის ფსიქოლოგიის გარდაქმნა, არამედ თვით მუშათა ხელახლა აღზრდა. პროლეტარიატმა მთელი მშრომელი ხალხი უნდა გადმოიყვანოს თავის კლასობრივ პოზიციებზე. ამ აზრით იგი, როგორც განსაკუთრებული კლასი, მარტოდმარტო განაგრძობს კლასობრივ ბრძოლას მთელი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რევოლუციური იძულება სოციალიზმის აშენების აუცილებელი პირობაა. საჭიროა, რკინის ხელი რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად და მისი სამეურნეო შედეგების განსამტკიცებლად. რეფორმისტები და რევიზიონისტები უარყოფენ ამ მოთხოვნას. „ბურჟუაზიის ეს ინტელიგენტური დამქაშები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — „მზად არიან" რეცხონ ტყავი, ცნობილი გერმანული ანდაზისა არ იყოს, მხოლოდ ისე, რომ ტყავი არ სველდებოდეს"[1]. ეს სიტყვები ამხილებს კლასობრივი ბრძოლის საკითხში თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტთა ოპორტუნისტულ თვალსაზრისს.

ძალმომრეობა დიქტატურის ერთი მხარეა. წინსვლის, მომავლისათვის ბრძოლის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ალმშენებლობითი გეგმების შესრულებას. პროლეტარიატის დიქტატურის მიზანია სოციალიზმის აშენება კაპიტალიზმის ნანგრევებზე. „სოციალიზმის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის მ ე შ ვ ე ო ბ ი თ"[2]. პროლეტარიატის დიქტატურა სამეურნეო ორგანიზატორია. იგი განაგებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგს, მან უნდა შექმნას საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალი ტიპი კაპიტალიზმთან შედარებით. პროლეტარული სახელმწიფოს ეს განსაკუთრებული როლი, უპირველეს ყოვლისა, თვით სოციალისტური რევოლუციის თავისებურებებით უნდა ავხსნათ. სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა არ იქმნება კაპიტალიზმის, ესე იგი ძველის, წიაღში. კაპიტალიზმი იძლევა მხოლოდ სოციალიზმის მატერიალურ და სულიერ წანამძღვრებს. ამიტომ პროლეტარიატს თითქმის „ცარიელ ადგილზე" უხდება ახალი ეკონომიკის აშენება. სოციალისტური რევოლუცია დამოუკიდებლად ქმნის ახალ წარმოებით ურთიერთობებს.

სოციალისტური სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ზედნაშენი,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი თხზ., ტ. 26, გვ. 466.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 23, გვ. 18.

ახალი ეკონომიური ბაზის შექმნის ძირითადი იარაღია, „ეკონომიური გადატრიალების ბერკეტია“. უსაფუძვლოა რეფორმისტების მტკიცება, თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა არაა საჭირო მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ხელისუფლების აღების შემდეგ. პირიქით, პროლეტარიატი ვერ შეინარჩუნებს პოლიტიკურ ხელისუფლებას და ვერ ააშენებს სოციალიზმს საკუთარი სახელმწიფოს გარეშე. იგივე უნდა ითქვას ყველა ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების აუცილებლობის თაობაზე. პროლეტარიატის დიქტატურის ფუნქციონირება არანაკლებ საჭიროა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიას მეტი გამოცდილება აქვს მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. პროლეტარიატის დიქტატურა პროლეტარული რევოლუციის ძირითადი შინაარსია. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისათვის ყველა ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება ისევე აუცილებელია, როგორც თვით სოციალისტური რევოლუციის გატარება.

რეფორმისტები და რევიზიონისტები უხეშად ამახინჯებენ აგრეთვე დემოკრატიისა და დიქტატურის ურთიერთობას. ისინი პროლეტარიატის დიქტატურას სახავენ როგორც შიშველ იძულებას, „ტოტალიტარულ ხელისუფლებას“, რომელიც უპირისპირდება და გამორიცხავს დემოკრატიას. ეს არ არის ახალი „საბუთი“. იგივეს ამბობდნენ 1918—1919 წლებში კ. კაუცკი, რ. ჰილფერდინგი, ო. ბაუერი და სხვ. ისინი აცხადებდნენ, თითქოს ბოლშევიკებმა მოსპეს დემოკრატია პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით და მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების შერწყმას ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმთან. ამ ცრურწმენის საფუძველია ოპორტუნისტთა მიერ ბურჟუაზიულ და პროლეტარულ დემოკრატიას შორის განსხვავების უგულებელყოფა.

ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა ბურჟუაზიული დემოკრატიისა და პარლამენტარიზმის ისტორიული პირობითი ხასიათი და მიუთითა მის შეზღუდულ ღირებულებაზე. ბურჟუაზიული დემოკრატია, რომელიც შუასაუკუნეობრიობასთან შედარებით უთუოდ პროგრესულია, ფაქტიურად ვიწრო, შეკვეცილი, ყალბი და თვალთმაქცური დემოკრატიაა, სამოთხეა მდიდრებისათვის და მახე ღარიბებისათვის. ბურჟუაზიული დემოკრატია — ესაა დემოკრატია 60 ოჯახისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში, 200 ოჯახისათვის საფრანგეთში და ა. შ. კერძო საკუთრების ბატონობის პირობებში არ შეიძლება დემოკრატიის ფარგ–

ლების ნამდვილი გაფართოება. განვითარება არ მიდის წინ „უფრო მეტი და მეტი დემოკრატიისაკენ“, როგორც ეს რეფორმისტებს წარმოუდგენიათ. ბურჟუაზია პარლამენტს იყენებს მანამ, სანამ შეუძლია მისი დახმარებით ხალხის მასების მოტყუება. როგორც კი პარლამენტური დემოკრატია მის ინტერესებს შეეხება, ბურჟუაზია უმალვე დიქტატურას მიმართავს და კაპიტალი „ამახინჯებს და კვეცავს, — წერს ლენინი, — ყოველგვარ, თვით ყველაზე „დემოკრატიულ“ და რესპუბლიკურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიას“[1]. ყველაზე „სრული“ და განვითარებული დემოკრატია კაპიტალიზმის პირობებში არის ბურჟუაზიის დიქტატურა.

პროლეტარიატის დიქტატურა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ძალადობას აერთიანებს დემოკრატიის სრულ განვითარებასთან. პროლეტარიატი არ პირფერობს და არავის პირდება „საყოველთაო დემოკრატიას“, „ოქროს მთებს“. მას გარკვეული კლასობრივი მიზანი აქვს. პროლეტარიატის დიქტატურა, ცხადია, არ არის დემოკრატია ყველასათვის. იგი პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის დათრგუნვის მანქანაა და ამდენად დემოკრატიას გამორიცხავს სწორედ ბურჟუაზიისათვის, ესე იგი, არღვევს „წმინდა დემოკრატიის“ პრინციპს. ექსპლოატატორული კლასების ძალით დათრგუნვა არის „გამონაკლისი დემოკრატიიდან“ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში: „დიქტატურა აუცილებლად როდი ნიშნავს, — წერდა ლენინი, — დემოკრატიის მოსპობას იმ კლასისათვის, რომელიც ამ დიქტატურას ახორციელებს სხვა კლასების მიმართ, მაგრამ იგი აუცილებლად ნიშნავს დემოკრატიის მოსპობას (ან ფრიად არსებით შეზღუდვას. რაც აგრეთვე მოსპობის ერთ-ერთი სახეა) იმ კლასისათვის. რომლის მიმართ ან რომლის წინააღმდეგ დიქტატურა ხორციელდება“[2]. პროლეტარიატის დიქტატურა მოპოვებულია და დაცულია სწორედ პროლეტარიატის ძალდატანებით ბურჟუაზიაზე.

დემოკრატიის რეალობა პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ნიშანია. პროლეტარიატს სახელმწიფო სჭირდება არა თავისუფლების ინტერესებისათვის (ნამდვილი თავისუფლების დამყარება კაპიტალიზმის პირობებში შეუძლებელია), არამედ მოწინააღმდეგის დათრგუნვის ინტერესებისათვის. რათა შექმნას ნამდვილი დემოკრატიული თავისუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გ. 462.

[2] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 28, გვ. 281.

ფლების სამყარო. დემოკრატიის რეალობას არ განსაზღვრავს მრავალ-პარტიულობა. მთავარია, რომელი კლასი ფლობს ხელისუფლებას და რა მიზნით იყენებს იგი მას. კონტრრევოლუციის თავისუფლება რევოლუციის დაცვა როდია. „პლურალიზმი“ ფაქტიურად ამართლებს ბურჟუაზიულ დემოკრატიას. პროლეტარიატის დიქტატურას სიმძიმის ცენტრი გადააქვს თავისუფლების ფორმალური აღიარებიდან მის ფაქტიურ უზრუნველყოფაზე. პროლეტარიატის დიქტატურა მოითხოვს, მაგალითად, კრებების თავისუფლების არა ქაღალდზე აღიარებას, არამედ ყველა შენობისა და დარბაზის მუშებისათვის გადაცემას, მშრომელთათვის სიტყვის თავისუფლების არა ფორმალურ აღიარებას, არამედ მუშებისათვის სტამბების გადაცემას და ა. შ. ისტორიაში პირველად პროლეტარიატის დიქტატურა დემოკრატიის სიკეთეს ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ ხელმისაწვდომს ხდის მუშებისა და გლეხებისათვის. პროლეტარული დემოკრატია, წერდა ლენინი, არის დემოკრატია მოსახლეობის $\frac{9}{10}$-სათვის, იგი თითქმის ს რ უ ლ ი დემოკრატიაა, შეზღუდული მხოლოდ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დათრგუნვის თვალსაზრისით[1]. პროლეტარული დემოკრატიის სრულყოფა საერთო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიაზე გადასვლის პირობაა. ასე იქცევა დემოკრატია უმრავლესობისათვის, დემოკრატიად ყველასათვის.

პროლეტარიატის დიქტატურა გარდამავალი პერიოდის სოციალისტური სახელმწიფოა. მუშათა კლასი მიზნად არ ისახავს თავისი ძალაუფლების საუკუნოდ დამკვიდრებას. პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო იქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. სოციალისტური სახელმწიფოებრიობის განვითარების ორივე ეტაპზე ხელმძღვანელ როლს მუშათა კლასი ასრულებს. სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველი იყო და არის მუშებისა და გლეხთა კავშირი. პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისიაა სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების უზრუნველყოფა. მუშათა კლასისა კი —კომუნიზმის განხორციელება. სრული დემოკრატიის დამკვიდრებაც ამ დროს ხდება. „მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, — წერდა ლენინი, — და კიდევაც განხორციელდება ნამდვილად სრული დემოკრატია, ნამდვილად ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე... მხოლოდ და მარტოოდენ კომუნიზმს ძალუძს მოგვცეს ნამდვი-

[1] См. В. И. Ленин. Полн. собр. соч., т. 33, стр. 180.

ლად სრული დემოკრატია, და რაც უფრო სრულია იგი, მით უფრო მალე გახდება იგი ზედმეტი, მოკვდება თავისთავად"[1]. ამრიგად, უკლასო საზოგადოებაზე გადასვლა ხორციელდება არა ბურჟუაზიული პარლამენტური დემოკრატიის განვითარების, არამედ პროლეტარული, ხოლო შემდეგ საერთო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის გზით. კომუნიზმის დროს სახელმწიფოსთან ერთად მოკვდება პოლიტიკური დემოკრატია და დამკვიდრდება ნამდვილი სოციალური დემოკრატია.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 25, გვ. 575 — 576.

ერთიანობისათვის ბრძოლის შესაძლებლობა და აუცილებლობა. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების თანამშრომლობის პრინციპები

მოქმედების ერთიანობა პროლეტარიატის ისტორიული მისიის განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ერთიანობის პრობლემა განიხილება ორ ასპექტში: საჭიროა მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ერთიანობა და მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ე ბ ი ს თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მუშათა ერთიანობის საკითხი ძველი და ამავე დროს მუდამ ახალი შინაარსის მქონე საკითხია. კაპიტალის წინააღმდეგ შრომის ბრძოლის ისტორია. გარკვეული აზრით, მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლის ისტორიაა. ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის ბრძოლა ამ უკანასკნელის არსებობის დღიდანვე იწყება. მაგრამ თავდაპირველად მას სტიქიური ხასიათი ჰქონდა. ეს ის დროა, როდესაც „პროლეტარები ებრძვიან არა თავიანთ მტრებს, არამედ თავიანთი მტრების მტრებს". მრეწველობის განვითარებასთან ერთად პროლეტარიატი იზრდება რიცხობრივად, მაღლდება მისი კლასობრივი შეგნება. მუშათა წარმატებითი ეკონომიური ბრძოლაც კი შეუძლებელი იყო გარკვეული გაერთიანების გარეშე. ასე წარმოიშვა პროფკავშირები, შემდეგ „ჩარტისტთა ეროვნული ასოციაცია" და ა. შ. მაგრამ მუშათა პირველ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საკუთარი იდეოლოგია. მუშათა გაერთიანების მეცნიერული პლატფორმა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული. მარქსიზმის წარმოშობით იწყება ახალი ეპოქა. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა შეიმუშავეს ერთიანობის მეცნიერული პრინციპები. მუშათა პირველი პროგრამული დოკუმენტი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მთავრდება სწორედ ერთიანობის აუცილებლობის მოთხოვნით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!".

მუშათა ერთიანობის პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურ მნიშვ-

ნელობას იძენს იმპერიალიზმის ეპოქაში. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეები შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა. მან შექმნა მწყობრი თეორია მუშათა და მისი პარტიების მოქმედების ერთიანობის შესახებ.

კაპიტალის უღლისაგან მუშათა კლასის საბოლოო დახსნა შეუძლებელია ეროვნული და ინტერნაციონალური მასშტაბით მისი რიგების ერთიანობის გარეშე. ამასთან, ერთიანობის ლოზუნგი მხოლოდ მუშათა გაერთიანებას კი არ გულისხმობს ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით. საჭიროა გაერთიანებულმა მუშათა კლასმა თავის გარშემო დარაზმოს მთელი ჩაგრული და ექსპლოატირებული მასები. მუშათა კლასი თავს ვერ გაითავისუფლებს, თუ მან ამავე დროს არ გაათავისუფლა ჩაგრული ხალხი საერთოდ. „პროლეტარიატი ვერ გაიმარჯვებს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — თუ თავის მხარეზე არ გადაიყვანა მოსახლეობის უმრავლესობა“[1]. ამრიგად, ფართო გაგებით, მუშათა ერთობა საერთო-სახალხო ერთიანობასაც გულისხმობს. მაგრამ საერთო-სახალხო მოძრაობის წარმატებით განვითარება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხელმძღვანელობს მუშათა კლასი. საერთო-სახალხო ერთობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, მუშათა ერთობა.

კაპიტალი საერთაშორისო ძალაა. ბურჟუაზიამ შექმნა ექსპლოატაციის მთელი სისტემა. შეუძლებელია ამ სისტემის დანგრევა გაერთიანებული მოქმედების გარეშე. კაპიტალისტთა „ინტეგრაციას“ უნდა დაუპირისპირდეს პროლეტარული ინტეგრაცია. „კაპიტალის ბატონობა საერთაშორისოა. სწორედ ამიტომაც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყველა ქვეყნის მუშათა ბრძოლას განთავისუფლებისათვის მხოლოდ მაშინ მოჰყვება წარმატება, როცა მუშები გაერთიანებულად აწარმოებენ ამ ბრძოლას საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ... აუცილებელია ყველა მუშის შეკავშირება. აუცილებელია მთელი მუშაოა კლასის გაერთიანებული ბრძოლა“[2]. და შემდეგ: „კონსერვატიული ბურჟუაზიის საერთაშორისო კავშირს, — წერს ვ. ი. ლენინი, — შეიძლება მხოლოდ ერთი ძალა დაუპირისპირდეს: რევოლუციური პროლეტარიატის საერთაშორისო კავშირი“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 312.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ.. ტ. 2. გვ. 119 — 120.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 317.

მუშათა კლასი ბუნებით ინტერნაციონალისტი, კოლექტივისტია. მისი რიგების ერთიანობა ობიექტური მიზეზებით განპირობებული ისტორიული აუცილებლობაა. მუშებს ჰყავთ საერთო მტერი. მათ აქვთ ერთი საერთო კლასობრივი მიზანი, ერთგვაროვანია მუშათა მდგომარეობა კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის სისტემაში. „... მთელი მსოფლიო მუშათა ინტერესებსა და მიზნებს შორის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სრული ერთგვაროობა (სოლიდარობა) არსებობს... ყველა ქვეყნის მუშების ეს გაერთიანება გამოწვეულია აუცილებლობით, იმით, რომ მუშებზე გაბატონებული კაპიტალისტთა კლასი თავის ბატონობას ერთი რომელიმე ქვეყნით არ საზღვრავს... სწორედ ამიტომ კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსი მუშის ამხანაგია გერმანელი მუშაც, პოლონელი მუშაც და ფრანგი მუშაც, სწორედ ისევე, როგორც რუსი მუშის მტრები არიან როგორც რუსი, ისე პოლონელი და ფრანგი კაპიტალისტები“[1]. და შემდეგ „ყველა მუშები ძმები არიან, — წერდა ვ. ი. ლენინი, — და მათი მტკიცე კავშირი მთელი მშრომელი და ჩაგრული კაცობრიობის კეთილდღეობისა და ბედნიერების ერთადერთი საწინდარია“[2].

ჩვენს დროში მომწიფდა მუშათა რიგების ერთიანობის ობიექტური და სუბიექტური პირობები. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის ახალი ტიპია, თავისუფალ, სუვერენულ ხალხთა თანამეგობრობაა. სოციალისტური სოლიდარობა, ცხადია, ერთიანობისკენ უბიძგებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მშრომელ მასებს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების გამარჯვების შედეგად დაინგრა იმპერიალიზმის კოლონიური სისტემა. პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა მილიონობით ადამიანმა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს საერთო-სახალხო მოძრაობა აძლიერებს მისწრაფებას ერთიანობისაკენ.

თანამედროვე ეპოქის სპეციფიკური ნიშანია სოციალისტური და დემოკრატიული ბრძოლის დაახლოება. მოქმედების ერთობა დემოკრატიისათვის ბრძოლის ძირითადი მეთოდია. ძირეული ცვლილებანი მოხდა კლასობრივი ურთიერთობის დარგში. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შესამჩნევად იზრდება სამრეწველო პრო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 2, გვ. 119—120.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 408.

ლეტარიატის რიგები და საერთოდ დაქირავებულ მუშაკთა რაოდენობა. ინჟინერ ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა გარკვეული ნაწილი მუშათა რიგებში გადადის. ეს პროცესიც აძლიერებს ერთიანობის ტენდენციას.

თანამედროვე ეპოქის ნიშანდობლივი მხარეა დაპირისპირებულობა ერთი მუჭა მონოპოლიებსა და ერის უმრავლესობას შორის, რაც ხელს უწყობს ხალხთა გაერთიანებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეპოქის ნიშანია აგრეთვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება. შეიქმნა ქალთა, ახალგაზრდობის, სტუდენტთა, ომის ვეტერანთა და სხვა საზოგადოებები. ხაზგასმით უნდა მივუთითოთ კომუნისტური პარტიის რაოდენობისა და გავლენის ზრდის, მარქსისტულ-ლენინური იდეების გავრცელებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტული თეორიების გაკოტრების ფაქტებზე. მოქმედების ერთობა კაპიტალზე შრომის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ მუშათა კლასის მსოფლმხედველობას ბუნებით შეესაბამება მისი რიგების ერთიანობა, გაერთიანებული მოქმედება. მაგრამ ერთობის მიღწევა არ შეიძლება თვითდინებით, სტიქიურად. მოქმედებენ საწინააღმდეგო, გამთიშველი ტენდენციებიც. კაპიტალის ბატონობის პირობებში მუშა იძულებულია გაყიდოს საკუთარი სამუშაო ძალა როგორც საქონელი. ეს ობიექტური აუცილებლობა წარმოშობს კონკურენციას მუშებს შორის. „ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ, — წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — მთელ ქვეყანაში გაფანტულ და კონკურენციის გამო დაქუცმაცებულ მასას“[1]. არაერთგვაროვანია თვით მუშათა კლასის შემადგენლობაც. შესაბამისად მოქმედებს მუშათა მრავალი პარტია და ორგანიზაცია. ეს გარემოება ხელს უწყობს ბურჟუაზიული და რეფორმისტული ილუზიების გავრცელებას მუშებს შორის. მუშათა მოძრაობის გათიშვის მიზნით ბურჟუაზია იყენებს დათრგუნვისა და მოსყიდვის მეთოდებს. მონოპოლისტური ბურჟუაზიის ხელში პატერნალიზმი (იტალ. მამობრივი) — მუშების ერთი ნაწილის მოსყიდვა მამობრივი ზრუნვით — მუშათა და კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია. „კაპიტალიზმი არ იქნებოდა კაპიტალიზმი, —

---

[1] კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. კომუნისტური პარტიის მანიფესტი, გვ. 64.

წერდა ვ. ი. ლენინი, — იგი რომ, ერთი მხრივ, არ უმზადებდეს მ ა-ს ე ბ ს დაბეჩავების, ჩაგვრის, დაშინების, დაქსაქსულობის (სოფელი!) უმეცრების მდგომარეობას — იგი (კაპიტალიზმი) რომ, მეორე მხრივ, ბურჟუაზიას ხელში არ აძლევდეს სიცრუისა და მოტყუების, მუშებისა და გლეხების მასობრივად გაბრიყვების, მათი გამოყეყეჩების უზარმაზარ აპარატს და სხვ.“[1].

ამრიგად, ერთიანობისათვის ბრძოლა კლასობრივი ბრძოლის ასპარეზია. „ერთიანობა, — წერდა ლენინი, — ბრძოლით უნდა მ ო ი პ ო ვ ო, და მხოლოდ თვით მუშებს, თვით შეგნებულ მუშებს ძალუძთ ამის მიღწევა — შეუპოვარი, დაჟინებითი შრომით“[2]. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ტენდენცია — ერთიანობის და გათიშვის ტენდენცია. შედეგი ბრძოლის სწორ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. მარქსმა და ენგელსმა პირველად მიუთითეს, რომ მუშათა კლასს არა აქვს სხვა იარაღი ერთიანობის უზრუნველსაყოფად გარდა ორგანიზაციისა, საკუთარი პარტიისა. ფ. ენგელსი ტრირსს წერდა: „იმისათვის, რომ პროლეტარიატი გადამწყვეტ მომენტში საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდეს და შესძლოს გამარჯვება, აუცილებელია — მარქსი და მე ამ პოზიციას ვიცავდით 1847 წლიდან, — რომ მან შექმნას განსაკუთრებული პარტია... პარტია, რომელსაც თავის თავი შეგნებული ჰყავს როგორც კლასობრივი პარტია“[3].

მარქსიზმის ფუძემდებელთა იდეა შემოქმედებითად განავითარა ვ. ი. ლენინმა. „ერთიანობა აუცილებელია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მუშათა კლასისათვის. ერთიანობას ახორციელებს მხოლოდ ერთიანი ორგანიზაცია, რომლის გადაწყვეტილებებს ალალ-მართლად ატარებს ყველა შეგნებული მუშა[4]. და შემდეგ: „ერთიანობა შეუძლებელია უორგანიზაციოდ, ორგანიზაცია შეუძლებელია, — წერს ლენინი, — უმრავლესობისადმი უმცირესობის დაუმორჩილებლად“[5]. ერთიანობა პოლიტიკური ცნებაა. მუშებს ის სჭირდებათ, უპირველეს ყოვლისა, კლასობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების განხორციელების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 314.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20, გვ. 384.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 460.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 19, გვ. 621.
[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20, გვ. 384.

ორგანიზატორია ბისი პოლიტიკური პარტია. პროლეტარიატის კლასობრივი მიზანი იცავს მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს. ამიტომ კომუნისტური პარტია საერთო-სახალხო ერთობის შექმნის ორგანიზატორიცაა. ამრიგად, საჭიროა კლასთა ერთობა მუშათა კლასის. ხოლო მუშათა პარტიებისა კი კომუნისტური პარტიის გარშემო. მუშათა პარტიების ურთიერთობის პრობლემა, ფართო გაგებით, საერთო-სახალხო ერთობის შექმნის პრობლემაცაა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ახალ შინაარსს იძენს ერთიანობის პრობლემა. მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითადი პრინციპები დაამუშავა ვ. ი. ლენინმა ცნობილ წიგნში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. „მარტო ავანგარდით, — წერდა ვ. ი. ლენინი, — გამარჯვება შეუძლებელია. მარტო ავანგარდის ჩაბმა გადამწყვეტ ბრძოლაში, სანამ მთელ კლასს, სანამ ფართო მასებს არ დაუკავებიათ ან ავანგარდისათვის პირდაპირი მხარდაჭერის, ან, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ კეთილმოსურნე ნეიტრალიტეტის პოზიცია და სანამ არ შექმნილა ისეთი მდგომარეობა, რომ მათ არ შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მის მოწინააღმდეგეს არა მარტო სისულელე, არამედ დანაშაულიც იქნებოდა“.[1] ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ცნობილი ლოზუნგი: ვიმუშაოთ იქ, სადაც მასებია! შესაბამისად კომინტერნის მეორე კონგრესმა მიიღო მოწოდება — მასებისკენ, მასებთან მჭიდრო კავშირში, ხოლო ლენინმა კომინტერნის მესამე და მეოთხე კონგრესებზე თავის გამოსავლებში ეს დებულება უფრო სრულყო და დაასაბუთა ეგრე წოდებული ერთიანი ფრონტის ტაქტიკა. ეს იყო მუშათა ერთიანობისათვის ბრძოლის ახალი პროგრამული მოთხოვნა.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ერთიანი პროლეტარიული ფრონტის შექმნას, მაგრამ პროლეტარიატი ხომ საერთო-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელია. ამიტომ, ფართო გაგებით, იგი გულისხმობდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი სახალხო ფრონტის შექმნას. სახალხო ფრონტის ლოზუნგის წამოყენებით დაიწყო სოციალიზმისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 31. გვ. 99.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა რევოლუციური ნიჰილიზმი. საშიშია რევოლუციურობის გაზვიადება ანუ, როგორც ლენინი იტყოდა, „რევოლუციის წერა დიდი ასოთი“. ერთიანი სახალხო ფრონტის ტაქტიკა გმობდა მემარცხენე ოპორტუნისტთა ულტრარევოლუციურობას. „მემარცხენეობისადმი“ მისწრაფება, — წერდა ლენინი,— ესაა მოძრაობის ზრდის ავადმყოფობა „რასაც მივყავართ კლასისა და მასის მიმართ პარტიის როლისა და ამოცანების არასწორი შეფასებისაკენ და რაც უარყოფს აგრეთვე რევოლუციური კომუნისტებისათვის სავალდებულო პირობას — იმუშაონ ბურჟუაზიულ პარლამენტებსა და რეაქციულ პროფკავშირებში“[1].

მარქსიზმ-ლენინიზმი რევოლუციური შეტევის თეორიული დასაბუთებაა. პროლეტარიატის მსოფლმხედველობას, როგორც წესი, შეესაბამება კლასთა ბრძოლა, რევოლუციური იძულება, ძველის დანგრევა ახლის შექმნის მიზნით. „განა პარტიას შეუძლია, — ამბობდა ლენინი თავის გამოსვლაში კომინტერნის მესამე კონგრესზე, — კამათი იმის შესახებ—დასაშვებია თუ არა საზოგადოდ, რევოლუციური შეტევა? ჩვენში ასეთი მაგალითები რომ ვნახოთ, თხუთმეტიოდე წლით უკან უნდა დავბრუნდეთ“[2]. მაგრამ შეცდომაა ყოველგვარ პირობებში შეტევის მოთხოვნა. „შეტევის თეორია“ ხელს უშლიდა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის განხორციელებას და აადვილებდა მუშათა რიგების გათიშვას. ამიტომ დაგმეს ის კომინტერნმა, ვ. ი. ლენინმა.

„შეტევის თეორიის“ მომხრეები ამახინჯებდნენ თვით მასის ცნებას. ეს ერთგვარად კანონზომიერიც იყო. „მემარცხენეებს“ მიაჩნდათ, რომ უაზრობაა ბრძოლა მასების უმრავლესობის მოსამხრობლად. პირიქით, „აქტიური უმრავლესობა“ უფრო მოხერხებულად უზრუნველყოფს, ამტკიცებდნენ ისინი, გადატრიალებას. კომინტერნის მესამე კონგრესმა დაგმო ეს მავნე თვალსაზრისი. მსოფლიო კაპიტალზე გამარჯვების ერთდაერთი საიმედო გზაა. ნათქვამია კომინტერნის მასალებში, მუშათა კლასის, მშრომელთა უმრავლესობის თანაგრძნობის მოპოვება[3]. ამავე კონგრესზე თავის გამოსვლაში ლენინმა ახლებურად განმარტა მასის ცნება. მასის ცნება იცვლება ეპოქის შინაარსის, ბრძოლის ხასიათის ცვლილების მიხედვით. ბრძოლის საწყის ეტაპზე

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 214.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 32, გვ 602.

[3] См. «Тезисы резолюций III конгресса Коминтерна», М., 1921, стр. 92.

რამდენიმე მუშა რევოლუციონერი შეადგენს მასას. „როცა რევოლუცია უკვე საკმაოდ მომზადებულია, — წერდა ლენინი, — „მასის“ ცნება სხვანაირი ხდება: რამდენიმე ათასი მუშა უკვე აღარ შეადგენს მასას. ეს სიტყვა უკვე სხვა რამეს ნიშნავს. მისი ცნება იცვლება იმ აზრით, რომ ამით იგულისხმება უმრავლესობა, და არა მარტო მუშების უბრალო უმრავლესობა, არამედ ყველა ექსპლოატირებულის უმრავლესობა“[1]. პატარა პარტიასაც შეუძლია, დასძენს აქვე ლენინი, ხელსაყრელ მომენტში რევოლუციური მოძრაობის გამოწვევა, რევოლუციის დაწყება და გამარჯვებამდე მიყვანა, თუ მას მილიონობით მუშა გაჰყვება, ესე იგი, თუ მასობრივი მოძრაობა წარმოიშობა. მაშასადამე, მთავარია რევოლუციის საფუძვლიანი მომზადება მასების დაპყრობის გზით. ამიტომ მოითხოვდა ლენინი ბრძოლა გამოგვეცხადებინა „მემარცხენეებისათვის“, რომლებიც უარს ამბობდნენ „დიდი“ მასების მოთხოვნაზე. გამარჯვების მისაღწევად, ასკვნის ლენინი, მასების თანაგრძნობა და მხარდაჭერაა საჭირო. ვ. ი. ლენინის ამ მითითებას სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს დღესაც.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკის თავისებური დასაბუთება იყო მუშათა და მუშურ-გლეხური მთავრობის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა მესამე კომინტერნის მეოთხე კონგრესმა. როგორც ცნობილია, კონგრესზე ამ ლოზუნგის წინააღმდეგ გამოვიდნენ საფრანგეთის, ესპანეთის და სხვა პარტიის წარმომადგენლები. ზოგიერთს ეს ლოზუნგი მიაჩნდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ქადაგებად. სხვები მუშათა მთავრობას პროლეტარიატის დიქტატურის სინონიმად აცხადებდნენ. სინამდვილეში კომინტერმა წამოაყენა ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების შექმნის მოთხოვნა იმპერიალიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ფრონტის შექმნის მიზნით. ყოველი ბურჟუაზიული მთავრობა, როგორც კომინტერნის მეოთხე კონგრესის რეზოლუციაშია ნათქვამი, კაპიტალისტური მთავრობაა. მაგრამ ყოველი მუშური მთავრობა არაა პროლეტარული, ნამდვილი სოციალისტური მთავრობა. შეიძლება იყოს ლიბერალურ-მუშური მთავრობა, სოციალ-დემოკრატიული მუშური მთავრობა, მუშათა და გლეხთა მთავრობა და ასე შემდეგ. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში მუშათა მთავრობა, მითითებული იყო კონგრესის ბიულეტენში, უნდა დაყრდნობოდა „ან-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 32, გვ. 606.

ტიკაპიტალისტურ ფრონტს". რომელიც შედგებოდა მუშების, გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან. შემდეგში, როგორც ცნობილია, კომინტერნის მეშვიდე კონგრესმა წამოაყენა ერთიანი სახალხო ფრონტის მთავრობის ლოზუნგი. ამ გარდამავალი ხელისუფლების გამოყენებით გარკვეული სოციალური გარდაქმნები გატარდა საფრანგეთში. ვ. ი. ლენინის მითითებას გარდამავალი დემოკრატიული ხელისუფლების შესახებ სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს თანამედროვე კომუნისტური და მუშათა პარტიებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა განსაზღვრეს კომუნისტური პარტიის სხვა პარტიებთან ურთიერთობის მეცნიერული პრინციპები. „წმინდა პროლეტარული მსოფლმხედველობა მხოლოდ ერთია, — წერდა ვ. ი. ლენინი, — სახელდობრ მ ა რ ქ ს ი ზ მ ი. წმინდა პროლეტარული პროგრამა და ტაქტიკა საერთაშორისო რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის პროგრამა და ტაქტიკაა"[1]. მარქსისტულ-ლენინური პროგრამის განხორციელება რთული სოციალური პროცესია. კომუნისტური პარტია, რომელიც განუხრელად იცავს მას, ვალდებულია რეაქციული ნიადაგიც კი გამოიყენოს რევოლუციის სასარგებლოდ. „... სად ვიქნებოდით ჩვენ დღეს, — წერდა ფ. ენგელსი, — რომ ჩვენ 1864 წ-დან 1873 წ. პერიოდში მუდამ იმ აზრის ვყოფილიყავით, რომ მხოლოდ იმათთან ვივლიდით ხელიხელჩაკიდებული, ვინც აშკარად აღიარებდა ჩვენს პროგრამას"[2]. არასწორია ლოზუნგი: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია"! ვ. ი. ლენინი თავის დროზე განასხვავებდა ცარისტულ მონარქიულ კონტრრევოლუციას ბურჟუაზიული კონტრრევოლუციისაგან. „ჩვენი გერმანული პროგრესული პარტია, — სწერდა ფ. ენგელსი ტრირს, — ან თქვენი დანიური პარტია კენსტრე მართლა რადიკალურ ბურჟუაზიული პარტიები რომ იყოს და უბადრუკი ფრაზების გმირებისაგან არ შედგებოდნენ, რომლებიც ბისმარკის ან ესტრუპის პირველი მუქარისთანავე სოროში ძვრებიან მაშინ მე უ ს ა თ უ ო დ, გარკვეული მიზნების მისაღწევად არავითარ შემთხვევაში არ ვიქნებოდი მათთან ყველა და ყოველგვარი დროებითი ერთადმოქმედების წინააღმდეგი"[3]. ამჯერად მარქსიზმის კლასიკო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 8, გვ. 600.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები. გვ. 244.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 460.

სები ხელშეკრულებებს ეგრეთ წოდებული პარტიების შედარებითი პროგრესულობის პრინციპით. რევოლუციური კომპრომისი ნამდვილი სოციალური რევოლუციის მომზადების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

კომუნისტური პარტია არ უნდა ცდილობდეს განმათავისუფლებელ მოძრაობაში „სხვადასხვა ელფერის" თავიდან აცილებას. გამარჯვებისათვის შეტევაცაა საჭირო და ლოდინიც. მეტიც, ზოგჯერ ეს უკანასკნელი ორგანიზებული შეტევის მომზადებისათვის ყველაზე სწორი გზაა. მარქსისტულმა პარტიამ უნდა გამოიყენოს სხვა პარტიები თავისი მიზნისათვის. მან არა პროლეტარულ პარტიებს უნდა დაუჭიროს მხარი ისეთი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც, საბოლოო ჯამში, აახლოებენ რევოლუციას, რომლებსაც უშუალო სარგებლობა მოაქვთ პროლეტარიატისათვის, ან „ეკონომიური განვითარების, — წერდა ენგელსი, — ან პოლიტიკური თავისუფლების მიმართულებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენენ"[1]. მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ კომუნისტებს იყვნენ შემაერთებელი რგოლი მუშაობა უმცირესობასა და მთელ დანარჩენ მასას შორის.

ლენინიზმი გვასწავლის, რომ კომუნისტები არ უნდა მოერიდონ გარკვეული მსხვერპლის გაღებას, არ უნდა შეუშინდნენ ახალი და ძნელი საქმის დასაწყისში აუცილებელ შეცდომებს. მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ მათ შეაღწიონ მაგრად დახშულ ბურჟუაზიულ შენობაში, სადაც მუშებს ათასგვარი ილუზიებით კვებავენ. პარტიას, რომელიც საკუთარ წვენში იხარშება, მომავალი არა აქვს, მიუთითებდა ლენინი. როდესაც საერთო-სახალხო ინტერესები დგას პირველ პლანზე, არ არის მიზანშეწონილი წინ წამოვწიოთ სხვა პარტიებთან სადავო საკითხები. ამ გზით შეიძლება მოქმედების ერთობის უზრუნველყოფა. „შენი გასვლით, — წერდა ფ. ენგელსი ფ. ზორგეს, — ძ ვ ე ლ ი ინტერნაციონალი სრულიად დაიხურა და ბოლო მოეღო. და ეს კარგიცაა. იგი მეორე იმპერიის პერიოდს ეკუთვნოდა. როდესაც მთელს ევროპაში გაბატონებული ჩაგვრა ხელახლად გამოღვიძებულ მუშათა მოძრაობისაგან ერთიანობასა და ყოველგვარი შინაგანი პოლემიკისაგან თავშეკავებას მოითხოვდა. ეს ისეთი მომენტი იყო, როდესაც პროლეტარიატის საერთო კოსმოპოლიტურ ინტერესებს შეეძ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, გვ. 460.

ლოთ პირველ რიგში წამოწეულიყვნენ"[1]. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა პირველი ინტერნაციონალი. მისი მიზანი იყო სოციალისტური შოძრაობის ყველა ფორმის გაერთიანება. იგივე კურსს იცავდა განუხრელად ვ. ი. ლენინი.

მაგრამ კომუნისტური პარტია ყოველგვარ პირობებში უნდა ხელმძღვანელობდეს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დამოუკიდებლობის პრინციპით. კომპრომისი მხოლოდ მომენტია მოვლენათა საერთო მსვლელობის პროცესში. არ შეიძლება პრინციპებით ვაჭრობა. კომუნისტების პარტიას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია შეუერთდეს მუშათა პარტიას, მიუთითებდა ლენინი, თუ შეინარჩუნებს კრიტიკის სრულ თავისუფლებას და შესძლებს აწარმოოს თავისი საკუთარი პოლიტიკა. ეს უკვე არაა კლასთა თანამშრომლობა. მაგრამ თუ იტალიელი ამხანაგები, დასძენდა ლენინი, პარტიაში ითმენენ ტურატის მსგავს ოპორტუნისტებს, ეს მართლაც კლასთა თანამშრომლობაა. მოქმედების ერთობა პოლიტიკური ერთობის პირობაა, კლასთა თანამშრომლობა კი — ორგანიზაციული შერწყმისა. უნდა განვასხვაოთ ცნებები „ერთობა" და „გაერთიანება". ჩვენი არმია, წერდა კ. ლიბკნეხტი, კლასობრივი ბრძოლისა და კლასობრივი ომის არმიაა. აქ მოწინააღმდეგის შემოშვება თვითმკვლელობას უდრის[2]. არაპროლეტარულ პარტიებთან თანამშრომლობაა საჭირო და არა გათქვეფა. ერთიანი მოქმედების ტაქტიკის მიზანია მუშათა კლასის სააგიტაციო და ორგანიზაციული თანამშრომლობა და არა მუშათა პარტიების ორგანიზაციული შერწყმა. „ერთიანი ფრონტის ნაცვლად, — წერდა გ. დიმიტროვი, — ერთბაშად გაერთიანების მოთხოვნა იმას ემგვანებოდა, რომ ცხენი ეტლის უკან დააყენო და გეგონოს, ეტლი წინ გასწევსო"[3] მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის მოითხოვდნენ კლასობრივი პარტიული პრინციპის განუხრელ დაცვას. „მაგრამ მე ამის (არაპროლეტარულ პარტიებთან თანამშრომლობის.—ი. ჭ.) მოხმრე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვარ, თუ სარგებლობა პირდაპირ ჩვენთვის ან ქვეყნის ისტორიული განვითარებისათვის ეკონომიური და პოლიტი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწარები, ტ. II, გვ. 584.

[2] См. В. Либкнехт. Без компромиссов. Киев, 1906, стр. 44.

[3] გ. დიმიტროვი. ფაშიზმის შემოტევა და კომუნისტური ინტერნაციონალის ამოცანები მუშათა კლასის ერთიანობისათვის ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმედგ, თბ., 1935. გვ. 94.

კური რევოლუციის მიმართულებით, წერდა ენგელსი, უდაო არის და შრომა გარჯად ღირს: და ეს ყველაფერი იმ პირობით, თუ პარტიის პროლეტარულ კლასობრივ ხასიათს ზიანი არ ადგება და იგი კითხვის ქვეშ არ დგება"[1]. ასეთია მუშათა პარტიებს შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე პირობებშიც.

ჩვენს დროში მუშათა ერთიანობის პრობლემა საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის განვითარების №1 პრობლემა გახდა. „მუშათა კლასის მსოფლიო-ისტორიული მისიის შესრულების დიდმნიშვნელოვანი პირობაა, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — **გათიშვის დაძლევა** მის რიგებში. შეკავშირებულ მუშათა კლასს, რომელიც ახორციელებს მოქმედების ერთიანობას, ვერ გაუძლებს იმპერიალიზმის ვერც ერთი ბასტიონი"[2]. ახლა მუშათა კლასს მონოპოლიების სახით, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავს. ამიტომ წარმატებისათვის საჭიროა ორგანიზებული პოლიტიკური არმიის შექმნა. მუშათა რიგების გათიშულობის აღდგენის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიების მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფა. ეს გასაგებიცაა. მუშათა კლასი ამჟამად საერთაშორისო არენაზე წარმოდგენილია ორი მთავარი ორგანიზაციის სახით: კომუნისტური პარტია და სოციალ-დემოკრატია. რევოლუციური ტენდენციები დაედო საფუძვლად კომუნისტურ მოძრაობას, ოპორტუნისტული კი — სოციალ-დემოკრატიულს. მუშათა კლასის გათიშულობის დაძლევის გზა იყო და არის კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების მოქმედების ერთიანობის დიალექტიკური შეხამება სოციალ-რეფორმიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის პრინციპულ კრიტიკასთან.

ჩვენს დროში უფრო მომწიფდა ერთიანობის შექმნის პირობები. ახლა, როდესაც ესოდენ ძლიერია დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალები, რევოლუციური კომპრომისების დაშვების მეტი შესაძლებ-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 460.
[2] „სკკპ პროგრამა", გვ. 60.

ლობაცაა. ფ. ენგელსი, თავის დროზე ტურატის წერდა: „.... ჩვენ დიდ შეცდომას დავუშვებდით, თუ თავს შევიკავებდით, თუ ჩვენს დამოკიდებულებაში შეტნაკლებად „მონათესავე“ პარტიებთან მხოლოდ უარყოფითი კრიტიკით დავკმაყოფილდებოდით. შეიძლება დადგეს მომენტი, როდესაც ჩვენ ვალდებული ვიქნებით მათთან ერთად დადებითი სახით ვიმუშაოთ“[1]. ამჟამად რეალური პირობებია შექმნილი ამ მითითების განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, ერთიანი ფრონტის შექმნის გზაზე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს უხდებათ უდიდესი დაბრკოლებების დაძლევა. ერთიანობის საქმეს, უპირველეს ყოვლისა, ხელს უშლის მემარჯვენე სოციალისტთა გამცემლური საქმიანობა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია საერთაშორისო მუშათა მოძრაობა გაჟიშულია მემარჯვენე სოციალისტთა ღალატის მიზეზით. ამავე დროიდან ტრადიციული სოციალ-დემოკრატია კრიზისს განიცდის. სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა უფრო გააძლიერეს გამთიშველური მუშაობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. როგორც ცნობილია, 1919 წლის 3 თებერვალს ბერნის კონფერენციაზე კ. კაუცკი და ე. ბერნშტეინი გამოდიან ბოლშევიკების პარტიასთან ყოველგვარი თანამშრომლობის უარყოფის მოთხოვნით. ამ დროისათვის არსებობდა 13 კომუნისტური პარტია, 12 კომუნისტური ჯგუფი და 10 მემარცხენე სოციალისტური პარტია და ჯგუფი[2]. სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ამ მოწოდებამ უთანხმოება უფრო გააღრმავა. შეიდემანის სოციალისტური მთავრობის „მზრუნველობის“ პირობებში მუხანათურად მოკლეს კ. ლიბკნეხტი და რ. ლუქსემბურგი. 1918 წელს რევოლუცია არ დამარცხდებოდა გერმანიაში მუშათა რიგები რომ ერთიანი ყოფილიყო. კიდევ უფრო კატეგორიულად იგივე შეიძლება ითქვას ფაშიზმის გამარჯვების თაობაზე. გერმანიის კომუნისტურ პარტიამ, ე. ტელმანის ინიციატივით, არა ერთხელ მიმართა სოციალ-დემოკრატებს გაერთიანებული ძალებით საყოველთაო გაფიცვის მოწყობის წინადადებით. მაგრამ თანხმობა ვერ მიიღო. გერმანელი ხალხისათვის ყველაზე საბედისწერო დღესაც კი (1933 წლის 30 იანვარს, როდესაც ჰიტლერი კანცლერი გახდა) სოციალ-დემოკრა-

---

[1] კ. მარქსი. ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, გვ. 523

[2] См. «Первый конгресс Коммунистического интернационала», М., 1933, стр. 251.

ტიის ლიდერებმა უარყვეს საყოველთაო დემონსტრაციის წინადადება[1].

საფრანგეთში სხვა ვითარება იყო. კომუნისტების მოწოდებას აქ მხარი დაუჭირეს სოციალისტებმა. ამის შედეგად 1934 წლის 14 ივლისს მოეწყო ნახევარმილიონიანი ცნობილი დემონსტრაცია. მეორე დღეს შეიქმნა სახალხო ფრონტის მთავრობა ლ. ბლიუმის მეთაურობით. დემოკრატიულმა მთავრობამ გარკვეული დადებითი ღონისძიებებიც გაატარა. მაგრამ მალე იგივე ბლიუმის ღალატით კვლავ დაიშალა ზუშათა ერთიანობა. ინგლისში ლეიბორისტები სამჯერ (1924, 1929—1931 და 1945—1951 წლებში) იყვნენ ხელისუფლების სათავეში, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. იგივე უნდა ითქვას ნორვეგიის, ავსტრიისა და, განსაკუთრებით, შვეიცარიის შესახებ, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტია მმართველი პარტიაა 1932 წლიდან.

ტრადიციული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა ამ კურსს მტკიცედ იცავენ თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები. ე. ფიშერი ლაპარაკობს „ძველი ერთობის“ დროგადასულობაზე და აყენებს ეგრეთ წოდებულ „ახალი ერთობის“ შექმნის მოთხოვნას, ერთობისა მარქსისტებისა ანტიმარქსისტებთან, კომუნისტებისა სოციალისტებთან, კათოლიკებთან და პროტესტანტებთან. ფაქტიურად ფიშერი ქადაგებს არა ერთობის, არამედ გაერთიანების მავნე თვალსაზრისს. ბ. კაუცკის ზრით, ვ. ი. ლენინს არასოდეს არ დაუყენებია ერთიანი ანტიმონოპოლისტური ფრონტის შექმნის საკითხი, რადგან მისთვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოწოდებას — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“, რომელიც პირდაპირ კაპიტალიზმზე გამარჯვებას ითვალისწინებსო. სოციალისტური ინტერნაციონალის მთავარ პროგრამულ დოკუმენტებში, რომლებიც მიღებულ იქნა 1951 და 1962 წლებში, უარყოფილია კომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა. 1951 წელს სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესზე მორგან ფილიპსმა განაცხადა, რომ ინტერნაციონალის ამოცანაა გაერთიანოს კაპიტალისტური მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ. 1956 წელს სკკპ XX ყრილობის პარალელურად სოციალისტებმა მო-

---

[1] См. Вильгельм Пик. изб. произ., М., 1965, стр. 224—225.

იწვიეს სპეციალური კონფერენცია, რომელმაც უარყო კომუნისტურ პარტიებთან პოლიტიკური თანამშრომლობის საჭიროება. ამავე წლის 7 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებებში სოციალისტური ინტერნაციონალი უარყოფს თანამშრომლობას სოციალისტური, ესე იგი დემოკრატიული პარტიებისა დიქტატურის პარტიებთან, კომუნისტების პარტიებთან (ასე უწოდებენ ისინი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს). უფრო გვიან, ციურიხში ინტერნაციონალის საბჭოს სესიაზე, ეს გადაწყვეტილება მოწონებულ იქნა. 1970 წლის 14 ნოემბერს მიუნხენში სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელთა თათბირზე მიღებულ იქნა დოკუმენტი „სოციალ-დემოკრატია და კომუნიზმი", რომელიც ომს უცხადებს კომუნისტურ იდეოლოგიას. ბრანდტის განცხადებით სოციალ-დემოკრატია და კომუნიზმი შეუთავსებელი ცნებებია. ვისაც ეს არ ესმის, მასთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვსო[1].

ანალოგიური მტკიცებებით გამოდიან სოციალ-დემოკრატიის ლიდერები განვითარებად ქვეყნებშიც. მაგალითად, ინდოეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი კრიპალანი ერთ-ერთ გამოსვლაში აცხადებდა: ჩვენ არ ვართ ვალდებული ისტორიის ეკონომიური ინტერპრეტაცია მივიღოთ კ. მარქსის კონცეფციის საფუძველზე. ჩვენთვის სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მახატ განდის მოძღვრებასო.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატია, მთლიანად აღებული, რეფორმისტულ პოზიციაზე დგას. რაც შეეხება მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიას, იგი ბურჟუაზიის იდეოლოგიური და პოლიტიკური დასაყრდენია. მიუხედავად ამისა კომუნისტურ პარტიებს მიაჩნიათ, რომ ცხოვრება მკაცრი აუცილებლობით მოითხოვს კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მოქმედების ერთიანობას.

სოციალისტური ინტერნაციონალი, რომელიც 1951 წელს გაფორმდა როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, ფაქტიურად წარმოადგენს „ევროპის კლუბს". აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის კონტინენტებზე მხოლოდ 12 სოციალ-დემოკრატიული პარტიაა. მაგრამ რიგ ქვეყნებში (ინგლისი, სკანდინავიის ქვეყნები, იაპონია, ნორვეგია, დასავლეთ გერმანია, ავსტრია, დანია და სხვა). სოციალ-დემოკრატებს მხარს უჭერს მუშების უმრავლესობა. ოცზე მეტი სოციალ-დემოკ-

---

[1] См. С. Н. Попов. Социал-реформизм: теория и политика, М., 1971, стр. 260.

რატიული პარტია შედის მთავრობებში ან ადგენს მას. სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს ხმას აძლევს 78 მილიონზე მეტი ამომრჩეველი. ეს სერიოზული ძალაა. შეცდომაა ამ შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა.

სოციალ-დემოკრატია წარმოიშვა მარქსიზმის ნიადაგზე. თავდაპირველად იგი სოციალისტური რევოლუციის მოთხოვნით გამოდიოდა. სოციალ-დემოკრატია ბურჟუაზიული პარტია როდია. ყველა მისი წევრი ანტიკომუნისტი არაა. შეცდომა იყო სოციალ-დემოკრატიის გამოცხადება ბურჟუაზიის აგენტურად. კომინტერნის VII კონგრესმა დაგმო არა სწორი კურსი, სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის კურსი. „დრეიფი მარჯვნივ“ სოციალ-დემოკრატიის მთელ მასას როდი შეეხება. უნდა განვასხვაოთ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ლიდერები რიგითი წევრებისაგან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატიის ქვედა და საშუალო რგოლის წარმომადგენლები არა ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების ინიციატორებად გამოსულან. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბევრი მათგანი იბრძოდა ერთიან ფრონტში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წინააღმდეგობის მოძრაობაში. ომის დროს მიღებულ პროგრამულ დოკუმენტებში (მაგალითად, „საერთაშორისო მუშათა ერთიანობა“, 1944 წ.) წამოყენებულია მუშათა ერთიანობის მოთხოვნა. სოციალ-დემოკრატიის ბევრი რიგითი წევრი აყენებს კომუნისტებთან თანამშრომლობის წინადადებას. რიგ ქვეყნებში სოციალისტთა მხარდაჭერით გატარდა გარკვეული ღონისძიებები, რომლებიც ერთგვარად აუმჯობესებენ მშრომელთა ცხოვრების პირობებს.

60-იანი წლებიდან წინააღმდეგობა სოციალ-დემოკრატიის შიგნით უფრო გამოიკვეთა. მშრომელი სოციალ-დემოკრატები ცდილობენ კლასობრივი პოზიციების შენარჩუნებას. შეიმჩნევა „მემარცხენე“ მიმდინარეობათა გააქტიურება. ისინი ოპოზიციაში უდგანან მემარჯვენეებს. მაგალითად, ფინეთში სოციალ-დემოკრატიას გამოეყო ოპოზიციური ჯგუფი, სოციალ-დემოკრატთა კავშირი, რომელსაც პროფკავშირებში დიდი გავლენა აქვს. „მემარცხენეები“ გამოდიან მონოპოლიების წინააღმდეგ. იბრძვიან მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მოითხოვენ კომუნისტურ პარტიებთან თანამშრომლობას. მაგალითად, იტალიელი სოციალისტი კანინო კომუნისტებს სოციალისტების ბუნებრივ მოკავშირედ აღიარებს. კომუნისტებთან თანამშრომ-

ლობის გარეშე. აცხადებს ის, შეუძლებელია სერიოზული ლაპარაკი პროლეტარულ ალტერნატივაზე. მემარცხენე ძალთა კონსოლიდაცია მიმდინარეობს ორი მიმართულებით — არაკომუნისტური მემარცხენე ძალთა გაერთიანებისა და სოციალისტებისა და კომუნისტების მოქმედების ერთიანობის მიმართულებით. გერმანიაში ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდა სოციალისტები“ სოციალ-დემოკრატიის მარქსისტულ ფრაქციადაც კი აცხადებენ თავს. ზოგან სოციალ-დემოკრატია გაითიშა, შეიქმნა ახალი სოციალისტური პარტიები. ცხადია, აღნიშნული და სხვა მსგავსი ფაქტორები ხელს უწყობენ კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების მოქმედების ერთიანობას.

თანამედროვე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს აქვთ სხვა პარტიებთან, კერძოდ სოციალისტურ პარტიებთან, თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება. უპირველეს ყოვლისა შეიძლება მივუთითოთ საფრანგეთის, იტალიის და ფინეთის კომუნისტური პარტიების ძველი და ახალი გამოცდილების შესახებ.

მ. ტორეზის ინიციატივით ჯერ კიდევ 1934 წელს წინა პლანზე დადგა სოციალისტურ პარტიასთან ერთიანი ფრონტის შექმნის მოთხოვნა. შესაბამისად 1936 წელს პარტიის ყრილობამ დააყენა ეგრეთ წოდებული „200 ოჯახის“ წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანა. ამავე წლის 27 ივლისს კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს მოქმედების ერთიანობის შეთანხმებას. ეს ხაზი დღემდე გრძელდება.

60-იანი წლებიდან შედარებით თანმიმდევრულადაა დაცული ეგრეთ წოდებული „მემარცხენე ბლოკისტური“ ტაქტიკა. 1964 წელს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XVII ყრილობამ წამოაყენა მუშათა კლასის ერთიანი ფრონტის შექმნისა და მუშათა კლასისა და საშუალო ფენების ერთიანობის ლოზუნგები. 1967 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ დემოკრატიულ და სოციალისტურ მემარცხენე ძალთა ფედერაციას შესთავაზა მოქმედების ერთიანი პროგრამის შემუშავების წინადადება. 1968 წლის თებერვალში კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელიც გმობდა ერთპიროვნულ რეჟიმს და აყენებდა მოწინავე დემოკრატიული წყობილების შექმნის მოთხოვნას. ამავე განცხადებაში გაკრიტიკებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა, კერძოდ ვიეტ-

ნამის დაბომბვის ფაქტი. 1968 წლის დეკემბერში საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მიიღო მანიფესტი „მოწინავე დემოკრატიისათვის, სოციალისტური საფრანგეთისათვის". მასში წამოყენებული იყო მთელი პროგრესული ძალების გაერთიანების, პირველ რიგში, კომუნისტური და სოციალისტური პარტიების მოქმედების ერთიანობის მოთხოვნა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიისათვის „მემარცხენე ბლოკისტური" ტაქტიკის სისწორის თავისებური სასინჯი ქვა იყო და არის პრეზიდენტის არჩევნებზე ერთიანი ფრონტით გამოსვლა. 60-იანი წლებიდან კომუნისტური პარტია მხარს უჭერს პრეზიდენტის პოსტზე მემარცხენე ძალთა ერთიანი კანდიდატის სოციალისტ ფ. მიტერანის კანდიდატურას. ძალთა გაერთიანების შედეგად 1965 წელს სოციალისტური პარტიის ლიდერმა მიიღო ხმების 45 პროცენტი. ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ სოციალისტები და კომუნისტები. აგრეთვე 1967 წელს საპარლამენტო არჩევნებში. 1968—1969 წლებში სოციალისტებმა საერთო ფრონტით გამოსვლაზე უარი თქვეს. შემდეგმაც არ დააყოვნა. 1968 წელს პრეზიდენტის არჩევნებზე კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ჟ. დიუკლომ მიიღო ხმების 21 პროცენტი. სოციალისტმა დეფერმა 5 პროცენტი, ხოლო გაერთიანებული სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა 3,6 პროცენტი.

1970 წლის 5 მარტს შედგა კომუნისტური და სოციალისტური პარტიების წარმომადგენელთა თათბირი უმაღლეს დონეზე. მიღებულ დოკუმენტში ლაპარაკია რეაქციული ძალების წინააღმდეგ მოწინავე დემოკრატიისათვის გაერთიანებული ძალებით ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. „მემარცხენე ბლოკისტური" ტაქტიკის სისწორე ერთხელ კიდევ დადასტურდა პრეზიდენტის არჩევნებზე 1974 წელს, როდესაც კომუნისტურმა პარტიამ კვლავ დაუჭირა მხარი ფ. მიტერანის კანდიდატურას. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ შსხვილი კაპიტალის ხელისუფლების ნაცვლად დავამყაროთ დემოკრატიული რეჟიმი, რომელიც განახორციელებს ღრმა ანტიმონოპოლისტურ რეფორმებს. ეს რეფორმები დააკმაყოფილებს მშრომელი ხალხის გარკვეულ მოთხოვნებს. იგი ამავე დროს გზას გვიხსნის სოციალიზმისაკენ,[1] — ამბობდა ჟორჟ მარშე ერთ-ერთ გამოსვლაში წინასაარჩევნო კამპანიის დღე-

---

[1] См. Газ. «За рубежом», 1974, № 11, стр. 7.

ებში. როგორც ცნობილია, მემარცხენე ძალების საერთო კანდიდატმა ფ. მიტერანმა მიიღო 12. 971. 604 ხმა, საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა კი 13. 396. 203 ხმა. ეს იყო „მემარცხენე ბლოკისტური“ ტაქტიკის სისწორის ახალი დადასტურება. საფრანგეთის კომუნისტური პარტია მტკიცედ იბრძვის ერთიანობის უზრუნველსაყოფად. იგი გამოდის ბლოკში ქალთა კავშირთან, შრომის საყოველთაო კონფედერაციასთან, პროგრესული ინტელიგენციისა და გლეხთა ორგანიზაციასთან, ყოფილ ფრონტელთა ასოციაციასთან და სხვ. ასე იქმნება ერთიანი ანტიმონოპოლისტური საერთო-სახალხო ფრონტი.

სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობის კიდევ უფრო დიდი ხნის ისტორია აქვს იტალიის კომუნისტურ პარტიას. ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელმა ამოცანებმა 20-იანი წლებიდან დაუახლოვა ისინი ერთმანეთს. 1922 წლიდან კომუნისტური და სოციალისტური პარტიები თანამშრომლობდნენ „შრომის კავშირში“, რომელიც წარმოადგენდა ანტიფაშისტური ფრონტის ჩანასახს. ბევრი იტალიელი კომუნისტი და სოციალისტი იბრძოდა ესპანეთში ინტერნაციონალურ ბრიგადებში“. 1934 წლიდან რეგულარულად თანამშრომლობენ სოციალისტები და კომუნისტები. ერთიანობის ეს პაქტი დაარღვია სოციალისტური პარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ (სარაგატი. ნენი და სხვა) 1956 წელს.

1956 წელს სოციალისტურმა პარტიამ გადაწყვიტა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან გაერთიანება. 1968 წლის არჩევნებში უმალვე გამოჩნდა ამ კურსის მცდარობა. სოციალისტებმა ერთი მილიონით ნაკლები ხმა მიიღეს 1963 წელთან შედარებით. განსაკუთრებით ცოტა იყო ხმები სამრეწველო, მუშური რაიონებიდან. პირიქით, კომუნისტურმა პარტიამ მიიღო დამატებით 788 ათასი ხმა. 60-იანი წლებიდან დაისახა მდგომარეობის გაუმჯობესების ერთგვარი პერსპექტივები. იტალიის კომუნისტური პარტია განუხრელად იცავს ერთიანობის ხაზს. იგი კავშირშია ახალგაზრდობის, ქალთა, გლეხთა ორგანიზაციებთან. საერთო-დემოკრატიულ ბლოკში შედის აგრეთვე ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირი. სტუდენტთა ეროვნული კავშირი. კომუნისტთა მხარდაჭერით შრომის საყოველთაო კონფედერაციამ შექმნა მშვიდობისათვის ბრძოლის ეროვნული მუშათა კავშირი[1].

---

[1] См. «Коммунисты и демократия», Прага, 1964, стр. 250.

ერთიანობისათვის ბრძოლის ფრონტზე გარკვეული წარმატებები აქვს ფინეთის კომუნისტურ პარტიას. 1954 წლიდან ის იცავს სოციალისტებთან მოქმედების ერთიანობის კურსს. 1958 წელს მუშათა პარტიამ პარლამენტში მიიღო ხმების უმრავლესობა, მაგრამ სოციალისტურმა პარტიამ ტანერის მეთაურობით უარი თქვა ეთანამშრომლა უმაღლეს დონეზე. 1962 წელს პრეზიდენტის არჩევნებზე კეკენონის ნაცვლად მათ მხარი დაუჭირეს მემარჯვენეთა კანდიდატურას. ამას მოჰყვა არჩევნებში სოციალისტთა სრული მარცხი. 1963 წლიდან სოციალისტებმა შეცვალეს კომუნისტებისადმი დამოკიდებულების კურსი. გარდა ამისა ისინი დაადგნენ სსრ კავშირთან კეთილმეზობლური დამოკიდებულების გზას. 1966 წელს არჩევნებში მემარცხენე ძალებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს. პარლამენტში 200 მანდატიდან მათ მიიღეს 103. პარლამენტში შევიდა ყველა მუშათა პარტიის წარმომადგენელი. ფინეთი პირველი ქვეყანაა, სადაც ომის შემდეგ განხორციელდა მემარცხენე ძალთა თანამშრომლობა უმაღლეს, მთავრობის დონეზე.

ერთიანობისათვის იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია. მუშათა კლასის მიზანი, წერს გ. ჰოლი, გამოხატავს მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებს. ამ ბაზაზე იქმნება მონოპოლისტთა წინააღმდეგ საერთო-სახალხო დემოკრატიული ფრონტი. მოქმედების ერთიანობის კურსს იცავენ გერმანელი კომუნისტები. მიუხედავად იდეოლოგიური უთანხმოებისა, წერდა მ. რაიმანი, კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები, ქრისტიანი დემოკრატები უნდა იბრძოდნენ ერთიანი ფრონტით იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ. იგივე უნდა ითქვას ინგლისის,ავსტრიის და სხვა კომუნისტური პარტიების შესახებ. გადამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანაა ჩვენთვის, ამბობდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ფ. მური პარტიის XXIV ყრილობაზე გამოსვლაში, მოქმედების ერთიანობა სოციალ-დემოკრატებთან, უპარტიოებთან და კათოლიკეებთან[1]. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ესპანეთის კომუნისტურ პარტიას. იგი იბრძვის ერთიანი პროფაშისტური ცენტრის შესაქმნელად მთელ დემოკრატიულ ძალთა შეკავშირებისათვის[2].

---

[1] См. «XXIV съезд коммунистической партии Советского Союза» М., 1971, т. II, стр. 503.

[2] См. «Проблемы мыра и социализма», 1964, № 4, стр. 76.

ჩვენს დროში უფრო მომწიფდა კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის თანამშრომლობის პირობები. გაფართოვდა მათი შეხების სოციალური ბაზა. 20-იან წლებში თანამშრომლობის ძირითადი არენა იყო ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, 30-იან წლებში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, 40-იან წლებში სოციალური პროგრესისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა, ამჟამად კი ბრძოლა მოწინავე დემოკრატიული წყობილებისათვის, რომელიც სოციალიზმისათვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილია. „როგორც მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, — ნათქვამია 1960 წლის ნოემბრის თათბირის „განცხადებაში", — მათი დემოკრატიული უფლებების გაფართოებისა და შენარჩუნებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დაცვისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში, ისევე ძალაუფლების მოპოვებისა და სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიები სოციალისტურ პარტიებთან თანამშრომლობის დამყარების მომხრენი არიან"[1].

სოციალისტურ პარტიებთან კომუნისტური პარტიების თანამშრომლობის ძირითადი მიზანია მუშათა კლასის რიგების ერთიანობის აღდგენა და შენარჩუნება. ერთიანობის ბაზაა ანტიმონოპოლისტური სახალხო ფრონტის შექმნა. ერთიანობის შექმნის ძირითადი მიმართულებაა სოციალ-დემოკრატიის ქვედა ფენებთან, მასებთან კავშირი. ამ აზრით „კომუნისტებს, —ნათქვამია იგივე „განცხადებაში", — მშრომელი სოციალ-დემოკრატები თავიანთ კლასობრივ ძმებად მიაჩნიათ"[2]. მაგრამ თანამედროვე პირობებში შეიქმნა „ზემოდანაც" საქმიანი კონტაქტების დამყარების მეტი შესაძლებლობა. ცხადია, ეს არ გამორიცხავს თეორიული, იდეური ბრძოლის აუცილებლობას. კომუნისტური და მუშათა პარტიები ხელმძღვანელობენ ამჯერადაც ვ. ი. ლენინის მითითებებით. „შეუძლებელია ფედერაციული ან რაიმე სხვაგვარი ერთიანობა ლიბერალურ მუშათა პოლიტიკოსებთან, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მუშათა მოძრაობის დეზორგანიზატორებთან, უმრავლესობის ნება-სურვილის დამრღვევლებთან. შეიძლება და უნდა იყოს კიდევაც ერთიანობა ყველა თანამიმდევარი მარქსისტისა, მა-

---

[1] „მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის საპროგრამო დოკუმენტები", თბ., 1961, გვ. 76.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 75.

რქსისტული მთელის და შეუკვეცელი ლოზუნგების ყველა დამცველისა ლიკვიდატორებისაგან დამოუკიდებლად და მათ გარეშე.

ერთიანობა დიადი საქმეა და დიადი ლოზუნგი! მაგრამ მუშათა საქმეს მარქსისტების ერთიანობა ესაჭიროება, და არა მარქსისტების ერთიანობა მარქსიზმის მოწინააღმდეგეებსა და შემრყვნელებთან"[1].

რეფორმიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის მხილება კომუნისტური და მუშათა მოძრაობის განვითარების ერთ-ერთი პირობაა. ამავე დროს მუშათა ერთიანობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური პრინციპების დაცვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში საჭიროა ზომიერების დაცვა. კლასობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება. კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა უნდა განახორციელონ სოციალიზმისათვის მუშათა კლასობრივი ბრძოლის ერთიანობა მთელ მსოფლიოში. ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად მუშათა კლასის ერთიანობის, მშრომელი მასების შეკავშირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა ბურჟუაზიული და რეფორმისტული იდეოლოგიის დაძლევა.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 276—277.

შინაარსი

თავი პირველი 3
რეფორმიზმის კლასობრივი არსი და სოციალური ფესვები —

თავი მეორე 34
რეფორმა და რევოლუცია —
1. რევოლუციისა და რეფორმების თანაფარდობა . —
2. რეფორმები და ბრძოლა დემოკრატიისათვის 59

თავი მესამე 73
კაპიტალიზმის „ტრანსფორმაციის“ ბურჟუაზიულ-რეფორმისტული კონცეფციისა და „დემოკრატიული სოციალიზმის“ სოციალ-რეფორმისტული თეორიის კრიტიკა
1. „სახალხო კაპიტალიზმის“ თეორია —
2. „დემოკრატიული სოციალიზმის“ თეორია 100

თავი მეოთხე 117
რეფორმისტების სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების კრიტიკა
1. „სოციალური პარტნიორობა“ კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად. პროლეტარიატის ისტორიული მისია —
2. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ რეფორმისტული კონცეფციის კრიტიკა. პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიული მისია 136

თავი მეხუთე 156
ერთიანობისათვის ბრძოლის შესაძლებლობა და აუცილებლობა. კომუნისტური და სოციალისტური პარტიების თანამშრომლობის პრინციპები —

რედაქტორი გ. ბერძენიშვილი
რეხატვარი გ. ავსაჯანიშვილი
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი ლ. არჩვაძე
გამომშვები მ. მიქელაძე

გადაეცა წარმოებას 31/XII-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/V 75 წ.
საბეჭდი ქაღალდი № 1. ზომა 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 10.46
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.15
УЕ 07640 ტირაჟი 2000. შეკვ. № 1408.
ფასი 74 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა
და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 1.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Государственного комитета Совета Министров
Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной
торговли. Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.